

გერმანული იდეალიზმის კრიზისი შელინგის ნაშრომში

“სამყაროს ეპოქები”

დოქტორანტი: ნინო როდონაია

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტზე ფილოსოფიის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. გიგა ზედანია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველო, თბილისი

2011

შინაარსი

შესავალი	3
დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის შინაარსი, მიზანი, ნაბიჯები და მეთოდი	8
თავი 1.....	18
გერმანული იდეალიზმის ზოგადი დახასიათება	18
1. 1. გერმანული იდეალიზმი, როგორც განვითარების გზა კანტიდან ჰეგელამდე	18
1.2. ჰეგელის ფილოსოფია, როგორც გერმანული იდეალიზმის განვითარების მწვერვალი	26
1.3. გერმანული იდეალიზმის რეცეფციები საქართველოში. დასაწყისიდან საბჭოთა მარქსიზმის გავლით დღემდე	36
1.3.1. საქართველოში გერმანული იდეალიზმის კვლევის მოსამზადებელი ეტაპი, მე-19 საუკუნე	36
1.3.2. გერმანული იდეალიზმის რეცეფციის პირველი - „მარქსისტულ-პოლემიკური“ ეტაპი საქართველოში. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე	41
1.3.3. კვლევის მეორე, „მარქსისტულ-ორთოდოქსული ეტაპი“ (20 საუკუნეში 1917–1991 წლები) და დღევანდელი მდგომარეობა	43
თავი 2.....	54
შელინგის ფილოსოფიის კვლევის სირთულე.....	54
2.1. შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემა. საკითხის დასმა	54
2.2. შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპი	57
2.3. ახალი, მეორე ეტაპი, შელინგის ფილოსოფიის კვლევაში: შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევა	64
2.4. შელინგის ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის მდგომარეობა	68
თავი 3.....	78
შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია.....	78
3.1. ჰეგელის ფილოსოფია და შელინგის მიერ ჰეგელის კრიტიკა	78
3.1.1. „ტიუბინგენის წრე“: ჰოლდერლინი, ჰეგელი, შელინგი.....	78
3.1.2. ჰეგელისა და შელინგის ურთიერთდაპირისპირების ისტორიიდან.....	82

3.2. შელინგის ნეგატიური ან რაციონალური ფილოსოფიის არსი.....	90
3.3. შელინგის ფილოსოფიაში პოზიტიური ან ისტორიული ფილოსოფიის აუცილებლობის წარმოშობა.....	94
თავი 4.....	107
შელინგის ნაშრომი „სამყაროს ეპოქები“.....	107
4.1. „სამყაროს ეპოქების“ დაწერის თარიღი, მისი აღმოჩენის ისტორია და სათაურის განმარტება.....	107
4.2. ნაშრომის სტრუქტურა და სტილი.....	112
4.3. „სამყაროს ეპოქების“ ყველა ცნობილი ვერსიისათვის საერთო შესავალი ფორმულა. მისი არსისა და მნიშვნელობის გარკვევისათვის.....	117
4.4. მეცნიერების გაგება „სამყაროს ეპოქებში“.....	121
4.5. „სამყაროს ეპოქების“ ისტორიულობა და ისტორიული გონების დაბადება.....	126
თავი 5.....	137
„სამყაროს ეპოქები“ და შელინგის შემდგომი პერიოდის ფილოსოფია.....	137
5.1. სორენ კირკეგორის შელინგის ფილოსოფიასთან მიმართების საკითხის ისტორიისათვის	137
5.2. სორენ კირკეგორის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის არსი.....	144
5. 3. სორენ კირკეგორისა და შელინგის გვიანი ფილოსოფიის შესაძლო პარალელელებისათვის.....	146
დასკვნის ნაცვლად: გონების თვითნეგაცია და ნახტომის პარადოქსი.....	158
რეზიუმე ინგლისურ ენაზე.....	160
ბიბლიოგრაფია	168

შესავალი

დასაწყისში მოცემული შესავალი დისერტაციის შინაარსის ზოგად ფორმულირებას წარმოადგენს. დისერტაცია აღწერს გონების უსასრულო ძალაუფლებიდან მისი თვითნებაციაზე გადასვლის ხდომილებას. გონებრიობის საზღვრების აღმოჩენის ისტორიას (აქ არ იგულისხმება კანტის წმინდა ანუ თეორიული გონების საზღვრების დადგენა) გერმანული იდეალიზმის კრიზისისა და დასასრულის კვალიფიკაცია ენიჭება. საინტერესოა, რომ ქრონოლოგიურად გერმანული იდეალიზმის ძლიერების პერიოდი ჰეგელის ფილოსოფიის ჩამოყალიბების სახით და მისი კრიტიკა, ანუ შელინგის გვიანი, პოზიტიური ფილოსოფიის ტექსტების წარმოშობა ერთმანეთის პარალელურად მიმდინარეობს. შელინგის მიერ ჰეგელის ფუნდამენტური ტექსტების კრიტიკა და ამ ტექსტების გამოცემა თანადროულია, პრაქტიკულად ერთ პერიოდში ხდება. მაგრამ ფილოსოფიის ისტორიის პარადოქსია ის, რომ შელინგის გვიანი ტექსტების შესწავლა არა როგორც ჰეგელის ფილოსოფიის მოსამზადებელი საფეხური, არამედ როგორც ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა და მისგან განსხვავებული ფილოსოფიის მოცემის მცდელობა, მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. პარადოქსია ის, რომ შელინგის გვიანი ფილოსოფია თითქმის მთელი საუკუნე გაუჩინარებული აღმოჩნდა. მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული მკვლევრები თანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა შელინგის გვიანი ფილოსოფიის ცალკე, არა გერმანული იდეალიზმის მთლიანობის კონტექსტში, კვლევა. ამ განცხადებას მოჰყვა შელინგის ყველა გამოუქვეყნებელი ხელნაწერის დამუშავებისა და გამოქვეყნების პროცესის დაწყება.

1975 წელს შტუდგარტის ჰეგელ–კონგრესი გაიხსნა ჰანს მიხაელ ბაუმგარტნერის მოხსენებით, სადაც ის საუბრობს სპეკულატიური იდეალიზმის დასასრულზე და შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიაზე. ეს იყო ამ მიმართულებით, მართალია უკვე, დიდი ხნის წინ დაწყებული, მაგრამ ფრაგმენტულად მიმდინარე კვლევების ერთგვარი დეკლარირება. მიხაელ თოინისენი 1976 წელს „ფილოსოფიურ წელიწდეულში“ სათაურად გამოიტანს

ბაუმგარტნერის სიტყვებს: „იდეალიზმის მოხსნა (დაძლევა) შელინგის გვიან ფილოსოფიაში“; მანამდე ვალტერ შულცი 1955 წელს თავის ჰაბილიტაციაზე წარდგენილ ნაშრომში საუბრობს გერმანული იდეალიზმის სრულყოფასა და დასასრულზე შელინგის გვიან ფილოსოფიაში; მარტინ ჰაიდეგერი შელინგის 1809 წელს თავისუფლებაზე დაწერილ ტექსტს უწოდებს გერმანული იდეალიზმის მწვერვალს. ეს ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს, წარმოგვიდგენს გერმანული იდეალიზმის განვითარების ახლებურ გაგებას. საქართველოში ეს კვლევები არ იყო ხელმისაწვდომი და დღემდე დამკვიდრებულია გერმანული იდეალიზმის სხვა, უფრო ადრეული, განსაზღვრება. შესაბამისად წარმოიშვა ვაკუუმი და წყვეტა იმასთან, რაც ამ მიმართულებით მსოფლიოში ხდებოდა. დისერტაციაში გერმანული იდეალიზმის ამ ახალი კვლევების წარმოდგენა ხორციელდება შელინგის ნაკლებად შესწავლილ ტექსტზე: „სამყაროს ეპოქები“; დაყრდნობით. შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევაში „სამყაროს ეპოქებზე“ აქცენტის გაკეთება მოცემულ დისერტაციას ანიჭებს აქტუალობას, როგორც საქართველოსთვის, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

შესავალში მოკლედ აღწერთ შელინგის გვიანი ფილოსოფიის მიზანსა და შინაარსს. შელინგის მიზანია, რომ ილაპარაკოს აბსოლუტზე, მაგრამ არა შემმეცნებელი გონების ცნებების მოშველიებით. შელინგის გვიან ფილოსოფიაში აბსოლუტზე ლაპარაკობს *ისტორიული გონება*. ამ შემთხვევაში ფილოსოფიის მუდმივი პრობლემა რომ შესაძლებელი გახადოს აბსოლუტთან, მყოფთან, უსასრულოსთან მიმართება, რადგან ამით ადამიანის არსებობის საფუძველიც გარანტირებული იქნება, დაკონკრეტდება სასრულოსა და უსასრულოს შესაძლო ურთიერთობის ახალი გზის გამოკვეთით. უფრო ზუსტად, შელინგი აბსოლუტზე ლაპარაკს, ან მასთან დიალოგს მხოლოდ შემმეცნებელი გონების პოზიციიდან აღარ განიხილავს. ამისათვის ის ცვლის ან სხვა ასპექტს წამოსწევს წინ, როგორც აბსოლუტის ძირითად მახასიათებლად, ასევე მასთან მიმართების სხვა მეთოდსაც გვთავაზობს. გერმანული იდეალიზმის (და ამ აზრით ყველაზე მეტად ჰეგელის ფილოსოფია იგულისხმება) მსგავსად აბსოლუტის გონებით შემეცნება და სისტემაში მოცემა კი აღარ სურს, არამედ აბსოლუტის ისტორიულობას უსვამს

ხაზს და ადამიანის გონებას ამ ისტორიის თანარეკონსტრუირებას, თანაშემეცნებას („Mitwissenschaft“) ავალეხს. ოღონდ ამ ისტორიულმა გონებამ იმ ტრაგიკული ფაქტის შესახებაც იცის, რომ გონების ძალაუფლების გავრცელების სფეროს საზღვარი აქვს და ეს საზღვარი მისივე არაგონებრივი არსებობაა. გონების ეს არაგონებრივი არსებობა მისი წარსულია. წარსული, რომელიც ისტორიის უღრმეს და უშორეს შრეებში აღმოჩნდება გაუჩინარებული. გონება იწყებს საკუთარი თავის თვითნეგაციას. ეს ტრაგიკულობა, რომელსაც გონების თვითნეგაცია იწვევს, გონების დაღუპვით კი არ მთავრდება, არამედ მას სხვა შესაძლებლობებს და პერსპექტივებს გამოუჩენს. შევინგი ამ აზრით ახალი დიალოგის შესაძლებლობაზე გვესაუბრება, რომელსაც ის ფილოსოფიის უდიდეს საიდუმლოს უწოდებს. ესაა დიალოგი შემკითხველსა და მოპასუხეს შორის. ხოლო ადგილი, სივრცე სადაც ეს დიალოგია შესაძლებელი დროის განზომილებებში, ანუ დროებში, ეპოქებში ინაცვლებს. ამ მომენტიდან დროისა და ასევე სივრცის კითხვები სად? და როდის? აბსოლუტის ერთიან ქსოვილში გადაინაცვლებს, ხოლო ადამიანი, რომლის მთავარ ან ძირითად უნარადაც აღარაა აზროვნება და შემეცნება დასახელებული, სწორედ ამიტომ გახსნილია მისკენ იმ აზრით, რომ მასში თავისუფლად მოძრაობს დრო. ამ მოძრაობის ტრაექტორიას მოხაზავს არა მხოლოდ წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისაკენ სვლა, არამედ ეს ღიაობა დროის მდინარების ნებისმიერი კომბინაციის შესაძლებლობას ქმნის. ადამიანი დროის მდინარებას კი არ მიჰყვება იძულების წესით, რადგან ფიზიკური დრო ერთადერთი შესაძლებელი დროა, არამედ ის დროსთან, დროებთან მიმართებაში თავს ისე გრძნობს, როგორც საკუთარ საფუძველში, არსებობაში. მის არსებობას დრო, დროულობა წარმოადგენს. არსებობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი დროშია, დროებშია. მას აქვს წარსული, აწმყო და მომავალი. ეს გულისხმობს, რომ მან იცის სად დასრულდა წარსული, იცის როგორია აწმყო და ამიტომ შეუძლია გამოიცნოს მომავალი. ამ ცოდნაში, რომელიც ყოველთვის არ ნიშნავს ცნებებით გააზრებას, ადამიანი სწვდება აბსოლუტს. ეს შესაძლებელია, რადგან აბსოლუტია თვითონ ეს დრო, დრო, რომელიც ამასთანავე ადამიანის არსებობაცაა. ამიტომ ამ წვდომით ის საკუთარ არსებობას ხედავს, მასთან ცოცხალ კავშირშია, როგორც **თანამეცნიერი**

და ამ მეცნიერების თანაშემქმნელია, თანამცოდნეა, რადგან დრო და ისტორია მხოლოდ აბსოლუტის მახასიათებლები კი არაა არამედ ადამიანიც სწორედ ეს დროები და ისტორიაა. შელინგთან ისტორია=მეცნიერებას. ეს დიალოგი სულ სხვა სახის ურთიერთობაა სასრულოსა და უსასრულოს შორის და ის აღარ მიმდინარეობს მხოლოდ გერმანული იდეალიზმის განზომილებაში.

შელინგი თვლის, რომ ჰეგელის სამყარო შეზღუდულია, მას არც ბუნება აქვს (შელინგის კრიტიკის ერთ-ერთი არგუმენტია სწორედ ეს, რომ ჰეგელთან გადასვლა გონის ფილოსოფიიდან ბუნების ფილოსოფიაზე სუსტი ადგილია ან უფრო სწორედ ჰეგელს არა აქვს მოცემული ბუნება) და არც აბსოლუტი. ჰეგელის ფილოსოფია მხოლოდ გონებაზე აკეთებს აქცენტს, ეს გონება ეგოისტურიცაა და ეგოცენტრულიც. მას არ შეუძლია აღიაროს თავისაგან განსხვავებული და ყველაფერს, აბსოლუტსაც და ბუნებასაც, საკუთარი ანალოგიით ხსნის. ესაა შემმეცნებელი გონების მთავარი პრობლემა. შელინგი აჩვენებს, რომ გონებას არ უნდა ემინოდეს იმის აღიარებისა, რაც მისი სტრუქტურის მქონე არაა. ეს მას კი არ მოკლავს, არამედ ახალ პერსპექტივას გაუხსნის. შელინგი ამბობს რომ თუ ასე გავიგებთ გონებას, ანუ როგორც მხოლოდ შემმეცნებელს, რომელიც ყველაფერს თავისი ანალოგიით აწესრიგებს, მაშინ ადამიანი სრულიად განწირულია, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩეს. სიკვდილი კი სწორედ ესაა. ამისაგან განსხვავებით გონების სიცოცხლე ან მისი ახალი პერსპექტივა იქმნება ისტორიული გონების დაბადებით, რადგან ის სულ ცოტა მარტო არ აღმოჩნდება და მხოლოდ საკუთარი თავისვე ობიექტად ქცევით (ჰეგელის ნაშრომების „*გონის ფენომენოლოგიის*“ ან „*ლოგიკის მეცნიერების*“ პრინციპი, გონება იმეცნებს საკუთარ თავს, შემმეცნებელი და შესამეცნებელი ერთი და იგივეა) არ დაკმაყოფილდება. ასე გაგებული ისტორია არაა ერთიანი, ან ერთი მიზნისაკენ მიმართული განვითარების პროცესი. ადამიანის გონებას არ ძალუძს ასეთი დაუსრულებელი ლოგიკური მონოლოგის წარმართვა და ატანა. ამიტომ დეკარტეს საფუძველ-დებულებაში: ვაზროვნებ=ვარსებობ, აზროვნება მონოპოლიას დაკარგავს. შელინგი რაციონალიზმის გზით განვითარებული ფილოსოფიის ამ საყრდენ დებულებაში ტოლობის ნიშანს წაშლის და მის ახალ ფორმულირებას

გვთავაზობს: ვაზროვნებ და ვარსებობ, ან ვარსებობ და ვაზროვნებ. ამის სხვანაირად და ბევრნაირად გამოთქმა შეიძლება, მაგალითად ასეც: ვლაპარაკობ და ვუსმენ და რაც მთავარია ისინი (აზროვნება და არსებობა) კი არ გამორიცხავენ ერთმანეთს, ან ერთის მეორესთან იგივეობა კი არ მტკიცდება, არამედ ისინი ერთმანეთს როგორც განსხვავებულს ისე მოითხოვენ.

შელინგის გვიანი ფილოსოფიის ექსისტენციალიზმის ფილოსოფიის დამწყების, სორენ კირკეგორის ფილოსოფიასთან პარალელისათვის საკმარისია ამ უკანასკნელის ფილოსოფიაში რწმენის სტადიას გადავხედოთ. სორენ კირკეგორი თავის ფილოსოფიაში ანახებს, რომ როგორც ესთეტიკური სტადიის ადამიანი, რომელსაც თავისი საფუძველი თავის თავის გარეთ აქვს არ არის ექსისტენცი, ასევე ეთიკური სტადიის ადამიანი არაა ექსისტენცი, ანუ ისინი არ ან ვერ ექსისტირებენ, ანუ არ არსებობენ. ეთიკურ სტადიაზე ადამიანს მართალია თავის შიგნით აქვს თავისი არსებობის საფუძველი, მაგრამ მაინც არ ძალუძს იცხოვროს ვალდებულების რაციონალური გრძნობით. ეს არაა ექსისტენციალური არსებობა. ამისათვის რელიგიური სტადია ხდება საჭირო, სადაც შემოდის უცხო, სხვა, ღმერთი. სორენ კირკეგორთან ეს დიალოგი სიჩუმის და იდუმალების საფარველშია გახვეული და ამ საფარველს სორენ კირკეგორი შელინგის მსგავსად მეცნიერებას, რომელიც ისტორიას უდრის, არ ჩამოახსნევინებს. მაგრამ არც შელინგისათვის და არც სორენ კირკეგორისათვის მოაზროვნე, უფრო ზუსტად მხოლოდ შემმეცნებელი გონება არ გაგვიხსნის ღმერთთან და ამით საკუთარ არსებობასთან მიახლოების შესაძლებლობას. ორივე ფილოსოფოსის აზრი ასეთია, რომ არსებობა და მასთან ადამიანის კავშირი არ არის შემმეცნებელი გონების ძალაუფლების სფეროში.

დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის შინაარსი, მიზანი, ნაბიჯები და მეთოდი

ამ ეტაპზე მოკლედ ჩამოვყალიბებთ დისერტაციის მიზანს და მისი აზრობრივი განვითარების კვალდაკვალ ამ მიზნის განხორციელებისათვის გადადგმულ ნაბიჯებსა და გამოყენებულ მეთოდს:

1. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და თეზისი

სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის: *გერმანული იდეალიზმის კრიზისი შელინგის ნაშრომში „სამყაროს ეპოქები“*; მიზანია ანახოს თუ რამდენადაა შესაძლებელი, რომ გერმანული იდეალიზმი დასრულდეს არა ჰეგელის, არამედ შელინგის გვიანი ფილოსოფიით. უფრო კონკრეტულად, ნაშრომის მიზანია ფილოსოფიის ისტორიაში ერთ–ერთ ბნელ საკითხად მიჩნეული, გერმანული იდეალიზმიდან იდეალიზმის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლის, პრობლემის გადაწყვეტა. ამ მიზნით მოცემულ ნაშრომში აქცენტი კეთდება არა ჰეგელის, არამედ შელინგის გვიან ფილოსოფიაზე, როგორც გერმანული იდეალიზმის სრულყოფასა და დასრულებაზე.

გერმანული იდეალიზმის შემდგომი ფილოსოფიის მაგალითად დისერტაციაში აღებულია სორენ კირკეგორის ექსისტენციალური ფილოსოფია, ხოლო შელინგის გვიანი ფილოსოფიის ნიმუშად მისი ტექსტის *„სამყაროს ეპოქების“* 1813 წლების ვერსია (ე.წ. მეორე ხელნაწერი). შესაბამისად მოცემული დისერტაციის თეზისია: შელინგის გვიანი ფილოსოფია, როგორც გერმანული იდეალიზმის შიგნით ჰეგელის ფილოსოფიის ალტერნატივა და მისი (გერმანული იდეალიზმის) დასრულება (როგორც დასასრულის ასევე მისი სრულყოფის თვალსაზრისით). ნაშრომში ეს მიზანი განხორციელებულია შელინგის ნაკლებად შესწავლილ ტექსტზე, *„სამყაროს ეპოქები“*; დაყრდნობით.

შელინგის გვიანი ფილოსოფიის ირგვლივ არსებული კვლევები გერმანული იდეალიზმის ქართულ რეცეფციებში უცნობია. მნიშვნელოვანია, რომ ეს წყვეტა გადაილახოს და მოცემული დისერტაცია სწორედ ამ ფუნქციას ასრულებს.

2. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურისა და საკვლევო პრობლემატიკის ფორმულირება

სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის სტრუქტურა, განსახილველი პრობლემატიკა ჩამოყალიბებულია, როგორც ნაშრომის მიზნის მიღწევის თანმიმდევრული ეტაპები. შესაბამისად ნაშრომი აგებულია იმ პრობლემების მიხედვით, რომლის კვლევასაც წარმოადგენს მისი ყოველი ნაწილი. ეს ნაწილები და კვლევის მიმართულებებია:

1. გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგების გადმოცემა.
2. შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემურობა.
3. შელინგის ფილოსოფიური განვითარების ორი პერიოდი: ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია და მათი განხილვა.
4. შელინგის ნაშრომი „სამყაროს ეპოქები“, მისი სხვადასხვა ვერსიები, შინაარსი და ძირითადი საკითხები.
5. შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიის პარალელების შესაძლებლობა.

3. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის მიზნის მიღწევისა და მისი აზრობრივი განვითარებისათვის გადადგმული ნაბიჯების, მიღებული შედეგებისა და მეთოდის აღწერა:

1. ნაშრომის პირველი თავი განიხილავს გერმანული იდეალიზმის ტრადიციულ გაგებას, რომლის თანახმადაც გერმანული იდეალიზმი არის განვითარების ერთიანი გზა. ის იწყება კანტის და სრულდება ჰეგელის ფილოსოფიით. გერმანული იდეალიზმის ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში ძნელდება გერმანული იდეალიზმიდან სხვა ფილოსოფიურ მიმართულებებზე გადასვლის ჩვენება. შესაბამისად ჩნდება წყვეტა გერმანულ იდეალიზმსა და მის შემდგომ ფილოსოფიას შორის. გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგებისას აქცენტი კეთდება თეზისზე, რომ გერმანული იდეალიზმის მიზანია ანახოს აბსოლუტის

გონებით შემეცნებისა და მისი ფილოსოფიურ სისტემაში გადმოცემის შესაძლებლობა. ეს იდეა სრულყოფილად ჰეგელის ფილოსოფიურმა სისტემამ განავითარა. ამიტომ ჰეგელის ფილოსოფია სამართლიანად მიიჩნევა გერმანული იდეალიზმის განვითარების უმაღლეს პუნქტად, მწვერვალად. გერმანული იდეალიზმის ასეთი გაგება შელინგის ფილოსოფიას განიხილავს, როგორც ჰეგელის ფილოსოფიისათვის მოსამზადებელ ეტაპს. ასეთი გაგებისას ნაკლებად ექცევა ყურადღება შელინგის ფილოსოფიური განვითარების იმ პერიოდს, როდესაც ის ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკას იწყებს და თავის გვიან, პოზიტიურ ფილოსოფიას ავითარებს.

დისერტაციის მოცემულ ნაწილში განხილულია გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციები. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში მიმდინარე ისტორიული პროცესები გერმანული იდეალიზმის და განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის კვლევას სერიოზულად აბრკოლებდნენ. თუმცა საქართველოში მაინც ხერხდებოდა ღირებული კვლევების წარმოება, ეს უმეტესად კანტის და ჰეგელის ფილოსოფიას ეხება. შელინგისა და ფიხტეს ფილოსოფია საქართველოში უფრო ნაკლებადაა შესწავლილი. გერმანული იდეალიზმის ქართულ რეცეფციებში არ ჩანს იმ დისკუსიებისა და ახალი მიმართულებების კვალი, რომელიც მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მსოფლიოში განვითარდა. ამ წყვეტის დაძლევა დღეს აუცილებელი ხდება და დისერტაციის მიზანია სწორედ მისი გადალახვა.

პირველი ნაბიჯია გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგების არსისა და გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციების განხილვა. პირველთან მიმართებაში გადმოცემულია რიჰარდ კრონერის ნაშრომის „*კანტიდან ჰეგელამდე*“ არსი, სადაც გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგება კარგადაა გადმოცემული. ხოლო მეორესთან მიმართებაში, ანუ გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციების გაგებისათვის განხილულია სოლომონ დოდაშვილის, კონსტანტინე ბაქრაძის, სავლე წერეთლის, გურამ თევზაძის, მერაბ მამარდაშვილის, ზაზა ფირალიშვილის და სხვათა ნაშრომები. დასახელებულ ავტორთა ტექსტების კვლევამ ანახა, რომ გერმანული იდეალიზმის ქართულ

რეცეფციებში წამყვანია მისი ტრადიციული გაგება, ანუ გერმანული იდეალიზმი, როგორც განვითარების გზა კანტიდან ჰეგელამდე.

2. **ნაშრომის მეორე თავის განსახილველი საკითხია** გერმანული იდეალიზმის კვლევაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გამოკვეთილი ახალი მიმართულებები. ნაშრომში ეს სიახლე განხილულია შელინგის ფილოსოფიის კვლევის მდგომარეობაზე დაყრდნობით, რადგან ამ დროიდან მოყოლებული გერმანული იდეალიზმის კვლევისას აქცენტი კეთდებოდა შელინგის მანამდე უცნობ, ან ნაკლებად გამოკვლეულ ტექტებზე.

შესაბამისად ნაშრომში შელინგის ფილოსოფიის კვლევა ორ ეტაპად იყოფა: პირველი, როცა შელინგის ფილოსოფიის კვლევისას ძირითადად მის ადრეულ, ანუ მის ნეგატიურ ან რაციონალურ ფილოსოფიაზე კეთდებოდა აქცენტი, ანუ იმ პერიოდზე, როდესაც შელინგის ფილოსოფია ჰეგელის ფილოსოფიასთან თანხმობაშია; და შელინგის ფილოსოფიის კვლევის მეორე ეტაპი, ანუ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული და დღემდე მიმდინარე კვლევები, ამ კვლევების ძირითადი მიმართულებები და აქტუალური დისკუსიები.

შელინგის ფილოსოფიის ახალი მიმართულებით კვლევისათვის ბიძგი აღმოჩნდა შელინგის ტექსტის „*სამყაროს ეპოქების*“ მანფრედ შროტერის მიერ 1946 წელს გამოქვეყნებული ახალი ვერსიები. აქედან მოყოლებული ყურადღება ექცევა შელინგის გარდამავალ და გვიან, ანუ პოზიტიურ ფილოსოფიასა და მის მოსამზადებელ პერიოდს. შესაბამისად იცვლება ფილოსოფიის ისტორიაში შელინგის ფილოსოფიის ადგილის შესახებ შეხედულებაც და შესაძლებელი ხდება გერმანული იდეალიზმის განსაზღვრებისას, მის განვითარებასა და დასრულებაში შელინგის გვიანი ფილოსოფიის როლის დანახვა.

მეორე ნაბიჯი: მოცემულ ნაშრომში ნაჩვენებია შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემურობის საკითხი, რომელიც შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველ ეტაპზევე გამოიკვეთა და ცნობილი გახდა. შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპის განხილვა და მასში შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემურობის თვალსაზრისით ნაშრომში

მოცემულია კუნო ფიშერის, ვილჰელმ ვინდელბანდის, ნიკოლაი ჰარტმანის, ედუარდ ფონ ჰარტმანის, რიჰარდ კრონერის ნაშრომების ანალიზი. კვლევის მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელი ტენდენციების გამოკვეთისათვის მოცემული დისერტაცია ეყრდნობა: ვალტერ შულცის, ჰორსტ ფურმანსის, ანტონ მირკო კოკტანეკის, ლორა ჰუნის, მიხეელე კოშის ნაშრომებს.

3. დისერტაციის მესამე თავი განიხილავს შელინგის გვიან, ანუ პოზიტიურ ფილოსოფიას, როგორც გერმანული იდეალიზმის ფარგლებში ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებულ, ალტერნატიულ გზას. დისერტაციაში ამ აზრის განვითარება ხდება რამოდენიმე კუთხით:

ა) ნაშრომის მესამე ნაწილში გამოკვეთილია გერმანული იდეალიზმის შიგნით არსებული წინააღმდეგობები, რომელიც გამოიხატა შელინგის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკაში. ეს კრიტიკა, ერთი მხრივ, გერმანული იდეალიზმის კრიზისის გაცნობიერებას წარმოადგენს, და მეორე მხრივ, აჩვენებს გერმანული იდეალიზმისათვის ახალ, ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებულ, მიმართულებას. ამ ახალი გზის დასაწყისი მოცემულია შელინგის მიერ შემმეცნებელი გონების ძალაუფლების სფეროს შემოსაზღვრით, რასაც შელინგი გონების თვითნეგაციას უწოდებს.

ბ) შელინგისა და ჰეგელის დაპირისპირება შელინგის ფილოსოფიაში თემატიზირებულია, როგორც მის ადრეულ, რაციონალურ, ნეგატიურ და გვიან, ისტორიულ, პოზიტიურ ფილოსოფიას შორის განსხვავება. დისერტაცია არკვევს შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის საზღვარს და თითოეულის არსს. ნაშრომის ამ ეტაპზე აქცენტი კეთდება შელინგის გამოცანად წოდებულ ტექსტზე: „*სამყაროს ეპოქები*“ (კერძოდ მის 1813 წლის ვერსიაზე), როგორც გერმანული იდეალიზმისა და მისი ჰეგელისეული ვერსიის, კრიტიკაზე და შემმეცნებელი გონების ნაცვლად ისტორიული გონების დაბადებაზე. მოცემული ნაშრომი აჩვენებს შელინგის გვიანი ფილოსოფიის სიახლეს „*სამყაროს ეპოქებზე*“ დაყრდნობით.

მესამე ნაბიჯი: ნაშრომში განხილულია ჰოლდერლინის, შელინგისა და ჰეგელის თანამშრომლობის პერიოდი ტექსტზე: „გერმანული იდეალიზმის სისტემის უძველესი პროგრამაზე“ დაყრდნობით. ასევე ერთმანეთთან შედარებულია ჰოლდერლინის „ჰიპერიონი“, ახალგაზრდა ჰეგელის თეოლოგიური ნაშრომები და შელინგის 1801 წლამდე დაწერილი ტექსტები. ამის შემდეგ ნაშრომი აქცენტს აკეთებს შელინგისა და ჰეგელის ურთიერთკრიტიკის დასაწყისზე, აჩვენებს ამ კრიტიკის არსს და გადადის შელინგის ადრეული ანუ ნეგატიური და გვიანი ანუ პოზიტიური ფილოსოფიის დახასიათებაზე.

4. **ნაშრომის მეოთხე თავი** მთლიანად ეთმობა შელინგის ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ სტრუქტურის, შინაარსის, სტილისა და პრობლემატიკის განხილვას. შელინგის შემოქმედებაში ეს ტექსტი პოზიტიური ფილოსოფიის მოსამზადებელ პერიოდად ითვლება. შელინგი „სამყაროს ეპოქებზე“ 1810 წლიდან იწყებს მუშაობას და უკანასკნელად მას თავის 1833 წლის მიუნხენის ლექციებზე ახსენებს. მთელი ამ დროის განმავლობაში შელინგმა ტექსტის რამოდენიმე ვერსია შექმნა. „სამყაროს ეპოქები“ თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით ტრილოგია უნდა ყოფილიყო: წიგნი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. მათგან შელინგმა წარსულის წიგნის ცალკეული ვერსიები დაწერა. მოცემული ნაშრომი აქცენტს აკეთებს სამყაროს ეპოქების 1813 წლის ვერსიაზე. შელინგს ეს ტექსტი სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია. მეოცე საუკუნის 50 იან წლებამდე მისი მხოლოდ ერთი, მესამე (1814-1815 წლების) ვერსია იყო ცნობილი. 1946 წელს მანფრედ შროტერმა გამოაქვეყნა „სამყაროს ეპოქების“ უფრო ადრეული ვერსიები. სულ ცნობილია ტექსტის სამი ვერსია, ესენია: 1811 წლის I, 1813 წლის II და 1814/1815 წლის III ვერსიები.

მოცემული ნაშრომის მეოთხე თავში „სამყაროს ეპოქების“ საფუძველზე განხილულია შელინგის ფილოსოფიაში ისტორიის გაგება, რომელიც უპირისპირდება ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის გაგებას. მეცნიერება, რომელიც შელინგთან უდრის ისტორიას არის აბსოლუტის ამოცნობა იმაში რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ანუ სამყაროს სამ ეპოქაში: წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

სწორედ ამას უკავშირდება ტექსტის სათაურში სიტყვა ეპოქის მრავლობით რიცხვში ჩასმა: ეპოქები. შელინგთან მეცნიერება სინამდვილეზე, რომელიც ისტორიას უდრის ჰეგელის ფილოსოფიის მსგავსად არ ეყრდნობა დაშვებას, რომ რაც “რაც გონიერია, ის ნამდვილია, და რაც ნამდვილია, ის გონიერია“. შელინგი ამ მომენტიდან ლაპარაკობს შემმეცნებელი გონების მიერ საკუთარი საზღვრების აღმოჩენაზე, მის თვითნებაციაზე და ისტორიულ გონებაზე.

გონების მიერ საკუთარი თავის უარყოფითა და თვითნებაცით გვაუწყებს შელინგი პოზიტიურ ფილოსოფიაზე, რომლის საწყისებიც უკვე „*სამყაროს ეპოქებში*“ ისტორიული გონების დაბადებაშია მოცემული. ისტორიული გონების არსს შელინგის ფილოსოფიაში გამოხატავს ტერმინი „თანამეცნიერება“ („Mittwissenschaft“, „co-science“), „თანაცოდნა“. აღმოჩნდება, რომ ამ ტერმინშია მოცემული, ერთი მხრივ, ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის წვდომა, რომელიც არ არის გონებრივი და მეორე მხრივ, ადამიანის მიერ აბსოლუტის ანუ ღმერთის არსებობის წვდომა, რომელიც ასევე არ არის გონებრივი. ადამიანის და აბსოლუტის არსებობა დროულობაშია, დროის სამ ვრცელ მონაკვეთში, ესენია: წარსული, აწმყო და მომავალი.

შესაბამისად მეოთხე ნაბიჯია ტექსტის „*სამყაროს ეპოქების*“ კვლევა და ამ ტექსტისადმი მიძღვნილი ლიტერატურის შესწავლა და გადმოცემა. შელინგის მიერ შემმეცნებელი გონების კრიტიკა და ისტორიული გონების დაბადება, შელინგის ისტორიის გაგება და ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია შედარებულია შემდეგი ტექსტების საფუძველზე: შელინგის „*სამყაროს ეპოქები*“ და ჰეგელის „*ლექციები ისტორიის ფილოსოფიაში*“.

5. ნაშრომის მეხუთე თავში გერმანული იდეალიზმიდან მის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლის პრობლემა შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ ფილოსოფიის საფუძველზე კეთდება. შელინგის გვიანი პერიოდის ფილოსოფია განხილულია, როგორც გერმანული იდეალიზმიდან მის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლის, ხიდის შესაძლებლობა. ამ გადასვლის ჩვენება რთულ ფილოსოფიის ისტორიულ მიზანს ისახავს. გერმანული იდეალიზმის შემდგომი ფილოსოფიის

მაგალითად ნაშრომში აქცენტი კეთდება სორენ კირკეგორის ექსისტენციალურ ფილოსოფიაზე.

მოცემული ნაშრომი სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში გერმანული იდეალიზმის კრიტიკას შელინგის მიერ ჰეგელის კრიტიკასთან კავშირში განიხილავს. შელინგის ფილოსოფიაში ჰეგელის კრიტიკის მოტივები, რომელიც გონების ძალაუფლების შეზღუდვას ისახავს მიზნად შედარებულია სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში რელიგიურ სტადიასთან. ნაშრომში ნაჩვენებია, რომ **გონება რომელიც თავის თავს უარყოფს და ნახტომის პარადოქსი ერთსა და იმავე გამოცდილებაზე მიუთითებენ.** გონების მიერ საკუთარი თავის უარყოფაში შელინგის პოზიტიური ფილოსოფია იგულისხმება, რომლის საწყისებსაც „სამყაროს ეპოქებში“ ისტორიული გონების დაბადება გვთავაზობს; ხოლო ნახტომის პარადოქსში სორენ კირკეგორის რელიგიურ სტადიაზე ექსისტენცის მიერ, ან უფრო ზუსტად რწმენის რაინდის მიერ, საკუთარი თავის თვითდადგენა. საკუთარი არსებობის საფუძვლის გაგება ექსისტენცისათვის სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში შესაძლებელია პირველმიზეზში, ანუ ღმერთში ნახტომით.

სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ექსისტენცის ნახტომი უსასრულობაში, ანუ პირველმიზეზში ემთხვევა შელინგის გვიან ფილოსოფიაში გონების თვითნეგაციას და ორივე ფილოსოფოსთან ეს გამოცდილება გონებისათვის გაუგებრის, არაგონებრივის კვალიფიკაციას ღებულობს. ასე იკვეთება ის აზრობრივი ხიდი, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაში გერმანული იდეალიზმის და ექსისტენციალიზმის ფილოსოფიას მტრულად და ურთიერთგამომრიცხავად კი არ წარმოგვიდგენს, არამედ ღრმა და უფრო სავსე პერსპექტივას მოხაზავს, სადაც მათი ფილოსოფიური კონცეფციების გადაკვეთის დანახვა გახდება შესაძლებელი.

მეხუთე ნაბიჯია სორენ კირკეგორისა და შელინგის ფილოსოფიის შედარება. განხილულია შელინგის ფილოსოფიის სორენ კირკეგორის თანამედროვე დანიური რეცეფციები და სორენ კირკეგორის შელინგის 1841 წლების ბერლინის ლექციების ჩანაწერები.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული მეთოდი: ნაშრომში გამოყენებულია პირველადი (შელინგის, ჰეგელის, ჰოლდერლინის, კანტის, სორენ კირკეგორის) და მეორადი ლიტერატურა. მეორადი ლიტერატურის ანალიზი, შედარება, ძირითადი თემების გადმოცემა ემსახურება საკვლევი, პირველადი ტექსტების ანალიზს. ნაშრომის აზრობრივი განვითარება ისეთია, რომ მეორადი ლიტერატურის ჰერმენევტიკული ანალიზიდან მუდამ უბრუნდება საკვლევ ტექსტს („სამყაროს ეპოქები“) და მის გაგებას ავსებს ახალი აქცენტებით. მეორადი ლიტერატურა გადმოცემულია ისტორიულ ჭრილში, რადგან მათი დაწერის პერიოდების გათვალისწინება აფიქსირებს კვლევაში მოცემულ სიახლეებსა და ზოგადად ამ კვლევის განვითარებას. ნაშრომში გამოყენებულია პირველადი ტექსტების შედარებისა და წმინდად მათში მოცემული აზრობრივი განვითარების, შინაარსის გაგების და ანალიზის მეთოდი. ამის პარალელურად ნაშრომი იყენებს მეორადი ლიტერატურის შედარებისა და ანალიზის მეთოდს, აქტუალური თემების დანახვისა და კვლევის მდგომარეობის სრული სურათის შესაქმნელად.

4. სადოქტორო ნაშრომში მიღებული კვლევის შედეგები

სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილ ნაშრომში „გერმანული იდეალიზმის კრიზისი შელინგის ნაშრომში „სამყაროს ეპოქები“ ჩატარებული კვლევის შედეგის ფორმულირება შემდეგნაირად შეიძლება: გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგება, შელინგის გვიანი ფილოსოფიის უახლესი კვლევების შედეგად, ჩაანაცვლა მისმა ახალმა გაგებამ. ეს ახალი გაგება გერმანული იდეალიზმის განვითარებას ჰეგელის ფილოსოფიით აღარ ასრულებს. გერმანული იდეალიზმის განვითარების დასრულებასა და სრულყოფას მხოლოდ ჰეგელის ფილოსოფიის გონების აბსოლუტური ძლიერება არ წარმოადგენს და გერმანული იდეალიზმი შელინგის გვიანი ფილოსოფიის სახით გონების თვითნეგაციასაც მოიცავს. შელინგის გვიან ფილოსოფიაში მოცემულია, ერთი მხრივ, ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა და, მეორე მხრივ, მითითებულია გერმანული იდეალიზმის ფარგლებშივე ის ახალი სივრცე, სადაც შესაძლებელი გახდება გერმანული იდეალიზმის (შელინგისეულ ვერსიაზე დაყრდნობით) მის შემდგომ

ფილოსოფიასთან პარალელის დანახვა. შელინგის გვიანი ფილოსოფიით გერმანული იდეალიზმი უკავშირდება მისგან სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებას, მაგალითად სორენ კირკეგორის ექსისტენციალურ ფილოსოფიას. შელინგის ნაშრომის „*სამყაროს ეპოქების*“ იდეა ამ ახალი სივრცის აღმოჩენის პირველი დადასტურებაა.

თავი 1.

გერმანული იდეალიზმის ზოგადი დახასიათება

1.1. გერმანული იდეალიზმი, როგორც განვითარების გზა კანტიდან ჰეგელამდე

დასაწყისისათვის უნდა განვსაზღვროთ გერმანული იდეალიზმის მახასიათებლები, ის ნიშანი ან ნიშანთა ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც გერმანული იდეალიზმი ფილოსოფიის ისტორიაში ცალკე მიმდინარეობად სახელდება. მოცემული თავი წარმოადგენს გერმანული იდეალიზმის ზოგად სურათს და ემსახურება ორი საკითხის დაზუსტებას: **პირველი საკითხია** იმ საერთო ნიშნების ჩვენება, რომლებიც, მიუხედავად გერმანული იდეალიზმის ოთხი წარმომადგენლის ფილოსოფიაში არსებული განსხვავებებისა და დაპირისპირებულობებისა, მათ მაინც ერთ მიმართულებად გააერთიანებს; და **მეორე საკითხია** ფილოსოფიის ისტორიაში გერმანული იდეალიზმის ადგილისა და როლის წინასწარი მოაზრების მცდელობა შელინგის გარდამავალი და გვიანი პერიოდის ტექსტების გათვალისწინებითა და მათზე დაყრდნობით.

პირველ პუნქტთან მიმართებაში ვიტყვით, რომ ჩვენს მიზანს, მოცემული დისერტაციის ფარგლებში, არ წარმოადგენს გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის პრობლემატიკის სრული გადმოცემა. დისერტაციის მიზანია განვიხილოთ რამოდენიმე, წინასწარ შერჩეული, საკითხი. მათი შერჩევის პრინციპს დისერტაციის შინაარსი განსაზღვრავს. კონკრეტულად კი ის, რომ ვაჩვენოთ, გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის შიგნით ორი ავტორის, შელინგისა (მისი გარდამავალი და გვიანი პერიოდის ფილოსოფია იგულისხმება) და ჰეგელის ფილოსოფიის დაპირისპირება. მოცემული საკითხის პერსპექტივიდან სადისერტაციო ნაშრომში, ერთი მხრივ, ნაცადია იმ შესაძლებელი გზების მოძიება, რომლითაც შელინგის გვიანდელ ფილოსოფიაში ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული მიდგომების გამოკვეთა ხდება შესაძლებელი; ხოლო, მეორე მხრივ,

და სწორედ აქედან იკვეთება გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიაში, ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული, ალტერნატიული გზა. სწორედ ეს ალტერნატიული გზა გვიადვილებს გერმანული იდეალიზმიდან გერმანული იდეალიზმის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლას. მაშინ როდესაც ჰეგელის ფილოსოფია, რომელიც გერმანული იდეალიზმის სრულყოფადაა მიჩნეული, კეტავს ამ მიმართულებას ისე, რომ მის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლა ფილოსოფიის ისტორიაში უფსკრულად მოიაზრება. იგულისხმება ის წყვეტა, რომელიც აშკარავდება გერმანული იდეალიზმიდან მის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლისას. სწორედ ამიტომ წერს ვალტერ შულცი, რომ: “იდეალიზმიდან იდეალიზმის შემდგომ პერიოდზე გადასვლა (გადასვლის პროცესი) ფილოსოფიის ისტორიის ერთ-ერთი უბნელესი პრობლემაა”¹. დისერტაციის შესაბამისი ნაწილი იკვლევს გერმანული იდეალიზმიდან მის შემდგომ ფილოსოფიაზე გადასვლის შესაძლებლობის საკითხს და ამ მიზნის მისაღწევად ეყრდნობა შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიას, უფრო ზუსტად შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში პოზიტიურ ფილოსოფიაზე გადასვლის პერიოდს და კონკრეტულად კი მის ტექსტს: „*სამყაროს ეპოქები*“.

გერმანული იდეალიზმის განვითარების გზა, რომელიც ნაჩვენებია მისი ოთხი წარმომადგენლის (კანტი, ფიხტე, შელინგი, ჰეგელი) ფილოსოფიაში, არაერთგვაროვანია და სხვადასხვა, ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო განვითარების საფეხურებსაც მოიცავს. გერმანული იდეალიზმის შიგნით არსებული დაპირისპირებულობის მიუხედავად უდავოა ის ფაქტი, რომ არსებობს მაგისტრალური თეზისი, რომელიც ფილოსოფიის ისტორიაში მხოლოდ გერმანული იდეალიზმის სპეციფიკად და მხოლოდ მის დამსახურებად ითვლება. თეზისი, რომელიც აერთიანებს ოთხივე ავტორს ერთი ფილოსოფიური მიმდინარეობის შიგნით და ერთ მთლიანობად კრავს მათ ტექსტებს. დისერტაციის მიზანია ანახოს, რომ სწორედ ამ თეზისითა და მხოლოდ მისი ხაზგასმით თვალს

¹ Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, Pfullingen, Verlag Günther Neske 1975, S. 8.

ეფარება და ბუნდოვანდება შელინგის გვიანი ფილოსოფიის ადგილისა და მნიშვნელობის საკითხი.

გერმანული იდეალიზმის ძირითადი თეზისის ფორმულირებისათვის მივმართავთ გერმანული იდეალიზმის მკვლევარის კლაუს დიუზინგის სტატიიდან ციტირებას: “1801 წელს შელინგი და ჰეგელი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ შესაძლებელია აბსოლუტის მთლიანად გონებრივად შემეცნება და მის ფილოსოფიურ სისტემაში [...] განვითარება. ამით დაისახა იდეალიზმის ახალი სახე, რომელიც მანამდე არ იყო წარმოდგენილი. [...] ეს ახალი იდეალიზმი სპეკულატიურად ფუძნდება აბსოლუტში, რომელიც აბსოლუტური მეტაფიზიკის სისტემაში უნდა გაიშალოს. მეტაფიზიკა როგორც არაშეგრძნებადი მყოფების შემეცნება აქ თავად აბსოლუტად იქცევა, რადგან მეტაფიზიკა გონების საშუალებით აბსოლუტის ან ღმერთის სრულყოფილად შემეცნების თეზისით გადაულახავ შემეცნებით მოთხოვნებს წამოაყენებს. ეს მოთხოვნა ამგვარი ფორმით მანამდელი მეტაფიზიკის მიერ არ წამოჭრილა”². კ. დიუზინგი აქვე აღნიშნავს, რომ სწორედ ამით, ანუ აბსოლუტის გონებით სრულად შემეცნების მოთხოვნით, გერმანული იდეალიზმი მოწყვეტილი აღმოჩნდა ფილოსოფიის შემდგომ განვითარებას. სტატიის დასკვნით ნაწილში ავტორი ანახებს იმას თუ როგორ დაცილდა შელინგი ამ თეზისს თავისი ფილოსოფიური განვითარების გვიან პერიოდში. ნიშნელოვანია იმის გამოკვეთა, რომ გერმანული იდეალიზმის ეს ახალი სახე, როგორც მას კ. დიუზინგი უწოდებს, გახდა გერმანული იდეალიზმის ძირითადი მონაპოვარი და შემდგომ მის სრულყოფილ ფორმად ჰეგელის ფილოსოფია დასახელდა. მიუხედავად შელინგის მცდელობისა, რომ გერმანულ იდეალიზმს სხვა მიმართულებაც მისცემოდა, ის დღემდე მიიჩნევა სწორედ

²“Schelling und Hegel gelangen nun um 1801 zu der Auffassung, daß das Absolute vollständig vernünftig erkannt und in einem philosophischen System [...] entwickelt werden kann. Damit wird ein neuartiger, bis dahin nicht vertretener Idealismus entworfen [...] dieser neue Idealismus begründet sie vielmehr spekulativ im Absoluten, das in einem System absoluter Metaphysik zu entfalten ist. Die Metaphysik als Erkenntnis des nichtsinnlichen Seienden wird hier selbsts Absolut, da sie mit der These der vollständigen Erkennbarkeit des Absoluten oder Gottes durch die Vernunft einenunüberbietbaren Erkenntnisanspruch stellt, wie er in dieser Weise von der vormaligen Metaphysik nicht erhoben wurde“. Düsing, Klaus: “Die Entstehung des spekulativen Idealismus. Schellings und Hegels Wandlungen zwischen 1800 und 1801“, in: Jaeschke, Walter, (Hrsg.): *Transzendentalphilosophie und Spekulation*, Hamburg, Felix Meiner Verlag 1993, S. 144.

აბსოლუტის, ყოველი მყოფის, გონებით სრულად შემეცნების მცდელობად და განხორციელებად. ვალტერ შულცი წერს, რომ: “გერმანული იდეალიზმის პრინციპი შეიძლება განისაზღვროს, თუნდაც ძალიან ზოგადად, აბსოლუტური რეფლექსიის მეთოდად, რომელშიც მოაზროვნე შემეცნებამ ყოველგვარი მყოფი ცნებაში გააუქმა და ამგვარად მივიდა იგი საკუთარ თავთან და თავის მცოდნე გახდა. მან მოიაზრა საკუთარი თავი ყოფიერების (ყოფნის) ფორმად და შინაარსად”³.

ნათელია, რომ სწორედ ჰეგელის ფილოსოფიაში განვითარდა ეს თეზისი ყველაზე სრულყოფილად. შესაბამისად ცხადია სრულიად უდავოა ისიც, რომ გერმანული იდეალიზმის განვითარების უმაღლეს მწვერვალს ჰეგელის ფილოსოფიას უწოდებენ. რიჰარდ კრონერი თავისი გერმანულ იდეალიზმის ფილოსოფიაზე დაწერილი ფუნდამენტური მონოგრაფიის სათაურშივე მიუთითებს, რომ მას გერმანული იდეალიზმი გაგებული აქვს, როგორც განვითარების ერთიანი გზა. რ. კრონერის მონოგრაფია 1921-1924 წლებში გამოიცა. ავტორი გერმანული იდეალიზმის განვითარებასა და მის არსს აჩვენებს სწორედ მოცემული თეზისის რეალიზაციის პერსპექტივიდან. რ. კრონერი წერს, რომ: “გერმანული იდეალიზმის განვითარება კანტიდან ჰეგელამდე უნდა განვიხილოთ, როგორც ერთი მთლიანობა: როგორც ერთი ხაზი, რომელიც თავის თავში არსებული, მხოლოდ მასში გამოკვეთილი კანონის თანახმად, გრანდიოზულ სიმაღლეზე ადის. საჭიროა აღიწეროს თუ როგორ ამოიზრდება კანტის ფილოსოფიიდან ჰეგელის გონის ფილოსოფია და თუ როგორ ცვლილებასა და განვრცობას განიცდის გერმანული იდეალიზმის პირვანდელი სახე, თავისი საბოლოო ფორმის აღმოსაჩენად”⁴. აქვე აღვნიშნავთ, რომ რ. კრონერი შელინგის

³“Das Prinzip des Deutschen Idealismus läßt sich, wenn auch sehr allgemein, als die Methode der Absoluten Reflexion bestimmen, in der das denkende Erkennen alles Seiende in den Begriff aufgehoben hat und so, zu sich selbst gekommen und seiner gewiß geworden, sich als Form und Inhalt des Seins begreift“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 11.

⁴“Der deutschen Idealismus von Kant bis Hegel soll in seiner Entwicklung als ein Ganzes erfaßt werden: als eine Linie, die sich einem ihr innenwohnenden, aber nur in ihr sich ausprägenden Gesetze gemäß, in einer großartigen Kurve aufschwing [...] es soll geschildert werden, wie aus der Kantischen Vernunftkritik die Hegelsche Philosophie des Geistes erwächst, welche Veränderungen und Erweiterungen die ursprüngliche Gestalt des deutschen Idealismus erfährt, um diese ihre letzte Formung zu finden“. Kroner, Richard: *Von*

გვიანი ფილოსოფიის შეუსაბამობასაც ხედავს. ის შელინგის ფილოსოფიას თავისი ნაშრომის ორ ხვადასხვა ნაწილში განიხილავს (ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ შევჩერდებით). მიუხედავად ამ განსხვავებისა (შელინგის ნეგატიურ და პოზიტიურ პერიოდის ფილოსოფიას შორის განსხვავება იგულისხმება) გერმანული იდეალიზმი მაინც განიხილება ერთ მთლიანობად, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, განვითარების ერთიან გზად, რომელსაც ჰეგელის ფილოსოფია დაასრულებს⁵.

გერმანული იდეალიზმის რ. კრონერისეული ინტერპრეტაცია დამკვიდრდა საქართველოშიც. მაგალითად კონსტანტინე ბაქრაძის ნაშრომები მეოცე საუკუნის დასაწყისში სწორედ ამ იდეის არგუმენტირებას წარმოადგენენ. კ. ბაქრაძე მიიჩნევს, რომ არ არის სწორი ჰეგელის ფილოსოფიის კანტის, ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიის გაგების გარეშე გაგება. ამ სამი მოაზროვნის ფილოსოფია განვითარების ერთიან ხაზს, ერთიანი განვითარების პროცესს წარმოადგენენ და ამიტომ ცალ–ცალკე მათი განხილვა შეუძლებელს ხდის თითოეული მათგანის გაგებასაც. კ. ბაქრაძე ნაშრომში: „*დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში*“ წერს, რომ: “გერმანული იდეალიზმის განვითარების უკანასკნელი ეტაპი ჰეგელია [...] ნათელია ის მთლიანობა, რომელსაც წარმოადგენს გერმანული იდეალიზმის განვითარება”⁶, ავტორი აქვე მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია გერმანული იდეალიზმის წარმომადგენელთა მთლიანი იდეალიზმის განვითარების კონტექსტში განხილვა და არა ცალ–ცალკე.

Kant bis Hegel. Von der Naturphilosophie zur Philosophie des Geistes, 4. Auflage, Unveränderter Nachdruck der 2. Auflage, In zwei Bänden, Zweiter Band, Tübingen, Mohr Siebeck 2007, S. 21.

⁵ მაგალითად ნიკოლაი ჰარტმანი 1923 წელს გამოცემულ ტექსტში: *გერმანული იდეალიზმის ფილოსოფია*, ასე წერს: “Was sie Denker des deutschen Idealismus, ungeachtet ihrer tiefen Verschiedenheit, ja bewusster Gegensätze und Streitpunkte, doch zu einer einheitlichen Gruppe zusammenschliesst, ist in erster Linie die gemeinsame Problemlage. Den Ausgangspunkt bildet für sie alle die kantische Philosophie, deren unerschöpflicher Reichtum an aufgeworfenen Problemen immer wieder neue Lösungsversuche hervorruft [...] Das gemeinsame Ziel aller ist die Schaffung eines umfassender, streng einheitlichen, auf letzten, unumstößlichen Grundlagen basierten Systems der Philosophie“. Hartmann, Nicolai: *Philosophie des deutscher Idealismus*, I Teil. Fichte, Schelling und die Romantik, Dritte, unveränderte Auflage, Berlin u. a. Walter de Gruyeter 1974, S. 35.

⁶ ბაქრაძე, კონსტანტინე: *დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1971, გვ. 17–18.

მოცემული ნაშრომი ახდენს სწორედ გერმანული იდეალიზმის ტრადიციული, კლასიკური მიდგომის გადასინჯვას. ის ეჭვის ქვეშ აყენებს ამ მიდგომის ერთადერთობას და ცდილობს აჩვენოს, რომ გერმანული იდეალიზმის კლასიკური მიდგომის გვერდით შესაძლოა არსებობდეს მისი სხვა გაგებაც. გერმანული იდეალიზმის ტრადიციული მიდგომის არსს ასე ჩამოვაცალიბებთ: გერმანული იდეალიზმი წარმოადგენს განვითარების ერთიან გზას და მის ერთიანობას განსაზღვრავს თეზისი, სადაც გონება სინამდვილის შემეცნების უნივერსალურ მეთოდად და უნარად სახელდება. მიიჩნევა, რომ ბუნებაცა და გონიც გონების პრინციპისაა, ან ასეც შეიძლება ითქვას, გონების ანუ რაციონალური სტრუქტურისაა. უფრო ფართო ჭრილში თუ შევხედავთ გერმანული იდეალიზმის ძირითად მახასიათებლებს ასეთი სურათი წარმოგვიდგება: “იდეალიზმი, როგორც ფილოსოფიური სტრატეგია სულ მცირე სამი ნიშან-თვისებით გამოირჩევა: 1. იგი როგორც ონტოლოგია ამტკიცებს ისეთი გონითი ერთობების (იდეების) არსებობას, რომელთა მატერიალდე დაყვანაც შეუძლებელია. 2. იგი, როგორც შემეცნების თეორია წარმოადგენს თეზისს, რომ გარე სამყარო, რომელიც ადამიანს ევლინება, მოაზროვნე სუბიექტების წარმოდგენების გარეშე არ არსებობს, 3. და როგორც ეთიკა, ის უძღვნის თავის თავს ქმედებების ნორმატიული კონცეპტების დაფუძნებასა და გამართლებას გონების პრინციპებიდან”⁷. ყველა მიმართულებისათვის მთავარი აქცენტი კეთდება თავისუფალ გონებაზე. განსაკუთრებული როლი აქვს შემეცნებელ სუბიექტს, ან მოქმედ სუბიექტს და რაც მთავარია მისი მოქმედებები (ქმედებები) გონების პრინციპებს ემყარებიან.

გერმანული იდეალიზმი წარმოადგენს განვითარების გზას, რომელიც იწყება კანტის და სრულდება ჰეგელის ფილოსოფიით. მიიჩნევა, რომ ჰეგელმა

⁷“Als philosophische Strategie ist der Idealismus zumindest durch drei Merkmale ausgezeichnet: (i) Als Ontologie behauptet er die Existenz von geistigen Entitäten (Ideen), die nicht auf materielle Entitäten reduzierbar sind; (ii) als Erkenntnistheorie vertritt er die These, daß die den Menschen erscheinende Außenwelt nicht von den Vorstellungen denkenden Subjekte unabhängig ist; (iii) als Ethik widmet er sich normativen Konzeptender Begründung und Rechtfertigung des Handelns aus Vernunftsprinzipien“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler Hans Jörg, (Hrsg.), Stuttgart u. a., J. B. Metzler 2005, S. 1.

ყველაზე სრულყოფილად, შეიძლება ითქვას რადიკალურად, მოახდინა გონების როლის ჩვენება და მოცემული თეზისების რეალიზება თავის ფილოსოფიურ სისტემაში. რ. კრონერის ინტერპრეტაცია საერთო და მიღებული გახდა. შესაბამისად დაკონონდა სწორედ ეს ხედვა გერმანულ იდეალიზმზე, რომლის თანახმადაც ის წარმოადგენს ერთიან განვითარებას, რომელსაც ჰეგელის ფილოსოფია დააგვირგვინებს. ამ აზრს ამყარებს ისიც, რომ ჰეგელის ფილოსოფია მომდევნო პერიოდში სრულიად გაბატონებული ფილოსოფიური თეორია აღმოჩნდა. პრაქტიკულად ჰეგელის სიკვდილის შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მის ფილოსოფიაზე მძლავრი ფილოსოფიური თეორია, რომელიც მას ჩაანაცვლებდა, არ ჩანს. ეს ერთგვარ კრიზისულ პერიოდად აღიქმება ფილოსოფიის ისტორიაში და კრიტიკის ის ტალღა, რომელიც შემდეგ სორენ კირკეგორის სახით ჩნდება ფილოსოფიის ისტორიაში თავისი სიმძაფრით გერმანულ იდეალიზმსა და მის შემდგომ ფილოსოფიას შორის უფსკრულს განსაკუთრებული სიმძაფრით გამოკვეთს და აღრმავებს.

მოცემული თავის დასაწყისში მოხაზულ მეორე პუნქტთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან იწყება ფიქრი და კვლევა ახალი ასპექტების წინ წამოწევის თვალსაზრისით. ეს ეხება გერმანული იდეალიზმისა და მის შემდგომ ფილოსოფიას შორის არსებული წყვეტის დაძლევას. ამ მიმართულებით შელინგის (და ასევე, ფიხტეს გვიანი პერიოდის ტექსტები. არსებობს მრავალი კვლევა ფიხტესა და შელინგის გვიანი პერიოდების ფილოსოფიის შედარებისა და პარალელების გამოსავლენად⁸) გარდამავალი და გვიანი პერიოდის ტექსტები აღმოჩნდნენ მნიშვნელოვანნი. ზოგადად, რომ ითქვას ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული სიახლე შელინგის ფილოსოფიაში იყო სინამდვილისა და გონების დაპირისპირება, ან უფრო ზუსტად შელინგის ის დაშვება, რომ გონება სინამდვილეს მთლიანად ვერ მოიცავს. შესაბამისად შელინგის ფილოსოფია გულისხმობს ისეთ პლასტს, რომელიც მართალია (ან სწორედ იმიტომ, რომ) თავად გონების საფუძველია მაინც გონებით სრულად არ

⁸“Der späte Fichte und der späte Schelling nicht mehr eigentlich dem deutschen Idealismus angehören“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 321.

გაიგება. შელინგი გაყოფს, განასხვავებს ერთმანეთისაგან არსებობას და არსებას და იტყვის, რომ არსებობას გონება და ცნება ვერ მოიცავს. შელინგი სრულიად მოულოდნელ კითხვას დაუპირისპირებს გერმანულ იდეალიზმს: და საერთოდ რატომ არის გონება და რატომ არ არის არაგონებრივი?⁹

სულ ახლახანს, (2005 წელს), გამოცემულ ტექსტში: „სახელმძღვანელო. გერმანული იდეალიზმი“, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გერმანული იდეალიზმის შიგნით იგულისხმება ფილოსოფიური განვითარება კანტიდან ჰეგელამდე და იქვე წერია: ასევე შელინგის გვიანი პერიოდის ნაშრომები¹⁰, ასევე გვახსენებს იმ, თითქოსდა დავიწყებულ ფაქტს, რომ შელინგმა ჰეგელის გარდაცვალების შემდეგ კიდევ 23 წელი იცოცხლა¹¹. შელინგი, მიუხედავად იმისა, რომ მას არაფერი გამოუქვეყნებია, სხვადასხვა წლებში ატარებდა ლექციებს, აწარმოებდა ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკას და აგრძელებდა ახალი, ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული, ფილოსოფიის განვითარებას. აღნიშნული სახელმძღვანელო ითვალისწინებს შელინგის ბოლო პერიოდში ჩატარებულ სამუშაოს და მას მიიჩნევს გერმანული იდეალიზმის ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობად. შელინგის გარდამავალ პერიოდად და ამ პერიოდის ტექსტებად დასახელებულია მისი 1809 წლის ნაშრომი: „*ფილოსოფიური გამოკვლევები ადამიანური თავისუფლების არსებისა და მასთან დაკავშირებული საგნების შესახებ*“ და ტექსტი, რომლის წერაც შელინგმა მომდევნო წლებიდან (1810–1811 წლიდან) დაიწყო, სახელწოდებით: „*სამყაროს ეპოქები*“. მთლიანობაში საუბარია შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიაზე და მისთვის მოსამზადებელ სამუშაოებზე. საინტერესოა, რომ მიუხედავად ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული მრავალი სიახლისა, შელინგის ფილოსოფიაში ეს ახალი მიმართულებები ისევ და ისევ გერმანული იდეალიზმის ფარგლებში რჩება. თავად შელინგი აღნიშნავს, რომ მისი გვიანი

⁹“Warum ist denn überhaupt Vernunft und nicht Unvernunft?“ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämtliche Werke, Philosophie der Offenbarung*, Schelling, Karl Friedrich August, (Hrsg.), Bd. II, 3. Stuttgart u. a., Cotta'scher Verlag 1858, S. 247.

¹⁰ *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 1.

¹¹ იქვე, გვ. 240.

პერიოდის ფილოსოფია წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიის და იმავდროულად თავისივე, მაგრამ ადრეული პერიოდის ფილოსოფიის გაგრძელებასა და შევსებას. სწორედ ამით მიიზიდა მან გერმანული იდეალიზმის დაუღალავი კრიტიკოსი, სორენ კირკეგორი. აღნიშნულ საკითხს უფრო დაწვრილებით შესაბამის თავში განვიხილავთ.

1.2. ჰეგელის ფილოსოფია, როგორც გერმანული იდეალიზმის განვითარების მწვერვალი

მოცემულ თავში კონკრეტდება საკითხი ჰეგელის ფილოსოფიის, როგორც გერმანული იდეალიზმის სრულყოფილად განვითარებისა და მისი დასრულების შესახებ. თუ გერმანული იდეალიზმის მიზნად მივიჩნევთ იმას, რომ აბსოლუტის გონებით სრული შემეცნება გახადოს შესაძლებელი, მაშინ გერმანულ იდეალიზმის ყველაზე სრულყოფილ და დასრულებულ ფორმად ჰეგელის ფილოსოფიის მიჩნევა ცხადია სრულიად გამართლებულია. გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიაში, რომელსაც ქმნის კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფია, ცხადია არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო საკითხები. ამიტომ საჭირო ხდება დამატებითი განმარტება იმისთვის, რომ გერმანული იდეალიზმის ერთიანობის ან მისი, როგორც ისეთი ერთიანი განვითარების პროცესად განხილვა გახდება შესაძლებელი, სადაც საბოლოოდ აქცენტი გაკეთდება ჰეგელის ფილოსოფიაზე. შესაბამისად და საბოლოოდ კი მას ჰეგელის ფილოსოფია დაასრულებს, სრულყოფს და დაიმკვიდრებს კიდევაც გერმანული იდეალიზმის განვითარების მწვერვალის სახელს.

აღნიშნული თემის განვითარებას დავიწყებთ კანტის ფილოსოფიიდან ფიხტეს ფილოსოფიაზე გადასვლისას გაჩენილი წინააღმდეგობით. ფიხტე თავისი მოღვაწეობის დასაწყისში კანტის ფილოსოფიის განვითარებას დაისახავს მიზნად და შეუდგება კიდევაც ამ იდეის განხორციელებას. ფიხტე თვლის, რომ კანტის

ფილოსოფიას განავითარებს, მაგრამ თავად კანტი მას ამაში არ ეთანხმება და ამ საკითხზე სხვა აზრისაა. კანტისათვის თავიდანვე ცხადი ხდება, რომ ფიხტეს ფილოსოფია ცვლის, სცილდება მისი ფილოსოფიის მიზნებს. ფიხტე სუბიექტის ცოდნას აცხადებს ერთადერთ არსებულ რეალობად და სინამდვილედ. ცოდნა და შემეცნება ფიხტესთან მთლიანად სუბიექტზე ფუძნდება. მაშინ, როცა კანტი მკაცრად მოითხოვს გონების კრიტიკას ანუ წმინდა ან თეორიული გონების საზღვრების გამოკვლევასა და წინასწარ ცოდნას¹². კანტის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი დუალიზმი სწორედ თეორიული გონების შემოსაზღვრით იწყება. ფიხტე თავის ნაშრომში: „*მეცნიერებათა მოძღვრება*“, ანუ 1974 წლიდან, ცდილობს გააუქმოს კანტის ფილოსოფიის ნივთი თავისთავადი და შესაბამისად კანტის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი დუალიზმი. ამიტომ ფიხტეს ფილოსოფიაში: „გონებამ თავისი თავიდან და გარეგანი დეტერმინაციისაგან დამოუკიდებლად უნდა დაადგინოს საკუთარი თავი და თავისი ობიექტები“¹³. კანტის შემეცნების თეორიული გონება მართალია თავისუფალია და ის თავად აგებს შემეცნების საგანს შემეცნების პროცესში, მაგრამ მის მიერ შემეცნების პროცესში აგებული შემეცნების საგანი, რომელიც მეცნიერების საგანია, არის არა ნივთი თავისთავადი, არამედ მოვლენა. შესაბამისად ლაპარაკია მეცნიერულ ცოდნაზე, რომელიც შემეცნებელ გონებას აქვს ნივთი თავისთავადზე, მაგრამ შემეცნებელმა გონებამ არ იცის როგორია ეს მოვლენა მისგან დამოუკიდებლად (შემეცნებელი გონებისაგან დამოუკიდებლად). შესაბამისად შემეცნებელ გონებას არა აქვს ცოდნა თავად ნივთი თავისთავადის შესახებ. ეს განსხვავება მოვლენასა და ნივთი თავისთავადს შორის კანტის ფილოსოფიაში

¹² “[...] ასე დაიმკვიდრებენ ზნეობრიობისა და ბუნების შესახებ მოძღვრებაც თავიანთ ადგილს, რაც ვერ განხორციელდებოდა, კრიტიკას რომ ჩვენთვის წინასწარ არ ესწავლებინა, რომ თავისთავადი ნივთის შესახებ სრულიად არაფერი ვიცით, და ყველაფერი, რის შემეცნებაც თეორიულად შეგვიძლია, მხოლოდ მოვლენებით შემოიფარგლება [...] მე არც კი შემიძლია ვადიარო ღმერთი, თავისუფლება და უკვდავება ჩემი გონების აუცილებელი პრაქტიკული გამოყენების მიზნით, თუ ამასთანავე სპეკულატურ გონებას არ წავართმევ გაზვიადებულ გაგებათა პრეტენზიებს [...] ამრიგად, მე უნდა მომეხსნა (aufheben) ცოდნა, რათა რწმენისათვის ადგილი მიმეღო“. კანტი, იმანუელ: *წმინდა გონების კრიტიკა*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1979, გვ. 29.

¹³“Die Vernunft muß aus sich selbst und frei von äusserer Determination sich selbst und ihre Objekte ,setzen“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 10.

ფუნდამენტურია და მთელი კანტის ფილოსოფიის სპეციფიკას ქმნის. ფიხტე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ დუალიზმის მოხსნას ცდილობს.

შელინგი თავისი ფილოსოფიური განვითარების პირველ ეტაპზე გონისა და ბუნების იდენტობას ამტკიცებს და ფიხტეს პოზიციას ავრცელებს მთლიანად ნატურფილოსოფიაზეც. ამ მიმართულებით სიარულმა შემდგომ ჰეგელის ფილოსოფიაში მიიღო ასეთი სახე, რომ: ლოგიკა, შემეცნების თეორია და ონტოლოგია გაიგივდა. თეორიული, ანუ წმინდა გონების კრიტიკა, მისი საზღვრების დადგენა კანტმა დაიწყო თავისი ნაშრომით „წმინდა გონების კრიტიკა“. შესაბამისად ჰეგელს გონების კვლევის თვალსაზრისით ბევრი რამ დახვდა უკვე გაკეთებული. ჰეგელის მიზანი ის იყო, რომ მას უნდა მოეხდინა კანტის მიერ დადგენილი თეორიული გონების საზღვრის გადაწევა ან სულაც სრული წაშლა. ფიხტეს ფილოსოფია პირველ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. ჰეგელი უფრო თანმიმდევრულია. იცვლება კანტის მიერ დადგენილი კატეგორიების თანმიმდევრობა, თუ კანტი ჯერ რაოდენობრიობის კატეგორიას ასახელებს და შემდეგ თვისებრიობას¹⁴, ჰეგელი „ლოგიკის მეცნიერებაში“ თვისებრიობის კატეგორიით იწყებს¹⁵.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰეგელი იმ მარტივ დაშვებას აკეთებს, რომ გონება და ბუნება ერთი და იგივე სტრუქტურის მქონეა, ან ასე შეიძლება ითქვას, რომ ბუნება გონების სტრუქტურისაა. შესაბამისად, თუ მე მეცოდინება და გამოვიკვლევ გონების სტრუქტურას, მე მეცოდინება ბუნების სტრუქტურაც. პრაქტიკულად ჰეგელმა ეს აზრი დაუდო თავის ფილოსოფიურ სისტემას საფუძველად. აქედან კი მიიღება შემდეგი, რომ არსება („Was“) და არსებობა („Daß“) ერთმანეთს ემთხვევა. ეს ნიშნავს, რომ ცნება და სინამდვილე ერთი და იგივეა. ამ იგივეობის წინააღმდეგ ილაშქრებს შელინგი თავისი გარდამავალი და პოზიტიური პერიოდის

¹⁴ შდრ.: „კატეგორიათა ცხრილი. 1. რაოდენობრიობა: ერთიანობა, სიმრავლე, ყოვლადობა; 2. თვისებრიობა: რეალობა, უარყოფა, განსაზღვრება; 3. მიმართება: თვითმყოფობა და თანამყოფობა, მიზეზობრიობა და დამოკიდებულება, ურთიერთობა; 4. მოდალობა: შესაძლებლობა-შეუძლებლობა, არსებობა-არარსებობა, აუცილებლობა-შემთხვევითობა“. კანტი, იმანუელ: *წმინდა გონების კრიტიკა*, გვ. 89.

¹⁵ იხ.: ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლოგიკის მეცნიერება*, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1962.

ფილოსოფიაში. ისიც ცხადია, რომ ეს ჰეგელისეული გაიგივება არ ყოფილა კანტის ფილოსოფიის მიზანი. კანტი გარკვევით ამბობს, რომ ცნებიდან არ გამომდინარეობს ამ ცნებაში მოცემული რაიმეს რეალურად არსებობა. მაგალითად კანტი წერს, რომ: “ნამდვილი იმაზე მეტს არაფერს შეიცავს, რასაც მხოლოდ შესაძლებელი. ასე ნამდვილი ტალერი სულ მცირესაც არაფერს შეიცავს იმაზე მეტს, ვიდრე ასე შესაძლებელი [...] თუ მე ვიაზრებ ნივთს, რომელიც გნებავთ და რამდენიც გნებავთ პრედიკატით, ნივთს სულ მცირედაც არაფერი მიემატება იმით, რომ დავძინო: ეს ნივთი არის”¹⁶. განსაკუთრებული სიმძაფრით ეს აზრი კანტს გატარებული აქვს ღმერთის არსებობის დასაბუთების ონტოლოგიური არგუმენტის კრიტიკისას. კანტი გვანახებს, რომ არც ღმერთის ცნება და არც სხვა ნებისმიერი ცნება არ შეიცავს მისი არსებობის უტყუარობას, ან საერთოდ არაფერს ამბობს ამ ცნებაში მოაზრებულის არსებობაზე. ღმერთის იდეის თეორიული დასაბუთება შეუძლებელია და ღმერთის შემეცნების მცდელობა გონების მიერ არის ფუჭი, გონებისათვის დამლუპველი მცდელობა, რადგან ეს იქნება ყველა შესაძლო გამოცდილების ფარგლების გადალახვა¹⁷. ჰეგელი კანტის ამ გაფრთხილებას, რომ თეორიულმა, შემეცნებელმა გონებამ არ გადალახოს საკუთარი საზღვარი და მოვლენად არ აქციოს იდეა, აღარ ითვალისწინებს. ჰეგელმა სწორედ ამ მიმართულებით, ანუ შემეცნებელი გონების გაფართოების გზით მიიღო შესაძლებლობა იმისა, რომ აბსოლუტი გონებით სრულად შემეცნებადი გაეხადა. ამისათვის ჰეგელმა გააკეთა ის დაშვება, რომ აბსოლუტი (ისევე, როგორც ბუნება) გონებრივია ან რაციონალური სტრუქტურისაა და თანაც, რომ არსება და არსებობა ერთმანეთს ემთხვევა და სინამდვილე სწორედ ეს დამთხვევაა: „სინამდვილე არის არსებისა და არსებობის, ანუ შინაგანისა და გარეგანის უშუალოდ ქცეული ერთიანობა“¹⁸.

¹⁶ კანტი, იმანუელ: *წმინდა გონების კრიტიკა*, გვ. 368.

¹⁷ “შემეცნება მხოლოდ მოვლენებს ეხება, ნივთი თავისთავად კი, მართალია, თავისთავად ნამდვილია, მაგრამ ჩვენთვის შეუცნობელი რჩება. რადგან ის, რაც აუცილებლად გვიბიძგებს გამოცდილებისა და ყველა მოვლენის საზღვრებს გავცდეთ, არის განუპირობებელი“. კანტი, იმანუელ: *წმინდა გონების კრიტიკა*, გვ. 25.

¹⁸ ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლოგიკის მეცნიერება*, გვ. 310.

შელინგზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ მისი ფილოსოფიური განვითარების ორი პერიოდი: ადრეული და გვიანდელი. ამ განსხვავებას თავად შელინგი თვლის თავისი ფილოსოფიის გაგებისათვის არსებითად. ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ იმას, რომ თუ ადრეულ პერიოდში შელინგი მუშაობს გერმანული იდეალიზმის ზემოთ უკვე ფორმულირებული თეზისის განვითარებაზე¹⁹ მომდევნო წლებში ის აკრიტიკებს იგივე თეზისს (იგულისხმება შელინგის პოზიტიური ფილოსოფია. უფრო ვრცლად ამ საკითხზე ქვევით შევჩერდებით). შელინგისათვის სინამდვილე მხოლოდ გონებისა და ცნებების მეშვეობით არ და ვერ გაიგება. გონების არსებობის საფუძველი არაგონებისმიერია და არაგონებრივ პრინციპებს ემყარება.

ტიუბინგენის წრეში გაერთიანებული ჰოლდერლინი, ჰეგელი და შელინგი დასაწყისში ერთსულოვნად წყვეტენ საკითხებს. ერთ–ერთი მთავარი პრობლემა, რაზეც ისინი ერთობლივად მუშაობენ არის სასრულო ადამიანის უსასრულო ღმერთთან კავშირის შესაძლებლობა და ამ კავშირის არსის გარკვევა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ თავისი ფილოსოფიური განვითარების დასაწყისში ჰეგელი ცნება სიცოცხლის შინაარსში მოიაზრებს სასრულოსა და უსასრულოს შორის კავშირს და თვლის, რომ ამ კავშირს ახორციელებს რელიგია და არა რეფლექსია და ფილოსოფია. რეფლექსიაზე აქცენტს ჰეგელი მხოლოდ მოგვიანებით აკეთებს. სწორედ სიცოცხლის ცნება მოიცავს იმ შინაარსს, რომელიც შემდეგ ჰეგელის მიერ გონის შინაარსად განისაზღვრება. ჰეგელის ფილოსოფიაში რელიგია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჰეგელის ფილოსოფიაში მისი ადგილის განსაზღვრისას მხოლოდ მისი „*ლექციები რელიგიის ფილოსოფიაში*“ ან „*ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის*“ ან რომელიმე სხვა ნაშრომის ცალკეულ თავების მითითება არ იქნება საკმარისი. პრაქტიკულად რელიგია ჰეგელის მთელი ფილოსოფიური სისტემის საფუძველია.

¹⁹ შელინგი ნაშრომში: *ჩემი ფილოსოფიის სისტემა*, 1801 წელს წერს: “Außer der Vernunft ist nichts, und in ihr ist alles“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Darstellung meines Systems*, Schelling, Karl Friedrich August, (Hrsg.): *Sämmtliche Werke*, I,4. Stuttgart u. a., Cotta'scher Verlag 1856, S. 115. 2. Paragraph.

ჰეგელის ფილოსოფიის განხილვისას გამოვყოფთ ორ ძირითად საკითხს, ესენია: 1. სასრულოსა და უსასრულოს კავშირის შესაძლებლობის დაფუძნება და 2. ამ კავშირის ცნებებით, ანუ როგორც ცოდნის დახასიათების შესაძლებლობა. უფრო კონკრეტულად, რომ ეს კავშირი სასრულოსა და უსასრულოს შორის უნდა იყოს ცოდნა და მეცნიერება, როგორც სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს სინამდვილის ნებისმიერ ფორმას.

მოცემულ ეტაპზე ჰეგელის ფილოსოფიური განვითარების ჩვენების მიზნით გავაკეთებთ მცირე ექსკურსს და განვიხილავთ ახალგაზრდა ჰეგელის თეოლოგიურ ნაშრომებს. პირველ რიგში აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა ჰეგელი უფრო რელიგიაზეა კონცენტრირებული, ვიდრე ფილოსოფიაზე. მისი ეს თავდაპირველი ინტერესი ბუნებრივია და აიხსნება იმით, რომ ჰეგელი ტიუბინგენის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. ის აზრი, რომელიც შემდეგ ჰეგელმა ნაშრომში „*ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიის*“ პირველი ნაწილის, „*ლოგიკის მეცნიერების*“, შესავალში ჩამოაყალიბა ოდნავ სხვა აქცენტებითაა წარმოდგენილი (იგულისხმება ის, რომ ჰეგელი რეფლექსიას ანიჭებს უპირატესობას და ცნებობრივ მეთოდზე აკეთებს აქცენტს). ჰეგელი აღნიშნავს, რომ: “ფილოსოფიას და რელიგიას ერთი და იგივე საგნები აქვთ. ორივეს საგანი ჭეშმარიტებაა და, სახელდობრ ჭეშმარიტება უმაღლესი აზრით, – იმ აზრით, რომ ეს ჭეშმარიტება ღმერთია და ღმერთია მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება. შემდეგ, ორივე განიხილავს სასრულის სფეროს, ბუნებასა და ადამიანის გონს, მათს ურთიერთობას ერთმანეთისადმი და ღმერთისადმი, აგრეთვე მათი ჭეშმარიტებისადმი”²⁰. ჰეგელი აქვე აჩვენებს, რომ მიუხედავად ფილოსოფიისა და რელიგიის საგნების იგივეობისა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მეთოდით: რელიგიის მეთოდია წარმოდგენა, ფილოსოფიის მეთოდია აზროვნება და ცნებები.

ახალგაზრდა ჰეგელის ნაშრომებში მოცემულია რელიგიის არსის, რელიგიისა და სახელმწიფოს კავშირის, ამ კავშირის როგორობის, ადამიანის ცხოვრებაში რწმენის ადგილის შესახებ მისი აზრები. ჰეგელის ადრეულ

²⁰ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხი: *ლოგიკის მეცნიერება*, გვ. 42.

ტექსტებში მუდმივად იკვეთება მისი ინტერესი, რომ ის თავისი ფილოსოფიური განვითარების ადრეული ეტაპიდანვე იკვლევს სასრულოსა და უსასრულოს, ან ადამიანისა და ღმერთის კავშირის შესაძლებლობას. ჰეგელი იკვლევს იმასაც თუ რა უნარებით ახერხებს ადამიანი უსასრულოსთან გაერთიანებას. ამ აზრის ილუსტრაციად გამოდგება მთელი მისი 1801 წლამდე, ანუ ნაშრომამდე „*განსხვავება ფიქტესა და შელინგის ფილოსოფიურ სისტემებს შორის*“, დაწერილი ტექსტები. ესენია სწორედ მისი თეოლოგიურად წოდებული ნაშრომები, რომელთაგანაც უმეტესობა დაუსრულებელი სახითაა მოცემული²¹.

აუცილებელია იმის დაზუსტებაც, რომ ახალგაზრდა ჰეგელთან რელიგიის შინაარსი არ გამოიხატება სიტყვით თეოლოგია, ჰეგელი თეოლოგიის ჩვეულ ტერმინოლოგიასა და ინსტრუმენტებს საერთოდ აღარ იყენებს. ჰეგელი მუდმივად აკრიტიკებს თეოლოგიის დოგმატიზმს და მას სახელმწიფოში არსებულ დესპოტიზმს უიგივებს²². მაგალითად მისი ტექსტის: „*იესოს ცხოვრების*“ კითხვისას არ გვხდება გამოცხადების ან სასწაულის ხსენება. ამიტომ ჰეგელის მოყოლილი იესოს ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ იგივე ამბავს აღწერს, სრულიად განსხვავდება იმისაგან რასაც ჩვენ სახარებაში ვკითხულობთ. ჰეგელის იესო კანტის მორალის განსახიერებად გვევლინება. ეს პერიოდი ჰეგელის განვითარებაში (ჰეგელის ფილოსოფიური განვითარების ბერნის პერიოდი იგულისხმება) კანტის ფილოსოფიის, განსაკუთრებით მისი მორალის ფილოსოფიის, ძლიერი ზეგავლენით გამოირჩევა. კანტის კრიტიკას ჰეგელი ცოტა მოგვიანებით, ფრანკფურტის პერიოდიდან იწყებს (ტექსტში: „*ქრისტიანობის სული და მისი ბედი*“ 1798-1800 წლები).

ჰეგელთან რელიგიის ფილოსოფიის ცნების გაჩენა თეოლოგიაში დამკვიდრებული ღმერთის ორთოდოქსული გაგების კრიტიკასთანაა კავშირში.

²¹ ჰეგელის თეოლოგიური ტექსტებია: *იესოს ცხოვრება, ქრისტიანობის სული და მისი ბედი, სახალხო რელიგია და ქრისტიანობა, ქრისტიანული რელიგიის პოზიტიურობა* და სხვები.

²² „თეოლოგიის ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი ინტერესდება არა მხოლოდ რელიგიისა და ფილოსოფიის (და მათი ურთიერთობის) საკითხებით, არამედ სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებითაც. ახალგაზრდა ჰეგელი თავისი პერიოდის ფილოსოფიურ სისტემებს, დესპოტიზმს სახელმწიფოში და ეკლესიის ორთოდოქსულ სისტემას ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევს“. როდონაია, ნინო: „სიყვარულისა და სიცოცხლის ცნებები ახალგაზრდა ჰეგელის ნაშრომებში“, *ფილოსოფიური განაზრებანი*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2003, გვ. 122.

თეოლოგიის ტრადიციული ინსტრუმენტების კრიტიკას ან ღმერთის არსებობის დასაბუთების ტრადიციული არგუმენტების კრიტიკას კანტის ფილოსოფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სწორედ კანტი იწყებს საუბარს თეოდეციის კრახზე. ჰეგელი კი უკვე ხაზგასმით გვესაუბრება არა თეოლოგიაზე ან რელიგიაზე და ან სულაც თეოლოგიის ფილოსოფიაზე, არამედ რელიგიის ფილოსოფიაზე²³, რაც ყველა მათგანისაგან სრულიად განსხვავებული და განცალკევებული მიდგომაა.

ახალგაზრდა ჰეგელის ძიებებს კარგად ასახავს ტერმინოლოგიაში ცვლილებები. ჰეგელის ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ვალტერ იეშკე იმის გასარკვევად თუ როგორ ხდება გადასვლა, ან უფრო ზუსტად ტერმინებისა და ცნებების შეცვლა (იგულისხმება სიცოცხლის ცნების გონის ცნებით ჩანაცვლება) ჰეგელის ფილოსოფიაში წერს: „მან (ჰეგელმა) ფრანკფურტის წლების დასაწყისით შეცვალა კანტის და ფიხტეს პრაქტიკული ფილოსოფია და ამით მან შეცვალა მანამდე დამკვიდრებული ცნება „მორალურობა“ პირველად ცნებით „სიყვარული“, ამის შემდეგ ცნებით „სიცოცხლე“, რომელმაც გვიანი ფრანკფურტის წლებამდე იარსება და ბოლოს კი იენაში მან დაამკვიდრა გონის ცნება“²⁴. ახალგაზრდა ჰეგელი თავისი ფილოსოფიური განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჩათვლის, რომ რადგანაც რელიგიის არსს გამოხატავს ცნება სიყვარული, ხოლო უსასრულო ღმერთისა და სასრულო ადამიანის კავშირი, ან ერთიანობა სიტყვა სიცოცხლეში იგულისხმება და რადგანაც მათ ვერ მოვიაზრებთ რეფლექსიასთან კავშირში და ვერ მივანიჭებთ ამ უნარს, ამიტომ ამ სასრულო ადამიანსა და უსასრულო ღმერთს

²³ვალტერ იეშკე წერს, რომ ჰეგელმა ფილოსოფიური თეოლოგია (რომელიც გონების თეორიულ საშუალებებს იყენებდა, მაგალითად ღმერთის არსებობის დასაბუთების მცდელობები, რომელსაც კანტის კრიტიკის შემდეგ სახელი გაუტყდა) შეცვალა რელიგიის ფილოსოფიით. ამასთანავე, მისი რელიგიის ფილოსოფია ზოგადად მის ფილოსოფიურ სისტემასთანაა დაკავშირებული (თუმცა, ახალგაზრდა ჰეგელის ნაშრომებში რელიგიისა და ფილოსოფიის ეს კავშირი არ არის კარგად გაშლილი). Йёшке, Вальтер: „Самосознание духа. Философия религии Гегеля в историческом контексте“ в сб.: *Судьбы Гегельянства: Философия религия и политика прощаются с модерном*, Москва, Издательство Республика, 2000, стр. 120.

²⁴„Er (Hegel) mit Beginn Frankfurter Jahre die Kantische und Fichtesche praktische Philosophie ersetzt – und somit ‚Moralität‘ – den bisherigen Leitbegriff seiner Religionsdeutung – zunächst durch ‚Liebe‘, unmittelbar anschließend und bis in die späten Frankfurter Jahre durch ‚Leben‘ und schließlich in Jena durch ‚Geist‘“. Jaeschke, Walter: *Hegel. Handbuch*, Stuttgart u. a., Verlag J. B. Metzler 2010. S. 86.

შორის კავშირის არსს სიყვარულისა და სიცოცხლის ცნებები ვერ გამოხატავენ. ამ მომენტიდან ჰეგელი აქცენტს რეფლექსიასა და აზროვნებაზე აკეთებს. ჰეგელი ეძებს ცნებას, რომელიც სასრულო–უსასრულოს ურთიერთობას სრულად გამოხატავს შეძლებს. აქედან იწყება ფიქრი რელიგიის ფილოსოფიის იდეაზე. ჰეგელი ავითარებს აზრს, რომ სასრულოს და უსასრულოს კავშირი შესაძლებელია, ანუ ადამიანს, როგორც სასრულოს ეს ძალუმს, რადგანაც მასში არის ისეთი უნარი, როგორცაა გონი. გონის შინაარსისა და მისი სინამდვილის ახსნისას ჰეგელი აქცენტს აკეთებს ცოდნაზე, რომ ეს არის გაცნობიერება: “ჰეგელისათვის გონის სპეციფიკა იმაშია, რომ სხვისი ცოდნის ფარგლებს გასცდეს და სხვაში საკუთარი თავის ცოდნას მიაღწიოს”²⁵.

ჰეგელის იმ აზრში, რომ ცნება გონი მიიჩნევა იმ უნარად, რომლითაც უსასრულო სასრულოს სწვდება, ორი ასპექტია გასათვალისწინებელი. ერთი მხრივ, გონის ცნებას ის შინაარსი აქვს, რომ მასში მოცემულია კავშირი სასრულოსა და უსასრულოს შორის. მეორე მხრივ, და რაც ქმნის მთელი ჰეგელის ფილოსოფიის სპეციფიკას, გონი არის ის უნარი, რომლითაც შესაძლებელია ამ კავშირის არა მხოლოდ არსებობა, არამედ გონებით შემეცნება. ჰეგელი სწორედ შემეცნებაზე აკეთებს აქცენტს. ამიტომ მართალია ჰეგელი აღნიშნავს, რომ ფილოსოფიას და რელიგიას ერთი და იგივე საგანი აქვთ, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან მეთოდის თვალსაზრისით განსხვავდებიან.

დასკვნის სახით ვიტყვით, რომ პრაქტიკულად ჰეგელმა, ერთი მხრივ, შემეცნებელი გონების საზღვრების აბსოლუტური გაფართოებით მიიღო შესაძლებლობა, რომ ღმერთი ან უსასრულო კანტის ფილოსოფიისაგან განსხვავებით, შემეცნებისა და ცოდნის სფეროში შემოიტანა. ჰეგელი აღარ ითვალისწინებს კანტის გაფრთხილებას, რომ გონება ასე, ამ გზით მცდარ გზას დაადგება, ფილოსოფიის ისტორიაში უკვე ცნობილ შეცდომებს გაიმეორებს. თეორიული გონების საზღვრების გაფართოებამ, ჰეგელის ფილოსოფიაში ასეთი სახე მიიღო: “რაც გონებრივია, ის ნამდვილია; და რაც ნამდვილია, ის

²⁵Йешке, Вальтер: „Самосознание духа. Философия религии Гегеля в историческом контексте“, стр. 121.

გონებრივია“²⁶. ჰეგელის ფილოსოფიაში გადასვლა გონიდან ბუნებაზე შესაძლებელია, რადგან ორივე გონების პრინციპებით აიხსნება და ეს გადასვლა მათ ანალოგიას ეფუძნება. ჰეგელი 1807 წლის ნაშრომიდან: „*გონის ფენომენოლოგია*“ მოყოლებული, შემდეგ 1812–1816 წლებში დაწერილი „*ლოგიკის მეცნიერებასა*“ და „*ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიაში*“ ამტკიცებს შემეცნების, ცოდნისა და სინამდვილის ერთიანობას და იმას, რომ „გონი არის შემეცნება; ცოდნა არის გონი“²⁷. რელიგიის ფილოსოფიაში ჰეგელი კონცენტრირებას ახდენს უსასრულო ღმერთისა და სასრულო ადამიანის გაერთიანებაზე და ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება გონის, როგორც ადამიანური და ასევე ღვთაებრივი უნარის ცნებას²⁸. ღმერთი არ არის მორალურ პრინციპებზე დაფუძნებული, როგორც ის კანტის და ასევე ახალგაზრდა ჰეგელის ფილოსოფიაში იყო გაგებული. იგულისხმება კანტის მორალთეოლოგია და ახალგაზრდა ჰეგელის ფილოსოფია, მისი ის პერიოდი, რომელიც კანტის მორალის ფილოსოფიის გავლენებით ხასიათდება. გარდამავალი და გვიანი პერიოდის შელინგის ფილოსოფია ამ კუთხით იწყებს როგორც საკუთარი ამავე დროს ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკას. კერძოდ კი იმ აზრით, რომ არსება და არსებობა, სინამდვილე და ცნება ერთმანეთს არ ემთხვევა, ან უფრო ზუსტად: სინამდვილის ცნებაზე სრულად დაყვანა შეუძლებელია.

²⁶ Vgl.: „Was vernünftig ist, das ist wirklich; und was wirklich ist, das ist vernünftig“. Hegel, Georg Wilhelm Friedrich: *Grundlinien der Philosophie des Rechts*, Werke in 20 Bänden, Bd. 7., Frankfurt a. M. 3. Auflage. Suhrkamp Verlag 1986, S. 24.

იგივე პასაჟი: ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლოგიკის მეცნიერება*, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1962, გვ. 48.

²⁷ *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 11.

²⁸ „Gott existiert nicht jenseits der Welt; er ist Geist im menschlichen Geist gegenwärtig. Dem Menschen kommt eine fundamentale Rolle zu: Gott kann sein Selbstbewußtsein nur mittels des endlichen menschlichen Geistes erlangen“. Ebd., 18.

1.3. გერმანული იდეალიზმის რეცეფციები საქართველოში. დასაწყისიდან საბჭოთა მარქსიზმის გავლით დღემდე

საკითხის აუცილებლობის განმარტება

დისერტაციის მოცემულ ნაწილში გადმოცემულია გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციები. საქართველოში უმეტესად კანტის და ჰეგელის ფილოსოფიის კვლევები მიმდინარეობდა, შელინგის და ფიხტეს ფილოსოფიისა კი ნაკლებად. გერმანული იდეალიზმის ქართულ რეცეფციებში იკითხება გერმანული იდეალიზმის ტრადიციული გაგება. შესაბამისად გერმანული იდეალიზმი წარმოდგენილია, როგორც განვითარების გზა კანტიდან ჰეგელამდე. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეში მიმდინარე ისტორიული პროცესების გამო გერმანული იდეალიზმის, ისევე როგორც ფილოსოფიის ისტორიაში სხვა მიმართულებების კვლევა საქართველოში რთულ, არათავისუფალ გარემოში ხდებოდა. ამით აიხსნება ის, რომ საქართველოში ბევრი აქტუალური დისკუსია დღემდე უცნობია. ცხადია, რომ სწორედ ამის გამო წარმოიშვა ერთგვარი უფსკრული, წყვეტა, რომლის დაძლევაც დღეს აუცილებელი ხდება. მოცემული დისერტაცია არის მცდელობა ამ წყვეტის გადალახვისა და მასში შინაარსის შეტანისათვის.

1.3.1. საქართველოში გერმანული იდეალიზმის კვლევის მოსამზადებელი ეტაპი, მე-19 საუკუნე

საქართველოში გერმანული იდეალიზმის კვლევის თავისებურებებზე საუბარი ფილოსოფიურთან ერთად ისტორიულ კონტექსტს საჭიროებს. განსაკუთრებით მაშინ როცა საქმე ჰეგელის ფილოსოფიის ქართულ რეცეფციებს ეხება. ჰეგელის ფილოსოფიაზე ქართულ ფილოსოფიაში არსებულ დღევანდელ სურათში კარგად იკითხება ეს ორი ხაზი (ფილოსოფიურიცა და ისტორიულიც).

მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ და ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ერთი მხრივ, გერმანული იდეალიზმისა და განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის კვლევის ტენდენციური მიმართულებები, რომელიც საქართველოში უშუალოდ

მე-19 და მე-20 საუკუნეში მომხდარ ისტორიულ ცვლილებებს უკავშირდება. ამიტომ ჰეგელის ფილოსოფიის კვლევა გაბნეულია მრავალრიცხოვან, პოლიტიკური ხასიათის, ტექსტებსა და დისკუსიებში. მეორე მხრივ, კი ამისაგან უნდა განვასხვავოთ და გავმიჯნოთ ჰეგელის ნაშრომების წმინდა ფილოსოფიური ანალიზი. პირველთან მიმართებაში წინასწარ უნდა ითქვას, რომ ჰეგელის ფილოსოფიის საბჭოთა მარქსიზმისეულ ინტერპრეტაციას განსაკუთრებული როლი უნდა ეთამაშა მე-19 საუკუნის ბოლოს რუსეთის და განსაკუთრებით შემდეგ მე-20 საუკუნეში მთელი საბჭოთა კავშირის ბედში. აქ ძირითადად საბჭოთა ორთოდოქსი მარქსისტების მიერ ჰეგელის ფილოსოფიის იდეოლოგიზირებული, ან შეიძლება ითქვას, გაყალბებული გაგება იგულისხმება. ამიტომ 1991 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საჭირო ხდება ჰეგელის ფილოსოფიის საბჭოთა ორთოდოქსული მარქსიზმისაგან თავისუფალი კვლევა.

გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციის პირველი ეტაპი მეცხრამეტე საუკუნეა. პირველ ქართველ კანტიანელად²⁹ სოლომონ დოდაშვილი უნდა დასახელდეს. მისი 1827 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომი: „ლოგიკა“³⁰ შეიცავს კანტის ფილოსოფიის საფუძველზე და გავლენით საკუთარი ფილოსოფიის შექმნის მცდელობას.

რაც შეეხება ჰეგელის ფილოსოფიას ქართველი მოაზროვნეები მას მართალია მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ეცნობიან, მაგრამ ცალკე ნაშრომი, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიას ეძღვნება მეცხრამეტე საუკუნეში არ ჩანს. ჰეგელის ფილოსოფიის და ზოგადად გერმანული იდეალიზმის კვლევა ამ პერიოდისათვის ფრაგმენტულია და მისი სრული სურათის წარმოსადგენად მნიშვნელოვანია საქართველოში მე-19 საუკუნის ისტორიული სიტუაციას

²⁹“ეს იყო პირველი მცდელობა კანტის მემკვიდრეობის საფუძველზე მშვიდობის მსოფლმხედველობის დასაბუთებისა“ ლაპარაკია სოლომონ დოდაშვილზე. თევზაძე, გურამ: „სოლომონ დოდაშვილი ნეოპლატონიზმის შესახებ“, <http://burusi.wordpress.com/2010/11/02/guram-tevzadze-3/>

³⁰ Додаев-Магарский, С. И.: *Логика*, Курс философии, ч. 1. Санктпетербург, СПб 1827.

გათვალისწინებაც. დისერტაციაში ისტორიულ ბექგრაუნდს ცალკე არ განვიხილავთ თუმცა შენიშვნების ფორმით კეთდება ზოგადი სახის მითითებები³¹.

საქართველოს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიულ – კულტურულ ატმოსფეროს განსაზღვრავს საქართველოს რუსეთთან ურთიერთობა. საქართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის და რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ ნელ-ნელა გამოიკვეთა რუსეთის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული პროტესტი. პარალელურად თავი იჩინა ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულმა პროტესტმაც.

საქართველოში ამ დროისათვის არ არსებობს უნივერსიტეტი და უმაღლესი განათლების მისაღებად ქართველები რუსეთსა და პეტერბურგში ან დასავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში მიდიან. რუსეთში, მე-19 საუკუნეში, მრავალი პოლიტიკური დაჯგუფება და მიმართულება არსებობს. ქართველი სტუდენტები საუნივერსიტეტო განათლების მიღებასთან ერთად პოლიტიკურ ცხოვრებაში, საპროტესტო დემონსტრაციებსა და რევოლუციურ გამოსვლებში ერთვებიან. ისინი ხშირად საპატიმროებში ხვდებიან, სადაც ამ დროისათვის ამბოხებული მოაზროვნეებიც იმყოფებიან. არსებობს ქართველი მოაზროვნეების არაერთი ჩანაწერი, მოგონება და დღიური, სადაც ისინი მათთან შეხვედრებს აღწერენ. მაგალითად ასე გაეცნო ნიკო ნიკოლაძე ლინეევს, რომელიც მას სატუსალოში ჰეგელის ფილოსოფიას უხსნიდა. ნ. ნიკოლაძე ლინეევზე წერს: “დიდი ხალისით მიხსნიდა ჩვენი ტყვეობის მთელი ხნის განმავლობაში ჰეგელის ფილოსოფიის ტერმინოლოგიას და თავისებურებებსო”³². ქართველი მოაზროვნეები ჰეგელის ფილოსოფიას ხშირად ასე, არაპირდაპირი გზითაც ეცნობოდნენ.

XIX საუკუნის საქართველოში პარადოქსული კულტურულ-ინტელექტუალური სიტუაცია შეიქმნა. პროვინციებში და არა დედაქალაქში – თბილისში ხდებოდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა კონცენტრირება,

³¹საქართველოში ჰეგელის ფილოსოფიის კვლევისათვის ისტორიული სიტუაციის განხილვასა და მის მნიშვნელობაზე უფრო ვრცლად იხილე სტატია, რომელიც დაიბეჭდება: Rodonaia, Nino: “Rezeptionen der Philosophie Hegels in Georgien seit 19. Jahrhundert bis zur Gegenwart“, in: *Jahrbuch fuer Hegelforschung*, Schneider, Helmut, (Hrsg.), Bd. 15., 2011.

³² ნიკოლაძე, ნიკო: *რჩეული ნაწერები*, ტფილისი, ტ.1., ზარია ვოსტოკა-ს სტ. 1931, გვ. 109-110.

რადგან ცარიზმის რუსეთს აქ, ანუ ცენტრიდან მოშორებით, ნაკლებად შეეძლო ეკონტროლებინა მათი მოქმედებები. საქართველოს პროვინციებში ყალიბდებოდა კულტურული ცენტრები. ერთი ასეთი კულტურულ - ინტელექტუალური ცენტრი გახდა გორის სემინარია. რეგულარულად მოწყობილ დისკუსიებში მონაწილეობდნენ სემინარიის მასწავლებლები, გადასახლებაში მყოფი რუსი ინტელიგენცია, სემინარიის მოსწავლეები, თბილისიდან სპეციალურად დისკუსიებზე დასასწრებად ჩამოსული სტუმრები. იმ დროისათვის გორში ვაჟა-ფშაველა სწავლობს (1879-1882 წლებში). ერთ-ერთი მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში ვაჟა-ფშაველამ (ის საოსტატო სემინარიის მეორე წლის მოწაფეა) ბელინსკის მიერ ჰეგელის გამოთქმის: “რაც გონიერია, ის ნამდვილია, და რაც ნამდვილია, ის გონიერია“, მცდარ გაგებაზე ისაუბრა. ვაჟა-ფშაველა მომხსენებელს მიმართავს: “მოიგონე ბელინსკის ცხოვრებიდან ის პერიოდი, როცა გატაცებული ჰეგელის ფილოსოფიით იგი ამტკიცებდა, რომ „ყოველივე სინამდვილე გონიერია“ [...] ბელინსკი ბატონ-ყმობასაც კი ამართლებდა [...] გულწრფელმა კრიტიკოსმა ბოლოს უარყო ცალმხრივად შეთვისებული ჰეგელის ფორმულა“³³. ვაჟა-ფშაველას ეს კამათი ჰეგელის ფილოსოფიის პირველ ხსენებად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში. მოგვიანებით ბელინსკის მიერ ჰეგელის ცნობილი ფრაზის ინტერპრეტაციის მცდარობას ქართული პრესაც ეხმიანება (1901 წ. ჟურნალი “კვალი“, № 21).

მე-19 საუკუნეში საქართველოში გერმანული იდეალიზმის და ჰეგელის ფილოსოფიის რეცეფციის მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს 30-იანი და 40-იანი წლების რუსეთში არსებული ადრეული ჰეგელიანური წრეები. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი წრე: სტანკევიჩის და ოგარიოვ-გერცენის წრე. სტანკევიჩის წრე³⁴ 1831 წლის ბოლოდან მოსკოვის უნივერსიტეტში

³³გარსევანიშვილი, ალექსანდრე: *კაი ყმა, მოგონებები გარდასულ დღეთა, მოგონებები ვაჟა-ფშაველაზე*, თბილისი, გამომცემლობა „მერანი“ 1986, გვ. 64-65.

³⁴წრეში გაერთიანებულები არიან: მიხაილ ბაკუნინი, გრანოვსკი, ბელინსკი, (რომელიც მოგვიანებით თვითონ აყალიბებს წრეს). სტანკევიჩის წრეში ჰეგელის ფილოსოფიის გაგებაზე ბევრს მუშაობენ. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჰეგელის ფრაზა, რომ: „რაც გონიერია, ის ნამდვილია, და რაც ნამდვილია, ის გონიერია“. ბელინსკის შემოქმედებაში ეს ფრაზა სავარაუდოდ აქედან ხვდება.

ჩამოყალიბდა და 1839 წელს დაიშალა. რუსეთში გერმანული იდეალიზმის და განსაკუთრებით ჰეგელის დიალექტიკის გავრცელება სტანკევიჩის წრის მოღვაწეობას უკავშირება. ოგარიოვ-გერცენის წრე უფრო პოლიტიკური და სოციალური საკითხების განხილვაზე იყო ორიენტირებული. ზოგადად რუსულ ჰეგელიანელობაში იკვეთება რამოდენიმე პრიორიტეტული საკითხი: ჰეგელის დიალექტიკა (სტანკევიჩთან), ჰეგელის ფილოსოფიაში უარყოფის მომენტის მნიშვნელობა (ბაკუნინი), ისტორიის ფილოსოფიის და პიროვნების პრობლემა (ბელინსკი), სოციალურ-ეთიკური თემა (გერცენი). ყველა ეს დისკუსია ქართველ მოაზროვნეთა ტექსტებში და განსაკუთრებით ქართულ პრესაში სტატიების სახით აისახებოდა.

საქართველოდან რუსეთში განათლების მისაღებად წასული ქართველები გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიას სწორედ მათგან ეცნობიან. გარდა ამისა საქართველოში მთელი მე-19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელია ქართული პუბლიცისტიკის განსაკუთრებული განვითარება. როგორც წესი ყველა აქტუალური დისკუსია ჟურნალ-გაზეთებში იყო მოქცეული.

მე-19 საუკუნეში გერმანულ იდეალიზმზე ან რომელიმე მის წარმომადგენელზე მონოგრაფია, კვლევა ან ნაშრომების ქართულად თარგმანი არ შესრულებულა. ამ მიმართულებით დასახელდება სოლომონ დოდაშვილის ტექსტი: „ლოგიკა“, ვაჟა-ფშაველას კამათი გორის სემინარიაში და ანტონ ფურცელაძის მიერ გერმანულ იდეალისტთა ხსენება 1885 წელს. ა. ფურცელაძე განიხილავს გერმანული იდეალიზმის ოთხივე წარმომადგენლის ფილოსოფიას, მაგრამ ძალზედ მოკლედ და ტენდენციურად. ა. ფურცელაძის ეს წერილები არ არის გამოქვეყნებული და დაცულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში³⁵.

³⁵ ანტონ ფურცელაძის წერილებში საუბარია კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიის არსზე. ფურცელაძე, ანტონ: „წერილები ყასაბ ღაღოსი აბრაგუნესთან“, სატირული სტატიები. წერილები დაცულია საქართველოს ლიტერატურის მუზეუმში, ფ. N 5909-ბ.

1.3.2. გერმანული იდეალიზმის რეცეფციის პირველი - „მარქსისტულ-პოლემიკური“ ეტაპი საქართველოში. მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე

ჰეგელის ფილოსოფიის რეცეფციების მარქსისტულ-პოლემიკური პერიოდი საქართველოში ხანმოკლეა. ის უშუალოდ მოიცავს რევოლუციისათვის მზადების, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან 1917 წლამდე, პერიოდს. ფილოსოფია ზოგადად და განსაკუთრებით კი ჰეგელის ფილოსოფიის კვლევა, სრულიად პოლიტიზირებულია. 1905 წლის რევოლუციის მარცხის შემდეგ საჭირო ხდება ახალი რევოლუციის მომზადება, რომელიც 1917 წელს წარმატებით განხორციელდა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელით შევიდა საბჭოთა ისტორიაში.

რევოლუციისათვის მზადების სიტუაციამ ჰეგელის ფილოსოფიის კვლევაზეც თავისებურად იმოქმედა. ჰეგელის დიალექტიკას მარქსისტები და ანარქისტები განსხვავებულად იყენებდნენ. ბუნებისა და საზოგადოების განვითარებისა და ისტორიის მამოძრავებლის არსის ახსნა ან ევოლუციონიზმის თეორიით ხდებოდა (ანარქისტები) და ან მარქსიზმის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმით. ქართველი ანარქისტები (ვ. ჩერქეზიშვილი, ა. ჯორჯაძე, ი. ფანცხავა), განვითარებას ცალმხრივი ევოლუციონიზმის (სპენსერს ეყრდნობოდნენ) თეორიით ხსნიდნენ, მარქსის დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის გამოვლენად, სახესხვაობად განიხილავდნენ³⁶. ამიტომ ჰეგელის კრიტიკაში ისინი პრაქტიკულად მარქსის

³⁶“მარქსთან დიალექტიკური განვითარების გასაგებად საჭიროა რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ, ის თუ როგორ ესმოდა ჰეგელს ისტორიული განვითარების პროცესი. რა ამოძრავებს ცხოვრებას, რა არის ცვალებადობის უმთავრესი მიზეზი? არსებობს, ამბობს, ჰეგელი ღვთაებრივი სული, „მსოფლიო ისტორიული სული“, რომელიც მუდამ მოძრაობაშია. ბუნება მხოლოდ სარკეა ამ სულის, ამ აბსოლუტური ცოდნისა, იმ გვარი სარკეა, რომელშიაც გამოისახება (გამოიჭვრიტება) სულის, იდეის თვისება მხოლოდ, როგორც ვსთქვით, ეს აბსოლუტური სული მუდამ მოძრაობაშია. და ამ „სულის“, იდეის განვითარება იმგვარია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს „ჰოსაც“ ამტკიცებს და „არასაც“. როდესაც იგი ჰოს ამტკიცებს, ეს „ტეზისის“ დაყენებას მოასწავებს, როდესაც „არას“-„ანტიტეზისის“. მხოლოდ „ტეზისი“ და „ანტიტეზისი“ (ჰო და არა) ხელმეორედ „ჰოში“-„სინტეზში“ ერთდება. ამ გვარ აზრის, იდეის განვითარებას ჰეგელი „დიალექტიკურ“ განვითარებას უწოდებს. და ეს „დიალექტიკური“ განვითარება არის მხოლოდ ცნების თვით-განვითარება “. ამ სიტყვებს სტატიაში მოყვება ჰეგელის ფილოსოფიაში შესაბამისი ადგილების

თეორიას გულისხმობდნენ და ამიტომ სინამდვილეში ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკით მარქსის კრიტიკას აწარმოებდნენ. ამ მიმართულებით საინტერესოა ივ. გომართელის მიერ ჰეგელის ფილოსოფიაში თავისუფლების განმარტება.

მარქსის მატერიალისტური დიალექტიკის დამცველები: ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე მარქსის ისტორიული მატერიალიზმის გამართლებას ჰეგელის დიალექტიკური მეთოდის კვლევით იწყებდნენ, ადგენდნენ ჰეგელისა და მარქსის დიალექტიკის მსგავსება-განსხვავებას, ჰეგელის დიალექტიკის გადმობრუნებას (მარქსის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის გადმობრუნება იგულისხმება), ფეხზე დაყენებას, რაციონალური მარცვლის აღმოჩენასა და ჰეგელის ფილოსოფიური სისტემისაგან მის გამოცალკევებას ისახავდნენ მიზნად. დიალექტიკური მეთოდი რევოლუციურად, ხოლო სისტემა მოძველებულად და მეტაფიზიკურად ცხადდებოდა. ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდსა და ტრიადის პრინციპს კომუნიზმის აუცილებლობის გამართლებისათვის იყენებდნენ. რაოდენობრიობის თვისებრიობაში გადასვლის კანონის გამოყენებით სოციალისტური რევოლუციის გარდაუვალობა მტკიცდებოდა. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული ანარქისტების მიერ წარმოებული ჰეგელის კრიტიკა, მაგალითად მარქსის ყველაზე ცნობილი კრიტიკოსების: ვ. ჩერქეზიშვილისა და ა. ჯორჯაძის³⁷.

სტალინი, ისევე როგორც, საბჭოთა ორთოდოქსი მარქსისტების სხვა თეორეტიკოსები, ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაში საფეხურების, სტადიების ცვლის მსგავსად ხსნიდა ფორმაციათა ცვლას და საზოგადოებასა და ბუნებაში მიმდინარე ცვლილებებს. მნიშვნელოვანი იყო ხაზგასმა და ნათელი ჩვენება იმისა, რომ ეს მონაცვლეობა იყო გარდაუვალი და რომ მას ჰქონდა განვითარებისა და პროგრესის ხასიათი და არ იყო რეგრესი. შესაბამისად საბჭოთა ორთოდოქსი

ვრცელი ანალიზი. ჯორჯაძე, არჩილ: “ისტორიული მატერიალიზმის გამო“, „ცნობის ფურცელი“, 1524, (1901). გვ. 1.

³⁷“Among them was V. Cherkeshishvili (1846-1925), whose anti-Marxist works were translated into almost every European language and into Chinese and Japanese, as well. He was so influential that young Stalin (1879-1953), G. Plechanov (1856-1918) and K. Kautsky (1854-1938) criticized him”. Tevzadze, Guram: “Philosophy in Contemporary Georgia”, <http://www.crvp.org/book/Culture%20and%20philosophy-Corectirebuli.pdf>

მარქსისტები ჰეგელის ფილოსოფიაში ისტორიის პროგრესის საკითხს განსაკუთრებულად ამუშავებდნენ, მაგრამ მას პროვიდენციალიზმის ნიშანს სრულებით აცლიდნენ. გერმანული იდეალიზმის ფილოსოფია, ჰეგელის ფილოსოფიის სახით, განსაკუთრებული განხილვის საგანი გახდა, თუმცა ეს კვლევა ნაკლებად შეიძლება საკუთრივ ჰეგელის ფილოსოფიის კვლევად ჩავთვალოთ.

1.3.3. კვლევის მეორე, “მარქსისტულ-ორთოდოქსული ეტაპი” (20 საუკუნეში 1917–1991 წლები) და დღევანდლობა

XX საუკუნეში წარმოებული კვლევა საქართველოში გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის კვლევის მეორე ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს ეტაპი უფრო ღრმა და თემატურადაც მრავალფეროვანია. XX საუკუნის საბჭოთა ფილოსოფოსს აუცილებლად უნდა გაეწია ანგარიში ოფიციალური იდეოლოგიისათვის. განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის კვლევას ჰქონდა მინიჭებული პოლიტიკურ-იდეოლოგიური დატვირთვა. ჰეგელის დიალექტიკა მხოლოდ მარქსის დიალექტიკის უშუალო მომზადებად განიხილებოდა და ა. შ. XX საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა დიდი ნაწილი ან ფილოსოფიის ისტორიის მიმართულებით მუშაობდა და ამ კონტექსტში იკვლევდა ჰეგელის ტექსტებს, ან თავისი მოღვაწეობისათვის ანალიტიკურ ფილოსოფიას ირჩევდა. ეს უკანასკნელი ჰეგელის ფილოსოფიას, საერთოდ დიალექტიკის რაობის გარკვევასა და ასევე მარქსის ფილოსოფიას შორდებოდა. ჰეგელის ფილოსოფიაში აქტუალურად მიჩნეულ საკითხებს განსაზღვრავდა საბჭოთა იდეოლოგიის მიერ პრიორიტეტულად დასახელებული საკითხები. გერმანული იდეალიზმის, ჰეგელის ფილოსოფიის და საერთოდ მთლიანად ფილოსოფიაში მიმდინარე კვლევების ლეგიტიმაცია ჯერ ლენინის, ხოლო შემდეგ სტალინის ნაშრომების გათვალისწინებით ხდებოდა. ასეთი ისტორიული სიტუაცია სერიოზული დაბრკოლება იყო გერმანული იდეალიზმის და განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის საბჭოთა მკვლევრისათვის, მაგრამ ცენტრიდან საკმაოდ

დამორებულ საქართველოში მაინც ხერხდებოდა გერმანულ იდეალიზმსა და ჰეგელის ფილოსოფიაზე ღირებული კვლევების წარმოება.

გერმანული იდეალიზმის კვლევის მეორე პერიოდის დასაწყისად ოქტომბრის რევოლუცია შეგვიძლია მივიჩნიოთ, ხოლო დასასრულად საბჭოთა კავშირის დაშლა (1991 წლის 21 დეკემბერი). თავისთავად ეს ხანგრძლივი პერიოდი ქვეპერიოდებად ისახსრება: ლენინიზმის (რევოლუციიდან 30-იანი წლების დასაწყისამდე), სტალინიზმისა (უშუალოდ სტალინის სათავეში მოსვლიდან, მისი მმართველობის ანუ მეოცე საუკუნის 50-იანი წლების, დასასრულამდე), პოსტსტალინიზმის და პერესტროიკის პერიოდები. არსებითი ნიშანი, რომლის გამოც მათი ერთ პერიოდად მოაზრებაა შესაძლებელი არის საბჭოთა მარქსიზმი, როგორც ოფიციალური იდეოლოგია.

მეოცე საუკუნის 20-იანი წლებისათვის (ლენინიზმის ეპოქა) მართალია უკვე დაწყებულია, მაგრამ ჯერ ბოლომდე ვერ ესწრება ფილოსოფიის სრული იდეოლოგიზირება. იმ ტენდენციას, რომ შეიქმნას ერთიანი, კარგად კონტროლირებადი ფილოსოფიური სივრცე ერთვის ტენდენცია, რომ ფილოსოფია საერთოდ აღარ იყოს შეტანილი უნივერსიტეტში, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა³⁸. ასეთია ლენინის მიერ შედგენილი გეგმა უნივერსიტეტში საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისათვის.

ამ მოვლენების პარალელურად საქართველოში, 1918 წლის 26 იანვარს დაარსდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც თავდაპირველად მუშაობს მხოლოდ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. ფილოსოფოსის, შალვა ნუცუბიძის ხელმძღვანელობით 20-იანი წლებში დაარსებულ სემინარებში მონაწილეობას იღებენ: კონსტანტინე ბაქრაძე, მოსე გოგიბერიძე, სავლე წერეთელი.

³⁸“20-იანი წლების დასაწყისის სოციალური აკადემიის სასწავლო გეგმაში ლაპარაკია, როგორც წესი, არა ფილოსოფიაზე, არამედ “მეცნიერულ მსოფლმხედველობაზე“, ზოგადად მეთოდოლოგიაზე ან იდეოლოგიაზე. იქ (და მრავალ სხვა სასწავლო დაწესებულებებში) იკითხებოდა ლექციები “მსოფლმხედველობის ისტორიაში“. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების გეგმაში, რომელსაც ლენინი 1921 წლის 4 მარტს აწერს ხელს, ჩამოთვლილია ეკონომიკური, სამართლებრივი, საზოგადოებრივ-პედაგოგიური მიმართულებები (მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასევე სტატისტიკური, მხატვრულ-ლიტერატურული, ისტორიული და ფილოლოგიური) ფილოსოფია არსად არ ფიქსირდება“. *Л.А.Коган НА ПОДСТУПАХ К СОВЕТСКОЙ ФИЛОСОФИИ. (ПЕРВЫЕ «СВЕРДЛОВЦЫ», «СОЦ. АКАДЕМИКИ», «ИКАПИСТЫ»)* <http://russcience.euro.ru/papers/kog02vf.htm>

სწორედ მათ სახელებს უკავშირდება საქართველოში გერმანული იდეალიზმისა და ჰეგელის ფილოსოფიის ფუნდამენტური კვლევები.

XX საუკუნის 20-იან წლებში სტალინური პროგრამით ფილოსოფიის საბჭოური იდეოლოგიზაცია განხორციელდა, რამაც საბჭოთა ფილოსოფიას მძიმე ატმოსფერო შეუქმნა. ეს მძიმე ატმოსფერო კიდევ უფრო გართულდა 30-იანი წლების ბოლოდან 50-იანი წლების დასაწყისში (სტალინის გარდაცვალებამდე – 1953 წელი), ანუ უშუალოდ სტალინიზმის ეპოქაში. 1939 წელს სტალინის მიერ დაწერილი ტექსტი: „*ისტორიული და დიალექტიკური მატერიალიზმი*“³⁹ საბჭოთა ფილოსოფიის ოფიციალურ კანონად გამოცხადდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ მართალია მნიშვნელოვნად შემსუბუქდა მდგომარეობა და პოსტსტალინიზმის ეპოქაში შესაძლებელი გახდა უფრო თავისუფალი კვლევა, მაგრამ ოფიციალური იდეოლოგიისათვის გადახვევა მაინც საშიშად ითვლებოდა.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან სტალინური სიმკაცრის შესუსტებასთან ერთად შესაძლებელი გახდა კულტურული ურთიერთობების დამყარება უცხო ქვეყნებთან. ასე მაგალითად იენის შილერის უნივერსიტეტთან მეგობრობის ფარგლებში ჩატარდა კონფერენციები 1974, 1984 და 1988 წლებში. 1970 წელს გაიმართა თბილისის ივანე ჯავახიშვილის ფილოსოფიის ისტორიის ფაკულტეტისა და გერმანიის უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია ჰეგელის ფილოსოფიაზე.

დაიწყო გერმანული იდეალიზმის ფილოსოფოსთა ნაშრომების თარგმნა, იწერებოდა მონოგრაფიები. რამოდენიმე ავტორის მაგალითზე ზოგადად წარმოვადგენთ მეოცე საუკუნეში მიმდინარე კვლევებს და მათ ძირითად მიმართულებებს.

ამ მიმართულებით პირველ რიგში უნდა დასახელდეს კონსტანტინე ბაქრაძის 1936 წელს გამოცემული მონოგრაფია: „*სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*“. წიგნი სადოქტორო დისერტაციაა და უფრო ადრე დაწერილი ტექსტის: „*დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში*“ (1929 წელი),

³⁹ სტალინი, ი. ბ.: *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, თბილისი, სახელგამი პოლიტიტერატურის სექტორი 1940.

გაგრძელებას წარმოადგენს. ნაშრომში „*დიალექტიკის პრობლემა გერმანული იდეალიზმში*“ ავტორი იკვლევს კანტის, ფიხტეს და შელინგის ფილოსოფიას. არსებითი იდეაა, რომ გერმანული იდეალიზმის წარმომადგენლები ერთიანობაში უნდა იყვნენ განხილული და რომ გერმანული იდეალიზმი გაგებულა, როგორც განვითარება გზა, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიით მთავრდება. კ. ბაქრაძე წერს: „კანტის გაგება მხოლოდ კანტის ნაშრომებით შეუძლებელია. კანტის, ფიხტესა და სხვების გაგება შეიძლება მხოლოდ მთელი ეპოქის გათვალისწინებით, იმ გზის განვითარების ჩვენებით, რომლის დასაწყისს კანტი წარმოადგენს, ხოლო ბოლოს ჰეგელი.“

[...] ჰეგელმა დაამთავრა გერმანული იდეალიზმის განვითარების ეპოქა, რამაც შესაძლებელი გახადა კანტის, ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიური სისტემების სწორი გაგება [...] გერმანული იდეალიზმის განვითარების უკანასკნელი ეტაპი ჰეგელია“⁴⁰.

ნაშრომის „*სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*“ ცენტრალური პრობლემებია: ჰეგელის ფილოსოფიის კანტის, ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიასთან მიმართების საკითხი⁴¹, ჰეგელის ფილოსოფიის დალაგების მცდელობა, ჰეგელის ფილოსოფიაში სისტემისა და მეთოდის ურთიერთმიმართების საკითხი. კ. ბაქრაძე განიხილავს ჰეგელის შემდეგ ნაშრომებს: „*გონის ფენომენოლოგია*“ (თავდაპირველად კ. ბაქრაძე ცნებას გონი თარგმნის, როგორც სული. საერთოდ ჰეგელის ფილოსოფიის ეს ტერმინი მეცხრამეტე საუკუნეში ითარგმნებოდა, როგორც სული) „*ლოგიკის მეცნიერება*“, „*ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია*“. აღსანიშნავია, რომ კ. ბაქრაძე განიხილავს ახალგაზრდა ჰეგელის ისეთ ტექსტებს, როგორცაა: „*სახალხო რელიგია და ქრისტიანობა*“, „*ქრისტიანული რელიგიის პოზიტიურობა*“, „*ქრიატიანობის სული და მისი ბედი*“ და სხვა. ქართულ ფილოსოფიაში

⁴⁰ ბაქრაძე, კონსტანტინე: *დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში*, გვ. 17.

⁴¹ნაშრომში: *სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში* კ. ბაქრაძე გერმანულ იდეალიზმს წარმოგვიდგენს, როგორც განვითარების ერთიან ხაზს, სადაც ჰეგელის ფილოსოფია განვითარების უმაღლესი წერტილია. ამ აზრით კ. ბაქრაძე აკრიტიკებს ჰერინგს (რომლის მიხედვითაც ჰეგელის ფილოსოფია მოწყვეტილია სხვებს) და ასევე გლოკნერს (გლოკნერის ის თვალსაზრისი იგულისხმება, რომ ჰეგელი მთლიანად დაიყვანება, მაგალითად, კანტზე).

ახალგაზრდა ჰეგელის ნაშრომების კვლევისადმი მიძღვნილი ტექსტები თითქმის არ გვხვდება. კ. ბაქრაძის შემდეგ ჰეგელის თეოლოგიურ ტექსტებს იკვლევს ქართველი ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე. მან დაწერა სტატია, სახელწოდებით: “ჰეგელის მოძღვრება რელიგიის შესახებ”⁴², სადაც ავტორი სტატიის ერთ ნაწილს უთმობს ახალგაზრდა ჰეგელის ნაშრომების განხილვას.

კ. ბაქრაძე ნაშრომში „*სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*“ ხაზს უსვამს იმას, რომ მართალია მას იდეალისტური დიალექტიკა აინტერესებს, მაგრამ როგორც მატერიალისტური დიალექტიკის, ანუ მარქსის დიალექტიკის, მოსამზადებელი ეტაპი. ჰეგელის ფილოსოფიაში სისტემისა და მეთოდის ურთიერთმიმართების საკითხის ირგვლივ წამოჭრილ დისკუსიაში კ. ბაქრაძის პოზიცია ასეთია: “ჰეგელის ღრმა რწმენა და მისი ფილოსოფიის ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ ფილოსოფიური სისტემა და ფილოსოფიური მეთოდი განუყრელ კავშირშია”⁴³. ავტორი აკრიტიკებს ჰეგელის ფილოსოფიაში სისტემისა და მეთოდის ერთმანეთისაგან მოწყვეტის ცდებს (ამ მიმართულებით ის გულისხმობს შემდეგ ფილოსოფოსთა ნაშრომებს: ვინდელბანდი, ვაისე, ედ. ჰარტმანი, დებორინი და ა.შ)⁴⁴. მოსე გოგიბერიძის აზრი მოცემულ საკითხთან

⁴² ბუაჩიძე, თამაზ: “ჰეგელის მოძღვრება რელიგიის შესახებ“, *რელიგიური ფილოსოფიის პრობლემები*, თბილისი, „მეცნიერება“ გვ. 29-54

⁴³ ბაქრაძე, კონსტანტინე: *სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1936, გვ. 134.

⁴⁴ მიუხედავად კ. ბაქრაძის სიფრთხილისა ეს აზრი წინააღმდეგობაში მოდიოდა ენგელსისა და სტალინის მოსაზრებებთან. ენგელსი თავის შრომებში “*ანტიდიურიზმი*“ და “*ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული*“ ამტკიცებდა, რომ ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი ეწინააღმდეგება ჰეგელისავე სისტემას. სტალინი ჰეგელის დიალექტიკურ მეთოდს “მეცნიერულს და რევოლუციურს“ უწოდებდა, ხოლო ჰეგელის “მეტაფიზიკურ სისტემას“ აკრიტიკებდა. სტალინი წერს: „ახასიათებენ რა დიალექტიკურ მეთოდს, მარქსი და ენგელსი ჩვეულებრივ მიუთითებენ ჰეგელზე, როგორც ფილოსოფოსზე, რომელმაც ჩამოაყალიბა დიალექტიკის ძირითადი ნიშნები. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის დიალექტიკა იგივეა, რაც ჰეგელის დიალექტიკა. სინამდვილეში მარქსმა და ენგელსმა ჰეგელის დიალექტიკიდან აიღეს მხოლოდ მისი „რაციონალური მარცვალი“, ამოაშორეს ჰეგელის იდეალისტური ჩენჩო და შემდგომ განავითარეს დიალექტიკა, რათა მიეცათ მისთვის თანამედროვე მეცნიერული სახე“, სტალინი, ი. ბ.: *დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ*, გვ. 3. სწორედ ეს ასპექტი გახდა ხელისშემშლელი კ. ბაქრაძისათვის სადოქტორო დისერტაციის დაცვისა და მიზეზი ნაშრომზე ნეგატიური გამოხმაურებებისა. თუმცა მოგვიანებით, 1958 წელს, კ. ბაქრაძის *სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*, ითარგმნა და გამოიცა რუსულად და შემდეგ პოლონურად.

დაკავშირებით საპირისპიროა, სტატიაში “ლენინი, როგორც ფილოსოფოსი“ (ასევე ნაშრომში „*მატერიალიზმისა და დიალექტიკის პრობლემების განვითარება მარქსამდე*“) წერს, რომ ჰეგელმა სისტემას მეთოდი დააჩაგვრინა. (მეთოდმა გაიმარჯვა სისტემაზე, იდეალიზმი დაჩრდილა დიალექტიკამ).

კ. ბაქრაძეს სისტემისა და მეთოდის ერთიანობის საკითხი გააზრებული აქვს ჰეგელთან ფორმისა და შინაარსის იგივეობის ანალოგიით. შესაბამისად, კ. ბაქრაძე ჰეგელის ფილოსოფიაში ფორმისა და შინაარსის ფუნდამენტურ კვლევას გვთავაზობს. ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხს არკვევს ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშივილი ნაშრომში: „*აზროვნების შინაარსი და ფორმა (ჰეგელის შემეცნების ფორმებზე მოძღვრების კრიტიკა)*“⁴⁵, რომელიც 1961 წელს გამოქვეყნდა.

XX საუკუნის 50-იან წლებში კ. ბაქრაძის სტატიით “ლოგიკისა და დიალექტიკის დამოკიდებულების საკითხისათვის“ (1950 წელი ჟურნალი “ფილოსოფიის საკითხები”⁴⁶) დაიწყო დისკუსია ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ურთიერთმიმართების შესახებ. ეს იყო ფორმალური ლოგიკის ირგვლივ უკვე არსებული დისკუსიის მეორე ეტაპი⁴⁷. საბჭოთა ორთოდოქსული მარქსიზმის წარმომადგენლების ინტერპრეტაციით ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა (მაგალითად ლენინი მიიჩნევდა, რომ არ იყო საჭირო სამი სიტყვა, არამედ მათ აღმნიშვნელად საკმარისია ერთი სიტყვა). დიალექტიკური ლოგიკა, წარმოადგენს (არის) ბუნების, საზოგადოებისა და

⁴⁵ Мамардшвили, М. К.: *Формы и содержание мышления (К критике гегелевского учения о формах познания)*, Москва, Издательство “Высшая школа” 1968.

⁴⁶ ჟურნალ *ვოპროსი ფილოსოფიის* გამოცემა 1947 წლის აგვისტოში კედროვის რედაქციით დაიწყო. ეს ჟურნალი განსაკუთრებული მოვლენა გახდა საბჭოთა ფილოსოფიაში.

⁴⁷ ი. ჰენგი დისკუსიის განვითარებაში სამ ეტაპს გამოჰყოფს: „In der ganzen Diskussion um die formale Logik lassen sich drei Perioden unterscheiden. Die erste schliesst sich unmittelbar an den Beschluss des ZK und KPdSU vom November 1946 an und dauert bis Ende 1951, wobei der Verlauf dieser Diskussion durch die Linguistik briefe von Stalin im Sommer 1950 eine bedeutende Wendung erhält. Der Streit der Redaktion der Zeitschrift *Voprosy Filosofii* mit Kondakov und Bakradze von 1955/56 gehört zwar dem Inhalt nach noch zur ersten Diskussion, leitet aber zugleich die zweite Periode ein, welche besonders dem Problem des Widerspruchs gewidmet ist und ihrem Höhepunkt in der Konferenz vom April 1958 findet. Die dritte, gegenwärtige Periode wird durch einen Artikel von M.N. Alekseev anfangs 1964 eröffnet“. Hänggi, J.: “Die Entwicklung der Diskussion um die formale Logik in der Sowjetunion”, in: *Studies in East European Thought*, Volume 7. N. 2. Juni, (1964), S. 142.

თავად აზროვნების კანონებისა და წესების სისტემურ-თეორიული გამოხატვას⁴⁸. საბჭოთა მარქსისტები, რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკურ ლოგიკას ეყრდნობოდნენ, თუმცა არსებითი შესწორებით—ჰეგელის იდეალისტური დიალექტიკის მატერიალისტურად გადაწერას ახდენდნენ. ასე გაგებული დიალექტიკური ლოგიკა საბჭოთა მარქსისტების ხელში იქცა უნივერსალურ მეთოდად, რომელმაც ფილოსოფიასთან ერთად მოიცვა კერძო მეცნიერებები. ფორმალური ლოგიკა საერთოდ ამოიღეს ლოგიკის სახელმძღვანელოებიდან. კ. ბაქრაძემ სწორედ ამ პრობლემას მიაქცია ყურადღება⁴⁹.

ქართველ ფილოსოფოსებს შორის გამოიკვეთა ორი განსხვავებული პოზიცია, ერთი, რომ არსებობს მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტი ლოგიკა-ფორმალური ლოგიკა, ის ფილოსოფიური მეცნიერებაა და მისი საგანია-მომღვრება სწორი აზროვნების კანონებზე. დიალექტიკური ლოგიკა შემეცნების თეორიის სინონიმია. მეორე პოზიცია იყო ის, რომ ფორმალური ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკის მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. პირველ თვალსაზრისს იცავს კ. ბაქრაძე, ხოლო მეორე თვალსაზრისს საქართველოში ავითარებს სავლე წერეთელი. მან დიალექტიკური ლოგიკის დაფუძნებასა და კვლევას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია მიუძღვნა⁵⁰ და საბოლოო სახით

⁴⁸Ильенков, Э. В.: *Диалектическая Логика. Очерки Истории и Теории*. <http://psylib.org.ua/books/ilyen02/index.htm>

⁴⁹კ. ბაქრაძემ უფრო ადრე გამოსცა ლოგიკის სახელმძღვანელო (1946 წელი), სადაც ფორმალურ ლოგიკას დიალექტიკურთან ერთად განსაკუთრებული ადგილი აქვს მინიჭებული. ზოგადად საბჭოთა ფილოსოფიაში ეს პერიოდი გამოირჩევა ლოგიკის საკითხებისადმი ინტერესით. ცოტა ხანში გამოდის ასმუსის (1947) და სტროგოვიჩის (1949) სახელმძღვანელოები ლოგიკაში. თუმცა ბევრად უფრო ადრე გამოდის, როგორც აღვნიშნეთ, სოლომონ დოდაშვილის *ლოგიკა* (1827 წ. რუსულად. დაიბეჭდა პეტერბურგში).

⁵⁰სავლე წერეთელი ლოგიკის საკითხების კვლევას საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობით იწყებს (1934 წელს, ხოლო დისერტაცია დაიცვა დასაბუთების რედუქციულ მეთოდებზე 1938 წელს). 1947 წელს აკეთებს მოხსენებას უსასრულო დასკვნის ცნებაზე ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც სათაურით “დასკვნის პრობლემისათვის“ ქვეყნდება 1949 წ. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომებში (I ტომი). სავლე წერეთელი უსასრულო დასკვნას შემდეგნაირად განსაზღვრავს: “დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფაც მას ასაბუთებს“ (წერეთელი, სავლე: *დიალექტიკური ლოგიკა*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1965. გვ. 5). 1952 წელს ამ საკითხებს უძღვნის ნაშრომებს: “*ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის*” და 1956 წელს “*ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ*” (სადოქტორო ნაშრომი). სავლე წერეთელი აკრიტიკებს ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკას ტექსტში “რაციონალური მარცვალი

დიალექტიკური ლოგიკის, ანუ უსასრულო დასკვნის თეორია⁵¹ ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „*დიალექტიკური ლოგიკა*“. სავლემ წერეთლის პოზიცია ასეთია, რომ ერთადერთი ლოგიკა - დიალექტიკური ლოგიკაა ხოლო ფორმალური ლოგიკა მის ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს, ლოგიკა დიალექტიკური უნდა იყოს რადგან ასეა შესაძლებელი, რომ მან განვითარებადი სინამდვილე მოიცვას. თავის მხრივ დიალექტიკური ლოგიკა ეყრდნობა დაუბოლოებელ, ე. წ. უსასრულო დასკვნას. ს. წერეთელი იკვლევს და ადარებს უსასრულო დასკვნებს ჰეგელის დასკვნის, ცნებისა და მსჯელობის თეორიას. ს. წერეთელი განსაკუთრებულად გამოყოფს ჰეგელთან ტრადიციული ლოგიკის კრიტიკას და “უსასრულო დასკვნის, როგორც ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობის ფორმის (სრული ლოგიკური კავშირის) მოთხოვნას”⁵².

მთელი ეს კამათი დიალექტიკური და ფორმალური ლოგიკის შესახებ გადმოსცა ამ გობარმა თავის 1978 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „თანამედროვე ფილოსოფია საბჭოთა საქართველოში“⁵³. გარდა ამ ცნობილი დისკუსიისა სტატიის ავტორი განიხილავს ზოგადად ქართულ ფილოსოფიაში არსებულ სიტუაციას, ძირითად მიმართულებებს და ქართველ ფილოსოფოსებს.

გურამ თევზაძის სახელს უკავშირდება კანტის ფილოსოფიის ფუნდამენტური კვლევები მეოცე საუკუნის საქართველოში. გ. თევზაძის მონოგრაფია სახელწოდებით „*იმანუელ კანტი*“, რომელიც 1974 წელს გამოიცა⁵⁴, განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართულ ფილოსოფიაში. გ. თევზაძე აგრძელებს ს. დოდაშვილის, შ. ნუცუბიძის, ს. დანელიას, მ. გოგიბერიძის,

ჰეგელის დასკვნის თეორიაში“ (1959 წელი). აღსანიშნავია ასევე 1963 წელს დაწერილი “დასაბუთების დასაწყისი“ და ბოლოს მისი ვრცელი მონოგრაფია: *დიალექტიკური ლოგიკა*.

⁵¹“დიალექტიკური ლოგიკა, როგორც აზრის ფორმებში განხორციელებული დაპირისპირებულთა ერთიანობის ლოგიკა, არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა [. . .] მთელი დიალექტიკური ლოგიკა გაშლილი უსასრულო დასკვნაა და, პირიქით, უსასრულო დასკვნა არის შეკუმშული – ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი“. წერეთელი, სავლემ: *დიალექტიკური ლოგიკა*, გვ. 7.

⁵² ავალიანი, სერგი: *სავლემ წერეთელი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1967, გვ. 18.

⁵³ Gobar, Asch: "Contemporary Philosophy in Soviet Georgia", in: *Studies in Soviet Thought*, Bochenki, I. M. e. a., (Publishers), Volume 18., N. 4., Freiburg e. a., D. Reidel Publishing. Co 1978.

⁵⁴ თევზაძე, გურამ: *იმანუელ კანტი*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1974 წ.

კ. ბაქრაძის, ს. წერეთლის, ა. ბოჭორიშვილის კვლევებს⁵⁵. ავტორი აღნიშნავს, რომ “კანტი იმ დიდ საქმეს იწყებს, რომელმაც აუცილებლობით მიგვიყვანა ჰეგელის ფილოსოფიამდე”⁵⁶. თუმცა ტექსტი უმეტესად კანტის ფილოსოფიაზეა აქცენტირებული. ის არაჩვეულებრივ გზამკვლევს წარმოადგენს იმ ქართველი მკითხველისათვის, ვისაც კანტის ურთულესი ნაშრომის „წმინდა გონების კრიტიკის“ წაკითხვა და გაგება დაუსახავს მიზნად.

კანტის ფილოსოფიას იკვლევს ასევე სერგი დანელია ნაშრომში: „კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა“⁵⁷. ქართველი ფილოსოფოსი კანტის ფილოსოფიას განიხილავს, როგორც “ჰეგელის ისტორიზმის წინამორბედს“, გადმოსცემს კანტის თანამედროვე გერმანიაში არსებულ სიტუაციას, გვაცნობს კანტის ბიოგრაფიას, კანტის ფილოსოფიის წინაკრიტიკული პერიოდის დახასიათებას და მისი ფუნდამენტური ტექსტის „წმინდა გონების კრიტიკის“ ანალიზს.

კანტის მორალის ფილოსოფიის კვლევის მიმართულებით საინტერესოა გერონტი შუმანაშვილის ნაშრომი: „კანტის ეთიკური ფორმალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის“⁵⁸.

საქართველოში ჰეგელის ფილოსოფიას იკვლევდა ქართველი ფილოსოფოსი თამაზ ბუაჩიძე⁵⁹. მისი ცნობილი ნაშრომი „ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა“, წარმოადგენს ჰეგელის ფილოსოფიის იდეოლოგიისაგან თავისუფალი კვლევის მცდელობას.

საბჭოთა კავშირის დაშლის და შესაბამისად საბჭოთა ოფიციალური იდეოლოგიისაგან გათავისუფლების შემდეგ შესაძლებელი გახდა თავისუფალი კვლევა. დაიშალა საბჭოთა კავშირის ერთიანი ფილოსოფიური სივრცე, გაუქმდა რუსეთთან არსებული ტრადიციული კავშირები. ამას ბუნებრივია დაერთო

⁵⁵ იქვე, გვ. 6.

⁵⁶ იქვე, გვ. 6

⁵⁷ დანელია, სერგი: *კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა*, თბილისი, მეცნიერება 1977.

⁵⁸ შუმანაშვილი, გერონტი.: *კანტის ეთიკური ფორმალიზმის მარქსისტული კრიტიკისათვის*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1974.

⁵⁹ ბუაჩიძე, თამაზ: *ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა*, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1976.

ოფიციალური იდეოლოგიისაგან გათავისუფლება და ცენზურის გაუქმება. საჭირო იყო ძველის გადააზრება და ახალი კავშირების მოძიება, სხვადასხვა სახის, ყველა მიმართულების რეფორმა, რომელიც მრავალწლიანი საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის ქვეშ პარალიზებულ ცნობიერებას გამოაღვიძებდა.

1993 წელს ქვეყნდება ნაშრომი „*ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში*“⁶⁰, რომელიც ქართველ ფილოსოფოსთა ავტორთა ჯგუფმა გამოსცა. ნაშრომში გერმანული იდეალიზმის ნაწილს ფილოსოფოსი გურამ თევზაძე ამუშავებს. ნაშრომი გამოიცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან სულ მცირე ხანში.

ფიხტეს ფილოსოფიაზე ზაზა ფირალიშვილი 1994 წელს აქვეყნებს ნაშრომს „*იოჰან გოტლიბ ფიხტე და ადამიანის ეთიკური კონცეფციის საკითხები*“⁶¹, და 2003 წელს ტექსტს „*იოჰან გოტლიბ ფიხტეს ფაუსტური ანთროპოლოგია*“⁶². საქართველოში ფიხტეს ფილოსოფიის კვლევაში არსებული ვაკუუმი ამ ნაშრომებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს.

საქართველოში ჰეგელის ფილოსოფიის რეცეფციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართველი ფილოსოფოსის მამუკა ბერიაშვილის კვლევები ჰეგელის ფილოსოფიაზე, რომელიც ხასიათდება ჰეგელის თანამედროვე აქტუალური დისკუსიების ცოდნითა და ღრმა ანალიზით⁶³.

აქვე უნდა აღვნიშნოთ მამუკა ბიჭაშვილის ნაშრომი „*პოლიტიკური თეორიები*“⁶⁴, რომელშიც ავტორი ჰეგელის პოლიტიკის ფილოსოფიას ცალკე თავს მიუძღვნის⁶⁵.

⁶⁰ *ნარკვევები ფილოსოფიის ისტორიაში*, თბილისი, გამომცემლობა „განათლება“ 1993.

⁶¹ ფირალიშვილი, ზაზა: *იოჰან გოტლიბ ფიხტე და ადამიანის ეთიკური კონცეფციის საკითხები*, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“ 1994 წ.

⁶² ფირალიშვილი, ზაზა: *იოჰან გოტლიბ ფიხტეს ფაუსტური ანთროპოლოგია*, თბილისი, გამომცემლობა „ქართული წიგნი“ 2003 წ.

⁶³ ბერიაშვილი, მამუკა: „თავისუფლება როგორც სიყვარული და მაღარებელი თვითცნობიერება გ. ვ. ჰეგელის ფილოსოფიაში“, *ფილოსოფიური განაზრებანი*, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2. (2002), გვ. 127-152.

⁶⁴ ბიჭაშვილი, მამუკა: *პოლიტიკური თეორიები*, წიგნი მეორე, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2009.

⁶⁵ იქვე, გვ. 119-146.

შელინგის კვლევის მიმართულებით საინტერესოა 2009 წელს გამოცემული არსენი ბურჯალიანის წიგნი სახელწოდებით: „*ფ. ვ. ი. შელინგის ფილოსოფიური შეხედულებები*“⁶⁶. შესავალში ავტორი განიხილავს შელინგის ფილოსოფიას ზოგადად. ამავე წიგნში ა. ბურჯალიანი გვთავაზობს შელინგის ტექსტის: „*შესავალი ნატურფილოსოფიის სისტემის მონახაზისათვის, ანუ სპეკულატიური ფიზიკის ცნებისა და ამ მეცნიერების სისტემის შინაგანი ორგანიზაციის შესახებ*“, ქართულ თარგმანს.

გერმანული იდეალიზმის ქართული რეცეფციების შესახებ ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოში არსებული კვლევები ფრაგმენტულია. მისი ეს ხასიათი მნიშვნელოვნად განაპირობა იმ ისტორიულმა გარემოებებმა, რომელიც ხშირად მხოლოდ ფილოსოფიური კვლევების ხასიათზე კი არა, არამედ ადამიანთა ბიოგრაფიებზეც ტრაგიკულად აისახებოდა. ამან გამოიწვია ის, რომ პრაქტიკულად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილი კვლევის ახალი მიმართულებები, რომელმაც შელინგის პოზიტიური ფილოსოფია გამოიყვანა ფილოსოფიის ისტორიის კულისებიდან ძირითად სცენაზე, საქართველოში არცერთი სიტყვით არ იყო მოხსენიებული. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სწორედ დასახელებული ქართველი ფილოსოფოსების დამსახურებაა ის, რომ საქართველოში დღეს არსებობს ინტერესი გერმანული იდეალიზმის კვლევის მიმართულებით.

⁶⁶ბურჯალიანი, არსენ: *ფ. ვ. ი. შელინგის ფილოსოფიური შეხედულებანი. (შესავალი ნატურფილოსოფიის სისტემის მონახაზისათვის, ანუ სპეკულატიური ფიზიკის ცნებისა და ამ მეცნიერების სისტემის შინაგანი ორგანიზაციის შესახებ)*, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“ 2009.

თავი 2.

შელინგის ფილოსოფიის კვლევის სირთულე

2.1. შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემა. საკითხის დასმა

ფილოსოფიის ისტორიაში შელინგის ფილოსოფიის ადგილის განსაზღვრისა და მისი ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემა ერთგვარ კავშირშია ერთმანეთთან და ორივე პრობლემურია. თუ პირველი საკითხის გადაწყვეტის გზა, როგორც უკვე ვნახეთ იყო ის, რომ შელინგის ფილოსოფია ძირითადად გერმანული იდეალიზმის განვითარების ერთიან კონტექსტში იყო მოაზრებული და განხილული, როგორც ჰეგელის ფილოსოფიის მომზადება, მეორე საკითხთან დაკავშირებით პრობლემა თავიდანვე ნათლად იკვეთებოდა.

მოცემულ თავში განხილულია შელინგის ფილოსოფიის კვლევის ისტორია. შელინგის კვლევის მდგომარეობა მოცემულ ნაშრომში დაყოფილია ორ ეტაპად. კვლევის პირველ ეტაპს წარმოადგენს პერიოდი, როცა შელინგის ფილოსოფიის კვლევისას ძირითადად მის ადრეულ, ან ნეგატიურ ფილოსოფიაზე კეთდებოდა აქცენტი; ხოლო მეორე ეტაპად განვსაზღვრავთ იმ პერიოდს, როცა შელინგის ტექსტი „სამყაროს ეპოქები“ უკვე გამოქვეყნებულია და ყურადღება ექცევა შელინგის გარდამავალ და გვიან, ან პოზიტიურ ფილოსოფიას. შესაბამისად იცვლება შელინგის ფილოსოფიის ადგილის განსაზღვრაზე შეხედულებაც. ნაშრომში გადმოცემულია შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები. ამის შემდეგ გადავალთ შელინგის ფილოსოფიის კვლევის ისტორიის სხვადასხვა ეტაპების მიხედვით ანალიზზე და ბოლოს კონკრეტულად შელინგის ტექსტის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის მდგომარეობის აღწერაზე.

შელინგის ნაშრომების ერთიანი კრებულის გამოცემა დაიწყო მისმა შვილმა 1856 წლიდან⁶⁷. ამ მრავალტომიან გამოცემაში შეკრებილია შელინგის ყველა გამოქვეყნებული ტექსტი და ასევე ის ტექსტებიც, რომლებიც მისი სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა მოიძია და გამოქვეყნებისათვის მზად და ვარგისად მიიჩნია. შელინგის ფილოსოფიის კვლევა ამ კრებულის გამოცემის პერიოდში უკვე დაწყებულია⁶⁸. როდესაც კვლევის ისტორიას ორ ნაწილად ვყოფთ და ამას ქრონოლოგიურადაც განვსაზღვრავთ (პირველი–მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე და მეორე აქედან მოყოლებული დღემდე) მხედველობაში გვაქვს ორი ასპექტი: **პირველი**, რომ დაახლოებით მეოცე საუკუნის 50-იან წლებამდე ძალაშია გერმანული იდეალიზმის ტრადიციული ინტერპრეტაციის (როგორც განვითარების ერთიანი ხაზისა კანტიდან ჰეგელამდე) ერთადერთობა, და **მეორე** ის ფაქტი, რომ ამ ინტერპრეტაციის შეცვლისათვის ბიძგი აღმოჩნდა შელინგის ტექსტი „*სამყაროს ეპოქები*“. შელინგის ეს ნაშრომი მხოლოდ 1946 წელს გამოქვეყნდა (ტექსტის გამოქვეყნების ისტორია დისერტაციის შესაბამის თავშია გადმოცემული).

შემდეგი პერიოდის კვლევებში ხაზი, რომელიც ისტორიის ფილოსოფიაში პირველად ედაურდ ჰარტმანთან იკვეთება, შემდეგ კვლევის განსაკუთრებულ ობიექტად გადაიქცა. კერძოდ თემატიზირებულია ის აზრი, რომ, დაახლოებით 1801 წლიდან მოყოლებული შელინგის ფილოსოფია უფრო გერმანული იდეალიზმის ალტერნატიულ გზებსა და ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებულ მიმართულებებს ეძებს. ეს ძიებები იკითხება მის მრავალრიცხოვან მცდელობებში, რომლებიც ფრაგმენტული, ხშირად დაუსრულებელი სახითაა დარჩენილი. მათგან შესაძლებელია სხვადასხვა თემატურად გაერთიანებული დაჯგუფებების შექმნა, მაგრამ ყველასი ერთ მთლიანობაში მოყვანა ძნელდება (ამ ფრაგმენტებში, პირველ რიგში ვგულისხმობთ, შელინგის ნაშრომის „*სამყაროს ეპოქების*“ იდეას). შელინგის ფილოსოფიაში ამ განსხვავებულის ან, შეიძლება

⁶⁷ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*, Stuttgart u.a., Cotta'scher Verlag 1856-1861.

⁶⁸ Vgl., Schneeberger, Guido: *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Eine Bibliographie*, Bern, Francke Verlag 1954, S. 58-176.

ითქვას, ახალი ძიებების დათარიღება თუ მოგვინდება, მისი საწყისები ნელ-ნელა უკვე იკვეთება შელინგის იგივეობის ფილოსოფიასა („Identitätsphilosophie“) და განსაკუთრებით შემდეგ 1809 წლის ტექსტში „*ფილოსოფიური კვლევები ადამიანური თავისუფლების არსებისა და მასთან დაკავშირებული საგნების შესახებ*“. ეს ფაქტი, პირველ რიგში, ჰეგელს არ გამოპარვია მხედველობიდან და შესაბამისად გამოხატა კიდევაც. ჰეგელს სწორედ შელინგის იგივეობის ფილოსოფია აქვს კრიტიკის სამიზნედ თავისი „*გონის ფენომენოლოგიის*“ შესავალში. ის კარგად ხედავს, რომ შელინგმა გერმანული იდეალიზმის სფერო თუ არ დატოვა, ეჭვის ქვეშ მანც დააყენა მისი ძირითადი თეზისები. ასე, რომ „*გონის ფენომენოლოგიის*“ გამოქვეყნების თარიღი 1807 წელი შეიძლება მივიჩნიოთ ჰეგელისა და შელინგის ფილოსოფიას შორის წინააღმდეგობის დაწყების თარიღად. პრაქტიკულად ჰეგელმა მონიშნა შელინგთან უკვე დაწყებული დაპირისპირება და შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიის განსხვავება ასე დაფიქსირდა. (საკითხი შელინგის და ჰეგელის ფილოსოფიის დაპირისპირების შესახებ უფრო ვრცლად სხვა თავში იქნება განხილული). თუმცა ის ხაზი, რომელიც შელინგის ფილოსოფიიდან სორენ კირკეგორის ფილოსოფიამდე მიდის ცოტა მოგვიანებით, შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ პროექტში, ჩნდება.

პირველ რიგში შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში გამოვყოფთ ორ ვრცელ პერიოდს: ერთია, გერმანული იდეალიზმის პრობლემატიკაზე ფიხტესა და ჰეგელთან ერთობლივად მუშაობის პერიოდი და მეორეა უკვე გერმანული იდეალიზმის კრიზისის გაცნობიერების პერიოდი, რაც შელინგის გვიანდელ პერიოდად ან პოზიტიურ ფილოსოფიად იწოდება. (თუმცა შესაძლოა გამოიყოს, საშუალო ან გარდამავალი პერიოდიც და ამ შემთხვევაში „*სამყაროს ეპოქების*“ პირველი, ადრეული ხელნაწერები, ანუ 1811, 1813 და 1815 წლების ვერსიები, საშუალო ან გარდამავალ პერიოდად განისაზღვროს). შელინგის განვითარების პირველი პერიოდი უშუალოდ ფიხტეს ნაშრომების: „*მეცნიერების თეორიის ცნების შესახებ*“⁶⁹ (1796/97) და მისი „*ზოგადი მეცნიერების თეორიის*

⁶⁹ Fichte, J. H.: *Über den Begriff der Wissenschaftslehre oder der sogenannten Philosophie*, 1794. 2. Aufl. 1798. Saemmtlich Werke, Bd. 1., Berlin, Verlag von Veit und Comp 1965.

საფუძვლების“ (1794)⁷⁰ გავლენებით ხასიათდება⁷¹. ფიხტეს შელინგზე გავლენებს აქცევს ყურადღებას ჰეგელიც, თავის ცნობილ 1801 წელს გამოცემულ ტექსტში „განსხვავება ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიურ სისტემებში“. ჰეგელი დასახელებულ ნაშრომში შელინგის ფილოსოფიას ამართლებს ფიხტეს ფილოსოფიასთან მიმართებაში.

შელინგის მეორე, გვიანი პერიოდის დახასიათებისას მნიშვნელოვანია ბაადერის ფილოსოფიის გავლენების გათვალისწინება. ეს გავლენები განაპირობებენ შელინგის ფილოსოფიაში ნეგატიურ (ადრეულ) და პოზიტიურ (გვიანდელ) პერიოდებს შორის განსხვავებას. აღვნიშნავთ, რომ ტექსტში „გერმანული იდეალიზმის სახელმძღვანელო“ შელინგის გვიანდელ ფილოსოფიაზე გადასვლის თარიღად სახელდება 1810 წელი და ეს თარიღი ემთხვევა შელინგის მიერ პროექტზე „სამყაროს ეპოქები“ მუშაობის დაწყებას.

2.2. შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპი

მოცემული თავის მიზნად განვსაზღვრავთ შელინგის ფილოსოფიის კვლევის თავისებურებებისა და ძირითადი მიმართულებების ანალიზს შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პირველი მცდელობების გადმოცემის აზრით. შელინგის ფილოსოფიური განვითარების პერიოდიზაციის საკითხთან დაკავშირებით მკვლევრები თავიდანვე განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდნენ. მოცემულ ნაშრომში ნაცადია შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის წამყვანი ვერსიების გადმოცემა სხვადასხვა მკვლევართა ფუნდამენტური ნაშრომების

⁷⁰Fichte, Johann Gottlieb.: Grundriss der gesamten Wissenschaftslehre, 1794. 2. Aufl. 1801, Saemmtlich Werke, Bd. 1., Berlin, Verlag von Veit und Comp. 1965.

⁷¹შელინგის ფილოსოფიური განვითარების ამ პერიოდს მიეკუთვნება მისი შემდეგი ტექსტები: „ბუნების ფილოსოფიის იდეებისთვის“ („Ideen zu einer Philosophie der Natur“ (1797), „ნატურფილოსოფიის სისტემის პირველი მონახაზი“ („Erster Entwurf eines Systems der Naturphilosophie“ (1797), „მეს, როგორც ფილოსოფიის პრინციპის ან ადამიანურ ცოდნაში უპირობოს შესახებ“ (Vom Ich als Princip der Philosophie oder über das Unbedingte im menschlichen Wissen (1795). Enzyklopädie Philosophie, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), Hamburg, Meiner Verlag 1999, S. 580.

მიხედვით. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს საკუთრივ შელინგის ფილოსოფიის კვლევის მიმართულებით არსებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის შექმნა, არამედ მხოლოდ შელინგზე არსებული ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა. შელინგის ფილოსოფიის კვლევის ორ პერიოდად დაყოფის მიზეზი და მიზანია დავინახოთ თუ როგორ შეიცვალა და კონკრეტულად რომელი ახალი ასპექტები შეიტანა შელინგის ფილოსოფიის კვლევაში მისი ტექსტის „*სამყაროს ეპოქების*“ აღმოჩენამ (იგულისხმება „*სამყაროს ეპოქების*“ მანუალებად შროტერის მიერ 1946 წელს გამოქვეყნებული შელინგის ნაშრომების საიუბილეო გამოცემაში მოთავსებული 1811 და 1813 წლების ვერსიები).

შელინგის ფილოსოფიაში არსებული ძირითადი მიმართულებებისა და საერთოდ კვლევის მდგომარეობის შესასწავლად დისერტაციაში ვეყრდნობით შემდეგ ტექსტებს, ესენია: გუიდო შნეებერგერის 1954 წელს გამოცემული ნაშრომი: „*ფრიდრიხ ვილჰელმ იოზეფ ფონ შელინგი. ბიბლიოგრაფია*“⁷², ჰანს იორგ ზანდქულერის ტექსტი: „*შელინგზე ლიტერატურის ისტორიული მიმოხილვა*“⁷³, ჰაინრიხ კნიტერმაიერის: „ასი წელი შელინგის გარდაცვალებიდან“⁷⁴, ვოლფგანგ ფორსტერის: „შელინგი დასავლეთის თანამედროვე ფილოსოფიაში“⁷⁵, ჰერმან ცელტნერის: „*შელინგის კვლევა 1954 წლიდან*“⁷⁶, ალდო ლანფრანკონის: „*შელინგის „სამყაროს ეპოქების“ ტექსტის განხილვა*“⁷⁷. პრაქტიკულად ამ ჩამონათვალში მოცემულია შელინგის კვლევის მდგომარეობის ამსახველი ყველა დღეისათვის ცნობილი ტექსტი. მათ განხილვასთან ერთად მოვიძიეთ და შელინგის

⁷²Schneeberger, Guido: *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Eine Bibliographie.*

⁷³Sandkühler, Hans Jörg: *Friedrich Wilhelm Joseph Schelling*, Stuttgart, J. B. Metzlersche Verlagsbuchhandlung 1970.

⁷⁴Knitterneyer, Hinrich: „Hundert Jahre nach schellings Tod, Knittermeyer“, in: *Philosophische Rundschau*, Gadamer, Hans-Georg u. a. (Hrsg.), Tübingen, J. G. B. Mohr (Paul Siebeck), 4. Jahrgang (1956), S. 1-58.

⁷⁵Förster, Wolfgang: „Schelling in der westdeutschen Gegenwartsphilosophie“, in: *Deutsche Zeitschrift fuer Philosophie*, Berlin, 16. Jahrgang, 1968, S. 859-871.

⁷⁶Zeltner, Hermann: *Schelling-Forschung seit 1954*, Erträge der Forschung, Bd. 42., Darmstadt, Wissenschaftliche Buchgesellschaft 1975.

⁷⁷Lanfranconi, Aldo: *Krisis, „Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, in: Abteilung II. Untersuchungen, Bd. 26., Spekulation und Erfahrung. Texte und Untersuchungen zum Deutschen Idealismus, Stuttgart u. a., Friedrich Frommann Verlag 1992.

ფილოსოფიის კვლევისა და მისი პერიოდიზაციის კუთხით გამოყენებულია მოცემულ თავში უკვე დასახელებულ იმ ავტორთა ტექსტები, რომლებმაც შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპი შექმნეს.

სანამ კონკრეტული ავტორების ტექსტებს შევხებით, წინასწარ აღვნიშნავთ, რომ მეცხრამეტე საუკუნესა და მეოცე საუკუნის დასაწყისში შელინგის ფილოსოფიისაკენ მიმართული ინტერესი ძირითადად მაინც ერთ ფოკუსში იყრის თავს და ესაა მისი ნეგატიური ფილოსოფია. ცალკეული ავტორების გარდა, რომლებიც შელინგის გვიან ფილოსოფიასაც აქცევდნენ ყურადღებას, ძირითადად მაინც შელინგის ფილოსოფიაში სწორედ ნეგატიურ ფილოსოფიაზე კეთდებოდა აქცენტი. მოცემულ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის გერმანული ფილოსოფიის კონტექსტში მოქცევის პრობლემურობა თავიდანვე ნათელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ შელინგი თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში არაფერს აქვეყნებდა და თავად შელინგის ნაშრომების ზოგიერთი ვერსიის ავთენტურობის საკითხიც დღემდე გასარკვევი და პრობლემურია.

წინასწარი შენიშვნის სახით ვიტყვით, რომ შელინგის ნეგატიური ფილოსოფიის ქვეშ მისი ადრეული ტექსტები ჯგუფდება. საზღვარი ადრეულ, ანუ ნეგატიურ და გვიანდელ, ანუ პოზიტიურ ფილოსოფიას შორის გაივლის 1809 წელზე. ეს ზღვარი სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებულადაა დაფიქსირებული და ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციისათვის თვალის გადევნება. შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპის სურათის შესაქმნელად შემოვიფარგლებით რამოდენიმე მნიშვნელოვანი ავტორის ტექსტის დასახელებით, ეს ავტორები არიან: ედუარდ ფონ ჰარტმანი, კუნო ფიშერი, ვილჰელმ ვინდელბანდი, ნიკოლაი ჰარტმანი და ედუარდ ერდმანი.

ედუარდ ფონ ფარტმანი შელინგის ფილოსოფიურ განვითარებას ორ ვრცელ პერიოდად ყოფს, რომლებიც შემდეგ კიდევ მცირე ქვეპერიოდებად ისახსრება. პირველია პანთეიზმის პერიოდი და ის მოიცავს 1794 დან 1806 წლებამდე პერიოდს. მეორეა თეიზმის პერიოდი, რომელიც იწყება 1806 წლით

დათარიღებული, ტექსტით „*ფორიზმები ნატურფილოსოფიის შესახებ*“⁷⁸ და სრულდება 1856 წელს. გარდამავალი პერიოდის ტექსტად ავტორი მიიჩნევს შელინგის 1809 წელს თავისუფლებაზე დაწერილ ნაშრომს. ედუარდ ფონ ჰარტმანი შელინგის ფილოსოფიის ამ ორ პერიოდს ასე ახასიათებს: „პირველ პერიოდში იგი გვევლინება წმინდა რაციონალიზმისა და წმინდა პანთეიზმის წარმომადგენლად. მეორე პერიოდში იგი რაციონალიზმის განვრცობას უფრო მაღალი ემპირიზმით ან პოზიტივიზმით, ხოლო პანთეიზმის გაღრმავებას სპეკულატიური თეიზმით ცდილობს“⁷⁹. ედუარდ ფონ ჰარტმანი გვიან შელინგსა და შოპენჰაუერის ფილოსოფიას შორის კავშირს ხედავს. შელინგის გვიან ფილოსოფიას ქრისტიან ჰერმან ვაისესთან ან იმანუელ ჰერმან ფიხტესთან აკავშირებს. ედუარდ ფონ ჰარტმანმა პირველმა მიუთითა შელინგის გვიანდელი ფილოსოფიის გერმანული იდეალიზმისაგან განსხვავებასა და ამ განსხვავების მნიშვნელობაზე. ედუარდ ფონ ჰარტმანი შელინგის ტექსტს „*სამყაროს ეპოქები*“ ფილოსოფოსის მნიშვნელოვანი ტექსტების ჩამონათვალში⁸⁰ მოიხსენიებს.

შელინგის ბიბლიოგრაფიის შემქმნელი, გუიდო შნეებერგერი, 1954 წელს გამოცემულ შელინგის ბიბლიოგრაფიაში შელინგის ნაშრომს „*სამყაროს ეპოქები*“ საერთოდ არ მოიხსენიებს ცალკე მონოგრაფიის სახით, არამედ მხოლოდ, როგორც შელინგის მიერ დაწერილ ცალკეულ ფრაგმენტს. შელინგის ეს ტექსტი ცალკე სახით არ მოიხსენიება იგივე ავტორის შელინგის ბიბლიოგრაფიის განახლებულ, 1977 წლის, ვერსიაში⁸¹.

⁷⁸Hartmann, Eduard: *Schelling's philosophisches System*, Leipzig, Hermann Haacke Verlagsbuchhandlung 1897, S. 223.

⁷⁹“In der ersten Periode huldigt er einem reinen Rationalismus und reinen Pantheismus; in der zweiten Periode sucht es den Rationalismus durch einen höheren Empirismus oder Positivismus zu ergänzen und den Pantheismus durch einen spekulativen Theismus zu vertiefen“. Hartmann, Eduard: *Schelling's philosophisches System*. S. 1. S.

⁸⁰იქვე, 223 S.

⁸¹გუიდო შნეებერგერი ასე წერს: “Die Weltalter. Bruchstück. Entschanden ca. 1811. Anm. zu 2. Auch selbständig erschienen: Die Weltalter. Herausgegeben mit Einleitung und Anmerkungen von Ludwig Kuhlenbeck. Leipzig 1913 [...] Schelling. Ages of the World. Translated with Introduction and Notes by Frederick de Wolfe Bolman Jr. New York, Columbia University Press. 1942“. Schneeberger, Guido: *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Eine Bibliographie*, S.12. und S. 8-10. ამ პასაჟს ტექსტში მოყვება

კუნო ფიშერი 1899 წელს გამოცემული ნაშრომის: „ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიის“ მეშვიდე ტომში⁸² შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში ოთხ პერიოდს გამოყოფს, ესენია:

1. მეცნიერების თეორიიდან ბუნების მეცნიერებამდე (1794/1797)
2. ბუნების მეცნიერება (1797/1807)
3. იგივეობის ფილოსოფია (1800/1804)
4. რელიგიის ფილოსოფია (1809 წლის შემდეგ)

ვილჰელმ ვინდელბანდი ნაშრომში: „ახალი დროის ფილოსოფიის ისტორია“⁸³ შელინგის ფილოსოფიური განვითარებაში 5 პერიოდს განასხვავებს. ეს პერიოდებია:

1. 1797/1799 ნატურფილოსოფიის პერიოდი.
2. 1800 და 1801 ესთეტიკური იდეალიზმი
3. 1801/1804 აბსოლუტური იდეალიზმი
4. 1804/1813 მოძღვრება თავისუფლებაზე, (თავისუფლების ფილოსოფია)
5. 1813 შემდეგ პოზიტიური ფილოსოფია⁸⁴

ნიკოლაი ჰარტმანი⁸⁵ შელინგის ფილოსოფიურ განვითარებას ხუთ პერიოდად ყოფს, ესენია:

1. ნატურფილოსოფია 1799 წლამდე
2. 1800 წლის ტრანსცენდენტალური იდეალიზმი
3. 1801/1804 წლების იდენტობის ფილოსოფია
4. 1809 წლის თავისუფლების ფილოსოფია
5. გვიანი შელინგის რელიგიის ფილოსოფია, დაახლოებით 1815 წლიდან.

ცნობები უკვე შროტერისეულ გამოცემაზე გვ. 15 და გვ. 20–22. Schneeberger, Guido: *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Eine Bibliographie*, S.12. und S. 8-10.

⁸²Fischer, Kuno: *Geschichte der neueren Philosophie*. Jubiläumsausgabe, Bd. VII. *Schellings Leben, Werke und Lehre*, Zweite durchgesehene und vermehrte Auflage, Heidelberg, Carl Winter's Universitätsbuchhandlung 1899.

⁸³ Windelband, Wilhelm: *Die Geschichte der neueren Philosophie mit der allgemeinen Kultur und den besonderen Wissenschaften. Von Kant bis Hegel und Herbart*, Bd 2., 4. Durgesehene Auflage. Leipzig, Druck und Verlag von Breitkopf und Härtel 1907.

⁸⁴ Ebd., S. 240.

⁸⁵ Hartman, Nicoletti: *Philosophie des deutscher Idealismus*, 1 Band, *Fichte, Schelling und die Romantik*, II Band. *Hegel*. Dritte, unveränderte Auflage, Berlin u. a. Walter de Gruyeter 1974.

სხვა ავტორი, ედუარდ ერდმანი თავის 1866 წელს გამოქვეყნებულ „ფილოსოფიის ისტორიაში“⁸⁶ შელინგის იგივეობის ფილოსოფიას და მანამდელ პერიოდს ათავსებს ნაშრომის მეოთხე თავში სათაურით: “იგივეობის სისტემა (შელინგის ცხოვრება და ნაშრომები)”⁸⁷, ხოლო შელინგის გვიანი პერიოდის ფილოსოფიას გადმოსცემს მეხუთე თავში, რომლის სათაურიცაა “პანთეიზმი, ინდივიდუალიზმი და მათი გაშუალება კრიტიკული თვალსაზრისით“, სახელწოდებით: „შელინგის თავისუფლებაზე მოძღვრება“⁸⁸.

აქვე უნდა ვახსენოთ კარლ გროსის 1889 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი: „წმინდა გონების მეცნიერება. შელინგის რაციონალური ან ნეგატიური ფილოსოფიის სისტემური გადმოცემა“, ასევე ფრანც კონსტანტინის 1879 წელს დაწერილი ტექსტი: „შელინგის პოზიტიური ფილოსოფია“ და სხვები.

განხილული ავტორების აზრის დაჯამებისა და საერთო დასკვნების გასაკეთებლად შევნიშნავთ, რომ ყველა მათგანისათვის არსებითია ის, რომ 1. ძირითადად ყველა მითითებული ტექსტი შელინგის ნეგატიურ ან რაციონალურ ფილოსოფიას იკვლევს. მათ მხედველობაში აქვთ და საფუძვლად უდევთ იდეა იმის შესახებ, რომ გერმანული იდეალიზმი ჰეგელის ფილოსოფიით სრულდება (ამ სიტყვის, როგორც სრულყოფის აღმნიშვნელი შინაარსით). უფრო გვიანი პერიოდის ერთ-ერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ შელინგის კვლევაში ამ აქცენტების შეცვლა ვერ მოახერხა: “ვერც 1861 წელს გამოცემულმა *სამყაროს ეპოქების* ფრაგმენტმა”⁸⁹ (იგულისხმება კარლ ფრიდრიხ აუგუსტ შელინგის 1861 წელს გამოქვეყნებული „*სამყაროს ეპოქების*“ 1814 ან 1815 წლის ვერსია⁹⁰) და 2. რომ

⁸⁶ Erdmann, Johann Eduard: *Grundriss der Geschichte der Philosophie*, Zweiter und letzter Band: *Philosophie der Neuzeit*, Berlin, Verlag von Wilhelm Hertz 1866.

⁸⁷ იქვე, § 317, გვ. 482.

⁸⁸ იქვე, § 323, გვ. 553.

⁸⁹ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 90.

⁹⁰ მოცემული ტომის შესავალში, რომელიც მოიცავს შელინგის 1811 და 1815 წლების ტექსტებს, გამომცემელი, კარლ ფრიდრიხ აუგუსტ შელინგი, წერს, რომ ის ვერ დააზუსტებს „*სამყაროს ეპოქების*“ მის მიერ გამოცემული ტექსტის ზუსტ თარიღს და რომ ის შესაძლოა იყოს 1814 წლის ან 1815 წლის ვერსია. თუმცა შემდეგ ტექსტის დაწერის თარიღი დაზუსტდა და შელინგის შვილის, კარლ ფრიდრიხ აუგუსტ შელინგის 1861 წელს გამოცემული ტექსტი დღეს უკვე მესამე, 1815 წლის, ვერსიად მიიჩნევა. ამის შესახებ უფრო კონკრეტულად ქვევით გვეჩვენება საუბარი. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke. 1811-1815*, Bd. I,8. Stuttgart u. a., Cotta'scher Verlag 1861. S. V.

გერმანული იდეალიზმის კლასიკური, ტრადიციული გაგება (როგორც განვითარების გზა კანტიდან ჰეგელამდე) და ამ გზის დასასრულად ან სრულყოფილ გამოვლენად ჰეგელის ფილოსოფიის მიჩნევა, ეჭვის ქვეშ შეიძლება დადგეს. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ გამოკვეთილად საუბარი შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველ პერიოდში არ გვხვდება, შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრებლემის გამოკვეთამ უკვე აჩვენა და მოითხოვა ახალი მიმართულებით კვლევა. კერძოდ ეს ახალი მიმართულება ასე შეიძლება გამოკვეთოთ: როგორია შელინგის გვიანი ფილოსოფიის არსი? ანუ უნდა დაზუსტდეს, თუ კერძოდ რა კონტექსტში უნდა მოხდეს შელინგის გვიანი ფილოსოფიის მოაზრება (გერმანული იდეალიზმის თუ მისი შემდგომი ფილოსოფიის ან სულაც როგორც მათ შორის ხიდის ფუნქციის მქონედ). მართალია შელინგის ფილოსოფიის კვლევისას თავიდანვე ყურადღება ექცეოდა მისი ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განსხვავებას, მაგრამ „*სამყაროს ეპოქების*“ ახალი ვერსიების აღმოჩენამ და მისი კვლევის დაწყებამ ამ განსხვავების როგორობის დასადგენად ახალი შტრიხები მოგვაწოდა. სრულიად თვალსაჩინო იყო ის, რომ შელინგის პოზიტიური ფილოსოფია ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკას შეიცავდა და ისიც, რომ შელინგი ამ კრიტიკით ფაქტობრივად გერმანული იდეალიზმის კრიზისს აანალიზებს. შელინგი ცდილობს გერმანული იდეალიზმი ჰეგელის ფილოსოფიისაგან განსხვავებული მიმართულებით განავითაროს. ის მითითებები, რომელიც მანამდე ცალკეულ ავტორებთან სხვადასხვა სახით კეთდებოდა და ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა გარკვეულ პერიოდამდე მხოლოდ ცალკეულ მცდელობებად რჩებოდა. შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ (1811 და 1813 წლების ხელნაწერები) ახალი ვერსიების აღმოჩენამ აუცილებლობით მოითხოვა, რომ შელინგის პოზიტიური ფილოსოფია გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიასთან კონტექსტში ყოფილიყო განხილული.

2.3. ახალი, მეორე ეტაპი, შელინგის ფილოსოფიის კვლევაში: შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევა

შელინგის ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემურობამ ფილოსოფიის ისტორიაში მისი ადგილის განსაზღვრის შესახებ კითხვა დასვა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სულ ცოტა, მისი ფილოსოფიის პერიოდიზაციის შეუძლებლობაზე დაიწყო ლაპარაკი. მაგალითად შელინგის ფილოსოფიის ერთ-ერთი მკვლევარი, ჰარალდ ჰოლცი წერს: შელინგის ფილოსოფიის კვლევა თავიდანვე დილემის წინაშე აყენებს მკვლევარს და არ იცი როგორ განსაზღვრო მისი ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში⁹¹. სხვა ავტორი, ალდო ლანფრანკონი, ამოდის იქიდან, რომ შელინგის ფილოსოფიის ერთიან სისტემად გააზრება შეუძლებელია და ამიტომ თვლის, რომ მისი ტექსტების დალაგებისთვის კრიტერიუმის შერჩევისას ვერც თემატურად დალაგების მეთოდს ვერ გამოვიყენებთ. ასეთ შემთხვევაში ავტორი შელინგის ტექსტების უბრალოდ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოწესრიგების მეთოდს გვთავაზობს⁹². წინა თავში გამოკვეთეთ ის სირთულე, რომ შელინგის ფილოსოფიის დალაგება, ტექსტების ერთიანობაში მოყვანა თავიდანვე (19 საუკუნიდანვე) პრობლემას წარმოადგენდა. შელინგის ნაშრომის „*სამყაროს ეპოქების*“ ახალი ხელნაწერების აღმოჩენამ ერთი მხრივ, მართალია ახალი კითხვები წარმოშვა, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ტექსტმა შელინგის “ფილოსოფიის კვლევის გამოცანა”⁹³ ამოხსნა. აღმოჩნდა, რომ შელინგის მრავალწლიანი დუმილის მიზეზი მისი გამოუქვეყნებელი ხელნაწერების დროებითი დაკარგვა იყო. სწორედ ამაზე გვესაუბრებიან მეოცე საუკუნეში თავიანთ მონოგრაფიებში ჰარალდ ჰოლციც და ალდო ლანფრანკონიც.

⁹¹Holz, Harald: *Spekulation und Faktizität. Zum Freiheitsbegriff des mittleren und späteren Schelling*, Abhandlungen zur Philosophie, Psychologie und Pädagogik, Bd. 65., Bonn, H. Bouvier u. CO. Verlag 1970, S. 89.

⁹²Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 14-15.

⁹³Coreth, Emerich: *Philosophie des 19. Jahrhundert*, In: *Grundkurs Philosophie*, Bd 9., Dritte, durchgesehene Auflage, Stuttgart u. a., Verlag W. Kohlhammer 1997, S. 44.

ამ შენიშვნის მიზანია, რომ წინასწარვე აქცენტი გაკეთდეს შელინგის ფილოსოფიის კვლევის, განსაკუთრებით მისი ფილოსოფიის პერიოდიზაციის პრობლემურობის ფაქტზე. შელინგის ფილოსოფიის კვლევის მეორე ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ შელინგის ფილოსოფიის გერმანული იდეალიზმისაგან მოწყვეტილად ან მისი ცალკე განხილვის ტენდენციაც იზრდება.

შელინგის ფილოსოფიის ცალკე კვლევის აუცილებლობის შესახებ ბევრი ავტორი წერს: „უფრო აზრიანი იქნება [...] იმის ჩვენება, რომ შელინგის ფილოსოფია უნდა დავინახოთ როგორც „კონტინუმი.“ (ლოერი, 1974) და მასში ვეძებთ „მხოლოდ შელინგი“ (ერჰარდტი 1977). [...] „შელინგის გვიანი ფილოსოფიის სამართლიანი ინტერპრეტაციისათვის გვჭირდება ახალი, მომდევნო ტექსტების გაანალიზება, რომლებიც განავრცობენ „ნაშრომების კრებულში“ მოცემულ (ტექსტებს ნ. რ.) (ჰორსტ ფურმანსი)“⁹⁴. ამ სიტყვების დაწერის მომენტში შელინგის ახალი ტექსტების კვლევა და შელინგის *“ნაშრომების კრებულის”* შევსება უკვე დაწყებული იყო. ამ ეტაპზე შევეხებით რამოდენიმე ტექსტს, რომელიც შელინგის ფილოსოფიაში განსაკუთრებულ აქცენტს მისი განვითარების გვიან პერიოდზე აკეთებს.

ამ მიმართულებით პირველ რიგში მარტინ ჰაიდეგერის ტექსტი: *„შელინგის მიმოხილვა ადამიანური თავისუფლების არსების შესახებ“* (1809)⁹⁵ უნდა დასახელდეს. ეს არის ჰაიდეგერის 1936 წლის ზაფხულის სემესტრში წაკითხული ლექციები. როგორც სათაურიდან ჩანს ჰაიდეგერი აქცენტს შელინგის თავისუფლების შესახებ დაწერილ ტექსტზე აკეთებს და ასე ახასიათებს: „ეს ნაშრომი შელინგის უდიდესი მიღწევაა, და იგი ამავედროულად წარმოადგენს

⁹⁴„Inzwischen scheint es aber sinnvoller, [...] daß die Philosophie Schellings “als Kontinuum anzusehen ist“ (Loer, 1974) und “Nur ein Schelling“ (Erhardt 1977) gesucht werden muß [...] “wir für ein gültiges Interpretieren der Schellingischen Spätphilosophie neuer, weiterer Texte bedürfen, die das in den “Sämtlichen Werken“ gegebene ergänzen“ (Horst Fuhrmans)“. Ehrhardt, Walter E.: “Zum Stand der Schelling-Forschung“, In: Sandkühler, Hans Jörg. (Hrsg.): *F. W. J. Schelling*, Mit Beiträgen Danz Christian u. a. Sammlung Metzler, Bd. 311., Stuttgart, Verlag J. B. Metzler 1998, S. 40.

⁹⁵ Heidegger, Martin: *Schellings Abhandlungen über das Wesen der menschlichen Freiheit (1809)*, Peick, Hildegard, (Hrsg.), Tübingen, Max Niemeyer Verlag 1971.

გერმანული და შესაბამისად ევროპული ფილოსოფიის ერთ-ერთ ღრმა ნაშრომს⁹⁶. საინტერესოა ასევე ჰაიდეგერის ნაშრომი „გერმანული იდეალიზმის მეტაფიზიკა“⁹⁷, რომელიც წარმოადგენს ჰაიდეგერის პირველი ტექსტის განახლებულ ვერსიას და ჰაიდეგერის 1941 წლის ზაფხულის სემესტრზე წაკითხული ლექციებს. ჰაიდეგერი შელინგის ფილოსოფიას მოიხსენიებს, როგორც „გერმანული იდეალიზმის მეტაფიზიკის მწვერვალს“⁹⁸. ჰაიდეგერის ეს ორი ტექსტი საკითხის დასმისა და შელინგის ფილოსოფიის ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისით შელინგის კვლევის მეორე ეტაპს წარმოადგენს. საინტერესოა ის, რომ ჰაიდეგერი გერმანული იდეალიზმის განხილვისას სწორედ შელინგის ფილოსოფიის მნიშვნელობას წამოსწევს წინ.

გერმანული იდეალიზმისა და შელინგის სრულიად ახალ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ვალტერ შულცი. მისი შელინგის ფილოსოფიის კვლევა სულ სხვა მიმართულებით მიდის, ვიდრე ეს აქამდე იყო უმეტეს ნაშრომებში მოცემული. მისი კვლევა მთლიანად შელინგის გვიან ფილოსოფიაზეა კონცენტრირებული. ვალტერ შულცი შელინგის გარდამავალი და გვიანი პერიოდის ფილოსოფიას აკავშირებს სორენ კირკეგორის, ნეცშეს, მარქსისა და ჰაიდეგერის ფილოსოფიასთან. ტექსტი საინტერესოა შელინგის გერმანული იდეალიზმისაგან სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებებთან პარალელების თვალსაზრისით. ვალტერ შულცი ერთ-ერთი პირველია, ვინც შელინგის პოზიტიური ფილოსოფია გერმანული იდეალიზმიდან გამოაცალკევა და ის განიხილა გერმანული იდეალიზმის შემდგომი ფილოსოფიის კონტექსტში. ვალტერ შულცის მცდელობა, რომ შელინგის ფილოსოფია გერმანული იდეალიზმისაგან განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებებთან კონტექსტში განეხილა გადატრიალება იყო შელინგის ფილოსოფიის კვლევაში. ვალტერ შულცის ამ ინტერპრეტაციას თავიდანვე გამოუჩნდა ძლიერი კრიტიკოსი, შელინგის

⁹⁶“Sie ist Schellings groesste Leistung, und sie ist zugleich eines der tiefsten Werke der deutschen und damit der abendlaendischen Philosophie”, იქვე, გვ. 2.

⁹⁷Heidegger, Martin: *Die Metaphysik des deutschen Idealismus. Philosophische Untersuchungen über das Wesen der Menschlichen Freiheit und die damit zusammenhängenden Gegenstände (1809)*, Frankfurt a. M. Vitorio Klostermann 1991.

⁹⁸იქვე, გვ. 1.

ასევე მნიშვნელოვანი მკვლევრის, ჰორსტ ფურმანსის სახით. მიუხედავად ამისა, სწორედ ვალტერ შულცის თეორიამ აჩვენა შელინგის ფილოსოფიის კვლევის ახალი პერსპექტივები.

ამ ახალი პერსპექტივის მიმართულებით ვალტერ შულცს თავისი მიმდევრები გამოუჩნდნენ. ვგულისხმობთ იმას, რომ შელინგის ფილოსოფია აღარ არის განხილული მხოლოდ გერმანული იდეალიზმის, როგორც ჰეგელის ფილოსოფიის წინარე საფეხური. ამ თვალსაზრისით ორ თანამედროვე ავტორს დავასახელებთ, ესენი არიან: მიხელე კოში და ლორე ჰუნი. მიხელე კოშის შელინგის ფილოსოფიაზე დაწერილი ნაშრომი⁹⁹ წარმოადგენს შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევას (უმეტესად შელინგის თავისუფლების შესახებ დაწერილი ტექსტისა და ასევე შელინგის 1830 და 1840 წლების პოზიტიური ფილოსოფიის კვლევას¹⁰⁰). მიხელე კოშის ნაშრომი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმით, რომ ავტორი შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიას აკავშირებს სორენ კირკეგორის ფილოსოფიასთან და შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიას განიხილავს გონებისა და თავისუფლების დაპირისპირების კუთხით.

ლორე ჰუნი თავის კვლევებში აქცენტს აკეთებს შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის ახალი კონტექსტების ძიებაზე¹⁰¹. მის ტექსტებში შელინგის ფილოსოფიური განვითარების გვიანი პერიოდი სორენ კირკეგორის ფილოსოფიასთან კავშირში მოიაზრება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ტექსტი წარმოადგენს შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევაში ახალი მიმართულებების აღმოჩენის მცდელობას. ეს კვლევები აქტიურად ვითარდება დღესაც და წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთ აქტუალურ დისკუსიას.

⁹⁹ Kosch, Michelle: *Freedom and Reason in Kant, Schelling and Kierkegaard*, Glarendon Press-Oxford 2006.

¹⁰⁰ იქვე, გვ. 87–139. S.

¹⁰¹ Hühn, Lore: *Kierkegaard und der Deutsche Idealismus. Konstellationen der Übergangs*. Philosophische Untersuchungen, 22. Figal, Günter u. a. (Hrsg.), Tübingen, Mohr Siebek 2009.

2.4. შელინგის ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის მდგომარეობა

შელინგის მთლიანი ფილოსოფიის კვლევის ისტორიის განხილვის შემდეგ დისერტაციის მოცემულ ნაწილში უკვე კონკრეტულად მისი ტექსტის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის ისტორიასა და ამ კვლევის დღევანდელ მდგომარეობას განვიხილავთ. გასათვალისწინებელია, რომ არსებობს „სამყაროს ეპოქების“ ადრეული და გვიანი ვერსიები. ადრეული ვერსიებს წარმოადგენს ტექსტის 1811, 1813¹⁰² და 1815¹⁰³ წლების ხელნაწერები, ხოლო გვიან ვერსიებად მიიჩნევა შელინგის 1827/1828 წლების მიუნხენის ლექციები¹⁰⁴. აქცენტს გავაკეთებთ ტექსტის ადრეული ვერსიების კვლევაზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ „სამყაროს ეპოქების“ ყველა ვერსია მთლიანობაშია განხილული. დისერტაციის ამ ნაწილში წარმოვადგენთ კვლევის ზოგად სურათს. მიზანია არა ყველა, უკვე არსებული ნაშრომის, სტატიისა და დისკუსიის შინაარსის ზედმიწევნით სრულად ასახვა, არამედ მხოლოდ კვლევის ძირითადი მიმართულებებისა და სამომავლო პერსპექტივის ჩვენება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, რომ თავად ტექსტის პრობლემატიკა და შინაარსი უკეთ წარმოვაჩინოთ.

თუ შელინგის ფილოსოფიის კვლევის პირველი ეტაპის ტექსტებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ ის მხოლოდ პოზიტიური ფილოსოფიის მოსამზადებელი პერიოდის ტექსტად განიხილება და ძნელად თუ მოიძებნება მისი შინაარსის ან პრობლემატიკის ანალიზისადმი მიძღვნილი ცალკეული ნაშრომი. ამ ეტაპზე ცხადია „სამყაროს ეპოქების“ მხოლოდ 1815 წლის ვერსიას ცნობილი და ამიტომაც შელინგის მკვლევარი მისი ფილოსოფიის კვლევის პირველ პერიოდში მონოგრაფიების სიმრავლით ვერ იქნება განებივრებული. კვლევის ეს სიმცირე თავიდანვე ხელს უშლიდა ტექსტში მოცემული სიახლის

¹⁰²Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, In: Schröter, Manfred, (Hrsg.), *Schellings Werke, Münchener Jubiläumsdruck, Nachlasband. Bd. 7.*, München, Biederstein Verlag u. a. 1946.

¹⁰³Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämtliche Werke. 1811-1815.* Bd. I,8.

¹⁰⁴Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *System der Weltalter. Münchener Vorlesung 1827/28 in einer Nachschrift von Ernst von Lasaulx*, Peetz, Siegbert Hrsg., Frankfurt a. M., Vittorio Klostermann 1990.

დანახვას. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ შელინგის ამ საოცარი იდეის ბედი მუდამ იწვევდა მკვლევართა ინტერესს.

„სამყაროს ეპოქების“ კვლევის გამოცოცხლება დაკავშირებულია ტექსტის ახალი ვერსიების აღმოჩენასა და გამოქვეყნებასთან. ეს მხოლოდ მეოცე საუკუნის 50-იანი წლებიდან მოხდა. შესაბამისად შელინგის ფილოსოფიის მანამდე არსებულ ლიტერატურაში თუ „სამყაროს ეპოქების“ მხოლოდ ძალზედ ფრაგმენტულ ხსენებაზე შეიძლება ლაპარაკი, მისი ახალი ვერსიების გამოქვეყნებამ მისკენ მიმართული კვლევები ცხადია ბევრად ინტენსიური გახადა.

შელინგის „სამყაროს ეპოქების“ რეცეფციებზე საუბრისას ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ მოცემული ტექსტის ადრეული (იგულისხმება მ. შროტერის შელინგის ნაშრომების საიუბილეო გამოცემამდე, ანუ 1946 წლამდე გამოცემული ხელნაწერები) ხსენებისას ბუნებრივია მხოლოდ ტექსტის შელინგის შვილის მიერ 1861 წელს გამოცემული ერთი ფრაგმენტი იგულისხმება (ანუ 1814/15 წლის ვერსია)¹⁰⁵. პრაქტიკულად მ. შროტერისეული ვერსიის გამოქვეყნებამდე, „სამყაროს ეპოქების“ სხვა ხელნაწერი არსად არ ფიგურირებს, ყოველ შემთხვევაში არაა გამოქვეყნებული. ჰორსტ ფურმანსი გაოცებით წერს, რომ შელინგს, რომელმაც მრავალი წლის მანძილზე იმუშავა ნაშრომზე „სამყაროს ეპოქებზე“, მიზნად არ დაუსახავს, ნაშრომის თუნდაც ერთი ნაწილის გამოქვეყნება. მისმა შვილმა კი გამოსაქვეყნებლად აირჩია ტექსტის განსაკუთრებულად დახურული ვერსია, რომლიც მან მე-8 ტომში გამოაქვეყნა. ჰ. ფურმანსს უკვირს, რომ მან 1811 და 1813 წლების ორივე ხელნაწერის უკვე დაწყებული ბეჭდვა გაუთვალისწინებლად მიატოვა და აღნიშნავს, რომ შემდგომ მისთვის ამ ვერსიების აღმოჩენა მიუნხენის ჩანაწერების შესწავლისას სრულიად მოულოდნელი იყო. ფ. ფურმანსი მანფრედ შროტერის წყალობითა და მცდელობით გამოქვეყნებულ „სამყაროს ეპოქებს“ გულისხმობს¹⁰⁶.

¹⁰⁵“Das hier veröffentlichte stammt wahrscheinlich aus dem Jahr 1814 (oder 1815) und ist die vollständigste unter der verschiedenen Überarbeitungen dieses Theils der Weltalter, die ich unter den Papieren Schelling vorfanden“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämtliche Werke. 1811-1815*, S.VIII. იხ. ასევე Lanfranco, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 82- 83.

¹⁰⁶Vgl.: “Man kann es nur höchst überraschend nennen, daß Schelling, der durch viele Jahre hindurch an den “Weltaltern“ gearbeitet hat, keinerlei Werte darauf gelegt hat, daß ein Teil des Bearbeiteten

ეს ფაქტები საშუალებას იძლევა, რომ *“სამყაროს ეპოქების“* კვლევის ისტორიაც ასევე ორ პერიოდად დაიყოს. პირველი პერიოდი იქნება 1946 წლამდე, ხოლო მეორე პერიოდი აქედან მოყოლებული ვიდრე დღემდე¹⁰⁷. თუ პირველი პერიოდი შინაარსობრივად მწირია და სულ რამოდენიმე ავტორის მიერ *“სამყაროს ეპოქების“* მხოლოდ ხსენებაზეა ლაპარაკი, მეორე ეტაპზე კვლევები შინაარსობრივად ბევრად ღრმა და მრავალფეროვანია. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ *“სამყაროს ეპოქებმა“* შელინგის ფილოსოფიის ისტორიული ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრისას ბევრი რამ შეცვალა და განაპირობა.

“სამყაროს ეპოქების“ კვლევის ისტორიის ანალიზისას ვეყრდნობით შემდეგი ავტორების ტექსტებს, ესენია: ალდო ლანფრანკონის 1992 წელს გამოცემული ნაშრომი *„კრიზისი, შელინგის სამყაროს ეპოქების ტექსტები“*¹⁰⁸, სადაც ავტორი კონკრეტულად შელინგის *„სამყაროს ეპოქების“* ირგვლივ არსებულ მნიშვნელოვან ლიტერატურას განიხილავს და იძლევა ტექსტის ყველა ცნობილი ადრეული ხელნაწერის ანალიზს. ალდო ლანფრანკონის ეს ნაშრომი ცხადია კვლევის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია. ის *“სამყაროს ეპოქების“* შესახებ დაწერილი ერთ–ერთი ყველაზე ფუნდამენტური ტექსტია და დისერტაციაში მის განხილვას შესაბამისი ადგილი ეთმობა.

მეორე ავტორია ჰანს იორგ ზანდქულერი და მისი 1970 წელს გამოცემული ტექსტი, რომელიც ზევით უკვე მოვიხსენიეთ *„ფრიდრიხ ვილჰელმ შელინგი“*. ამ ნაშრომში ავტორი თავს უყრის შელინგის ფილოსოფიაზე დაწერილ ლიტერატურას. თავად ჰანს იორგ ზანდქულერმა დისერტაცია შელინგის ფილოსოფიაზე დაიცვა¹⁰⁹, ის სათავეში უდგას შელინგის ფილოსოფიის ირგვლივ

veröffentlicht würde. Fritz Schelling wählte ein besonders geschlossenes Manuskript, das es in Bd. VIII veröffentlichte. Die beiden angefangenen Drucke von 1811 und 1813, von denen sich jeweils der ganze erste Teil erhalten hatte, ließ er unberücksichtigt. Es war meine größte Überraschung, sie bei der Durchsicht des Münchener Nachlasses zu finden. Dank Manfred Schröters Mühe wurden sie veröffentlicht“. Fuhrmans, Horst: *“Dokumente zur Schellingforschung“*, In: *Kant-Studien*, Bd. 51., 1959/1960, S. 21.

¹⁰⁷ თუმცა არსებობს *„სამყაროს ეპოქების“* კვლევის ოდნავ განსხვავებული პერიოდიზაციაც, მაგალითად იგივე ალდო ლანფრანკონისმიერი.

¹⁰⁸ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*.

¹⁰⁹ Sandkühler, Hans Jörg: *Freiheit und Wirklichkeit. Zur Dialektik von Politik und Philosophie bei Schelling. Untersuchung zu „Freiheit“, „Recht“ und „Staat“ in der Philosophie Schellings*, Inaugural-

არსებულ კვლევებს, კონფერენციებს. ასევე ვეყრდნობით 1998 წელს, ჰანს იორგ ზანდქულერის მიერ გამოცემულ კრებულს¹¹⁰, რომელშიც თავმოყრილია შელინგის ფილოსოფიის კვლევის მდგომარეობაზე, ამ კვლევების ძირითად მიმართულებებზე უფრო უახლესი ინფორმაცია. დასახელებულ კრებულში შესული ერთ–ერთი სტატიის ავტორი, ვალტერ ერჰარტი თავის სტატიაში¹¹¹ აღნიშნავს, რომ შელინგის ფილოსოფიის კვლევაში ერთგვარი გარდატეხა შეიმჩნევა (ავტორი თანამედროვე პერიოდს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს გულისხმობს). აქვე მოვიხმობთ „სამყაროს ეპოქების“ და საერთოდ შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევის ისტორიის ამსახველ, 1975 წელს გამოქვეყნებულ, ჰერმან ცელტნერის ტექსტს: „შელინგის კვლევა 1954 წლიდან“¹¹².

შელინგის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის პირველ პერიოდთან მიმართებაში, რომელსაც, ალდო ლანფრანკონი მკითხველის დუმილის პერიოდს უწოდებს¹¹³, ფრანც როზენცვაიგი უნდა დავასახელოთ. მას მუდმივად აინტერესებდა შელინგის ეს ტექსტი და სვამდა შეკითხვას: დაამთავრა თუ არა შელინგმა „სამყაროს ეპოქებზე“ მუშაობა და ზოგადად რა ბედი ეწია შელინგის ამ ჩანაფიქრს. ფ. როზენცვაიგი თვლიდა, რომ ეს იყო ფილოსოფიაში ბოლო დროის ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნი¹¹⁴. ამას ფ. როზენცვაიგი 1921 წლის 18 მარტის, ერენბერგისადმი მიწერილ, წერილში აღნიშნავს. ფ. როზენცვაიგს შელინგის „სამყაროს ეპოქების“ სისტემა აინტერესებს ტექსტის პირველი ფრაზის გამო: „წარსული ვიცით, აწმყოს ვიმეცნებთ, მომავალს ვხვდებით (წინასწარგჭყრეტთ).“

Dissertation zur Erlangung des Doktorgrades der Philosophischen Fakultät des Westfälischen Wilhelms-Universität zu Münster (Westf.), Vorgelegt von Hans-Jörg Sandkühler aus Freiburg (Brsg.), 1968.

¹¹⁰F. W. J. Schelling, Sandkühler, Hans Jörg: (Hrsg.), Mit beitragen von Christian Danz u. a., Stuttgart u. a., Verlag J. B. Metzler 1998.

¹¹¹ Ehrhardt, Walter E.: *Zum Stand der Schelling-Forschung*, In: F. W. J. Schelling, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), mit Beiträgen Danz Christian u. a., Sammlung Metzler, Bd. 311., Stuttgart, Verlag J. B. Metzler 1998. S. 40-49.

¹¹²Zeltner, Hermann: *Schelling-Forschung seit 1954*. Erträge der Forschung, 42. Bd., Darmstadt, Wissenschaftliche Buchgesellschaft 1975.

¹¹³Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 90.

¹¹⁴“Ich lese den Philosophischen Empirismus von 1827. Er ist wohl schlechter als die Weltalter. Die sind ein großes Buch bis zu Ende. Wen sie fertig geworden wären, so verdiente der Stern, außerhalb der Juden, nicht, daß ein Hahn nach ihm klärte“. Rosenzweig, Franz: *Briefe*, Ausgewählt und Herausgeben von Rosenzweig, Edith, Berlin, Schocken Verlag 1935, S. 399.

ნაცოდინარს მოვუთხოვობთ, შემეცნებულს წარმოვადგენთ, მიხვედრილს (განჭკვრეტილს) ვვარაუდობთ¹¹⁵. ეს არის ტექსტის დასაწყისის ფორმულა (მკვლევრები მას სწორედ ასე მოიხსენიებენ), რომელიც შელინგს „სამყაროს ეპოქების“ ყველა ვერსიაში უცვლელად გადააქვს. შელინგის ეს ფრაზა მისი ისტორიის გაგების თავისებურებას აჩვენებს. ისტორიის გაგება შელინგთან განსხვავდება ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის გაგებისაგან. შელინგი ბევრ სხვა ტექსტშიც აკრიტიკებს ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიას და ამ კრიტიკის დასაწყისი სწორედ „სამყაროს ეპოქებშია“ მოცემული. ფ. როზენცვაიგი არ იცნობდა „სამყაროს ეპოქების“ მ. შროტერის მიერ გამოქვეყნებულ ვერსიას. მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რომელსაც სხვადასხვა წლების წერილები ნათლად გვიჩვენებენ¹¹⁶, ფ. როზენცვაიგს შელინგის „სამყაროს ეპოქები“ სპეციალურად არ უკვლევია.

„სამყაროს ეპოქებს“ პირველად 1861 წელს ახსენებს შელინგის შვილი კარლ ფრიდრიხ აუგუსტ შელინგი. ის წერს: მთლიანობაში ნაშრომი სამი ნაწილისაგან ან სამი წიგნისაგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, დროის შედეგების შესაბამისად. ამ სამიდან პირველს უნდა მოეცვა დრო სამყაროს შექმნამდე, მეორეს თავად ამ სამყაროს დრო, და მესამეს დრო სამყაროს შემდეგ. ეს სამი დრო განისაზღვრა როგორც სამყაროს დროები ან უძველესი დროები. სამყაროს დროები, ეპოქები სხვა არაფერია, თუ არა სწორედ დროის ამ სამი დიდი განზომილების ისტორია¹¹⁷.

¹¹⁵ Vgl.: „Das Vergangene wird gewußt, das Gegenwärtige wird erkannt, das Zukünftige wird geahndet. Das Gewußte wird erzählt, das Erkannte wird dargestellt, das Geandete wird geweissagt“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 111.

¹¹⁶ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ.: Gibbs, Robert: „The Limits of Thought: Rosenzweig, Schelling and Cohen“, In: „Zeitschrift für philosophische Forschung“, Bd. 43., Meisenheim u. a., Verlag Anton Hain 1989, S. 625.

ასევე თავად ფ. როზენცვაიგის წერილები Rosenzweig, Franz: *Briefe*.

¹¹⁷ Vgl.: „Das ganze sollte aus drei Theilen oder Büchern bestehen, entsprechend einer Folge von Zeiten, von denen die erste als die Zeit vor der Welt, die zweite als die Zeit dieser Welt, die dritte als die Zeit nach der Welt, alle drei als die Welt-Zeiten oder Ur-Zeiten (χρόνοι αἰνοί) bestimmt wurden. Die Weltalter sollten nichts anderes seyn als eine Geschichte dieser drei großen Abmessungen der Zeit“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke. 1811-1815*, S.V.

ტექსტს „სამყაროს ეპოქები“ განიხილავს კუნო ფიშერიც¹¹⁸ თუმცა შელინგის ეს ტექსტი, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ნახსენებია. კუნო ფიშერი ცხადია იცნობს „სამყაროს ეპოქების“ მხოლოდ 1861 წელს გამოქვეყნებულ ვარიანტს.

„სამყაროს ეპოქების“ კვლევის ეს სიმწირე ან პრაქტიკულად არ არსებობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მანფრედ შროტერის მიერ ახალი ვერსიების გამოქვეყნებამ შეცვალა. თვითონ მ. შროტერი ამ გამოცემას ვრცელ წინასიტყვაობას ურთავს, რაც „სამყაროს ეპოქების“ პირველ, საფუძვლიან და დეტალურ კომენტარად შეიძლება ჩაითვალოს¹¹⁹. სწორედ მ. შროტერია პირველი მკვლევარი, რომელმაც დაალოცა და ერთმანეთს შეუთავსა ტექსტის სხვადასხვა წლებით დათარიღებული ხელნაწერები. მ. შროტერი ტექსტს თემატიკის მიხედვით ოთხ ნაწილად ყოფს და თითოეულ ნაწილს ასათაურებს. ამის შემდეგ ავტორი გვთავაზობს ტექსტის თემატიკის მიხედვით დალაგებას და ასევე განიხილავს „სამყაროს ეპოქების“ სხვადასხვა ვერსიების ნაწილების ურთიერთშესაბამისობის საკითხს. ამით მ. შროტერი მკითხველს შელინგის ამ რთული ტექსტის წაკითხვასა და გაგებას არსებითად უადვილებს. (მ. შროტერის მიერ „სამყაროს ეპოქების“ ნაწილებად დაყოფისა და დასათაურების თავისებურებები გადმოცემულია ნაშრომის სხვა თავში).

მ. შროტერის შემდეგ უნდა ვახსენოთ ისევ გუიდო შნეებერგერი, რომელიც შელინგის ნაშრომების შეძლებისდაგვარად ამომწურავ ბიბლიოგრაფიას აკეთებს, თუმცა ავტორი არ გვთავაზობს თავად ნაშრომების ანალიზს¹²⁰.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ჰორსტ ფურმანსის კვლევები. მას თავდაპირველად, 1940 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში: „შელინგის უკანასკნელი ფილოსოფია. ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია გვიანი იდეალიზმის სამსახურში“, შელინგის ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ კვლევა არ მოუცია. მ. შროტერის მიერ 1811 და 1813 წლების ხელნაწერის გამოქვეყნების შემდეგ ჰ. ფურმანსი იწყებს კონკრეტულად „სამყაროს ეპოქების“ კვლევას. 1954 წელს

¹¹⁸Fischer, Kuno: *Schellings Leben, Werke und Lehre*.

¹¹⁹Schröter, Manfred: „Einleitung des Herausgebers“, In: Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*.

¹²⁰Schneeberger, Guido: *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Eine Bibliographie*.

გამოდის მისი ნაშრომი სახელწოდებით: „შელინგის სამყაროს ეპოქების ფილოსოფია. შელინგის ფილოსოფია 1806-1821 წლებში. შელინგის თეიზმის პრობლემისათვის“¹²¹, რომელიც პრაქტიკულად მთელი შელინგის ფილოსოფიურ განვითარებას მოიცავს „სამყაროს ეპოქების“ პერიოდის ჩათვლით და წარმოადგენს ამ ტექსტის საფუძვლიან კვლევას ცალკე მონოგრაფიის სახით. მნიშვნელოვანი აქ იმის გამოკვეთაა, რომ ჰ. ფურმანსი პრაქტიკულად შელინგის ფილოსოფიაზე დაწერილ თავის მანამდელ ნაშრომს ახლებურად გადაწერს ან თავიდან აფასებს სწორედ შელინგის „სამყაროს ეპოქების“ მ. შროტერისეული ვერსიის გამოქვეყნების შემდეგ.

1954 წელს იურგენ ჰაბერმასი აქვეყნებს ტექსტს: „აბსოლუტი და ისტორია. შელინგის აზროვნებაში წინააღმდეგობრიობის შესახებ“¹²². ჰაბერმასი გვთავაზობს შელინგის „სამყაროს ეპოქებში“ დროისა და სინამდვილის ცნების კვლევას¹²³.

„სამყაროს ეპოქების“ დროის პრობლემას იკვლევენ ჰელმუტ ლანგე 1955 წელს დაწერილი დისერტაციით: „შელინგის მოძღვრება დროზე „სამყაროს ეპოქებში“ და ვოლფგანგ ვილანდი 1956 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში: „შელინგის დროზე მოძღვრება. სამყაროს ეპოქების საფუძვლები და წინაპირობები“¹²⁴.

საინტერესოა ასევე ლოტარ ცანის 1956 წელს ნაშრომში: “ენა, როგორც ფილოსოფიის საზღვარი-შელინგის „სამყაროს ეპოქების“ ფრაგმენტების

¹²¹Fuhrmans, Horst: *Schellings Philosophie der Weltalter. Schellings Philosophie in den Jahren 1806-1821. Zum Problem des Schellingischen Theismus*, Düsseldorf, Verlag L. Schwann 1954.

¹²² Habermas, Jürgen: *Das Absolute und die Geschichte. Von der Zweispältigkeit in Schellings Denken*. Dissertation zur Erlangung der Doktorwürde der Philosophischen Fakultät der Universität Bonn, Gummersbach 1954.

¹²³ იურგენ ჰაბერმასი 1963 წელს აქვეყნებს კრებულს, სადაც ის განიხილავს შელინგის ფილოსოფიას. Habermas, Jürgen: “Dialektischer Idealismus im Übergang zum Materialismus-geschichtsphilosophische Folgerund aus Schellings Idee einer Kontraktion Gottes“, in: *Theorie und Praxis. Sozialphilosophische Studien, POLITICA, Abhandlungen und Texte zur politischen Wissenschaft*, Hennis, Wilhelm u. a., (Hrsg.), Bd. 11., 2. Auflage, Darmstadt, Hermann Luchterhand Verlag GmbH 1967.

¹²⁴ Wieland, Wolfgang: *Schellings Lehre von der Zeit. Grundlagen und Voraussetzungen der Weltalterphilosophie*, Heidelberger Forschungen, 4. Heft. Bückmann, Paul u.a. (Hrsg.), Heidelberg, Carl Winter · Universitätsverlag 1956.

ინტერპრეტაცია¹²⁵, სადაც ავტორი ცდილობს გააკეთოს პარალელები შელინგის „სამყაროს ეპოქებსა“ და მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიას შორის. პრაქტიკულად აქ იკვეთება ხაზი, რომელიც შელინგს ანუ გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიას სრულიად განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებასთან, მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიასთან აკავშირებს.

მანფრედ შროტერის მიერ გამოქვეყნებული „სამყაროს ეპოქების“ ახალი ვერსიების გამოცემის შემდეგ ხდება შელინგის ამ ტექსტით მკვეთრი დაინტერესება და მეოცე საუკუნის 50–იანი წლებიდან მოყოლებული მას ბევრი მნიშვნელოვანი მონოგრაფია ეძღვნება. ძირითადად ამ კვლევებში აქცენტი გაკეთებულია შელინგთან დროის გაგების თავისებურებებზე. იკვეთება ასევე ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, შელინგის ფილოსოფიის პარალელები გერმანული იდეალიზმის მომდევნო პერიოდის ფილოსოფიასთან (ამ საკითხზე მუშაობს მაგალითად ლოტარ ცანი). თუ ადრე, ანუ „სამყაროს ეპოქების“ გვიანი ვერსიების აღმოჩენამდე, შელინგის ფილოსოფია მუდმივად განიხილებოდა ჰეგელის და საერთოდ გერმანული იდეალიზმის ძირითადი თეზისებიდან, მასზე დაყრდნობითა და მასთან მიმართებაში და აქცენტი უფრო მის ნეგატიურ ფილოსოფიაზე კეთდებოდა, მომდევნო პერიოდში შელინგის ფილოსოფიის სხვა კონტექსტებში მოაზრება იწყება. ამისათვის ბიძგი, ვთვლით, რომ აღმოჩნდა შელინგის „სამყაროს ეპოქები“ და მის საფუძველზე აღმოცენებული კვლევები.

შელინგის გვიანი ფილოსოფიის ასეთი გაგების გაგრძელება და ამ მიმართულებით უფრო სერიოზული არგუმენტების მოძიების მცდელობას წარმოადგენს ვალტერ შულცის მიერ ჩატარებული კვლევები. ვალტერ შულცი თავისი ჰაბილიტაციის ნაშრომს, 1955 წელს, უძღვნის შელინგის გვიანდელ ფილოსოფიას. ამ ტექსტის გადამუშავებული ვერსია გამოიცა 1975 წელს¹²⁶. ნაშრომი ზოგადად ეხება შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიას, მის შესაძლო კავშირებს გერმანული იდეალიზმის შემდგომი პერიოდის ფილოსოფიასთან. ავტორი ამ კავშირის საჩვენებლად იღებს კირკეგორის, ნიცშეს და ჰაიდეგერის

¹²⁵ Zahn, Lothar: *Die Sprache als Grenze der Philosophie – Eine Interpretation der Weltalter-Fragmente von F. W. J. Schelling*, Diss. München 1956.

¹²⁶ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 101.

ფილოსოფიას. ტექსტში ვ. შულცი ამ გადასვლას ანახებს სხვადასხვა საკითხის, ცნების ან ფილოსოფიური პრობლემის პერსპექტივიდან. ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გვიანი შელინგის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის საკითხს. ამ პრობლემას უძღვნის ვ. შულცი 1954 წელს გამოქვეყნებულ სტატიასაც¹²⁷. ვ. შულცის მიერ გვიანი შელინგის ფილოსოფიის თავისებურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ყველაზე რადიკალურ მცდელობას შეცვალოს შელინგის ფილოსოფიაზე წარმოდგენა. ვ. შულცის შელინგის ფილოსოფიის ინტერპრეტაციამ მართლაც მძლავრი გავლენა იქონია შელინგის გვიანი ფილოსოფიის კვლევაში. შელინგის ფილოსოფიაზე ახალი ხედვის ჩამოყალიბებას ვ. შულცი აღწევს შელინგის გვიან პერიოდზე აქცენტის გაკეთებით. ვ. შულცი შელინგის „*სამყაროს ეპოქებს*“ პოზიტიურ ფილოსოფიასთან ერთად იკვლევს და ცალკე არ გამოჰყოფს. მაგრამ ვ. შულცი მუდამ მიუთითებს იმას, რომ შელინგმა ამ ტექსტით შეცვალა გერმანული იდეალიზმის მიდგომებში აქცენტები. ვ. შულცის ეს ტექსტი ბევრ დისკუსიას იწვევს, მაგალითისათვის დავასახელებდი ჰ. ფურმანსის სტატიას: „დოკუმენტები შელინგის კვლევისათვის“¹²⁸, სადაც ავტორი კრიტიკულად აფასებს ვ. შულცის ნაშრომს.

1959 წელს ანტონ მირკო კოკტანევი იცავს დისერტაციას შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ 1827/28 წლების, ანუ ტექსტის გვიან ვერსიებზე¹²⁹, ხოლო 1962 წელს აქვეყნებს ნაშრომს: „*შელინგის მოძღვრება ყოფნაზე და კირკეგორი*“. წიგნი იმითაცაა საინტერესო და ფასდაუდებელი, რომ მასში შესულია შელინგის 1841 წლების ბერლინის ლექციების სორენ კირკეგორისეული ჩანაწერები, რომელიც პრაქტიკულად შელინგის ლექციების კონსპექტს წარმოადგენს¹³⁰.

¹²⁷ Schulz, Walter: „Das Verhältnis des späten Schelling zu Hegel. Schellings Spekulation über den Satz“, in: *Zeitschrift für philos. Forschung*, 8., (1954), S. 336-352.

¹²⁸ Fuhrmans, Horst: „Dokumente zur Schellingforschung“, in: *Kant-Studien*, Bd. 51., (1959/1960), S. 14-26.

¹²⁹ Kocktanek, Anton Mirko: *Schellings erste Münchener Vorlesung 1827/1828 „System der Weltalter“*, Eine Interpretation der unferöffentlichen Nachschrift aus dem Besitz von Horst Fuhrmans, Inaugural-Dissertation zur Erlangung des Doktorgrades, München 1959.

¹³⁰ დანიურიდან თარგმნა კოკტანევის მოსწავლემ ევა შლახტა-ნორდენტოფმა: „Es wird hier auch zum erstmal eine Nachschrift der Berliner Vorlesung von 1841 veröffentlicht, die in mehrerem Betracht wichtig ist –due Sören Kierkegaards. Meine Schülerin, Frau Dr. Eva Schlechta-Nordentoff, hat sie anlässlich der Zusammenstellung sämtlicher Bezüge Kierkegaards auf Deutschen Idealismus in Kopenhagen aufgefunden

მოცემულ თავში ჩამოთვლილი ავტორები კმნიან შელინგის „სამყაროს ეპოქების“ კვლევის ისტორიას. დისერტაციის სხვადასხვა ნაწილში განსახილველი თემატიკიდან გამომდინარე სწორედ ამ ნაშრომებს ვეყრდნობით, როგორც ტექსტში მოცემული ანალიზისათვის მნიშვნელოვან საფუძველსა და ასევე არგუმენტაციისათვის. ჩამოთვლილ ნაშრომთა ზოგადი შეფასების თვალსაზრისით შევნიშნავთ, რომ მათში ძირითადად დასმულია შემდეგი აქცენტები: 1. შელინგის „სამყაროს ეპოქების“ სისტემა მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით, ერთი, როგორც საკუთარი ადრეული ფილოსოფიის კრიტიკული შეფასებისა და მეორე, როგორც მთლიანად გერმანული იდეალიზმის ფილოსოფიის კრიტიკის თვალსაზრისით; 2. სწორედ ეს დაუსრულებელი ტექსტია ერთგვარი ხიდი გერმანულ იდეალიზმსა და გერმანული იდეალიზმის შემდგომ ფილოსოფიას შორის. დისერტაციის მომდევნო თავებში მოცემული კვლევა სწორედ ამ ორი მიმართულებით გაიშლება.

und zuverlässig übersetzt“. Kocktanek, Anton Mirko: *Schellings Seinslehre und Kierkegaard*, R. Oldenburg München 1962, S. 9-10.

თავი 3

შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია

3.1. ჰეგელის ფილოსოფია და შელინგის მიერ ჰეგელის კრიტიკა

3.1.1. „ტიუბინგენის წრე“: ჰოლდერლინი, ჰეგელი, შელინგი

შელინგის, ჰეგელისა და ფიხტეს ფილოსოფიის ურთიერთმიმართებისა და სამივე მათგანის კანტის ფილოსოფიასთან დამოკიდებულების საკითხი, ფილოსოფიის ისტორიაში ერთ–ერთი რთული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფილოსოფიის ისტორიაში ერთსა და იმავე მიმართულებას წარმოადგენენ, მათი თანამშრომლობა თავის განვითარებაში არ ყოფილა სწორხაზოვანი და დაპირისპირებების გარეშე. ზოგადად მათი ურთიერთობა გერმანული იდეალიზმის არაერთგვაროვნებასა და მის გამორჩეულ სირთულეზე მიუთითებს. გერმანული იდეალიზმის ფუნდამენტური ტექსტებისა და ასევე ამ ტექსტებზე გავლენების საკითხებზე ერთი თვალის გადავლევაც კი საკმარისი იქნება, რომ დანამდვილებით ითქვას: გაჭირდება გერმანულ იდეალიზმზე საუბარი თუ არ ვახსენებთ, სულ ცოტა, ჰოლდერლინს და გერმანულ რომანტიზმს, ბევრი მათი წარმომადგენლით, ფრანგებს, მათი რევოლუციით და ფრანგ განმანათლებლებს გონების თავისუფლების მოთხოვნის დევიზით, ასევე ჟან ჟაკ რუსოს მიერ ბუნებითი და სამოქალაქო თავისუფლებასთან ერთად ადამიანის მორალური თავისუფლების აუცილებლობის მტკიცებას. ყოველი ჩამოთვლილი მიმართულება და შემდეგ მათი გერმანულ იდეალიზმთან მიმართების საკითხი ძალიან ფართო და მომცველია. ნაშრომი ფოკუსირებულია გერმანული იდეალიზმის ორ წარმომადგენელზე ჰეგელსა და შელინგზე, უფრო კონკრეტულად კი მათი ფილოსოფიის დაპირისპირებაზე. დასაწყისში მოკლედ აღვწერთ შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიური განვითარებისათვის ჰოლდერლინის შემოქმედების მნიშვნელობასაც.

თუ ჰოლდერლინის, ჰეგელის და შელინგის ერთსულოვნებასა და თანამშრომლობის პერიოდზე საუბარი მოგვინდება ამის საუკეთესო ილუსტრაცია იქნება პატარა, თუმცა გერმანული იდეალიზმისათვის უმნიშვნელოვანესი, ტექსტი: „გერმანული იდეალიზმის სისტემის უძველესი პროგრამა“ (სავარაუდოდ 1797 წლით დათარიღებული). ამ ტექსტის ავტორობის საკითხთან დაკავშირებით ფილოსოფიის ისტორიაში არსებული ხანგრძლივი დისკუსია¹³¹ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, იმას თუ რამდენად მნიშვნელოვანია საკითხი ამ სამი მოაზროვნის ურთიერთზეგავლენის შესახებ. საქმე იმაშია, რომ ფილოსოფიის ისტორიაში დღემდე ცალსახად არაა გადაწყვეტილი ტექსტის ავტორობის საკითხი. შესაბამისად თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ტექსტის წარმოშობის პერიოდი, ჰოლდერლინის, შელინგის და ჰეგელის მოღვაწეობაში ერთსულოვნების და თანამშრომლობის წლებია. ამ თემაზე ვრცლად წერს კ. დიუზინგი თავის, უკვე დასახელებულ, სტატიაში¹³². ესაა ეგრეთწოდებული გაერთიანების ფილოსოფიაზე („Vereinigungsphilosophie“) მუშაობის პერიოდი, რომელსაც სამივე მოაზროვნე ერთმანეთის გავლენით მეტ-ნაკლებად თანაბრად ავითარებენ.

1797 წელს გამოდის ჰოლდერლინის „ჰიპერიონი“, რომელიც გაერთიანების ფილოსოფიის დოკუმენტად ითვლება. ჰოლდერლინი „ჰიპერიონზე“ 1795 წლიდან მუშაობდა¹³³. ჰოლდერლინი აქ ავითარებს აზრს, რომ სუბიექტის და ობიექტის გაერთიანება მართალია შეუძლებელია აზროვნებაში, მაგრამ ეს გაერთიანება მიიღწევა მშვენიერებაში. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს გაერთიანება

¹³¹ ტექსტის ავტორობას თანაბარი არგუმენტაციით ამ სამი ავტორიდან ერთ-ერთს აკუთვნებენ. ავტორობის საკითხის გადასაწყვეტად თავის დროზე მუშაობდნენ: კ. როზენკრანცი, დიტერ ჰენრიხი, ოტო პოგელერი, პ. ტილიხი და სხვები. ცალსახად ეს საკითხი დღემდე არაა გადაწყვეტილი. უფრო დაწვრილებით ამ საკითხთან დაკავშირებით იხილე ტექსტები: *Mythologie der Vernunft: Hegels "ältestes Systemprogramm des deutschen Idealismus"*, Jamme, Christoph und Schneider, Helmut, (Hrsg.), Frankfurt a. M., Suhrkamp Verlag 1984. ასევე: Jaeschke, Walter: *Hegel. Handbuch. Leben-Werk-Schule*, S. 76-80.

¹³² Düsing, Klaus: „Die Entstehung des spekulativen Idealismus. Schellings und Hegels Wandlungen zwischen 1800 und 1801“, S. 144.

¹³³ „Der Roman ist das Dokument der Vereinigungsphilosophie, die Hölderlin seit dem Frühjahr 1795 entwickelt hat. Das Älteste Systemprogramm und das Fragment Religion, eine Religion stiften sind ohne die Gedanken der Athener Rede Hiperions und die dort entwickelte Idee der „Eine(n)Schönheit“ nicht denkbar“. *Mythologie der Vernunft: Hegels "ältestes Systemprogramm des deutschen Idealismus"*, Jamme, Christoph und Schneider, Helmut, (Hrsg.), S. 46.

ჰოლდერლინთან ინტელექტუალური ჭვრეტად იწოდება. ჰოლდერლინი წერს, რომ ის ეძებს ფილოსოფიის უსასრულო პროგრესის იდეას და ცდილობს აჩვენოს ყველა სისტემისათვის მნიშვნელოვანი მოთხოვნა, ესაა სუბიექტისა და ობიექტის გაერთიანება აბსოლუტურ მე-ში, კონკრეტულად კი ინტელექტუალურ მჭვრეტელობაში¹³⁴. „ჰიპერიონის“ მთავარი გმირი, დიოტიმა, სუბიექტისა და ობიექტის სინთეზის სიმბოლოა, მათი გაერთიანებაა. სწორედ ეს იდეა, სუბიექტისა და ობიექტის გაერთიანების შესახებ, რომელსაც ჰოლდერლინი „ჰიპერიონში“ ავითარებს, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჰეგელისა და შელინგის ფილოსოფიისათვის.

ჰეგელის ადრეულ, ეეგრეთწოდებულ თეოლოგიურ ნაშრომებს თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ გაერთიანების ფილოსოფიის იდეების დამუშავების ტენდენცია და ზოგადად ჰოლდერლინის გავლენები დიდია (მაგალითად მისი ტიუბინგენის პერიოდის ნაშრომებში. ჰეგელის ფილოსოფიის განვითარების ტიუბინგენის პერიოდია 1788–1793 წლები). შელინგი თავის 1800 წლის ტექსტში „ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა“ ავითარებს გაერთიანების ფილოსოფიის იდეებს. პარალელი შელინგისა და ჰოლდერლინის აზრებს შორის ძალიან ადვილი დასანახია, მაგალითად შელინგი წერს, რომ: მთელი ფილოსოფია გამოდის და უნდა გამოდიოდეს პრინციპიდან, რომელიც როგორც აბსოლუტური პრინციპი ამავე დროს იგივეობრივიცაა, ის არის აბსოლუტურად მარტივი, იგივეობრივი შეუძლებელია საერთოდ ცნებით იქნას ახსნილი ან გაზიარებული. ის შეიძლება მხოლოდ განჭვრეტილ იქნას. ამგვარი ჭვრეტა, რომელიც გრძნობადი კი არაა, არამედ ინტელექტუალურია და რომელიც არც სუბიექტურს და არც ობიექტურს, არამედ აბსოლუტურად იგივეობრივს აქცევს თავისი განხილვის საგნად, თავად არის შინაგანი, რომელიც კვლავ ობიექტურად ვერ გარდაიქმნება:

¹³⁴მდრ.: ჰოლდერლინის შილერისადმი, 1795 წლის 4 სექტემბერს, მიწერილი წერილი: “Ich suche mir die Idee eines unendlichen Progress der Philosophie zu entwickeln, ich suche zu zeigen, daß die unnachlässliche Forderung, die an jedes System gemacht werden muß, die Vereinigung des Subjects und Objects in einem absoluten-Ich oder wie man es nennen will – zwar ästhetisch, in der intellectualen Anschauung“. Hölderlin, Friedrich: *Sämtliche Werke und Briefe*, Knaup, Michael, (Hrsg.), Bd. II., München, Carl Henser Verlag 1992, S. 595.

იგი ობიექტურად შეიძლება გარდაიქმნას მხოლოდ მეორე ჭკრეტით. ეს ჭკრეტა არის ესთეტიკური¹³⁵.

ჰოლდერლინი ჯერ კიდევ 1799 წელს წერდა შელინგს, რომ: „მხოლოდ იგი [პოეზია], არის (ნ.რ.) „ცოცხალი ხელოვნება“, რადგან ის „ამავდროულად გენიისა და გამოცდილებიდან და რეფლექსიიდან გამომდინარეობს და იდეალური, სისტემური და ინდივიდუალურია“¹³⁶. ეს პერიოდი (დაახლოებით 1800 წლამდე) გერმანული იდეალიზმის განვითარების ადრეული პერიოდად არის მიიჩნეული. შელინგი თვლის, რომ აზროვნება ვერ სწვდება აბსოლუტს. აბსოლუტის განცდა შესაძლებელია ესთეტიკურ ჭკრეტაში. ჰეგელი კი თვლის, რომ ეს შესაძლებელია რელიგიურ ჭკრეტაში¹³⁷. ჰეგელი თავის ადრეულ, თეოლოგიურ ტექსტებში სწორედ ამ აზრს ამუშავებს. ორივე ფილოსოფოსის შემოქმედებაში ეს პერიოდი ძიებების გამო რთული და არაერთგვაროვანია. საბოლოოდ ეს ძიებები დასრულდა სპეკულატიური იდეალიზმის თეზისის ჩამოყალიბებით, რომ აბსოლუტი სრულად მოიცემა სპეკულატიურ შემეცნებაში. თუმცა ამ თეზისსაც, მოგვიანებით, ჰეგელიცა და შელინგიც სხვადასხვანაირად ავითარებენ¹³⁸.

ჰოლდერლინის ესთეტიკური პლატონიზმის გავლენები ტექსტში „გერმანული იდეალიზმის სისტემის უძველესი პროგრამა ნათელია“¹³⁹.

¹³⁵Vgl.: “Die ganze Philosophie geht aus, und muß ausgehen von einem Prinzip, das als das absolute Prinzip auch zugleich das schlechthin Identisch ist. Ein absolut Einfaches, Identisches läßt sich nicht durch Beschreibung, überhaupt nicht durch Begriffe auffassen oder mitteilen. Es kann nur angeschaut werden. Eine solche Anschauung die nicht eine sinnliche, sondern eine intellektuelle ist, die nicht das Objektive oder das Subjektive, sondern absolut Identische, an sich weder Subjektive noch Objektive, zum Gegenstand hat, ist selbst bloß eine innere, die für sich selbst nicht wieder objektiv werden kann: sie kann objektiv werden nur durch zweite Anschauung. Diese zweite Anschauung ist die ästhetische“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *System des transzendentalen Idealismus*, Hamburg, Felix Meiner Verlag 1957, Vierter Hauptabschnitt, Deduktion des Begriffs der Geschichte, Abschn. C und Sechter Hauptabschnitt, §2. Charakter des Kunstproduktes, §3. Folgesätze, S. 294.

¹³⁶იხ.: ჰოლდერლინის შელინგისადმი, 1799 წლის ივლისში, მიწერილი წერილი: “Sie (Poesie) allein, sei “lebendige Kunst“, weil sie “zugleich aus Genie und Erfahrung und Reflexion hervorgehet und idealisch und systematisch und individuell ist“. Hölderlin, Friedrich: *Sämtliche Werke und Briefe*, S. 792.

¹³⁷Vgl.: Düsing, Klaus: “Vernunftseinheit und unvordenkliches Daßsein. Konzeption der Überwindung negativer Theologie bei Schelling und Hegel“, S. 111.

¹³⁸იქვე, გვ. 112.

¹³⁹*Mythologie der Vernunft: Hegels “ältestes Systemprogramm des deutschen Idealismus“*, Jamme, Christoph und Schneider, Helmut, (Hrsg.), S. 53.

მთლიანობაში ამ სამი ავტორის ნააზრევს თუ გადავხედავთ თვალში მოგვხვდება, რომ 1. გარკვეულ წლებამდე ძალიან ძნელია მათი ნააზრევი ერთმანეთისაგან გამოცალკევება და 2. ასევე რთულია ცალსახად განსაზღვრა იმისა, თუ რომელ ავტორს ეკუთვნის კონკრეტული იდეა. ამასთანავე სამივე მოაზროვნისათვის ცენტრალური პრობლემაა რელიგიის, ხელოვნებისა და ფილოსოფიის ურთიერთმიმართების საკითხი.

3.1.2. ჰეგელისა და შელინგის ურთიერთდაპირისპირების ისტორიიდან

მიუხედავად თავდაპირველად არსებული მრავალი გადაკვეთისა და მსგავსებისა ჰოლდერლინი, ჰეგელი და შელინგი აზროვნებაში სხვადასხვა მიმართულებით მიდიან. 1803 წლიდან შელინგისა და ჰეგელის ურთიერთობაში დაპირისპირება იწყება. თავად შელინგი, განსაკუთრებით 1809 წლის შემდეგ, თავის ტექსტებში ხშირად არკვევს საკუთარ მიმართებას კანტის, ფიხტეს და ჰეგელის ფილოსოფიასთან. შელინგი უმეტესად მათ ფილოსოფიას კრიტიკულად აფასებს. გამომდინარე მოცემული ნაშრომის მიზნიდან შელინგისა და ჰეგელის ურთიერთდამოკიდებულებით შემოვიფარგლებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ შელინგის ფიხტესთან მიმოწერა წყდება 1800 წელს. ცნობილია, რომ მანამდე ჰოლდერლინი აკრიტიკებს ფიხტეს ფილოსოფიას და ამ კრიტიკამ შელინგსა და ჰეგელზეც იქონია გავლენა¹⁴⁰. შელინგსა და ფიხტეს შორის მიმოწერის შეწყვეტა არ იყო შემთხვევითი. სწორედ ამ წელს, აპრილში, გამოიცა შელინგის ნაშრომი: „*ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა*“. ნაშრომის წაკითხვის შემდეგ ფიხტე დაწერს: “როგორც ჩანს შელინგს ტრანსცენდენტალური იდეალიზმი სხვანაირად ესმის, ვიდრე მე”¹⁴¹. მიუხედავად მათი დაშორებისა ფილოსოფიის ისტორიის შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ გვიან შელინგსა და გვიან ფიხტეს ფილოსოფიებს შორის პარალელების გაკეთება შესაძლებელია. შესაბამისად მეოცე

¹⁴⁰ *Mythologie der Vernunft: Hegels "ältestes Systemprogramm des deutschen Idealismus"*, Jamme, Christoph und Schneider, Helmut, (Hrsg.), S. 54.

¹⁴¹ Шеллинг, Фридрих Вильгельм: *Сочинения в двух томах*, Т. I., Москва, Издательство Мысль 1987, стр. 601.

საუკუნეში წარმოიშვა კიდევაც სპეციალური კვლევა, რომელიც ამ პარალელების გარკვევას ისახავს მიზნად.

შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიებს შორის ურთიერთმიმართების საკითხს უფრო ვრცლად შევხებით დისერტაციის იმ ნაწილში, სადაც შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიას განვიხილავთ. ამ თავში გადმოვცემთ მხოლოდ რამოდენიმე ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მათი ურთიერთობის თვალსაზრისით.

ჰეგელი 1801 წელს გამოცემულ ნაშრომში „*განსხვავება ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიურ სისტემებს*“ შორის, შელინგის ფილოსოფიურ სისტემას ფიხტეს ფილოსოფიურ სისტემას ადარებს და შელინგს ემხრობა. იენაში შელინგი და ჰეგელი ერთად გამოსცემენ ფილოსოფიურ ჟურნალს და 1801-დან 1803 წლამდე ისინი ისევ ერთად მუშაობენ. სწორედ ამ პერიოდში აყალიბებს ორივე ფილოსოფოსი ერთად გერმანული იდეალიზმის ძირითად თეზისს აბსოლუტის გონებით შემეცნების შესახებ: „ამ განვითარების ისტორიიდან შელინგისა და ჰეგელის ერთობლივი ფილოსოფოსობის იენის პერიოდის 1801 წლიდან 1803 წლამდე გათვალისწინება უნდა მოხდეს, როდესაც შელინგი და ჰეგელი პირველად აბსოლუტის გონებით სრულყოფილი შემეცნების მეტაფიზიკას წამოაყენებენ“.¹⁴² მოცემული პერიოდის შელინგი თავის ფილოსოფიას უწოდებს იგივეობის ფილოსოფიას. ჰეგელის ფილოსოფიაში მოგვიანებით იენის პერიოდის ფილოსოფია ინტეგრირებულია, როგორც მოსამზადებელი საფეხური მისი აბსოლუტური მეტაფიზიკისათვის¹⁴³. ჰეგელი და შელინგი მუშაობენ აბსოლუტის, როგორც უმაღლესი იგივეობის ცნებაზე¹⁴⁴. „შელინგი, ჰეგელისგან განსხვავებით,

¹⁴²“Aus dieser Entwicklungsgeschichte sei hier die Phase von Schellings und Hegels gemeinsamen Philosophieren in Jena von 1801 bis 1803 mitberücksichtigt, in der Schelling und Hegel zum ersten Mal eine Metaphysik der vollständigen vernünftigen Erkenntnis des Absoluten aufstellen“. Düsing, Klaus: “Vernunftseinheit und unvordenkliches Daßsein. Konzeption der Überwindung negativer Theologie bei Schelling und Hegel“ S. 109-110.

¹⁴³ Vgl.: “Er (Hegel) Integriert sie als eine Vorstufe in seine Metaphysik der absoluten Subjektivität“, ebd., S. 110.

¹⁴⁴ კ. დიუზინგი ჰეგელის იგივეობის პრინციპის ფორმულირებისას შემდეგ ფრაზას აქცევს ყურადღებას: „იგივეობის და არაიგივეობრივის იგივეობა“ (“Identität der Identität und

აბსოლუტის ამ ერთიანობას მოიზრებს, როგორც აბსოლუტურ განუსხვავებლობას, რომელშიც მთავარი დაპირისპირებულნი განუყოფელნი, ანუ გამქრალნი არიან¹⁴⁵. შელინგის იგივეობის ფილოსოფიაში აბსოლუტი განმარტებულია, როგორც რეალურისა და იდეალურის სრული იგივეობა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „*გონის ფენომენოლოგიაში*“ ჰეგელი შელინგის მიერ ფორმულირებულ იგივეობის ფილოსოფიის ამ უმთავრეს პრინციპს აკრიტიკებს. მკვლევარი კ. დიუზინგი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ამ პერიოდშივე ანუ შელინგის იგივეობის ფილოსოფიაში უკვე გამოიკვეთა შელინგის მოსაზრება, რომ არსებობს რაღაც რაც არაა ცნებაში მოცემადი ანუ ის, რაც შემმეცნებელი გონების ძალაუფლების სფეროს სცდება¹⁴⁶.

იენის პერიოდის თანამშრომლობიდან მოყოლებული შელინგსა და ჰეგელს შორის არსებული ინტენსიური მიმოწერა 1807 წლამდე გრძელდება. ბოლო წერილში, რომელიც 1807 წლითაა (02.09.1807) დათარიღებული, შელინგი წერს, რომ მან ჰეგელის „*გონის ფენომენოლოგიის*“ შესავალი წაკითხა¹⁴⁷. ჰეგელის „*გონის ფენომენოლოგიის*“ შესავლის¹⁴⁸ წაკითხვისას (რომელიც პრაქტიკულად მთელი ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის შესავალს წარმოადგენს), შელინგისათვის ცხადი ხდება, რომ ჰეგელისათვის კრიტიკის ობიექტი სწორედ მისი იგივეობის ფილოსოფია იყო. აქედან იწყება შელინგის ჰეგელით უკმაყოფილება და სწორედ ამის შემდეგ წყდება მათ შორის მიმოწერაცა და

Nichtidentität“), ხოლო შელინგთან: „ერთიანობისა და დაპირისპირებულობის ერთიანობა“. („Einheit der Einheit und des Gegensatzes“). იქვე, S. 114.

¹⁴⁵Vgl.: “Schelling denkt diese Einheit des Absoluten auch – von Hegel abweichend-als “Absolute Indifferenz“, in der die Grundgegensätze ungetrennt eins, d.h. verschwunden sind“. Ebd., S. 114.

¹⁴⁶ Ebd., S. 117.

¹⁴⁷“Ich habe bis jetzt nur die Vorrede gelesen. Innwiefern Du selbst des polemischen Teils derselben erwähnst, so müßte ich, bei dem gerechten Maß der eigenen Meinung von mir beziehen. Sie mag also, wie Du in Deinem Briefe an mich geäßert, nur immer auf den Mißbrauch und die Nachwätzer fallen, obgleich in dieser Unterschied nicht gemacht ist“. Jaspers, Karl: *Schelling. Grösse und Verhängnis*, München, R. Piper und Co Verlag 1955, S. 304.

¹⁴⁸“Später hat Hegel davon gesprochen, daß die Vorrede sich gegen die Konzeptionen des “abstrakten Absoluten“ richte, wie sie die Philosophie der Zeit beherrschte. Fichtes Begriff des Ich, Schellings Gedanke der differenzlosen Identität, Jacobis Begriffe der Anschauung und Glaubens, aber auch Spinozas Begriff der Substanz gehören dazu“. Siep, Ludwig: *Der Weg der Phänomenologie des Geistes*, Frankfurt a. M., Suhrkamp Verlag 2000, S. 66.

ყველანაირი პირადი ურთიერთობაც: ჰეგელის მიერ „გონის ფენომენოლოგიაში“ გამოთქმულმა კრიტიკამ, რომელიც შელინგის აბსოლუტის კონცეფციის წინააღმდეგ იყო მიმართული დაასრულა ჰეგელისა და შელინგის ნაყოფიერი თანამშრომლობა. აქედან მოყოლებული ჰეგელი და მისი მოწაფეები შელინგს უპირისპირდებიან¹⁴⁹. შელინგის მიერ ჰეგელის კრიტიკა თავის კულმინაციას მისი ფილოსოფიური განვითარების ერლანგენის პერიოდში (1827/28) და განსაკუთრებით ბერლინში ჩატარებული ლექციების პერიოდში (1841/42) აღწევს. ასევე შელინგის მიერ ჰეგელის აშკარა კრიტიკა მოცემულია მის ტექსტში: „ლექციები ახალი ფილოსოფიის ისტორიაში“, სადაც ჰეგელის ფილოსოფიას ცალკე თავი ეძღვნება. ასევე ცხადია ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა შელინგის „გამოცხადების ფილოსოფიაში“. ამ ტექსტში მრავალი ადგილი და პასაჟი ეთმობა ჰეგელის ფილოსოფიის განხილვასა და კრიტიკას. შელინგი–ჰეგელის ურთიერთობის საკითხისათვის, უკვე ჰეგელის მხრიდან, საინტერესოა ჰეგელის ჰაიდელბერგისა და ბერლინის პერიოდის ლექციები (1816–1831), სადაც ჰეგელი ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიაში შელინგის ფილოსოფიასაც განიხილავს და კვლავ აკრიტიკებს მის იგივეობის ფილოსოფიას¹⁵⁰.

შელინგი დაუპირისპირდა ჰეგელის იმ იდეას, რომ ყველა მყოფი განმსჭვალულია, გაჟღენთილია გაშუალების დიალექტიკით. ეს შელინგის აზრით შეუძლებელს ხდის, ან ვერ მოიცავს, ვერ ახორციელებს ექსისტენცის პოზიტიურ შემეცნებას. ამით შელინგი თავის ადრეული იგივეობის ფილოსოფიის კვლევას, მის გადასინჯვასა და გადაფასებასაც ახდენს. შელინგი განასხვავებს შესაძლებელ („Möglichen“) და ნამდვილ („Wircklichen“) მყოფებს, ანუ აზროვნებით მოქმედ შესაძლებლობის მოდუსის დისკურსს და გამოცდილების პოზიტიურ შემეცნებას. პრაქტიკულად ესაა შელინგის პოზიტიურ და ნეგატიურ ფილოსოფიას შორის განსხვავებაც, რომელსაც უფრო დაწვრილებით შემდეგ თავებში განვიხილავთ.

¹⁴⁹Vgl.: “Die in Hegels Phänomenologie des Geistes ausgesprochene Kritik an Schellings Konzept des Absoluten setzt der fruchtbaren Zusammenarbeit 1807 am Ende. Hegel und seine Schüler werden für Schelling zu Gegnern“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 107.

¹⁵⁰ Jaeschke, Walter: *Hegel. Handbuch. Leben-Werk-Schule*, S. 493-496.

მიუხედავად შელინგისა და ჰეგელის კონფლიქტისა, ჰეგელის ფილოსოფია, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიაში აბსოლუტის გაგება ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა შელინგისათვის. საბოლოოდ შელინგის სხვადასხვა ნაშრომში გაბნეული ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის არსი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: შელინგი გამოყოფს პოზიტიურ და ნეგატიურ ფილოსოფიას. მისი განმარტებით ნეგატიურია რაციონალური და მთელი ჰეგელის ფილოსოფია. ნეგატიურ ფილოსოფიას მიეკუთვნება ასევე შელინგის გარკვეულ პერიოდამდე დაწერილი ფილოსოფიური ტექსტებიც. სწორედ ამ ნეგატიურ ფილოსოფიას უპირისპირებს შელინგი მთელი თავისი გვიანი პერიოდის ფილოსოფიას.

ჰეგელი და შელინგი ხანგრძლივი დაშორების შემდეგ შემთხვევით ხვდებიან ერთმანეთს. კარლ იასპერსი ამ შეხვედრას ასე აღწერს: „20 წელიწადზე მეტი ხნის შემდეგ, 1829 წლის შემოდგომაზე შელინგი და ჰეგელი ერთმანეთს კარლსბადში შეხვდნენ. 1807 წლიდან მათ ერთმანეთი არც უნახავთ და არც მიმოწერა ჰქონიათ“¹⁵¹. ჰეგელი თავის ცოლისადმი მიწერილ წერილში მშვიდ ტონში აღწერს შელინგთან შეხვედრის ფაქტს¹⁵², ხოლო შელინგი, თავის ცოლისადმი მიწერილ წერილში საპირისპირო განწყობას ამჟღავნებს¹⁵³.

შელინგისა და ჰეგელის კარლსბადში პირადი შეხვედრის შემდეგ ჰეგელის გარდაცვალებამდე შელინგი ღიად აღარ აკრიტიკებდა ჰეგელის ფილოსოფიას, თუმცა არსებობს ისეთი წერილები, სადაც შელინგი ჰეგელისადმი აშკარა სიძულვილსაც კი გამოხატავს. 1841 წლიდან მოყოლებული შელინგი ჰეგელის

¹⁵¹ „Nach mehr als zwanzig Jahren, im Herbst 1829, trafen sich Schelling und Hegel in Karlsbad. Sie hatten seit 1807 sich weder geschrieben noch sich gesehen“. Jaspers, Karl: *Schelling. Grösse und Verhängnis*, S. 304.

¹⁵²Vgl.: “Gestern Abend habe ich ein Zusammentreffen mit einem alten Bekannten-mit Schelling-gehabt [...] Wir sind beide darüber erfreut und als alte cordiale Freunde zusammen. Diesen Nachmittag haben wir einen Spaziergang miteinander gemacht“. Ebd., 305. S.

¹⁵³Vgl.: “Stell Dir vor, gestern sitz ich im Bade, höre eine etwas unangenehme, halb bekannte Stimme nach mir fragen. Dann nennt der Unbekannte seinen Namen, es war Hegel aus Berlin [...] Nachmittags kam er zum zweiten Male sehr empresiert und ungemein freundschaftlich, als wäre zwischen und nichts in der Mitte; da es aber bis jetzt zu einem wissenschaftlichen Gespräch nicht gekommen ist, auf das ich mich auch nicht einlassen werde, und er übrigens ein sehr gescheidter Mensch ist, so habe ich mich die paar Abendsunden gut mit ihm unterhalten. Noch habe ihn nicht wieder besucht; es ist mir etwas zu weit in den goldenen Löwen“. Ebd., S. 305.

ფილოსოფიას სხვაგვარად აფასებს და ფილოსოფიისათვის ეს გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე ის ფაქტები, სადაც და როცა შელინგი ჰეგელს ფილოსოფიის ისტორიაში მხოლოდ პატარა ეპიზოდად განიხილავს¹⁵⁴. კარლ იასპერსი ხაზს უსვამს მათი ერთმანეთთან დამოკიდებულების განსხვავებულ პოზიციებს. შელინგის პოლემიკა ცვალებადია, ის ხშირად ცვლის ტონს, თავის თავში წინააღმდეგობრივია, მიუხედავად იმისა, რომ ის არსებითად ერთ მნიშვნელოვან აზრზე აკეთებს კონცენტრირებას, კერძოდ კი იმაზე, რომ: „ჰეგელმა ფილოსოფია ლოგიკად გარდაქმნა და სინამდვილე დაკარგა“¹⁵⁵. გარდა იმისა, რომ შელინგი ჰეგელის ფილოსოფიას სინამდვილისაგან მოწყვეტას სდებს ბრალად, ასევე აკრიტიკებს იმ ასპექტშიც, რომ მან მხოლოდ ნეგატიური ფილოსოფია (ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ რაციონალური ფილოსოფია) შექმნა და ის გამოაცხადა ერთადერთად, რომ ჰეგელი მხოლოდ აზროვნებაზე აკეთებს აქცენტს და სინამდვილე მასთან დაკარგულია და ა. შ.

შელინგის 1841 წელს, ბერლინში ჩატარებულ ლექციებში (ამ ლექციებს ბევრი იმ პერიოდის მნიშვნელოვანი მოაზროვნე და მათ შორის სორენ კირკეგორიც ესწრება), შელინგი ჰეგელის ფილოსოფიაზე უფრო სხვანაირად საუბრობს და ჰეგელის ფილოსოფიაზე გაკეთებული სწორედ ეს შენიშვნებია საინტერესო. შეიცვალა ის, რომ შელინგი ჰეგელის ფილოსოფიას ზოგადად ფილოსოფიის განვითარებაში მხოლოდ ეპიზოდად და შეცდომად აღარ მიიჩნევს. შელინგი აღარ ამბობს, რომ ჰეგელის ფილოსოფია მთლიანად მცდარია, ხოლო თავისი ფილოსოფია ჭეშმარიტი. შელინგის ამ პერიოდის აზრია, რომ ორივე, მისი და ჰეგელის ფილოსოფია აუცილებელია, რომ მისი ფილოსოფიისათვის ჰეგელის

¹⁵⁴ ციტატა შელინგის წერილიდან: “Die sogenannte Hegelsche Philosophie kann ich in dem, was ihr eigen ist, nur als eine Episode in der Geschichte der neueren Philosophie betrachten, und zwar nur als eine traurige. Nicht sie fortsetzen, sondern ganz von ihr abrechnen, sie als nicht vorhanden betrachten muß man, um wieder in die Linie des wahren Fortschrittes zu kommen“. Jaspers, Karl: *Schelling. Grösse und Verhängnis*, S. 304.

¹⁵⁵ Vgl.: “Hegel hat Schelling gegenüber später seine ruhige, nun durch alle Zeit gleichbleibende Kritik, die anerkennt, einschränkt, überwindet und einordnet. Schellings Polemik ast dagegen flackernd, wechselnd, bewegt sich im Ton durch viele Stufen, sich selbst widersprechend, obgleich sie sich wesentlich auf einen bedeutenden und wirksamen Punkt konzentriert: Hegel hat die Philosophie aufgehen lassen in Logik und die Wirklichkeit verloren“. Ebd., S. 306.

ფილოსოფია, რომელიც ნეგატიური ანუ რაციონალურია, ძალიან მნიშვნელოვანია: „ის რომ მე მას მოვიხსენიებ, მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მაღლა ვაყენებ მე მას. [...] მე ვიცი, თუ როგორ გადაარჩინა ჰეგელმა ჯერ მარტო ჩემი მოგვიანო დროის ფილოსოფიის ძირითადი აზრები. [...] ვერავინ ვერ შეძლებდა წინარე ფილოსოფიის უკეთესად დასრულებას ვიდრე ეს მან შეძლო“¹⁵⁶. უფრო მეტიც შელინგი თვლის, რომ ჰეგელის ნეგატიური ფილოსოფია რომ არ ყოფილიყო უკვე მოცემული და ჩამოყალიბებული, შელინგი პოზიტიური ფილოსოფიის აუცილებლობას ვერ დაინახავდა. აქედან შესაძლებელია დავასკვნათ, რომ შელინგის აზრით მისი და ჰეგელის ფილოსოფია ერთმანეთის გვერდით უნდა იყოს მოცემული, ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის სახელით და ორივე თანაბრად აუცილებელი. კ. იასპერსის აზრს თუ მოვიშველიებთ შელინგისა და ჰეგელის ფილოსოფიას შორის განსხვავების არსია ის, რომ: „ჰეგელს სურს სინამდვილე ცნებაში, შელინგი კი ეძებს სინამდვილეს აზროვნებამდე, მაგრამ იმგვარად, რომ აზროვნება თავად სინამდვილეში, მის კუთვნილებაში მოიაზრებოდეს, - მას სურს ცნება სინამდვილეში“¹⁵⁷.

შელინგი თავისი განვითარების გვიან პერიოდში თვლის, რომ სინამდვილე მთლიანად, როგორც ამას ჰეგელი აკეთებს თავის ფილოსოფიაში, არ მოიცემა ცოდნაში, რომ გონება რომელიც ამ ფაქტს აღმოაჩენს ამ აღმოჩენით პრაქტიკულად საკუთარ საზღვარსაც აღწევს და ეხება. ამ მომენტში გონება იწყებს თვითნეგაციას, მაგრამ ეს სინამდვილე, რომელიც არაა რაციონალური (ან გონებრივი) და ამიტომ, ერთი მხრივ, გონების საზღვარია, მეორე მხრივ, გონებას, როგორც ასეთს არ უარყოფს ან აქრობს. გონება აღმოაჩენს, რომ მისი არსებობის საფუძველი ან არსებობა სწორედ ეს არაგონებრივი სინამდვილეა. (ამის შესახებ უფრო ვრცლად

¹⁵⁶ *Die endlich offenbar gewordene positive Philosophie der Offenbarung oder Entstehungsgeschichte, wörtlicher Text, Beurteilung und Berichtigung der v. Schellingischen Entdeckungen über Philosophie überhaupt, Mythologie und Offenbarung des dogmatischen Christentums im Berliner Winterkursus von 1841-42, Der allgemeinen Prüfung vorgelegt von Dr. H. E. G. Paulus, Darmstadt, Druck und Verlag von Carl Wilhelm Leske 1842, S. 358.*

¹⁵⁷“Hegel will die Wirklichkeit im Begriff, Schelling die Wirklichkeit vor dem Denken, aber so, daß das Denken selbst in der Wirklichkeit, ihr zugehörig, gründet, - er will den Begriff in der Wirklichkeit“. Jaspers, Karl: *Schelling. Grösse und Verhängnis*, S. 307.

სხვა თავში იქნება საუბარი). ამიტომ შელინგი თვლის, რომ რადგანაც ჰეგელმა საუკეთესოდ ანახა თავის ფილოსოფიაში, ის თუ როგორია რაციონალური ფილოსოფია და სწორედ მან მიიყვანა გონება იმის ცხად გააზრებამდეც, რომ არის რაღაც (და ესაა „არსებობა“, „Daß“), რომელსაც ის ვერ შეიმეცნებს. შესაბამისად, შელინგის ფილოსოფია კი არ გამორიცხავს ჰეგელის ფილოსოფიას (და ამასთანავე შელინგისავე ადრეულ ფილოსოფიას), არამედ მას აუცილებელ საფეხურად გულისხმობს. თუმცა აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ შელინგის ფილოსოფია განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, ხოლო ჰეგელის ფილოსოფია დაბალი საფეხური. შელინგის ამ მიმართულებით არსებული მსჯელობები უფრო იმ აზრს ამკვიდრებს, რომ ისინი ერთმანეთის გვერდით, პარალელურად არიან.

მიუხედავად დაპირისპირებებისა შელინგის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის არსზე მაინც ვერ ვილაპარაკებთ ისე, როგორც ამას ჰეგელის შემდგომი ფილოსოფოსები გააკეთებენ¹⁵⁸. ეს არაა მარტივი დაპირისპირება, იმ აზრით, რომ შელინგი მხოლოდ უარყოფს ჰეგელის ფილოსოფიას. შელინგის ჰეგელის ფილოსოფიასთან მიმართებაში ნათელია განწყობების ცვლა, რასაც კ. იასპერსიც მიუთითებს. ერთი რამ უდავოა და ამას თავად შელინგიც აღნიშნავს, რომ შელინგის პოზიტიური, ანუ გვიანი ფილოსოფია შეუძლებელი იქნებოდა ჰეგელის ფილოსოფიური სისტემის გარეშე. შელინგის ნეგატიური ფილოსოფია პირდაპირ მიმართებაშია ჰეგელის ფილოსოფიასთან. შელინგი გერმანული იდეალიზმის თეზისს უპირისპირდება. მისი გადასინჯვა, მასზე თავდასხმა, ჰეგელის შემდგომ ფილოსოფიაში და არა გერმანული იდეალიზმის მიმართულების ფარგლებში რომ წამოიწყეს ეს ცხადია, მაგრამ შელინგმა ეს გადასინჯვა გერმანული იდეალიზმის ფარგლებშივე სცადა. გვიანდელი შელინგი გერმანული იდეალიზმის ცენტრალურ დაშვებას ამოწმებს და გადააფასებს. უფრო კორექტული ვიქნებით თუ ამას შელინგისავე სიტყვებით დავაზუსტებთ და ვიტყვით, რომ აქამდე რაც ჰეგელმა გააკეთა ესაა ნეგატიური ანუ რაციონალური ფილოსოფია (შელინგი ამაში

¹⁵⁸ Vgl.: “Das Verhältnis zu Hegel ist nicht als einfache Entgegensetzung zu deuten, wie es bei den anderen Nachhegelianern der Fall ist“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 102.

მოიაზრებს თავის ადრეულ ნაშრომებსაც), ხოლო ახლა საჭიროა პოზიტიური ან ისტორიული ფილოსოფია.

3.2. შელინგის ნეგატიური ან რაციონალური ფილოსოფიის არსი

შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიას შორის განსხვავების განხილვა წარმოდგენას გვიქმნის გერმანული იდეალიზმის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებზეც. შელინგის ფილოსოფიაში ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის ტერმინები პირველად 1836 წელს დაწერილ ტექსტში: „ფილოსოფიური ემპირიზმის წარმოდგენა“¹⁵⁹ გვხვდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ შელინგი ნეგატიურ ფილოსოფიას უწოდებს თავის ადრეულ ტექსტებს და მთლიანად ჰეგელის ფილოსოფიას. მისი განსაზღვრებით ესაა რაციონალური და დიალექტიკური ფილოსოფია, ხოლო პოზიტიური ან ისტორიული ფილოსოფია მისი გვიანი პერიოდის ფილოსოფიაა.

დისერტაციის მიზანი, რომ შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში მისი „სამყაროს ეპოქების“ ადრეული ვერსიების როლი და ადგილი განისაზღვროს, მოითხოვს შელინგის ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიებს შორის განსხვავების არსისა და მათი საზღვრების ცოდნას. ამ განხილვის აუცილებლობას იწვევს ის, რომ „სამყაროს ეპოქების“ ადრეულ ვერსიებზე მუშაობის პერიოდი შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში ნეგატიურიდან პოზიტიურ ფილოსოფიაზე გარდამავალ პერიოდად მიიჩნევა. ამიტომ სანამ უშუალოდ „სამყაროს ეპოქების“ განხილვას შევუდგებით, საჭიროა შელინგის ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიაზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. ის განსაკუთრებული შინაარსი, რომელსაც შელინგი ამ ორ ტერმინს: ნეგატიური და პოზიტიური, ანიჭებს მისივე შექმნილია. მოცემულ თავში მოკლედ განვიხილავთ შელინგის ნეგატიური, ხოლო შემდეგ თავში მისი პოზიტიური ფილოსოფიის არსს.

¹⁵⁹Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 133.

შელინგის გვიანი ფილოსოფიისათვის ნეგატიურსა და პოზიტიურს შორის განსხვავების დადგენა არსებითი საკითხია, რადგან: „შელინგის გვიანი ფილოსოფია მნიშვნელოვნადაა განპირობებული პოზიტიურ და ნეგატიურ ფილოსოფიას შორის განსხვავებით“¹⁶⁰. შელინგთან ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია ისეა მოცემული, რომ ძნელდება მათზე ცალ–ცალკე საუბარი, რადგან მათ შორის არსებობს გარკვეული კავშირი და ძალიან მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ამ კავშირის არსის გარკვევა და გათვალისწინება. მათ განსხვავებაში მოცემულია და იკითხება, როგორც ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა, ასევე საკუთარი ადრეული ფილოსოფიის კრიტიკული შეფასებაც. მოცემული ნაშრომის მიზანია შელინგთან ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის ურთიერთდამოკიდებულების და მათი თანაარსებობის ჩვენება. შელინგი პოზიტიურ, ანუ თავის გვიანდელ ფილოსოფიას, ადრეულს ანუ ნეგატიურს დაუპირისპირებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, პოზიტიურ ფილოსოფიას ნეგატიურისაგან გამიჯვნის საშუალებით აფუძნებს და ასე აფიქსირებს ნეგატიური ფილოსოფიის გვერდით თავის ახალ, პოზიტიურ ფილოსოფიას. შელინგის ფილოსოფიურ განვითარებაში რთულია ზუსტად მიუთითო ნეგატიური ფილოსოფიის დასასრულისა და პოზიტიურ ფილოსოფიაზე გადასვლის კონკრეტული წლები. არსებობს კვლევები, იმის შესახებ რომ შელინგის ადრეულ, იგივეობის ფილოსოფიაშიც იქნას ამოკითხული პოზიტიური ფილოსოფიის კვალი¹⁶¹. მონოგრაფიაში „სახელმძღვანელო. გერმანული იდეალიზმი“ შელინგის გვიანდელ ფილოსოფიაზე ლაპარაკი იწყება 1810 წლიდან, ანუ შელინგის მიერ „სამყაროს ეპოქების“ პროექტზე მუშაობის დაწყებიდან, თუმცა ისიცაა მითითებული, რომ 1806 წლიდან შელინგი თავის პოზიტიურ ფილოსოფიის კონცეფციის განვითარებას აგრძელებს და ამით ნათქვამია, რომ შელინგის

¹⁶⁰“Schellings Spätphilosophie ist wesentlich geprägt durch die Unterscheidung zwischen *positiver* und *negativer* Philosophie. *Handbuch Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 272.

¹⁶¹ Düsing, Klaus: “Vernunftseinheit und unvordenkliches Daßsein. Konzeption der Überwindung negativer Theologie bei Schelling und Hegel“. ასევე: *Handbuch Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 240-246.

ფილოსოფიაში პოზიტიური ფილოსოფიის კვალი უფრო ადრეულ ტექსტებშიც იკითხება¹⁶².

თავად შელინგი თავისი ფილოსოფიის ადრეულ და გვიან პერიოდებად დაყოფის მიზეზსა და არსს, 1827 წელს მიუნჰენში, ასე აღწერს: ჩემი ეხლანდელი (გვიანი) და ადრეული ფილოსოფია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც ნაყოფი და ყვავილი¹⁶³. ამ ფრაზით შელინგი ხაზს უსვამს იმას, რომ მისი ადრეული ფილოსოფია მცდარი კი არაა, არამედ არასრულია და საჭიროებს შემდგომ დამუშავებასა და შევსებას. 1833-34 წელს შელინგმა თავისი ადრეული ფილოსოფიური სისტემა მოიხსენია სიტყვებით „სიცოცხლის სისტემა“ („System der Lebendigkeit“), ხოლო გვიანდელ ფილოსოფიას უწოდა „თავისუფლების სისტემა“ („System der Freiheit“)¹⁶⁴.

შელინგი ნეგატიურ ფილოსოფიას განმარტავს, როგორც რაციონალურ ფილოსოფიას და ასეთია მისთვის, პირველ რიგში, ჰეგელის ფილოსოფია. თავად შელინგი რაციონალურ ფილოსოფიას სხვადასხვა ტექსტებში სხვადასხვა პერიოდებს ასახელებს: „შესავალი მითოლოგიის ფილოსოფიაში“ ავითარებს ნეგატიურ ან „წმინდა რაციონალური“ ფილოსოფიის ცნებას, რომელიც მართალია კავშირს ამყარებს, მიმართებაშია დეკარტეს მიერ შემოტანილ განვითარების გაგებასთან, მაგრამ თავისი მრავლისმომცველი მნიშვნელობის მიხედვით იგი მოიცავს პლატონისა და არისტოტელეს მიერ დაფუძნებულ მთელს ევროპულ მეტაფიზიკასაც. „გამოცხადების ფილოსოფიის შესავალი“ კი მის საწინააღმდეგოდ აღწერს უშუალოდ კანტის და არაპირდაპირ ფიხტესგან მომდინარე აზროვნებას. იდეალიზმად შელინგი განსაზღვრავს კანტის მიერ შემოთავაზებულ გონების მეცნიერებას¹⁶⁵. ვალტერ შულცი წერს, რომ შელინგმა გონებისა და გამოცდილების

¹⁶² *Handbuch. Deutscher Idealismus*. S. 108.

¹⁶³ Vgl.: „Meine jetzige und früherer Philosophie Unterscheiden sich nur von einander, als sich Frucht und Blüte Unterscheiden“. Kocktanek, Anton Mirko: *Schellings Seinslehre und Kierkegaard*, S. 27.

¹⁶⁴ Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 135.

¹⁶⁵ Vgl.: „Die „Einleitung in die Philosophie der Mythologie“ entfaltet einen Begriff von negativer oder „reirationaler“ Philosophie, der zwar abhebt auf die durch Descartes heraufgeführte Entwicklung, aber seinem umfassenden Sinn nach die ganze europäische Metaphysik platonisch-aristotelischer Herkunft meint; die „Einleitung in die Philosophie der Offenbarung“ hingegen beschreibt damit speziell das „mittelbar von Kant, unmittelbar von Fichte ausgegangene Denken (XII 62). Als Idealismus bezeichnet

ურთიერთობის ირგვლივ არსებული დისკუსია საერთოდ მოდერნული ფილოსოფიის მთლიანი სურათის ფონზე განიხილა. შელინგი ამ განხილვაში განსაკუთრებულ აქცენტს გერმანულ იდეალიზმზე აკეთებს, რადგან სწორედ გერმანულმა იდეალიზმმა წამოაყენა პირველად გონების მეცნიერების იდეა [...] კანტიდან დაწყებული და მისგან მოყოლებული, გერმანული იდეალიზმი ცდილობს მისი ნაკლის გამოსწორებით და შევსებით (და აქ თავად შელინგის მიერ კანტის კრიტიკაც იგულისხმება, კერძოდ შელინგის ის მტკიცება, რომ კანტის ნივთი თავისთავად არ არსებობს შემეცნებამდე და მის გარეშე) საბოლოოდ ჰეგელის გონების აბსოლუტური ძლიერებამდე მივდივართ¹⁶⁶. მთავარი იდეა, რომლითაც შელინგი ნეგატიურ ფილოსოფიას და შეიძლება ვთქვათ, რომ ფაქტობრივად გერმანულ იდეალიზმს ახასიათებს არის გონების აბსოლუტური ძლიერების რწმენა. ნეგატიური ფილოსოფიის მეთოდია დიალექტიკური მეთოდი. რაც შეეხება პოზიტიური ფილოსოფიის საწყისებს ფილოსოფიის ისტორიაში შელინგი მას პოულობს მხოლოდ პლატონთან („*ტიმაიოსში*“), ნეოპლატონიზმში, თეოსოფებთან და ასევე სპინოზასთან¹⁶⁷.

გასათვალისწინებელია, რომ თვითონ ნეგატიური ფილოსოფიის შინაარსის განსაზღვრა სრულად მხოლოდ პოზიტიური ფილოსოფიის პოზიციიდანაა შესაძლებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ იმას რასაც შელინგი ნეგატიურ ფილოსოფიას უწოდებს დგინდება პოზიტიური ფილოსოფიის პერსპექტივიდან და ამიტომ ცხადია ნეგატიურ ფილოსოფიაზე საუბარი შეუძლებელია პოზიტიური ფილოსოფიისაგან მოწყვეტილად.

შელინგის პოზიტიური ფილოსოფია იწყება ნეგატიური ფილოსოფიის კრიზისის აღმოჩენით. ეს კრიზისული სიტუაცია იკვეთება მაშინ, როდესაც გონება საკუთარ უძლურებას აღმოაჩენს და ის შელინგთან პრაქტიკულად “გონების

Schelling diese durch Kant eingeleitete Vernunftwissenschaft (XI 466)“. Theunissen, Michael: “Die Aufhebung des Idealismus in der Spätphilosophie Schellings“, in: *Philosophisches Jahrbuch*, Freiburg u. a. Verlag Karl Alber 1976, S. 7.

¹⁶⁶Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*. S. 27.

¹⁶⁷Jaspers, Karl: *Schelling. Grösse und Verhängnis*, S. 96.

მეცნიერების კრიზისის”¹⁶⁸ კვალიფიკაციას ღებულობს. გონების უძლურებაზე ლაპარაკი პარადოქსულად ჟღერს იმ დროის ფილოსოფიასა და საერთოდ აზროვნებას თუ გადავხედავთ. ფილოსოფიას, რომელიც ჩამოყალიბდა დეკარტედან მომდინარე ტრადიციაზე, რომელმაც მთელი ევროპული განვითარება რაციონალურ აზროვნებაზე ორიენტირებულად წარმოგვიდგინა. ამის გაგრძელებაა კანტის გონების კვლევაზე დაფიქსირებული ფილოსოფია, ხოლო შემდეგ ჰეგელმა თავის ფილოსოფიაში აზროვნება და სინამდვილე, გონება და სინამდვილე სრულიად გააიგივა. სწორედ ამ გზით განვითარებულ აზროვნებას უეცრად გერმანული იდეალიზმის ერთ–ერთმა წარმომადგენელმა, შელინგმა, დაანახა, რომ სწორედ ეს გონებაა ჩიხში. ეს ჩიხი კი წარმოადგენს საერთოდ რაციონალური ფილოსოფიის საზღვარს და გვეუბნება იმას, რომ რაციონალური ფილოსოფია სრულდება იქ სადაც უნდა დაიწყოს სხვა ფილოსოფია, პოზიტიური ფილოსოფიის სახელით. ან ნეგატიური ფილოსოფია მთავრდება იქ სადაც: „რაციონალური ფილოსოფია აუცილებლად მთავრდება აბსოლუტური ინდივიდუალიზმის იდეით, რომელიც აუცილებლობით არსებობს“¹⁶⁹. ნეგატიურ ფილოსოფიაზე საუბარი ამ ეტაპზე ასე უნდა დავასრულოთ. შელინგის ნეგატიური ფილოსოფიის შინაარსი უფრო ვრცლად პოზიტიური ფილოსოფიის არსის გადმოცემისას მოხდება.

3.3. შელინგის ფილოსოფიაში პოზიტიური ან ისტორიული ფილოსოფიის აუცილებლობის წარმოშობა

შელინგს 1809 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის: „*ფილოსოფიური გამოკვლევები ადამიანური თავისუფლების არსებისა და მასთან დაკავშირებული*

¹⁶⁸„Krisis der Vernunftswissenschaft“, Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Einleitung in die Philosophie der Mythologie*, In: *Sämmtliche Werke*. I,2., Stuttgart und Augsburg, Cotta'scher Verlag 1856, S. 565.

¹⁶⁹„Die rationale Philosophie endet notwendigerweise mit der Idee eines absoluten Individualismus, das notwendig existiert“. Fackenheim, Emil L.: „Schellings Begriff der Positiven Philosophie“, in: *Zeitschrift für philosophische Forschung*, Bd. VII., Meisenheim u.a., Westkulturverlag Anton Hain 1954, S. 325.

საგნების შესახებ“ შემდეგ არაფერი გამოუქვეყნებია. ეს დუმილი 1841 წლამდე გაგრძელდა. 1841 წელს შელინგი ბერლინში ჩადის და კითხულობს ლექციებს. იმ პერიოდისათვის ბერლინი ჰეგელიანიზმის ცენტრია და სწორედ აი ამ ჰეგელიანიზმის ცენტრში კითხულობს შელინგი თავის ახალ ფილოსოფიას, პოზიტიური ფილოსოფიის სახელით. ბერლინში მხოლოდ შელინგის გამოჩენის ფაქტი უკვე სენსაცია იყო. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ შელინგის ახალი ფილოსოფია უპირისპირდებოდა ჰეგელის ფილოსოფიას, შელინგს ამ სალექციო კურსის ჩატარება დიდ გაბედულებად შეიძლება ჩავუთვალოთ. ლექციებს ესწრება ბევრი, შემდეგში უკვე ცნობილი, ფილოსოფოსი, მათ შორის იყო სორენ კირკეგორი, რომელიც ბერლინში სპეციალურად შელინგის ახალი ფილოსოფიის მოსასმენად ჩადის. სორენ კირკეგორი საბოლოო ჯამში, მართალია იმედგაცრუებული რჩება შელინგის ლექციებით, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ის იწერდა შელინგის ლექციებს. სორენ კირკეგორის შელინგის ლექციების პირველი ჩანაწერი დათარიღებულია 1841 წლის 22 ნოემბრით, ხოლო ბოლო ჩანაწერი დათარიღებულია 1842 წლის 3 თებერვალით. სორენ კირკეგორის ამ ჩანაწერებით ძალიან კარგად შეიძლება შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის გაგება. (ამის შესახებ უფრო ვრცლად შევჩერდებით დისერტაციის სხვა თავში).

შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის სრულიად განსხვავებულ ვერსიებს შეიძლება შევხვდეთ: „შელინგის ეს ‚პოზიტიური‘ ფილოსოფია სხვადასხვაგვარად განიმარტა და მისი შეფასებაც სხვადასხვაგვარად მოხდა“¹⁷⁰, თუმცა ამ განსხვავებების მიუხედავად ბევრი საერთო საკითხიც იკვეთება და მათში შელინგის პოზიტიური ფილოსოფია შეუცდომლად ამოიცნობა.

შელინგს პოზიტიური ფილოსოფიის იდეისა და მისი დამუშავების მცდელობები 1841 წლამდე ბევრად ადრე ჰქონდა დაწყებული. ის იდეები, რომელსაც შემდგომში პოზიტიური ფილოსოფიის სახელი უნდა დარქმეოდა უკვე

¹⁷⁰“Diese ‚positive‘ Philosophie Schellings ist sehr verschieden gedeutet worden und vor allem sehr verschieden beurteilt worden“. Thulstrup, Niels: *Kierkegaards Verhltnis zu Hegel und zum spekulativen Idealismus 1835-1846, Historisch-analytische Untersuchung*, Stuttgart u. a. Verlag W. Kohlhammer 1972, S. 223-224. ნაშრომის ავტორი განიხილავს შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის გადმოცემის სხვადასხვა ვერსიებს.

1804 წლიდან (მის ტექსტში „*ფილოსოფია და რელიგია*“) და განსაკუთრებით 1809 წლიდან (იგულისხმება ტექსტი: „*ფილოსოფიური გამოკვლევები ადამიანური თავისუფლების არსებასა და მასთან დაკავშირებული საგნები*“)¹⁷¹. ამ ტექსტებიდან მოყოლებული შელინგის მოღვაწეობა შეიძლება პოზიტიური ფილოსოფიის მზადებად ჩაითვალოს თავად „*სამყაროს ეპოქების*“ ადრეული ვერსიების ჩათვლით. თუმცა საკუთრივ პოზიტიური ფილოსოფიის და მისთვის კუთვნილი ტექსტების თარიღები ცოტა გვიანია. ნეგატიურიდან პოზიტიურ ფილოსოფიაზე გადასვლისას კონკრეტული წლების მითითებისას სიფრთხილეა საჭირო და იმ შენიშვნის გაკეთება, რომ შელინგი პოზიტიური ფილოსოფიის მთავარ მახასიათებლებს: ცოდვათდაცემა, მითოლოგია, ისტორია და თავისუფლება, ჯერ კიდევ ტიუბინგენის წლებიდან მოყოლებული სხვადასხვა ტექსტებში მონიშნავს¹⁷². მაგალითად 1800 წლის ნაშრომში „*ტრანსცენდენტალური იდეალიზმის სისტემა*“ შელინგი წერს: „1. რაც პროგრესული არ არის, იგი არ არის ისტორიის ობიექტი. [...]. 2. იქ სადაც მექანიზმი არსებობს, იქ არ არის ისტორია და პირიქით, იქ სადაც ისტორიაა, არ არსებობს მექანიზმი [...]. 3. რისგანაც თეორია a priori შესაძლებელია, მისგან ისტორია შეუძლებელია და პირიქით, მხოლოდ იმას რასაც თეორია a priori არ აქვს, აქვს ისტორია. თუ ადამიანს ისტორია (a posteriori) აქვს, და მას ის აქვს მხოლოდ იმის გამო, რომ (ის) არა აქვს (a priori). მოკლედ, მას [ადამიანს] თავისი ისტორია თან კი არ მოაქვს, არამედ თავად ქმნის. [თუ] „ისტორიის ფილოსოფია ისევე ბევრია, როგორც ისტორიის მეცნიერება a priori“, მაშინ ისტორიის ფილოსოფია შეუძლებელია“¹⁷³. აქ მხოლოდ მოკლედ შევნიშნავთ, რომ ისტორიის ახლებური, არა ჰეგელისეული გაგება, შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის მთავარი მიზანი გახდება.

¹⁷¹Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 113.

¹⁷²*Handbuch. Deutscher Idealismus*, S. 244

¹⁷³Vgl.: “1. Was nicht progressiv ist, ist kein Objekt der Geschichte [...]. 2. Wo Mechanismus ist, ist keine Geschichte, und umgekehrt, wo Geschichte ist, ist kein Mechanismus [...]. 3. Wovon eine Theorie a priori möglich ist, davon ist keine Geschichte möglich, und umgekehrt, nur was keine Theorie a priori hat, hat Geschichte. Wenn also der Mensch Geschichte (a posteriori) hat, so hat er sie nur deswegen, weil er keine (a priori) hat; kurz, weil er seine Geschichte nicht mit-, sondern selbst erst hervorbringt. [Wenn] “Philosophie der Geschichte so viel ist, als Wissenschaft der Geschichte a priori“, dann ist “eine Philosophie der Geschichte unmöglich“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, S. 243.

რას ნიშნავდა შელინგის ეს ახალი, პოზიტიური ფილოსოფია, რომელზეც ის ხმამაღალ განცხადებას 1841 წელს აკეთებს და რა სიახლეს სთავაზობდა ამ ახალი ფილოსოფიით შელინგი მსმენელს? ძალიან მოკლედ ეს იყო ჰეგელის ფილოსოფიისეული დილემიდან გამოსავლის ძიება: „ჰეგელი უპირისპირდებოდა თანამედროვეებს რადიკალური ალტერნატივით: ან აბსოლუტური დიალექტიკური სისტემა, ან ერთეულის გადარჩენა ყველა სისტემის ხარჯზე. შელინგის პოზიტიური ფილოსოფია, ბევრ სხვა სისტემებს შორის, არის ამ დილემისაგან თავის დაღწევის მცდელობა. იგი კი არ თმობს დიალექტიკური სისტემის ცნებას, არამედ ცდილობს არსებისა და არსებობის (ექსისტენცის) დიალექტიკის ერთმანეთთან დაკავშირებას“¹⁷⁴. როგორ აკეთებს შელინგი ამას და რა შედეგებს ღებულობს ამ მცდელობის განხორციელებისას ამას ეტაპობრივად განვიხილავთ.

თავიდანვე ცხადია ერთი რამ, რომ შელინგი დაუპირისპირდა რაციონალურ ფილოსოფიას და მის დიალექტიკურ მეთოდს. აქ არაა საუბარი იმაზე, რომ შელინგი გერმანული იდეალიზმის დიალექტიკას ცალსახად უარყოფს და უვარგისად აცხადებს, არამედ ლაპარაკია მისთვის საზღვრების დაწესებაზე და იმაზე, რომ დიალექტიკური მეთოდი ერთადერთ მეთოდად არ გამოცხადდეს: „იგი [შელინგი] არა უბრალოდ უარყოფდა, არამედ მის [დიალექტიკური მეთოდის] სფეროს შემოსაზღვრავდა. აბსოლუტური იდეალიზმის შეცდომა სავარაუდოდ არის (ან: უნდა მოიძებნოს) დიალექტიკის გააბსოლუტურებაში“¹⁷⁵. საზღვრების დაწესებას შელინგი თავისი ადრეული ფილოსოფიისათვისაც აუცილებლად თვლის. შეცდომა დიალექტიკური მეთოდის არსებობა კი არაა, არამედ ის, რომ დიალექტიკური მეთოდი ერთადერთ და უნივერსალურ

¹⁷⁴“Hegel konfrontierte seine Zeitgenossen mit einer radikaler Alternative: entweder absolutes dialektisches System, oder die Rettung des Einzelnen auf Kosten allen System. Schellings positive Philosophie ist, unter vielem anderen, ein Versuch, diesem Dilemma zu entgehen. Sie gibt den Begriff eines dialektischen Systems durchaus nicht auf, sondern versucht vielmehr, eine Dialektik des Wesens und der Existenz zu verbinden“. Fackenheim, Emil L.: “Schellings Begriff der Positiven Philosophie“, S. 322.

¹⁷⁵“Er (Schelling) nicht einfach ablehnte, sondern vielmehr nur ihr Bereich beschränkte. Der Fehler des absoluten Idealismus liege in der Verabsolutierung der Dialektik“. Ebd., S. 321.

მეთოდად გამოვაცხადოთ. შელინგს აქვს თავისი არგუმენტი რის გამოც ის დიალექტიკურ მეთოდს არ აცხადებს აბსოლუტურ ან ერთადერთ მეთოდად.

შელინგის პოზიტიური პერიოდის ფილოსოფიის ამოსავალი, ცენტრალური იდეა, რომელსაც ის მუდმივად უტრიალებს, პრაქტიკულად ჰეგელის ფილოსოფიის ფუნდამენტური იდეის შემოწმებაა. პოზიტიური ფილოსოფიის მიზანია ანახოს, რომ: „აზროვნებისა და რეალობის სტრუქტურები აღარ არიან იდენტურნი“¹⁷⁶. რადგანაც მთელი ჰეგელის ფილოსოფია ამ იდეის სისტემაში მოაზრების ყველაზე სრულყოფილი ვერსიაა და თანაც იმ აზრის დემონსტრირებას წარმოადგენს, რომ აზროვნება და სინამდვილე იდენტურია, ან რომ აზროვნების ფორმები ისეა ინტეგრირებული სინამდვილეში, რომ ისინი პრაქტიკულად იდენტურნი არიან, ამიტომ შელინგისათვის ნეგატიური ფილოსოფიის ქვეშ, პირველ რიგში, ჰეგელის ფილოსოფია იგულისხმებოდა. ჰეგელი წერს, რომ ყველაფერი, გონითიცა და ბუნებითიც, არის აზროვნება: „აზროვნება, რომელიც გარეგან ნივთთა სუბსტანციას შეადგენს, გონითის ზოგად სუბსტანციასაც შეადგენს [...] თუ აზროვნებას განვიხილავთ როგორც ყოველი ბუნებრივისა და აგრეთვე ყოველი გონითის ჭეშმარიტ ზოგადს, მაშინ იგი ყველა ამათ ფარგლებს სცილდება და ყველაფრის საფუძველია“¹⁷⁷. შელინგი თვლის, რომ რადგანაც ჰეგელი ბუნებას გონების სტრუქტურის ანალოგიით განიხილავს მას საერთოდ არა აქვს მოცემული ბუნება.

[შელინგი] „ხსნის იდეალიზმს გონების უსასრულო ძალაუფლების რწმენით ან უფრო მკაცრად რომ ითქვას იმაზე დაყრდნობით, რომ გონება უსასრულო ძალაუფლების იდენტურია“¹⁷⁸. სწორედ ამ გონებაში, რომელიც ჰეგელის ფილოსოფიაში უსასრულო ძლიერებით ხასიათდება, შელინგი აღმოაჩენს ერთგვარ საზღვარს, რომელიც გონებას თავის სისუსტეს აჩვენებს. გონების

¹⁷⁶ „Die Strukturen des Denkens und der Realität sind nicht mehr identisch“. Fackenheim, Emil L.: „Schellings Begriff der Positiven Philosophie“, S. 323.

¹⁷⁷ ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლოგიკის მეცნიერება*, გვ. 86.

¹⁷⁸ „Schelling erklärt den Idealismus aus dem Glauben an die unendliche Macht der Vernunft oder schärfer pointiert, aus der Überzeugung, daß Vernunft mit der unendlichen Macht identisch ist“. Theunissen, Michael: „Die Aufhebung des Idealismus in der Spätphilosophie Schellings“, in: *Philosophisches Jahrbuch*, 83. Jahrgang, Krings, Hermann, (Hrsg.), Freiburg u. a. Verlag Karl Alber 1976, S. 6.

სისუსტის საფუძველი რაიმე სხვა კი არაა, არამედ თავად მისივე არაგონებრივი არსებობაა. ეს არაგონებრივი არსებობა გონების ძალაუფლების სფეროს მიღმაა და მისგან განსხვავებულ სფეროს ეკუთვნის¹⁷⁹. გონებისათვის საკუთარი არსებობის ამ არაგონებრივი სფეროს აღმოჩენა არ ნიშნავს იმას, რომ გონება მცდარ, არარსებულ ან აბსურდულ უნარად გამოცხადდეს. საქმე უფრო საინტერესოდ გამოიყურება. მივყვით თავად შელინგის აზრების განვითარებას. შელინგი პოზიტიურ ფილოსოფიაში მუშაობს თეზისით, რომ სინამდვილის კატეგორია არ არის შემეცნებელი გონების სტრუქტურის მქონე. ამიტომ ის გერმანულ იდეალიზმში, რომელიც სწორედ გონების აბსოლუტური ძლიერების სახელითა და რწმენით მოქმედებს, განსაკუთრებით გერმანული იდეალიზმის ჰეგელისეული ფილოსოფიის ვერსიაში, მოულოდნელ დაბრკოლებაზე მიუთითებს. ამ დაბრკოლების, შემეცნებელი გონების სისუსტის აღმოჩენით შელინგის პოზიტიური ფილოსოფია მთლიანად გერმანული იდეალიზმის ჰეგელისეული ვერსიის დარღვევისაკენაა მიმართული. ამ აზრის ფორმულირება შემდეგნაირადაა შესაძლებელი: შელინგი თვლის, რომ გონებრივი და ცნებაში მოცემადია მხოლოდ შესაძლებლობის კატეგორია და არა სინამდვილის კატეგორია. (ეს პასაჟი რთული გასაგებია შელინგის ფილოსოფიაში, მას მიმართებები აქვს არისტოტელეს ფილოსოფიაში შესაძლებლობისა და სინამდვილის გაგებასთან და ასევე კანტის ფილოსოფიაში კატეგორიათა სისტემის მოდალობის კატეგორიებთან)¹⁸⁰. პრაქტიკულად შელინგი საუბრობს სინამდვილის და შესაძლებლობის კატეგორიაზე და არსებასა და არსებობაზე და თვლის, რომ დიალექტიკური მეთოდი წვდება შესაძლებლობასა და არსებას და არა სინამდვილესა და არსებობას.

ნ. ჰარტმანი შელინგის ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიას შორის განსხვავებას ასე განმარტავს: „ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიას, გონებას და გამოცხადებას ერთი და იგივე შინაარსი აქვთ. თუმცა პირველი [ნეგატიური ფილოსოფია] აღწერს მხოლოდ ყოფნის აუცილებელ ფორმებს, ანუ ზოგადს,

¹⁷⁹Theunissen, Michael: “Die Aufhebung des Idealismus in der Spätphilosophie Schellings“, S. 9.

¹⁸⁰Vgl: Düsing, Klaus: “Vernunftseinheit und unvordenkliches Daßsein. Konzeption der Überwindung negativer Theologie bei Schelling und Hegel“, S. 132.

„არსებას“, ესენციას, ხოლო უკანასკნელი [პოზიტიური ფილოსოფია] მის სინამდვილეს, „არსებობას“, „ექსისტენცს“¹⁸¹. ამიტომ „მეცნიერება არსებაზე, როგორც გონების მეცნიერება მცდარი კი არაა, არამედ არასრულია, ის არსებობაზე, როგორც სინამდვილეზე მეცნიერებით უნდა ამაღლდეს“¹⁸². აქედან ორი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 1. რომ ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ პირველს არსებასთან აქვს მიმართება და მას მოიცავს, ხოლო მეორე მოიცავს არსებობას. შესაბამისად ისინი სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ და 2. რომ ორივე ფილოსოფია, ნეგატიურიცა და პოზიტიურიც, აუცილებელია და შეცდომა იმაშია, რომ რომელიმე მათგანი მივიჩნიოთ ერთადერთად.

განვავრცობთ ამ აზრს და განვიხილავთ ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განმასხვავებელ ან ფილოსოფიის ასე დაყოფის რამოდენიმე საფუძველს. პირველ რიგში მათ ცალ–ცალკე დავახასიათებთ და ამის შემდეგ უკვე ერთმანეთთან კავშირშიც განვიხილავთ.

პირველი ასეთი საფუძველია შელინგის გვიანდელ ფილოსოფიაში ცნობილი განსხვავება არსებასა („Was“) და არსებობას („Daß“) შორის. პირველი აზრი არის სწორედ ეს, რომ შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განსხვავების არსს გამოხატავს არსებასა („Was“) და არსებობას („Daß“) შორის განსხვავება. ერთს შეესაბამება გონება, მეორეს გამოცდილება. შელინგი მრავალგზის განიხილავს მათ შორის განსხვავების არსს: [...] უნდა განვასხვავოთ ორი სრულიად სხვადასხვა რამ: რა არის მყოფი, („quid sit“) და რომ ის არის (არსებობს), („quod sit“). [...]პასუხი კითხვაზე: რა არის ეს - შესაძლებელს ხდის გავიგო საგნის არსება, ან გავიგო საგანი, გავიგო ის, რომ მე მისი განსჯა ან მისი ცნება, ან თავად იგი ცნებაში მეძლევა. მეორე რამ კი, გაგება იმისა, რომ ეს არის,

¹⁸¹“Die negative und positive Philosophie, Vernunft und Offenbarung, haben denselben Inhalt. Aber die erstere zeigt an ihm nur die notwendigen Formen des Seins, das Allgemeine ‚Was‘, die Essenz auf, die letztere dagegen seine Wirklichkeit, das ‚Daß‘, „die Existenz“. Hartman, Nicolai: *Philosophie des deutscher Idealismus*, S. 155.

¹⁸²“Die Essenzwissenschaft als Vernunftwissenschaft ist nicht falsch, aber unvollkommen, sie muß durch eine Existenzwissenschaft als Wirklichkeitswissenschaft überhöht werden“. Kocktanek, Anton Mirko: *Schellings Seinslehre und Kierkegaard*, S.23

მამცნობს არა მხოლოდ ცნებას, არამედ ცნების მიღმა მდებარეს, ცნების იქით მიმავალს, რომელიც არის ექსისტენცი. ეს არის ჭეშმარიტი შემეცნება, შემეცნება კი ცნების გარეშე შეუძლებელია. რადგან იმას რასაც შემეცნებაში როგორც არსებობას შევიმეცნებ, არის ზუსტად „არსება“ („quid“), ანუ საგნის ცნება. უმთავრესი შემეცნება არის კვლავ შემეცნება. მაგალითად: თუ მე შევიმეცნებ მცენარეს და ვიცი, თუ რა არის ის, ასე კვლავ შევიმეცნებ ცნებასაც, რომელიც მე მანამდე მისი არსებობით (ექსისტენცში) მომეცა. შემეცნებაში მონაწილეობს ყოველთვის ორი, რომლებიც ერთმანეთს ხვდებიან, ამას ამბობს ლათინური „cognitatio“¹⁸³. ციტირებულ პასაჟში გადმოცემულია შელინგის არსებისა და არსებობის განსხვავება. შელინგის აზრი ცალსახად მიუთითებს იმას, რომ არსებობა არ გვეძლევა ცნებაში.

ვ. შულცი თვლის, რომ შელინგთან ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განსასხვავებლად არსებასა და არსებობის განსხვავებაზე მითითება არაა საკმარისი¹⁸⁴, რადგან შელინგი გამოცდილების ფილოსოფიიდან კი არ ამოდის, არამედ პირიქით გონებიდან: „გვიანი პერიოდის შელინგი იდეალისტად რჩება იქ, როცა იგი უპირობო გონებას იღებს საწყის წერტილად, [გონება] რომელსაც a priori ძალუძს ყოველგვარი მყოფის არსების შინაარსის კონსტრუირება“¹⁸⁵. გამოცდილებას კი, მისი აზრით, აქვს კონტროლირების ფუნქცია. ვ. შულცი თვლის, რომ ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიას შორის განსხვავების არსი შელინგის მიერ ღმერთის გაგებაშია. ღმერთი გონებისათვის

¹⁸³“ [...] es sind zwei ganz verschiedene Sachen, zu wissen, was ein Seiendes ist, quid sit, und daß es ist, quod sit. Jenes-die Antwort auf die Frage: was es ist-gewährt mir Einsicht in das Wesen des Dings, oder es macht, daß ich das Ding verstehe, daß ich einen Verstand oder Begriff von ihm, oder es selbst im Begriffe habe. Das andere aber, die Einsicht, daß es ist, gewährt mir nicht den bloßen Begriff, sondern etwas über den bloßen Begriff Hinausgehendes, welches die Existenz ist. Dieses ist ein wirkliches Erkennen, ein Erkennen aber ohne den Begriff nicht möglich ist. Denn was ich im Erkennen als existierend erkenne, ist eben das Was, das quid, d.h. der Begriff des Dings. Das meiste Erkennen ist eigentlich ein Wiedererkennen-z.B. wenn ich eine Pflanze erkenne und weiß, was für eine sie ist, so erkenne ich den Begriff, den ich voraus von ihr hatte, in der vorliegenden, d.h. in der existierenden, wieder. Im Erkennen müssen immer zwei seyn, die zusammen kommen, das sagt das lateinische cognitatio“. Hartmann, E. v.: *Schelling's positive Philosophie als Einheit von Hegel und Schopenhauer*, Berlin, Otto Lowenstein 1869, S. 13.

¹⁸⁴Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 323.

¹⁸⁵“Der späte Schelling bleibt also darin Idealist, daß er eine unbedingte Vernunft zum Ausgangspunkt nimmt, die a priori die Wesengehalte alles Seienden zu konstruieren vermag“, ebd. S. 324.

არის საზღვრითი ცნება („Endbegriff“) და მის გასაგებად გონებას სჭირდება თავისი თავის უარყოფა. მხოლოდ ასე შეუძლია მას აღიაროს ღმერთი და კერძოდ კი ის აღიაროს, როგორც შეუმეცნებადი, როგორც მხოლოდ წმინდა ქმედება¹⁸⁶. ვ. შულცი დაასკვნის, რომ ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფია რაღაც სფეროები კი არ არიან, არამედ მეთოდებია.

მეორე ნიშანი: პოზიტიური ფილოსოფიის არსებითი მახასიათებელია შელინგის ისტორიის ახლებური გაგება. შელინგის ფილოსოფიაში ისტორიის გაგების თავისებურებების განხილვა ნაშრომის მომდევნო თავებშია გაანალიზებული. მოცემულ ეტაპზე ხაზს გავუსვამთ მხოლოდ იმას, რომ ისტორიის შელინგისეული გაგება, რომელიც ისევ ჰეგელის ფილოსოფიას უპირისპირდება, წარმოადგენს პოზიტიური ფილოსოფიის საფუძველსა და მიზანს. შელინგს სურს, რომ ისტორია არ იყოს გაგებული, როგორც ჰეგელისეული ისტორიის ფილოსოფია, რადგან: „ჰეგელის ლოგიკა სინამდვილეში ვერ აფუძნებს ადამიანში გონის ისტორიულ განვითარებას ბუნებასთან მიმართებაში და ბუნების ისტორიულ განვითარებას გონის ობიექტივირებებთან მიმართებაში“¹⁸⁷. შელინგი თვლის, რომ ჰეგელს საერთოდ არა აქვს ბუნება მოცემული. შელინგის მიზანია, რომ ისტორია გავიგოთ: 1. არა როგორც ერთი მიზნისაკენ მიმართული განვითარების პროცესი, როგორც ეს ჰეგელს აქვს მოცემული თავის ისტორიის ფილოსოფიაში და 2. რომ ისტორია გაათავისუფლოს ჰეგელის ცნების რაციონალიზმისაგან. ამ გზაზე შელინგის პირველი ნაბიჯი იყო ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ დაწერის იდეა, რომელიც მან ჩაიფიქრა, როგორც გრანდიოზული ისტორიული ტექსტი. ტექსტის მიზანია ანახოს დროების ვრცელი მონაკვეთების, ეპოქების სისტემა. დასაწყისი, რომელზეც შელინგი თავის პოზიტიურ ფილოსოფიაში არაერთგზის სვამს შეკითხვას და ეძებს, დასაწყისი, რომელიც ყველაფერს აფუძნებს და ყველა არსებობის პირველმიზეზია და რომელშიც ადამიანი თავისი პირველი ქმედებით აფუძნებს საკუთარ თავსაც და

¹⁸⁶Ebd. S. 326.

¹⁸⁷“Hegels Logik könne eine geschichtliche Entwicklung des Geistes zur Natur und der Natur zu den Objektivierungen des Geistes im Menschen nicht wirklich begründen“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, S. 241.

ასევე ექსისტენციის ისტორიასაც, არის თავისუფლება. ამ დრმა, პრეისტორიული წარსულის ცნებებში რეკონსტრუირება შეუძლებელია. მასზე შესაძლებელია მხოლოდ თხრობა ანუ სხვანაირად, რომ ვთქვათ, ამ წარსულზე ცოდნა და ცნების მოცემა კი არაა შესაძლებელი, არამედ შესაძლებელია მასზე თხრობა და მოთხრობის შექმნა. თხრობა კი გულისხმობს ადამიანის (მოთხრობლის) უშუალო ჩართულობას იმაში რასაც ის მოგვიყვება.

მესამე არსებითი ასპექტია შელინგის ექსისტენციის შესახებ მსჯელობაში მოცემული სიახლე. შელინგის მიერ ნეგატიური ფილოსოფიის კრიტიკას, რომელიც ფოკუსირებულია რაციონალური ფილოსოფიის დიალექტიკური მეთოდის უკმარისობის გააზრებაზე იწვევს ის, რომ დიალექტიკურ მეთოდს არ შესწევს უნარი მისწვდეს, მოიხელთოს ექსისტენცი. ამ პუნქტში შელინგის მსჯელობა განსხვავებულია გერმანული იდეალიზმისათვის დამახასიათებელი მსჯელობისაგან. ერთია ის, რომ დიალექტიკური მეთოდით რეკონსტრუირებული სინამდვილე არის მხოლოდ შესაძლებელი და არა ნამდვილი და მეორეა ის, რომ გამომდინარე თავისი მიზნიდან, რომ მან უნდა ააგოს ყოველიმომცველი, ყველაფრის თავის თავში შემცველი სისტემა, ის აბსტრაქტირდება ექსისტენციისაგან. მას არ შეუძლია ჩართოს, მოიცვას ექსისტენცი სისტემაში. ამიტომ შელინგი დიალექტიკური მეთოდით მიღებულ ცოდნას არასრულ ცოდნად აცხადებს („unvollständiges Wissen“)¹⁸⁸. რაციონალური ან ნეგატიური ფილოსოფიის მთავარ ნაკლად ან ბრალდებად შელინგი იმ არგუმენტს წამოაყენებს, რომ ის საერთოდ ექსისტენციის იგნორირებას ახდენს, რადგან პრაქტიკულად ექსისტენცი წმინდა რაციონალურ ტერმინებსა და ცნებებში არ მოიცემა. შელინგი განასხვავებს ექსისტენცს, რომელიც წმინდა რაციონალურ ცნებებში ვერ განისაზღვრება და იდეას ერთმანეთისაგან და თვლის, რომ ამ ექსისტენციისა და იდეის ერთიანობა შესაძლებელია არა აზროვნებაში, არამედ პოზიტიური ფილოსოფიის სხვა ტერმინში – ნებაში და კერძოდ კი ნების აქტში: „ამგვარი გაერთიანება შესაძლებელია ნების აქტით.“ შესაბამისად შელინგთან ექსისტენცს ეწოდება „მოუაზრებელი ყოფნა, არსებობა“, (ეს ნიშნავს, ყოფნას, რომელიც ყოველთვის

¹⁸⁸ Fackenheim, Emil L.: “Schellings Begriff der Positiven Philosophie“, S. 323.

სცდება აზროვნებას და რომელსაც აზროვნება ვერასოდეს მოიცავს“)¹⁸⁹. სწორედ ამ მოუაზრებელი ყოფნით უნდა აიხსნას „სინამდვილის სამყარო“ („Wirkliche Welt“-ნამდვილი სამყარო). ის დიალექტიკის იქითაა, მიღმა ანუ მისი კავშირი სამყაროსთან დიალექტიკური მეთოდის ტერმინებში არ აღიწერება (და არც ცნებებში მოიცემა), არამედ ეს კავშირი, ეს მიმართება “მოუაზრებელ მყოფსა“ და „სინამდვილის სამყაროს“ შორის სხვა ტერმინოლოგიას მოითხოვს. აქ ჩნდება ტერმინი ნება, ეს უნდა იყოს ნების მიმართება, კავშირი („Willensbeziehung“), ანუ პოზიტიურ ფილოსოფიაში აზროვნებისა და ცნებების ადგილს ნება და ნების აქტი იკავებს. გონებას ძალუმს არსების გააზრება, ხოლო ნებას არსებობასთან, ექსისტენცთან აქვს კავშირი. შელინგთან სწორედ ნებაა ექსისტენცის ფუნდამენტური კატეგორია¹⁹⁰. ნების განმარტებისას შელინგს პოზიტიური ფილოსოფიის კიდევ ერთი ფუნდამენტური ტერმინი: არჩევანის თავისუფლება, შემოაქვს.

გვიანდელი შელინგის ფილოსოფიაში ნების შესახებ სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც პოზიტიური ფილოსოფია პრაქტიკულად ექსისტენცზე მოძღვრებით იწყება და ექსისტენცის დახასიათებისათვის, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანია სწორედ ნება და არა გონება. შესაბამისად შელინგთან მოძღვრება ნებაზე პოზიტიური ფილოსოფიისათვის არსებითი მნიშვნელობისაა.

და ბოლოს, გონებაში, რომელიც ყოველგვარი ფილოსოფიის მედიუმია, ღმერთი მხოლოდ მაშინ ვლინდება თავისუფლად, როდესაც გონება თავის თავის ნეგაციას, ანუ თვითნეგაციას, აწარმოებს. პრაქტიკულად გონება რომელიც აღმოაჩენს თავის არაგონებრივ არსებობას ამ მოუაზრებელ არსებობაში („undenkbaren Daß“) საკუთარ უძლურებას ხედავს. ამაშია გონების მიერ საკუთარი თავის გაშუალებული თვითგაშუალება¹⁹¹. გონება თავის თავს აშუალებს საკუთარი

¹⁸⁹ „Wohl aber ist eine solche Vereinigung möglich durch einen Willenakt“[...]“Unvordenkliches Sein“, (d.h. das Sein, das jeweils dem Denken vorausgeht und das das Denken niemals umgreifen kann). Fackenheim, Emil L.: “Schellings Begriff der Positiven Philosophie“, S. 327 -328.

¹⁹⁰ Ebd., S. 328

¹⁹¹ “Die ihrer selbst gewisse Vernunft, die angesichts ihres undenkbaren Daß die Ohnmacht ihres Denkens erfährt, verzichtet darauf, sich selbst denkend zu ihrem Sein ermächtigen zu wollen, und gerade in diesem Verzicht nimmt sie sich als zu ihrem Seinsvollzug schon ermächtigt hin: sie begreift sich als “vermittelte

არაგონებრივი საფუძვლით, თავისი არსებობით. გონების მიერ აღმოჩენილი არაგონებრივი (შელინგთან ეს არ ნიშნავს ირაციონალურს) საწყისი, პირველმიზეზი ამავე დროს თვითონ მასაც ხდის შესაძლებელს. ეს არაგონებრივი საფუძველი გონებას კი არ კლავს და საბოლოოდ გააქრობს ან გადაფარავს, როგორც მცდარს, არამედ მასვე აფუძნებს. მისით ხდება შესაძლებელი: თავად გონების არსებობაცა და ისიც რასაც გონება გვამცნობს.

მოცემული თავის დასკვნისათვის ვიტყვით, რომ ნეგატიური ფილოსოფია არსების („რა ყოფნა“, „Wassein“) შესახებ მოძღვრებაა, ხოლო პოზიტიური ფილოსოფია არსებობის („რომ ყოფნა“, „Daßsein“) შესახებ მოძღვრება. ცნება ნეგატიური აიხსნება იმით, რომ ის გონების ნეგაციას ეფუძნება. ნეგატიური ფილოსოფია არის გონების მეცნიერება და მის ქვეშ იგულისხმება, რომ ის არის რაციონალური და მისი მეთოდია დიალექტიკა. ნეგატიური ფილოსოფია ეყრდნობა ცნებასა და შემეცნებას. ამით ნეგატიური ფილოსოფია მხოლოდ შესაძლებელ პოტენციას (შესაძლებლობის კატეგორიას) მოიხელთებს; ხოლო პოზიტიური ფილოსოფია ისტორიულია და მეთოდად გამოცდილება და თხრობა აქვს, რითაც ის სინამდვილეს სწვდება. ნეგატიური ფილოსოფია ანუ გონების მეცნიერება, რომელიც რჩება წმინდა არსების მწვდომად, წარმოადგენს არა სინამდვილეს, არამედ მხოლოდ ლოგიკურ პროცესს; ხოლო გამოცდილება რომლითაც ჩვენ ნამდვილი არსებობა ვიცით შემეცნებელი გონებისაგან დამოუკიდებელი წყაროა¹⁹². აქ ლაპარაკი არაა ორ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ფილოსოფიაზე, არამედ: „პოზიტიური არის ის, რომელიც ნეგატიურშიცაა, მხოლოდ არა როგორც ნამდვილი, არამედ როგორც თავის თავში მაძიებელი“¹⁹³.

ამ ორი ტერმინით: ნეგატიური და პოზიტიური, შელინგი მთელი მანამდელი ფილოსოფიის მოწესრიგებასა და შეფასებასაც ახდენს. თუმცა მისი უმთავრესი მიზანი მაინც გერმანული იდეალიზმის ჰეგელისეულ ფილოსოფიაში

Selbstvermittlung“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 8.

¹⁹²Lanfranco, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 37-38.

¹⁹³“Die positive ist es, die auch in der negativen eigentlich ist, nur noch nicht als wirkliche, sondern erst als sich suchende“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Erlanger Vorträge in den Jahren 1821/1825*. S. 746-747. XI 564 f.

გონების აბსოლუტური ძლიერების, რევიზიაა. ნეგატიურ და პოზიტიურ ფილოსოფიას შორის განსხვავების გაგება და მათი შინაარსისა და მეთოდის თვალსაზრისით განსაზღვრა, პრაქტიკულად მთელი შელინგის ფილოსოფიის განხილვას საჭიროებს. ამასთანავე რთულია შელინგის ფილოსოფიური განვითარების ამ ორ პერიოდს შორის განსხვავებისათვის კონკრეტული წლების მითითება. ამ საკითხებისა და პრობლემების მრავალფეროვნებიდან მოცემულ ნაშრომში გადმოცემულია მხოლოდ ის საკითხები, რომელიც შელინგის ტექსტის „სამყაროს ეპოქების“ შინაარსის გასაგებადაა მნიშვნელოვანი.

თავი 4

შელინგის ნაშრომი „სამყაროს ეპოქები“

4.1. „სამყაროს ეპოქების“ დაწერის თარიღი, მისი აღმოჩენის ისტორია და სათაურის განმარტება

მეოთხე თავი მთლიანად ეთმობა შელინგის პროექტს „სამყაროს ეპოქები“ და მას განიხილავს რამოდენიმე პრობლემის თვალსაზრისით. ეს პრობლემებია: ისტორიის და დროის გაგების საკითხი და მეცნიერებისა და სინამდვილის მიმართების საკითხი შელინგთან. მოცემული თავის ამოცანაა შელინგის ფილოსოფიაში შემეცნებელი გონებისაგან განსხვავებული ისტორიული გონების დაბადება აჩვენოს.

შელინგი თავისი ახალი ნაშრომის, „სამყაროს ეპოქები“, იდეაზე და მის განხორციელებაზე 1810 წლიდან იწყებს მუშაობას, ხოლო ამ ნაშრომის დაწერის შესახებ უკანასკნელად თავის მიუნხენის ლექციებზე, 1833 წელს, ლაპარაკობს¹⁹⁴. ამ პერიოდის განმავლობაში შელინგი არაერთგზის უბრუნდება და თავიდან ამუშავებს ტექსტს. შელინგი დღიურში 1810 წლის 27 დეკემბრით დათარიღებულ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ „სამყაროს ეპოქების წერა ბოლოსდაბოლოს დაწყებულია. მე ამ ტექსტს ვუწოდებ *სამყაროს ეპოქები*. ასევე ღმერთის გამოვლენის დროები ან ნაწილები. წარსული საოცარი ცნებაა. – მე მას (ნაშრომს-ნ.რ.) *სამყაროს ეპოქები* ვუწოდებ, რატომ? რას ეძებდა ფილოსოფია აქამდე? მეცნიერებას ანუ = ისტორიას“¹⁹⁵.

ნაშრომის პირველი ვერსიები დაწერილია მისი ტექსტის: „*ფილოსოფიური გამოკვლევები ადამიანური თავისუფლების არსებისა და მასთან დაკავშირებული საგნების*“ დაწერის შემდეგ და ნაშრომზე „*მითოლოგიის ფილოსოფიაზე*“

¹⁹⁴Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 61.

¹⁹⁵Sandkühler, Hans Jörg (Hrsg.): *Weltalter-Schelling im Kontext der Geschichtsphilosophie. Dialektik. Enzyklopädische Zeitschrift für Philosophie und Wissenschaft*, Hamburg, Felix Meiner Verlag GmbH 1996/2, S. 8.

მუშაობის დაწყების პარალელურად. შელინგის შემოქმედებაში ამ პერიოდში კრიზისი იგრძნობა, რაც გამოწვეულია 1809 წლის 7 სექტემბერს მისი მეუღლის, კაროლინის გარდაცვალებით. ამ ტრაგიკულ ფაქტს შელინგის ფილოსოფიაზე დაწერილ ტექსტებში თითქმის ყოველთვის მიუთითებენ. შელინგის დღიურებში კარგად ჩანს ამ ფაქტით გამოიწვიული მძიმე განცდები. ასეთია ის სიტუაცია შელინგის ცხოვრებაში, როდესაც და რომელშიც გაჩნდა „*სამყაროს ეპოქების*“ დაწერის იდეა. შელინგი თავის დღიურში ჩაწერს: „პროცესი იწყება ბნელში, არაცნობიერში. სინათლე კი არ არის პირველი, არამედ სიბნელე [...] ის რაც ნათელია ჯერ კიდევ არ არის ის, რაც ნამდვილია, (ის) ბნელია“¹⁹⁶. აი ამ სიბნელიდან, როგორც საკუთრივ ადამიანურის არსებობის საფუძველი, უნდა წარმოიშვას თავად ტექსტი ან ასეც შეიძლება ითქვას, რომ ტექსტმა მასზე უნდა ილაპარაკოს.

შელინგის სიცოცხლეში ნაშრომი არ გამოქვეყნებულა, თუმცა შელინგი თავის მიმოწერაში მეგობრებს პერიოდულად აწვდიდა თავისი ახალი ჩანაფიქრის განხორციელების შესახებ ინფორმაციას. ასევე მის დღიურებში ფრაგმენტულადაა აღწერილი თუ როგორ ვითარდებოდა ახალ ტექსტზე მუშაობა. საბოლოოდ შელინგს „*სამყაროს ეპოქებზე*“ მუშაობა არ დაუსრულებია და ნაშრომი დაუმთავრებელი ხელნაწერის სახით ინახებოდა მიუნხენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სარდაფში. როდესაც მოცემული თავის სათაურში ტექსტის აღმოჩენის ისტორიას მივუთითებთ, პრაქტიკულად ამ კონკრეტულ ხელნაწერებს ვგულისხმობთ. მეორე მსოფლიო ომში 1944 წელს ერთ–ერთი საჰაერო თავდასხმის შედეგად მიუნხენის ბიბლიოთეკა დაიბომბა და იქ შენახული ხელნაწერი მანფრედ შროტერმა აღმოაჩინა. მ. შროტერმა შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ 1811/1813 უკვე დაზიანებული ხელნაწერი თავად ხელით გადაწერა და ის 1946 წელს გამოაქვეყნა. „*სამყაროს ეპოქების*“ ეს ვერსია მ. შროტერისეული შელინგის საიუბილეო

¹⁹⁶ “Der Prozeß fängt im Dunkeln, Bewußtlosen an. Licht ist nicht das Erste, sondern Dunkelheit [...] das was Licht ist, ist noch nicht, das was schon wirklich ist, ist dunkel“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophische Entwürfe und Tagebücher. 1809-1813. Philosophie der Freiheit und der Weltalter*, Knatz Lothar u. a. Hrsg., Hamburg, Felix Meiner Verlag 1994, S. 97.

გამოცემის მეშვიდე ტომშია მოთავსებული¹⁹⁷. ეს არის „სამყაროს ეპოქების“, ამ იდუმალი და გამოუცნობი ქმნილების¹⁹⁸ მხოლოდ პირველი ნაწილი, ე. წ. „წარსულის“ წიგნი. მ. შროტერისეულ გამოცემამდე ცნობილი იყო მისი უფრო გვიანდელი ვერსია, კერძოდ კი შელინგის შვილის მიერ 1861 წელს გამოცემული ვერსია.¹⁹⁹ ესაა ტექსტის 1814/1815 წლების ვერსია, ანუ სწორედ ის ვარიანტი, რომელზეც შემდეგ ფრანც როზენცვაიგი აღნიშნავს, რომ მისთვის შელინგის ეს ტექსტი ძალიან მნიშვნელოვანია. ფრანც როზენცვაიგისათვის „სამყაროს ეპოქების“ სხვა ვერსია, სხვა ხელნაწერი ცნობილი არ ყოფილა.

შელინგის „სამყაროს ეპოქები“ ჩაფიქრებული იყო, როგორც მისი მთავარი ნაშრომი. ის უნდა ყოფილიყო ისტორიული ტექსტი და მას დროის ვრცელი პერიოდები უნდა განეხილა, ესენია: წარსული, აწმყო და მომავალი. შესაბამისად ლაპარაკია სამყაროს სამ დიდ პერიოდზე ან ეპოქაზე და ამიტომ შელინგს სიტყვა ეპოქა ტექსტის სათაურში მრავლობით რიცხვში აქვს დაფიქსირებული. შესაბამისად ტექსტის სათაურიც ასე ჟღერს: „სამყაროს ეპოქები“. ამ სამ ეპოქაში ან ხანაში ვლინდება ქრისტე და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოცხადება და უმაღლესი ისტორია²⁰⁰. თუმცა ადამიანის არსებობა ისეთია, რომ ის ამ უმაღლეს ისტორიას ესწრება, უფრო სწორად მასში თანამონაწილეობს და ამაშია შელინგის თანამეცნიერების, თანაცოდნის ცნების არსი. მოცემული ცნების განმარტება ნაშრომის სხვა ნაწილში კეთდება.

შელინგმა სამ ნაწილად ჩაფიქრებული ტექსტის: წარსული, აწმყო და მომავალი, მხოლოდ პირველის მრავალი ვარიანტი, მეორის სხვადასხვა, სამუშაო

¹⁹⁷ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, Schröter, Manfred (Hrsg.): *Schellings Werke*. Münchener Jubiläumsdruck. Nachlasband, Bd. 7., München, Biederstein Verlag und Leibniz Verlag 1946.

¹⁹⁸ Schröter, Manfred: „Einleitung des Herausgebers“, in: Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. VIII

¹⁹⁹ Vgl.: „Es ist der erste Teil des einst Langewarteten Werkes, von welchem eine Anzahl Bogen schon Ende des Jahres 1811 und wieder im Jahre 1813 gedruckt worden sind. Das hier Veröffentlichte stammt wahrscheinlich aus dem Jahre 1814 oder 1815 und ist die vollständigste unter den verschiedenen Überarbeitungen dieses Teiles der Weltalter, die sich unter den Papieren Schellings vorhanden“. Schelling, Karl Friedrich August: „Einleitung des Herausgebers“, Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämtliche Werke*, Bd. I,8 Stuttgart und Augsburg, Cotta'scher Verlag 1861, S. V.

²⁰⁰ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 86.

ვერსია და ფრაგმენტები მოგვცა და მესამე ნაწილი - მომავალი, სულაც არ დაუწერია. დღეისათვის „სამყაროს ეპოქების“ ყველა ცნობილი ფრაგმენტის ნუსხა მთლიანობაში ასე გამოიყურება:

1. „სამყაროს ეპოქების“ პირველი, 1811 წლის ვარიანტი (მანფრედ შროტერისეული 1946 წელს გამოქვეყნებული ვერსია).

2. „სამყაროს ეპოქების“ მეორე 1813 წლის, ვერსია (ასევე მანფრედ შროტერის მიერ გამოცემული).

3. შელინგის „ნაშრომების კრებულში“ დაბეჭდილი „სამყაროს ეპოქების“ ფრაგმენტი, რომელიც 1814/1815 წლებითაა დათარიღებული და რომელიც შელინგის შვილმა 1861 წელს გამოსცა თავად შელინგის ხელნაწერის მიხედვით. მისი ორიგინალი დღეისათვის დაკარგულად ითვლება.

4. „სამყაროს ეპოქების“ 1819 ან 1820 წლით დათარიღებული მცირე ფრაგმენტი. (ბარბარა ლოერის მიერ 1974 გამოქვეყნებული შელინგის ბერლინის ხელნაწერები).

5. ერლანგენის 1820/21 წლების ლექციის ენდერლანის–ხელნაწერის ჰორსტ ფურმანსის მიერ 1969 წელს გამოქვეყნებული ვერსია.

6. 1832/33 წლების მიუნხენის ლექციის ჰელმესის–ხელნაწერის ჰორსტ ფურმანსის მიერ 1972 წელს გამოქვეყნებული ვერსია²⁰¹.

ესაა „სამყაროს ეპოქების“ დღეისათვის ცნობილი ყველა ვერსია. მოცემული დისერტაცია ფოკუსირებულია მხოლოდ „სამყაროს ეპოქების“ ადრეულ ვერსიებზე, ანუ წარსულის წიგნზე და უფრო კონკრეტულად მის ერთ, 1813 წლის, ანუ ე. წ. მეორე ვარიანტზე. რადგანაც „სამყაროს ეპოქების“ ჩვენთვის საინტერესო მ. შროტერის მიერ გამოცემული 1813 წლის ვერსიის დასაწყისი იდენტურია ასევე მ. შროტერისეული 1811 წლის ვარიანტსა და 1815 წლების შელინგის შვილის მიერ გამოქვეყნებულ ვერსიასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სხვადასხვა ხელნაწერებისათვის იდენტურია მხოლოდ ტექსტის შესავალი ნაწილი²⁰². თუმცა

²⁰¹Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 82.

²⁰²Vgl.: „Diese Identität beschränkt sich nur auf die Einleitung allein“. *Friedrich Wilhelm Joseph von Schelling. Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, Schröter, Manfred (Hrsg.), S. XV.

შელინგისათვის სწორედ შესავალში გადმოცემული აზრი, განსაკუთრებით პირველი ორი წინადადება, ძალზედ მნიშვნელოვანია.

ტექსტის შემდგომი ნაწილები განსხვავებულია ერთმანეთისაგან. მ. შროტერმა ერთმანეთს შეადარა ნაშრომის ყველა ხელთ არსებული ვარიანტი და შედარებული და შევსებული სახით გამოსცა. ჩატარებული კვლევის შედეგად მ. შროტერი ასკვნის, რომ: ტექსტების შედარების საფუძველზე გასაოცარ დასკვნამდე მივდივართ, საქმე ეხება იმას, რომ ეს ორივე ადრეული ნაბეჭდი [...] ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება, და რომ ეს ორივე ნაბეჭდი (ვერსია) მანამდე ნაცნობი და გამოქვეყნებული ნაშრომებისგან მკვეთრად განსხვავდება, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება ისევ და ისევ პირველ წიგნს. 1813 წლის ნაბეჭდი აღწერს 1811 წლის ნაბეჭდის პირველი ნაწილის მნიშვნელოვან გადამუშავებას. მისგან მხოლოდ მცირედი ადგილებია დარჩენილი ხელუხლებლად შელინგის „*რჩეულ ნაშრომებში*“ გამოქვეყნებულ მოგვიანო ვერსიაში. პირველი ნაბეჭდის მეორე ნახევარი კი საერთოდ არ გადამუშავებულა. ეს არის შელინგის აზროვნების ახალი, დღემდე უცნობი და პირველად გამოქვეყნებული ნაშრომი²⁰³.

შელინგის „*სამყაროს ეპოქების*“ ამ სამი ვერსიის განსასხვავებლად მკვლევრები გვთავაზობენ მათ პირველ, მეორე (ესენია შროტერისეული გამოცემები, ანუ 1811 და 1813 წლების ვერსიები) და მესამე (ესაა „*სამყაროს ეპოქების*“ შელინგის შვილისეული ანუ 1814/1815 წლების გამოცემა) ვერსიებად მოხსენიებას. ტექსტის სხვადასხვა ვერსიების ნუმერაციის აუცილებლობა იმიტომაცაა აუცილებელი, რომ ყოველი მათგანი მრავალ განსხვავებულ

²⁰³Vgl.: “Beim Vergleichen der Texte ergab sich die überraschende Feststellung, daß diese beiden frühen Drucke – wie in der Einleitung ausführlich dargestellt – untereinander weitgehend verschieden sind und daß beide wiederum wesentlich von der bisher allein bekannten Veröffentlichung in den Sämtlichen Werken abweichen, obwohl es sich immer um das gleiche erste Buch handelt. – Der Druck von 1813 stellt eine stark veränderte Umarbeitung der ersten Hälfte des Druckes von 1811 dar; nur wenige Stellen daraus sind wörtlich in den späteren Druck der Sämtlichen Werke übernommen worden. Die zweite Hälfte des ersten Druckes hingegen ist überhaupt nicht mehr zur Umarbeitung gekommen. **Hier liegt neues, bisher unbekanntes Stück der Schellingischen Gedankenarbeit zum erstenmal veröffentlicht vor**“. Schröter, Manfred: “Einleitung des Herausgebers”, in: Schelling, Friedrich Wilhelm Joseph. *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. IX.

დამატებებსა და შინაარსობრივ სიახლეებს შეიცავს²⁰⁴. „სამყაროს ეპოქების“ დაუსრულებლობა, ფრაგმენტულობა თავისთავად ამნელებს აზრობრივად ისედაც რთული ტექსტის კვლევის პროცესს. მოცემული დისერტაციისათვის შელინგის ეს პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ აქ, ამ ტექსტით ხდება გერმანული იდეალიზმის ნაკლზე და მის კრიზისზე აზროვნების დაწყება. მომდევნო თავებში წარმოვადგენთ კვლევას, რომლითაც ნაცადია „სამყაროს ეპოქების“ შინაარსის და პრობლემატიკის რეკონსტრუქცია გერმანული იდეალიზმის კრიზისის არსის დანახვის კუთხით.

4.2. ნაშრომის სტრუქტურა და სტილი

ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ სტრუქტურის ანალიზს ართულებს მისი დაუსრულებლობა. ასევე ის, რომ არსებობს მრავალი ფრაგმენტი, სხვადასხვა ხელნაწერის სახით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ამ სათაურის ქვეშ ტექსტის მრავალი ფრაგმენტი იყრის თავს და ისინი შელინგის გრანდიოზული პროექტის მთლიანობაზე მხოლოდ ნაწილობრივი წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევიან. ცხადია ამის გამო მნელდება ტექსტის სტრუქტურისა და შინაარსის გაგებაც.

თუ შელინგის ჩანაფიქრს მივყვებით „სამყაროს ეპოქები“ ტრილოგიის სახით უნდა დაწერილიყო: წიგნი წარსულზე, წიგნი აწმყოზე და წიგნი მომავალზე. ნაშრომი ერთგვარი “დროის გენეალოგიაა“ და ტექსტი მთლიანად დროის კვლევას ეხება. შელინგი წერს: მე ვიტვირთე, დამეწყო იმ აზრების ჩაწერა, რომლებიც ჩემში წარმოიშვნენ ხშირად განმეორებადი მსჯელობებით, აზრები რომლებიც მიუთითებენ ორგანულ დროზე და დროის სამ დიდ განზომილებაზე,

²⁰⁴Vgl.: “Drei selbständige, verschiedene Ausführungen Schellings zum Thema der Weltalter vorhanden. Sie sind wohl untereinander verwandt, ja auseinander hervorgegangen, stellen aber doch drei verschiedene Anläufe zur Lösung derselben Aufgabe dar“. Schröter, Manfred: “Einleitung des Herausgebers”, in: Schelling, Friedrich Wilhelm Joseph. *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, , S. XV.

იმაზე, რასაც ჩვენ განვასხვავებთ, როგორც წარსულს, აწმყოს და მომავალს; (მე გადმოვცემ ამ აზრებს) არა ვიწროდ (მკაცრად) მეცნიერული, არამედ ადვილი, მსუბუქი შეტყობინების ფორმით²⁰⁵ [...] და ხატოვნად ან მითიურად ანუ არა მეცნიერულად აღვწერ²⁰⁶. მთლიანად ტექსტის „სამყაროს ეპოქების“ სტრუქტურაც დროის ამ სამი ნაწილის მიხედვით უნდა აგებულიყო. დროის სამი ნაწილიდან შელინგმა პრაქტიკულად მხოლოდ მისი ერთი ნაწილი-წარსულის წიგნი წარმოადგინა. ბუნებრივია, როცა ტექსტის სტრუქტურაზე მივუთითებთ სწორედ წარსულის წიგნის სტრუქტურა იგულისხმება, თუმცა ისიც დაუსრულებელი სახითაა მოცემული. პირველ რიგში საჭირო გახდა ამ სხვადასხვა ვერსიებს შორის ურთიერთმიმართების დადგენა და მათი მთლიანობაში წარმოდგენა. ეს სამუშაო ჯერ მანფრედ შროტერმა, ხოლო შემდეგ ალდო ლანფრანკონიმ ჩაატარეს. ისინი შეეცადნენ სამივე, 1811 (I ვერსია), 1813 (II ვერსია) და 1815 (III ვერსია) წლების ვერსიები ერთ მთლიანობაში წარმოედგინათ.

შელინგის ნაშრომთა საიუბილეო გამოცემის მეშვიდე ტომის შესავალში მ. შროტერი აანალიზებს, თუ რომელ ვერსიაში, რომელ პუნქტში კონკრეტულად რა განსხვავებული ჩანართებია, ან ტექსტის რომელ ვერსიაში რომელი პასაჟი აღარაა მოცემული. შემდეგ ალდო ლანფრანკონიც და გვთავაზობს ყველა ტექსტისათვის საერთო სარჩევს²⁰⁷.

მივყვებით თავად ტექსტს და დასახელებული ავტორების ნაშრომების მოშველიებით განვიხილავთ „სამყაროს ეპოქების“ მთლიან სტრუქტურას, მის შემადგენელ ნაწილებს, ხოლო შემდეგ ნაშრომის სტილს. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ „სამყაროს ეპოქების“ დაწერის სტილი ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა

²⁰⁵ შდრ.: *სამყაროს ეპოქების* 1813 წლის ვერსიაში: „Ich habe gewagt, die Gedanken, welche sich mir über das Organische der Zeit und drei großen Abmessungen derselben, die war als Vergangenheit, Gegenwart und Zukunft unterscheiden, durch oft wiederholte Betrachtung gebildet haben, schriftlich aufzuzeichnen; doch nicht in strengwissenschaftlichen, nur in leicht miitheilender Form“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*“, S. 121. (I, 24/5)

შდრ.: „სამყაროს ეპოქების“ 1813 წლის ვერსიაში იგივე პასაჟი იქვე, გვ. 13. (I, 24/5)

²⁰⁶ „[...] bildlich oder mythisch nicht wissenschaftlich darzulegen“. Ebd., 139.

²⁰⁷ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*. S. 294.

ყურადღებას თავისი გამორჩეულობით და ერთგვარ გამოცანას წარმოადგენდა²⁰⁸. ნაშრომის სპეციფიკური სტილი კავშირშია და განსაზღვრულია თავად ნაშრომში განხილილი საკითხებით.

ტექსტის სტრუქტურის თვალსაზრისით, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თავად შელინგს 1811 და 1813 წლების „სამყაროს ეპოქების“ ვერსიებში მხოლოდ შესავალი ნაწილი აქვს ცალკე გამოყოფილი. შელინგი არ გამოყოფს ტექსტის სხვა ნაწილებს და ის ერთ მთლიანობადაა წარმოდგენილი. „სამყაროს ეპოქების“ სამივე ადრეული ვერსიისათვის მ. შროტერი ადგენს ოთხ მთავარ ნაწილს, რომელთაც წინ უძღვის შესავალი. ეს დაყოფა მეტ-ნაკლები სიზუსტით „სამყაროს ეპოქების“ ყველა ვერსიისათვის სამართლიანია და სწორედ ის ქმნის ტექსტის ძირითად სტრუქტურულ ჩონჩხს. ტექსტის ძირითად ოთხი ნაწილიდან: პირველი განმარტავს უმაღლესს, უპირობოს და მარადიულს, რომლისგანაც გამომდინარეობს და დასაბამს იღებს ყოველივე. მეორე ნაწილი ასახავს ამ სტრუქტურიდან გამომდინარე განპირობებულობას, რომელიც არის ამ უმაღლესის გაშლა და განვითარება. მესამე ნაწილი დეტალურად განიხილავს შესაძლებლობას (აუცილებლობისა და თავისუფლების ურთიერთქმედებას). მესამე ნაწილი იყოფა კიდევ სამ აზრობრივად თანამიმდევრულ ნაწილებად, მეოთხე ნაწილი არის ამ უმაღლესის ხორცშესხმა, განხორციელება, როგორც გზა ექსისტენციისკენ²⁰⁹.

„სამყაროს ეპოქების“ პირველი ფრაზების წაკითხვისთანავე ნათელი ხდება, რომ ის არ არის დაწერილი გერმანული იდეალიზმის სხვა წარმომადგენლების ტექსტებისათვის დამახასიათებელ სტილით. შელინგი თავად აღნიშნავს, რომ მას სურს თავისუფალი თხრობის სტილში მოყვეს, მოგვითხროს და არა წმინდა

²⁰⁸“Die Sprache insbesondere der frühen ‘Weltalter’-Texte erschien den Interpreten immer schon als ein Problem“. Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*. S. 116.

²⁰⁹ Vgl.: “Der erste dieser Teile erörtert die gegensätzliche Struktur dessen, von dem als Höchstem (Urwesen, Ewigkeit, Unbedingten) erst alles ausgehen und anfangen kann. Der zweite Teil legt die aus dieser Struktur folgende Bedingtheit dar, die für die Entfaltung dieses Höchsten besteht. Der dritte Teil erörtert dann in steigender Ausführlichkeit die Ermöglichung (das Zusammenwirken von Notwendigkeit und Freiheit. 3. Teil, der sich wieder in drei Gedankenfolgen gliedert), der vierte Teil endlich die Verwirklichung dieser Entfaltung (Offenbarung) jenes Höchsten, als Weg zur Existenz“. Schröter, Manfred: “Einleitung des Herausgebers“, in: Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*“, S. XVII.

მეცნიერული ენით. ამიტომ მიუთითებს შელინგი, (როგორც ეს უკვე ვნახეთ) რომ ის არ წერს მკაცრად მეცნიერული სტილით. როგორც უკვე აღვნიშნეთ „სამყაროს ეპოქების“ შელინგის მიერ შერჩეულ გადმოცემის ფორმასა და ტექსტის მიზანს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. შელინგი ამას რა თქმა უნდა კონკრეტული განზრახვით აკეთებს. მოცემულ ეტაპზე მხოლოდ ამ მითითებით შემოვიფარგლებით.

„სამყაროს ეპოქების“ სტილზე საუბრისას მკვლევართა ნაწილი შელინგის ახლებურად წერის მანერას ნიციშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრას“ ბიბლიური ამბების თხრობის სტილს ადარებს (ჰერმან ბრაუნი). არსებობს ასევე „სამყაროს ეპოქების“ სტილის თვალსაზრისით იაკობ ბოემეს ტექსტებთან შედარების მცდელობები. ამ აზრს პირველად პაულ ტილიხთან ვხვდებით (1912 წელს), შემდეგ მას ავითარებენ ასევე კურტ ლეეზე (1927, 1929 და 1932 სხვადასხვა წლებში დაწერილ ტექსტებში), რობერტ შნაიდერი (1932), ერნსტ ბენცი (1955) და ამერიკელი ბოლმანი (1942)²¹⁰.

ამ მიმართულებით საინტერესოა ა. ლანფრანკონის აზრი. ის თვლის, რომ ერთი მხრივ, აქ ბიბლიურ-თეოსოფიური ხოლო, მეორე მხრივ, პლატონური დისკურსია ურთიერთშერწყმული²¹¹. თეოსოფიურ სტილში ბოემე იგულისხმება, ხოლო დიალექტიკურში პლატონი (კონკრეტულად მისი ტექსტი „ტიმაიოსი“). პ. ოსტერაიხი სწორედ ამ ორ ავტორს აცხადებს (პ. ბრაუნს და ა. ლანფრანკონის) და წერს, რომ შელინგის ნარატიული და დიალექტიკური სტილის ელემენტები ჩნდება ან როგორც “ბიბლიური ამბების თხრობითი ფორმა“ (პ. ბრაუნს გულისხმობს) ან როგორც “თეოსოფიური ენა“ (აქ ა. ლანფრანკონის გულისხმობს), რომ „სამყაროს ეპოქების“ საკუთრივი სტილი არ უნდა იყოს გაგებული არც როგორც ნაივური პოეზია და არც, როგორც (პოსტ)–მოდერნული კომბინაციის არქაული, მითოლოგიური, ბიბლიური ან თეოსოფიური გადმოცემის ფორმა²¹². პ.

²¹⁰ დაწვრილებით ob.: Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 116–117.

²¹¹ იქვე, S. 116.

²¹² Oesterreich, Peter L.: “Geschichtsphilosophie und historische Kunst. Zum mythosnahen Sprachstil der *Weltalter* Schellings“, in: Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.): *Weltalter-Schelling im Kontext der Geschichtsphilosophie. Dialektik. Enzyklopädische Zeitschrift für Philosophie und Wissenschaft*. Felix

ოსტერაიხი დაასკვნის, რომ „სამყაროს ეპოქების“ წერის სტილს ვერ შევადარებთ მეცნიერული ლიტერატურისათვის დამახასიათებელ სტილს, რადგან შელინგის მოცემული ნაშრომი არის სრულიად ახალი ფილოსოფიურ–ლიტერატურული სტილის მქონე პროექტი, რომელმაც შეწყვიტა მეცნიერულ პროზასთან კავშირი და იწყებს „ძველი რიტორიკის“ სიმბოლური ენის მითოსით განახლებას²¹³.

მოცემული მსჯელობის მიზანია ხაზი გაესვას იმას, რომ შელინგის „სამყაროს ეპოქების“ სტილი განსხვავდება გერმანული იდეალიზმის სხვა წარმომადგენლების ფილოსოფიური ტექსტებისათვის ჩვეული სტილისაგან. მისი ეს განსხვავებული და თავისებური სტილი კავშირშია ტექსტის შინაარსსა და მიზანთან. შელინგი თითქოს ამ განსხვავებითაც უსვამს ხაზს გერმანული იდეალიზმისაგან გამიჯვნას. პ. ოსტერაიხი შელინგის ისტორიული ფილოსოფოსობის მითოსთან მიახლოებულ სტილშიც რაციონალური ფილოსოფიისაგან გამოცალკევების მცდელობას ხედავს. გონება რაციონალურის სფეროდან სხვა სფეროში გადის, ეს სხვა სფერო მისი ძლიერების, ძალაუფლების მიღმაა და მის კრიზისს აშიშვლებს და ანახებს. ღრმა წარსული შემმეცნებელ გონებას საზღვრად და თავისი ძალაუფლების დასასრულად ამოეზრდება საკუთარი არსებობიდანვე. ესაა საზღვარი იმ ენისათვისაც, რომლითაც შემმეცნებელი გონება იმეცნებს და შემდგომ გადმოსცემს შემეცნების შედეგებს. შელინგის „სამყაროს ეპოქები“ არა მხოლოდ შინაარსით, არამედ თავისი სტილითაც სრულიად განსხვავდება გერმანული იდეალიზმის წარმომადგენელთა ტექსტებისაგან.

Meiner Verlag GmbH. Hamburg 1996/2, S. 90. იგივე აზრს იმეორებს პ. ოსტერაიხი ტექსტში: *Das gelehrte Absolute. Metaphysik und Rhetorik bei Kant, Fichte und Schelling*, Darmstadt, Wissenschaftliche Buchgesellschaft 1997. S. 173.

²¹³ Vgl., „Dabei lassen sich die Weltalter-Druckfassungen von vornherein nicht an gewöhnlichen Standarts wissenschaftlicher Literatur messen, da sie ein völlig neues philosophisches Literatur-Projekt verfolgen, das bewusst mit den Konventionen der Wissenschaftsprosa bricht, um mit seiner allgemein verständlichen Symbolsprache die „Alte Rede“ des Mythos zu erneuern“. Oesterreich, Peter L.: *Das gelehrte Absolute. Metaphysik und Rhetorik bei Kant, Fichte und Schelling*, S. 175–176.

4.3. „სამყაროს ეპოქების“ ყველა ცნობილი ვერსიისათვის საერთო შესავალი ფორმულა. მისი არსისა და მნიშვნელობის გარკვევისათვის

ნაშრომის „სამყაროს ეპოქები“ პირველ ნაწილზე, წარსულის წიგნზე, საუბრისას აღვნიშნეთ, რომ მისი შესავალი ნაწილი სხვადასხვა ვერსიებში პრაქტიკულად უცვლელად მეორდება. ტექსტის კვლევის ისტორიას თუ გადავხედავთ ვნახავთ, რომ მკვლევრები ტექსტის შესავალ ნაწილს ყოველთვის განსაკუთრებულად განიხილავდნენ.

გავიხსენოთ „სამყაროს ეპოქების“ შესავალი: „წარსული ვიცით, აწმყოს ვიმეცნებთ, მომავალს ვხვდებით (წინასწარვჭვრეტთ). ნაცოდინარს მოვუთხრობთ, შემეცნებულს წარმოვადგენთ, მიხვედრილს (განჭვრეტილს) ვვარაუდობთ“²¹⁴.

ნაშრომის სწორედ ეს პირველი ორი წინადადება გვაძლევს გასაღებს, რომლითაც შესაძლებელია: 1. საერთოდ მთლიანი ტექსტის სტრუქტურის გაგება; 2. ასევე სწორედ ამ პასაჟშია მოცემული მნიშვნელოვანი მითითება ტექსტის სხვადასხვა ნაწილებისათვის მეთოდის შესახებ და 3. აქვეა მოცემული „სამყაროს ეპოქების“ მთლიანი ფილოსოფიური პროგრამა.

პირველ პუნქტთან მიმართებაში გავიხსენებთ „სამყაროს ეპოქების“ არსებით იდეას, რომ ტექსტი უნდა ყოფილიყო ტრილოგია: წიგნი წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე. წარსულს (რაც იყო) შეესაბამება ცოდნა და თხრობა; აწმყოს (რაც არის) შემეცნება და წარმოდგენა; ხოლო მომავალს (რაც იქნება) მიხვედრა, წინასწარჭვრეტა და ვარაუდი. სამ ეპოქას შეესაბამება: თხრობა, წარმოდგენა და მიხვედრა (წინასწარჭვრეტა). შელინგი ტექსტში „სამყაროს ეპოქები“ რთულ ტერმინოლოგიურ აპარატს გვთავაზობს, რომლის თარგმნაც სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს. ამ სქემაში შელინგი გვთავაზობს, ერთი მხრივ, თუ როგორ ხდება აბსოლუტის გაშლა დროში, მიუხედავად იმისა, რომ ის ინარჩუნებს თავის იდენტობას და, მეორე მხრივ, შელინგი აჩვენებს მთხრობელის, ამ შემთხვევაში

²¹⁴ Vgl.: „Das Vergangene wird gewußt, das Gegenwärtige wird erkannt, das Zukünftige wird geahndet. Das Gewußte wird erzählt, das Erkannte wird dargestellt, das Geahndete wird geweissagt“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 111.

ადამიანის მიერ სამყაროსა და აბსოლუტის ამ გაშლაში საკუთარი თავის ამოცნობის სქემასაც.

მეორე პუნქტთან დაკავშირებით ნაშრომის მოცემულ ეტაპზე მხოლოდ იმ შენიშვნას გავაკეთებთ, რომ წარსულის გადმოცემის მეთოდი შელინგისათვის არის თხრობა, მოყოლა. შელინგი თვლის, რომ წარსულზე მეცნიერება არ შეიძლება იყოს ცნებებით აგებული, რადგანაც წარსულის ცოდნა არ შეიძლება იყოს ლოგიკური კონსტრუქცია. არა ისე როგორც შემეცნებელი გონება აწესრიგებს სამყაროს და შემდეგ მეცნიერების სახით გადმოსცემს მას, არამედ ლაპარაკია წარსულის შეგნებაზე, რომელიც შესაძლებელი ხდება თხრობაში. რადგან მხოლოდ თხრობაში შეიძლება მივაღწიოთ უღრმესი წარსულის ისეთი რეკონსტრუირებას, სადაც მთხრობელი თვითონ ხდება მოქმედი, სწორედ ამ თხრობის ფაქტით. აქ მოთხოვნილია არა მხოლოდ რაიმეს ცოდნა, არამედ ამ ნაცოდნის შეგნებაც, მოყოლის გზით. საკითხზე თუ რას ნიშნავს ეს შეგნება და თხრობა წარსულზე, რომელიც შელინგის მიერ სინამდვილეზე ერთადერთ მეცნიერებადაა მიჩნეული უფრო ვრცლად ნაშრომის მეხუთე თავშია განხილული.

მეცნიერება შელინგისათვის უღრის ისტორიას, რადგან სწორედ ის განახორციელებს წარსულის თხრობას. რა თქმა უნდა ასე გაგებული ისტორიაცა და მეცნიერებაც სრულიად განსხვავდება შელინგის უდიდესი თანამედროვის, ჰეგელის მიერ გაგებული მეცნიერებისა და ისტორიისაგან. მართალია შელინგი ამბობს, რომ მას დროის გენეალოგიის გადმოცემა, რეკონსტრუირება დაუსახავს მიზნად ხატოვანი ან მითოსური ენით და არა მკაცრად მეცნიერულად²¹⁵, მაგრამ ეს შენიშვნა უფრო მისი წერის სტილს ეხება.

მესამე პუნქტთან დაკავშირებით ვეყრდნობით ა. ლანფრანკონის ნაშრომში გამოხატულ იმ აზრს, რომ ტექსტში ეს შესავალი ფრაზა წინსაწარმეტყველური პასაჟი²¹⁶, რადგან ის ეხმიანება *კლესიასტეში* მოცემულ ზოგიერთ ადგილს: „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ

²¹⁵ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 139.

²¹⁶ „Prediger-Stelle“. Lanfranconi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 120.

ახალი. ნახავენ რასმე და იტყვიან: აჰა, ახალი. ესეც ყოფილა ჩვენს წინარე საუკუნეში²¹⁷ (ეკლეს. 1.9-10).

შელინგის „სამყაროს ეპოქებისა“ და ეკლესიასტეს ამ პასაჟის შედარებას გასაგებს ხდის სხვა მონაკვეთი შელინგის ნაშრომიდან. აქ ვგულისხმობთ მ. შროტერის მიერ „სამყაროს ეპოქებისათვის“ შენიშვნების სახით დართულ ტექტის ყველაზე ადრეული ვერსიის ჩანაწერების ფურცელს²¹⁸. ამ ვერსიაში ვხვდებით შესავალი ფორმულის სხვაგვარ ფორმულირებას, რომელიც ძალიან საინტერესოა: მე ვარ ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება, ჩემი საბურველი მოკვდავთაგან არავის მოუხსნია. ასე მიმართა ერთხელ, ბევრი თხრობის შემდეგ, ისისის საბურველის ქვეშ ამოცნობილმა პირველმიზეზმა (პირველარსებამ) საისის ტაძარში მოხეტიალეს. ჩვენი მეცნიერება ამ დროისთვის არის არა მხოლოდ არსება, არამედ იგი გამოხატავს არსების მთლიანობასაც, მას შემდეგ რაც მან თავისი თავი როგორც ადამიანური ცნებებისა და აზრების უბრალო განვითარებად დაინახა. მაგრამ არ არის საკმარისი მხოლოდ ერთის შემეცნება, შემეცნებული უნდა იყოს ამავდროულად სამი ნაწილი. რადგან ის არის ერთი [მთლიანი], როგორც ერთი და როგორც მრავალი, ან ის რაც იყო, რაც არის და რაც იქნება²¹⁹.

„სამყაროს ეპოქების“ ციტირებულ პასაჟში უფრო განვრცობილადაა წარმოდგენილი ნაშრომის ფილოსოფიური პროგრამა. პირველ წინადადებაში ჩადებულია შელინგის დროის ვრცელი მონაკვეთების, ეპოქების იდენტობის შესახებ აზრი. კერძოდ კი ის, რომ სამი ეპოქა: წარსული, აწმყო და მომავალი, ერთსა და იმავე შინაარსს შეიცავს²²⁰. ამ პასაჟში ნაჩვენებია, რომ აბსოლუტი თვითონ, როგორც სუბიექტი (“მე ვარ“) ახდენს საკუთარი თავის, როგორც

²¹⁷ http://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/eklesiaste/eklesiaste-1.htm

²¹⁸ Frühestes Konzeptblatt. Gedanke der Weltalter. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 187.

²¹⁹ Vgl.: “Ich bin das, was da war, was ist und was sein wird, meinen Schleier hat kein Streblicher aufgehoben“ so redete, nach einiger Erzählung, unter dem Schleier des Isisbildes das gehandete Urwesen einst im Tempel zu Sais den Wanderer an. Unsrer Wissenschaft ist zu dieser Zeit nicht nur das Wesen, auch die Einheit des Wesens wiedergegeben worden, nachdem sie lange Zeit sich als eine bloße Entwicklung menschlicher Begriffe und Gedanken angesehen. Aber es ist nicht genug, das Eine zu erkennen, es muß zugleich nach jenen drey Abtheilungen erkannt werden. Denn es ist Eins, als das Eine und als das Viele oder als das, was war, was ist und was seyn wird“. Edb., S. 187.

²²⁰ Vgl.: “Jede Zeit enthält dasselbe“. Edb., S. 81.

ისტორიული ტოტალობის დეფინიციას (“ის, რაც იყო, რაც არის და რაც იქნება”)²²¹. პრაქტიკულად აქაა მოცემული შელინგის ისტორიის გაგებაც, რომლის ფორმულირებაც ასე შეიძლება: ისტორია, როგორც საბურველით დაფარული ქალღმერთისათვის საბურველის ჩამოხსნა სამყაროს სამ ეპოქაში.

შელინგის დროზე მოძღვრების გაგებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად დროის სისტემის ნაწილების იდენტობისა არსებობს მათ შორის გაყოფაც, განსხვავებაც. ორივე მომენტი: დროების იდენტობაცა და გაყოფაც არსებითი მნიშვნელობისაა. შელინგი თვლის რომ თუ ამ ორი მომენტის გააზრება თან არ ახლავს დროის სისტემის ყოველი ნაწილის გაგებას, პრაქტიკულად არ ხდება: 1. აბსოლუტის შემეცნება, რომლის განვითარებაც ქმნის დროის სისტემის ერთიან სხეულს. შესაბამისად არ გვაქვს მეცნიერებაც, რადგან მეცნიერება აბსოლუტის შემეცნებაა, ანუ მეცნიერება, რომელიც დროს აღწერს (გავიხსენოთ, რომ მეცნიერება შელინგის გვიან ფილოსოფიაში უდრის ისტორიას) და 2. არ არსებობს სამყაროს ეპოქები, რადგან ვერ მოხერხდება წარსულის აწმყოსაგან გამოცალკევება, გამოყოფა. შესაბამისად აწმყოზე ცოდნა არ არსებობს, ფერმკრთალდება, ბუნდოვანდება და თვალთახედვიდან იკარგება. ასეთი მიდგომით, ანუ აწმყოს არცოდნით გამოირიცხება, როგორც წარსულის განსაზღვრა, ასევე შეუძლებელი გახდება მომავალის წინასწარი გამოცნობა, ვარაუდი, წინასწარგანჭვრეტა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დროის სამ მონაკვეთს, წარსული, აწმყო და მომავალი შეესაბამება ცოდნის გადმოცემის სამი ფორმა: თხრობა, წარმოდგენა და წინასწარგამოცნობა, წინასწარგანჭვრეტა²²².

„სამყაროს ეპოქების“ ზემოთ უკვე ციტირებულ ნაწილში ვიხილავთ მოცემული ის მითითება, რომ მეცნიერებამ, რომელიც მხოლოდ ცნებების და აზროვნების განვითარებად იყო წარმოდგენილი ეხლა უნდა შეიმეცნოს (უფრო ზუსტი სიტყვა იქნება შეგნება, ანუ უნდა შეიგნოს) აბსოლუტი მისი განვითარების სამ ნაწილში,

²²¹ Oesterreich, Peter L.: *Das gelehrte Absolute. Metaphysik und Rhetorik bei Kant, Fichte und Schelling*, S. 178.

²²² Vgl.: “Der dreidimensiolitaet der Zeit entsprechen die drei Vorstellungsweisen des Wissens, Erkennens und Ahenens und drei Mitteilungsweisen des Erzaehelns, Darstellens und Wessagens”. Oesterreich. Peter L. *Das gelehrte Absolute. Metaphysik und Rhetorik bei Kant, Fichte und Schelling*, S. 179.

სწორედ ესაა სამყაროს სამი ეპოქა. აბსოლუტი, რომელიც ერთიანია, ერთია (იდენტობის მოთხოვნის აუცილებლობა სწორედ აბსოლუტის მთლიანობითაა განპირობებული), შემეცნებელი და ამოცნობილი უნდა იყოს მრავალში, ანუ სამ ეპოქაში. მეცნიერება და ცოდნა სწორედ ეს ამოცნობაა²²³ ანუ მეცნიერება არის აბსოლუტის ამოცნობა იმაში რაც იყო, რაც არის და რაც იქნება. ამ ამოცნობას კი ახორციელებს არა შემეცნებელი გონება, არამედ ისტორიული გონება (ისტორიული გონების რაობა ნაშრომის 4.5. თავშია გადმოცემული). ამიტომ მეცნიერების ცოდნის არსი სწორედ აბსოლუტია, რომელიც იკითხება, ჩანს დროის სხვადასხვა მონაკვეთებში, როგორც ერთი და იგივე, როგორც იდენტური და ამავდროულად განსხვავებული, რადგანაც დროის სხვადასხვა ნაწილებზეა ლაპარაკი. ამიტომაც, რომ არაფერი იქნება მზის ქვეშეთში ახალი, ანუ ისეთი რაც წარსულში არ ყოფილა. ამ აზრთანაა კავშირში ასევე ტექსტში ერთ-ერთი პასაჟი იმის შესახებ, რომ ყოველ წამს იბადება ღვთის შვილი და რომ ამ აქტით საგნებში დრო ჩნდება [...] საგანი კი არ წარმოიშობა დროში, არამედ ყოველ საგანში წარმოიშობა ახალი დრო და ის წარმოიშობა უშუალოდ მარადიულობიდან²²⁴.

შესავალი ფორმულის ეს განმარტებები საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ თვითონ ტექსტის სათაურის გაგება კიდევ უფრო დავაზუსტოთ: „სამყაროს ეპოქები“ ნიშნავს დროის სისტემას, ის შეესაბამება სამყაროს განვითარების სამ ხანას, სამ ეპოქას: წარსულს, აწმყოს და მომავალს. ხოლო ეს სამი ეპოქა ან ხანა აბსოლუტის განვითარების შესატყვისია და მისითაა განპირობებული.

4.4. მეცნიერების გაგება „სამყაროს ეპოქებში“

შელინგის შემოქმედებაში „სამყაროს ეპოქები“ მისი პოზიტიური ფილოსოფიის მოსამზადებელ პერიოდად ითვლება. ეს ახალი ნოტა, რომელიც შემდეგ შელინგის „მითოლოგიის ფილოსოფიაში“ უკვე განვითარებული სახით

²²³ Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 123.

²²⁴ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 142-143.

წარმოგვიდგება, ნელ–ნელა სწორედ ამ ტექსტში იკვეთება. ცხადია ამიტომაცაა, რომ შელინგის „სამყაროს ეპოქებზე“ მუშაობის პერიოდი ძიებებისათვის დამახასიათებელი დაუსრულებლობით ხასიათდება.

დისერტაციის თეზისიდან გამომდინარე მოცემულ თავში აქცენტს ვაკეთებთ შელინგის „სამყაროს ეპოქებში“ მეცნიერების გაგებაზე. შელინგის მეცნიერების გაგებაზე უკვე აღვნიშნეთ, რომ მასთან მეცნიერება უდრის ისტორიას. შელინგი წერს: “სიტყვის პირდაპირი გაგებით მეცნიერება არის ისტორია ((στορία)²²⁵. ტექსტის დასაწყისშივე შემოთავაზებული ეს ფორმულა მიუთითებს შელინგის განზრახვაზე, რომ მისთვის მთხრობელი ახდენს ისტორიას, სინამდვილისა და შესაბამისად მეცნიერების რეკონსტრუირებას. როგორია ეს მეცნიერება, რომელიც ისტორიას უდრის? როგორია თავად ეს ისტორია? იზიარებს შელინგი ჰეგელის ისტორიის, როგორც ისტორიის ფილოსოფიის გაგებას? და ბოლოს, როგორია სინამდვილე, რომლის ახსნასაც წარმოადგენს ასე გაგებული მეცნიერება? თითოეულ ამ შეკითხვაზე პასუხი რთულ და ამომწურავ ანალიზს საჭიროებს. მოცემულ თავი სწორედ ამ კითხვებზე პასუხების გაცემის მცდელობაა, რაც დაგვებმარება „სამყაროს ეპოქების“ შინაარსის გაგებაში. ამის შემდეგ კი ცალკე თავში განვიხილავთ შელინგის ფილოსოფიაში ისტორიის გაგების თავისებურებებს და ისტორიული გონების დაბადებას.

შელინგი იწყებს დროის სამი ვრცელი მონაკვეთის ანალიზს და მეცნიერების მიზნად განსაზღვრავს მათ უარყოფას ან გაერთიანებას. შელინგი ამ აზრით ხაზს უსვამს და მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ სამ ეპოქას შორის, ერთი მხრივ, იყოს ბმა (ანუ იდენტობა, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ) ანუ ერთგვარი იდენტობა გამოიკვეთოს (და ამ იდენტობის მნიშვნელობა ხაზგასმულია „სამყაროს ეპოქების“ დასაწყისი ფორმულით, და ტექსტში ეს არაერთგზისაა განხილული და ხაზგასმული) და მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ წარსულსა და აწმყოს შორის განსხვავების ფიქსაციაც მოხდეს. რაც ბუნებრივია ასეა, რადგან ლაპარაკია ერთ დროზე, დროის მთლიანობაზე, ან ერთიან დროზე, მაგრამ მის სამ სხვადასხვა

²²⁵ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 111.

მონაკვეთზე. შესაბამისად „სამყაროს ეპოქები“ არის დროის, დროების, უფრო სწორად ეპოქების სისტემა, ხოლო მეცნიერება, რომელიც უდრის ისტორიას შელინგისათვის ნიშნავს მათზე თხრობას, მათ მოყოლას. წარსულზე, რომელიც უკვე შეცნობილია უნდა მოვუთხროთ და ეს მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი თუ წარსული აწმყოში მყოფმა ადამიანმა იცის, შეიცნო, შეიგნო: მეცნიერების თხრობა (როგორც მოთხრობა შეგნებულის შესახებ) მხოლოდ მაშინ გახდება კვლავ შესაძლებელი, თუკი მას (ამ წარსულს) მეცნიერება „აწმყოში“, როგორც შესწავლილ საგანს, ხელმისაწვდომს გახდის.²²⁶ ამიტომ წარსულის შესახებ თხრობას პირდაპირი კავშირი აქვს მოგონებასთან²²⁷ (ა. ლანფრანკონი მაგალითად ამ მოგონებას პლატონის ანამნეზისის თეორიასთან აკავშირებს), რომელსაც ადამიანის სული ახორციელებს. მოგონება აწმყოში ხორციელდება, მასზე თხრობაც მაშინაა შესაძლებელი, როცა ეს აწმყოში მყოფი (ექსისტენცი) იწყებს მოქმედებას. ანამნეზისის თეორიაზე მითითებით ხდება გამოკვეთა იმისა, რომ რაღაც ცოდნა ადამიანს, რომელიც მის უშორეს, უღრმეს, უბნელეს წარსულშია ჩაკარგული (მაგალითად მითოსურ პერიოდში) აქვს, უფრო სწორედ, მას ჰქონდა. სხვაგვარად არ შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან აქ ლაპარაკია მისი არსებობის შესახებ ცოდნაზე. ადამიანმა კვლავ უნდა შეიცნოს და შეიგნოს ის (ცოდნა).

მოცემულ ეტაპზე რამოდენიმე საკითხს უნდა გაესვას ხაზი: პირველია შელინგის მიერ ადამიანის გაორების აუცილებლობის მოთხოვნა. ამას შელინგი ფილოსოფიის საკუთრივ საიდუმლოს უწოდებს და შემდეგნაირად აღწერს: ადამიანში ამიტომ არის ერთი რამ, რაც კვლავ გახსენებული (მოგონება) უნდა იყოს და მეორე რამ, რაც მას გაიხსენებს (მოიგონებს); ერთი, რომელშიც კვლევის ყველა კითხვაზე პასუხი მოცემული და მეორე, რომელიც მისგან ამ პასუხებს

²²⁶Vgl.: „Die Erzählung der Wissenschaft (als die Erzählung eines Gewußten) wird erst dann (wieder) möglich sein, wenn die Wissenschaft in der ‚Gegenwart‘ als ein Gewußtes erschlossen sein wird“. Lanfranchi, Aldo: *Krisis, Eine Lektüre der ‚Weltalter‘-Texte E. W. J. Schellings*, S. 130.

²²⁷Vgl.: „Der bescheidene Begriff des göttlichen Platon von der Wissenschaft, wonach sie in thätiger Erinnerung besteht, wie wenn wir aus einzelnen gebliebenen Tönen eine ganze Melodie wieder zusammensubringen suchen, zeigt uns, daß alle wissenschaftliche Thätigkeit in einem inneren Verkehr mit uns selbst besteht, wobei wir uns gleichsam verdoppeln und in eine zweiheit mit uns selbst treten“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 207.

გამოიხმობს, გამოიწვევს, გამოარკვევს²²⁸. ეს პასაჟი ტექსტში ცოტა უფრო ადრე გადმოცემული აზრს განავრცობს: „(ასეა,) ის თავისით არასოდეს გაიღება, გაიხსნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას სხვა (არსება) არ (დაემგზავრება) გააცილებს, სხვა, რომელიც თავად ჩამოყალიბების, ქმნადობის პროცესშია, ამიტომ ის ბუნებრივია, რომ არმცოდნე, უვიცი და მარადიულად ახალგაზრდაა, როგორც ამას, (ზუსტად ისე, ანალოგიურად) ეგვიპტელი ქურუმები (წინასწარმეტყველები) ამბობდნენ ბერძნებზე. აქედან გამომდინარე წარსულის საგნების შემსწავლელი მეცნიერება უნდა მიუბრუნდეს შინაგან ორაკულს (წინასწარმეტყველს), რომელიც პრესამყაროული დროის ერთადერთი მოწმეა [...] მასშია (დევს, დამარხულია) ყველა საგნის მოგონება, მათი თავდაპირველი ურთიერთობები, მათი ქმნადობა და მნიშვნელობა. მაგრამ საგნების ეს მიზეზ–სურათი (არქექტიპული ხედვა, არქექტიპი) მასში თვლემს (მთვლემარეა). თუმცა არა როგორც ამომლილი და დავიწყებული, არამედ (მოცემულია, არის), როგორც საკუთარ არსებასთან შეზრდილი სურათი, მას თავისი თავისაგან მისი გაცალკეება და გამოხმობა არ ძალუძს. ეს სურათი ნამდვილად აღარ (ვეღარ) გამოიღვიძებდა, თუ მის არმცოდნე თვითობაში შემეცნების ლტოლვა და წინათგრძნობა არ იქნებოდა ჩადებული“²²⁹.

მეორე ასპექტია ის, რომ მეცნიერება ნარატივის ფორმით (მოთხრობა) გადმოგვცემს აბსოლუტს, ხოლო რადგან აბსოლუტის არსი დროულობაშია, ამიტომ მასზე მეცნიერება არის ისტორია.

და მესამე შელინგი მეცნიერებას მიზნად დაუსახავს იმას, რომ: აზროვნებისა და სინამდვილის სამყაროს შორის აღარ უნდა იყოს განსხვავება²³⁰, მაგრამ ამას ჰეგელისაგან განსხვავებული მეთოდებით ახორციელებს და სხვა დაშვებებზე და მიდგომებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ აზრით პირველ რიგში მნიშვნელოვანია ის, რომ შელინგი მხოლოდ შემეცნებელ გონებაზე აღარ აკეთებს აქცენტს.

²²⁸Vgl.: „Es ist also im Menschen eines, das wieder zur Erinnerung gebracht werden muss, und ein anderes es zur Erinnerung bringt; eines in dem die Antwort liegt auf jede Frage der Forschung, und ein anderes, das diese Antwort aus ihm hervorholt“, Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 113.

²²⁹ იქვე, გვ. 112-113.

²³⁰ „Zwischen Welt des Gedankens und der Welt der Wirklichkeit kein Unterschied mehr sein“. Ebd., S. 117.

შელინგისათვის ამოსავალი ჰეგელის მსგავსად არ არის **სინამდვილისა და გონების ანალოგია**. შელინგი არ ამოდის იმ იდეიდან, რომ სინამდვილე ისევეა კონსტრუირებული, როგორც გონება და შესაბამისად, მაგალითად გონების კატეგორიების ანალოგიით შეგვეძლება ბუნების ახსნაც. შელინგთან ჰეგელის მსგავსად ბუნება არ არის გონებრივი და გონებით ახსნადი. პრაქტიკულად ამ თეზისის, ანუ ბუნებისა და გონების ანალოგიის დარღვევა და იმის ჩვენება, რომ სინამდვილე შეიცავს ისეთ პლასტს, რომელიც გერმანული იდეალიზმის შემმეცნებელი გონების საზღვრად გამოდგება და არა მისით ახსნილ რაიმედ, რომ ამ საზღვარს გონება თავად ადგენს და ამაშია გონების უძლურება, გონების თვითნეგაცია, რომელზეც ვალტერ შულცი მიუთითებდა, მთლიანად ემყარება შელინგის გვიანი, პოზიტიური ფილოსოფია.

რა ხდება მას შემდეგ რაც შემმეცნებელი გონება ჩიხში მოექცევა, ან უფრო ზუსტად შეძლებს არაგონებრივის დანახვასა და აღიარებას? ანუ დაინახავს, რომ მის გარეშე, ან რომ არა მისი სტრუქტურის მქონე რაიმეც არსებობს? თვალს გადააწვდენს თავისი ძალაუფლების სფეროს და აღმოაჩენს, რომ მისი სფერო არ არის უსასრულო? შელინგის პოზიცია ამ კრიზისიდან გონების გამოყვანისათვის გონების სხვა ფუნქციის და უნარის ხაზგასმაა. შელინგი გონებისა და ისტორიული სინამდვილის განსხვავების²³¹ შედეგად მიდის *ისტორიული გონების დაფუძნებამდე, ისტორიული გონების დაბადებამდე*. შელინგის გვიან ფილოსოფიაში მეცნიერების გაგების საკითხი კავშირშია ისტორიისა და ისტორიული გონების გაგებასთან.

²³¹ Oesterreich, Peter L.: “Geschichtsphilosophie und historische Kunst. Zum mythosnahen Sprachstil der *Weltalter* Schellings“, S. 83.

4.5. „სამყაროს ეპოქების“ ისტორიულობა და ისტორიული გონების დაბადება

სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავს ორი მიზანი აქვს: 1. შელინგის ისტორიის გაგების ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიასთან მიმართებაში არსებული განსხვავების ჩვენება და 2. შელინგის გვიან ფილოსოფიაში ისტორიული გონების რაობისა და მნიშვნელობის განსაზღვრა.

პირველთან მიმართებაში საუბარს დავიწყებთ იმის აღნიშვნით, რომ გერმანულ იდეალიზმში ისტორიის გაგების სპეციფიკას ქმნის მისი ის განსაკუთრებული სახე, როგორც გვიანმა იდეალიზმა მოახდინა, ერთი მხრივ, ისტორიის ფილოსოფიაში ინტეგრირება და, მეორე მხრივ, ფილოსოფიის ისტორიაში²³². შედეგად მივიღეთ (და აქ პირველ რიგში ჰეგელის ფილოსოფია იგულისხმება) არა ისტორია და ფილოსოფია, არამედ ისტორიის ფილოსოფია და ფილოსოფიის ისტორია. შელინგის გვიან ფილოსოფიაში ისტორიის გაგება ჰეგელისაგან განსხვავებული დაშვებებიდან ამოდის და წინააღმდეგობაშია ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიასთან.

შელინგი ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაზე ირონიულად ამბობს, რომ: ჰეგელმა ისტორიას ვირის ფუნქცია მიანიჭა, რომელსაც მთელი ფილოსოფიის სიმძიმეს აზიდინებს²³³. ამიტომ ის უარს აცხადებს ჰეგელისეულ ისტორიის ფილოსოფიაზე და ისტორიის სხვა გაგებას გვთავაზობს. ამ საკითხის უფრო ახლო ხედის მოსაგემად დაგვჭირდება ზოგადად ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის არსის წარმოდგენა.

მივყვეთ თავად ჰეგელის „*ლექციებს ისტორიის ფილოსოფიაში*“. ჰეგელი ამბობს: “გონი, მისი გონიერი და აუცილებელი ნება არის ის, რასაც სამყაროს

²³² *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 218.

²³³ Vgl.: “[D]arin hat derselbige Mann [Hegel] nicht Unrecht, seine Verwunderung zu äußern, daß der Urheber der Identitäts-Philosophie, wie verlaute, von dem, was ihn auszeichnet, von seinem Principe abgewichen sey und in dem ‚wissenschaftlich undurchdrungenen Glauben‘, in der Geschichte ein Asyl gesucht habe, unter dem sich seine neue Philosophie unterstelle“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: “Erste Vorlesung in Berlin. 15. Dezember. 1841.“, in: *Sämmtliche Werke*, Schelling, Karl Friedrich August, (Hrsg.), Bd. IV, 2. Stuttgart u. a., Cotta’scher Verlag 1858. S. 364.

ვითარებები უმართავს და რაც მათ ახლაც მართავს. ჩვენი მიზანი ამჯერად ისაა, რომ იგი შევიმეცნოთ, როგორც მათი ეს მმართველი [...] **ისტორიის ფილოსოფია სხვა არა არის რა თუ არა ისტორიის მოაზროვნე განხილვა** [...] იგი (ფილოსოფია) ისტორიას ისე უნდა მოეკიდოს, როგორც მასალა, და ისეთად აღარ დატოვოს იგი, როგორც არის, არამედ იგი უნდა მოაწყოს თავისი აზრების მიხედვით, მაშასადამე იგი [...] აპრიორულად უნდა დააკონსტრუიროს [...] ერთადერთი აზრი, რომელიც ფილოსოფიას თან მოაქვს, როცა ისტორიის განხილვას მოადგება, გონების ის მარტივი აზრი გახლავთ, რომ **სამყაროზე გონება ბატონობს** – რომ, მაშასადამე, მსოფლიო ისტორიაც გონების შესაბამისად წარმართულა [...] გონება სუბსტანციაა, ისევე, როგორც უსასრულო ძალაა, თვით თავისთვისვე უსასრულო მასალაა ყოველივე **ბუნებითი და გონითი** სიცოცხლისა, ისევე როგორც უსასრულო ფორმაა, მოქმედებაში რეალიზაციაა თავისი შინაარსისა: იგი სუბსტანციაა, სახელდობრ ისაა, რითაც და რის მიერაც ყოველსავე სინამდვილეს თავისი ყოფიერება და თავისი მდგმოობა აქვს [...] ისევე, როგორც იგი თვითაა თავისთავისათვის საკუთარი წანამდგარი და **აბსოლუტური მიზანი** [...] მე შემიძლია ამ თხოვნით მოგმართოთ: **მსოფლიო ისტორიის ამ გადმოცემას, რომელსაც ახლა შევდგომივართ, გონებისადმი რწმენითა და შემეცნების მოთხოვნილებით, შემეცნების წყურვილით მოვეკიდოთ**²³⁴

ჰეგელის ნაშრომიდან, „*ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*“, ციტირებულ პასაჟში ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის არსია გადმოცემული. ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი რამოდენიმე ნიშანი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: ისტორია ერთიანი პროცესია და ის კონსტრუირებულია, როგორც **გონის, მისი გონიერი ნებით განხორციელებული ერთიანი და ყოვლისმომცველი გზა**²³⁵. გონი თავის თავს ისტორიის მეშვეობით ავლენს, ან ისტორიაში ავლენს და განახორციელებს. ამ ისტორიული განვითარების გზაზე ყოველი ნაბიჯი, გემტალტი, საფეხური მნიშვნელოვანია მის მიზანთან ერთად:

²³⁴ ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“ 2001, გვ. 5–6.

²³⁵ იდრ.: „მსოფლიო ისტორია არის გონის გადმოფენა (Auslegung) დროში“, იქვე, გვ. 44.

“თვითონ გარკვეული ხალხის გონი მხოლოდ ერთი ინდივიდია მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. რადგან მსოფლიო ისტორია გონის ღვთაებრივი, აბსოლუტური პროცესის წარმოდგინებაა მის (ამ გონის) უმწვერვალეს ფორმათა სახით, - იმ საფეხურებრივი მსვლელობის წარმოდგინებაა, რომლითაც გონი თავის ჭეშმარიტებამდე, თავისთავის ცნობიერებამდე მიდის. ამ საფეხურთა სხვადასხვა ფორმაქმნანი მსოფლიო-ისტორიულ ხალხთა გონნი არიან, მათი ზნეობრივი ცხოვრების გარკვეულობანი, მათი წყობის, მათი ხელოვნების, მათი რელიგიისა და მეცნიერების განსაზღვრულობანი. ამ საფეხურთა რეალიზაცია მსოფლიო გონის მუდმივი სწრაფვაა, მისი დაუძლეველი ღელვაა, რადგან ეს დანაწევრება და ამ უკანასკნელის განამდვილება მის ცნებას შეადგენს. მხოლოდ მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, როგორ მოდის თანდათანობით ეს გონი ჭეშმარიტების ცნობიერებამდე და მის მონდომებამდე. ჯერ იგი თითქოს ბურანში არჩევს (ამ ჭეშმარიტებას), შემდეგ მთავარ პუნქტებს პოულობს, ბოლოს მის სრულ ცნობიერებას აღწევს”²³⁶. სხვადასხვა კულტურები, ნაციები, ხალხები წარმოადგენენ სხვადასხვა მცდელობებს ამ ერთიანი მიზნისაკენ. ისინი განსხვავდებიან ერთამეთისაგან, რადგან გონის გამოვლენის სხვადასხვა საფეხურს და ფორმას წარმოადგენენ, მაგრამ მათ აერთიანებს ის, რომ ყველა მათგანი ლაგდება ერთიანი განვითარების პროცესის ხაზზე, როგორც ერთი მიზნის განხორციელების შემადგენელი ნაწილები²³⁷. ღმერთი, რომელიც ყოვლისმცოდნეა ამ განვითარების პროცესის მიღმა კი არაა, არამედ ეს განვითარება მისი გამოვლენაა და მისთვისვეა აუცილებელი. განვითარება მისი არსებობის, არსების და როგორობის გამომხატველია (გერმანულ იდეალიზმში და ჰეგელთან ისტორია პროვიდენციალურია). ამდენად ისტორია პროგრესია, განვითარებაა და გონებისმიერი („Vernünftige“) პროცესია, გონებით ახსნადია. რადგან ასეა და ისტორია ღმერთის და გონის გამოვლენაა, და თანაც გონებრივი პროცესია, ამიტომ ის სიკეთეცაა. რადგანაც ჰეგელთან ისტორიის ყოველი საფეხური გონებით

²³⁶ ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, გვ. 33.

²³⁷ “Alle Volksgeister wachsen, gediehen, streben, werden überholt, während der Geist von einer der Geist von einer Form zur anderen übergeht“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 238.

ახსნადია, შესაბამისად ღმერთი, რომელიც ამ ისტორიულ განვითარებაში სრულად ვლინდება და გონი, რომელიც ისტორიაში განხორციელდება და გამოვლინდება გონების და ცნების სტრუქტურისაა, რაციონალური და გონებით მოცვალია: “გონის ნების საგანი ისაა, რომ თავისსავე ცნებას მიაღწიოს”²³⁸.

საბოლოო ჯამში ჰეგელთან ეს ისტორიული განვითარება წარმოდგენილია, როგორც ლოგიკური განვითარება²³⁹. ჰეგელი ორ იდეას აერთიანებს: “პირველი კანტის ძირითადი იდეა, რომ ჩვენ სამყაროსთან პირდაპირი მიმართება კი არ გვაქვს არამედ ცნებების საშუალებით ვაკეთებთ ამას და მეორე, რომ ამ ცნებების სტრუქტურაც ისტორიულია”²⁴⁰. ამიტომ ჰეგელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორ ისტორიას: 1.სხვადასხვა სოციალური ქმედებების ისტორიას და 2. ამის შემდეგ, ან ამის პარალელურად მათი აღქმების ისტორიას.

ფილოსოფია და ისტორია ერთმანეთს ხვდებიან იმ წერტილში, რომ თავად ფილოსოფიაც ჰეგელთან გაგებულია, როგორც ფილოსოფიის განვითარება, რადგან ფილოსოფია სინამდვილესთან მიმართების ერთ-ერთი სახეა. მიზანი აქაც ერთიანობაა, ის, რომ საბოლოოდ იარსებებს ერთი მთლიანი ყოვლისმომცველი ფილოსოფია და ყველა განსხვავებული მიმართულება იქნება წარმოდგენილი, როგორც ამ მთლიანისა (ტოტალობის) და ერთიანის მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი ნაბიჯი, ერთი საფეხური. მათ მთლიანობას მიაწიჭებს და უზრუნველყოფს ერთი მიზანი.

ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიაზე საუბარი აქ უნდა შევწყვიტოთ, თუმცა ეს თემა ჰეგელის ფილოსოფიაში ამით არ ამოიწურება. დასკვნისათვის აღვნიშნავთ, იმას რომ, ერთი მხრივ, ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის გასაგებად გასათვალისწინებელია შემდეგი: ჰეგელის ფილოსოფიაში ღმერთი (ანუ უსასრულო და უპირობო) ისტორიული განვითარებისაგან გამიჯნული კი არაა არამედ ეს ისტორიული განვითარება თავად მისი განხორციელებაა; მეორე მხრივ,

²³⁸ ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, გვ. 34.

²³⁹ Vgl.: “Daraus folgt, daß die Geschichte eine zweckmäßige und - im Hegelschen Sinne des Wortes - logische Entwicklung in Stufen ist“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.), S. 237.

²⁴⁰ Ebd., S. 239.

კი ამ განვითარების გზაზე ყოველი საფეხური გონებით გააზრებადია, ცნების ხასიათისა და აგებულებისა და შესაბამისად ღმერთი, აბსოლუტი გონებით, რაციონალურად და ცნებებით ახსნადია. სინამდვილე ჰეგელთან გონიერია, თავის ყველა და ნებისმიერი დეტალით, ნაწილით²⁴¹. სინამდვილე გონების სტრუქტურისა და ადამიანს გონებით ლოგიკურად შეუძლია მისი გააზრება. ისტორია აქვს როგორც თავად სინამდვილის განვითარებას ასევე ამ განვითარების გააზრებას, აღქმას და შესაბამისად ეს ორივე ისტორია არის მეცნიერება. უფრო დეტალურად ჰეგელის ამ ასპექტზე არ შევჩერდებით. (ეს შემდეგ მოითხოვს ჰეგელთან ლოგიკის მეცნიერების, ბუნების ფილოსოფიისა და გონის ფილოსოფიის, ასევე ფორმისა და შინაარსის, ნაწილისა და მთელის და სხვა მრავალი ასპექტის ანალიზს).

შელინგს, ჰეგელის მსგავსად, სურს, რომ ისტორიამ სინამდვილე გადმოსცეს და საბოლოოდ სურს მოგვცეს მეცნიერება ამ სინამდვილეზე (რა თქმა უნდა აქ ბუნებაც იგულისხმება). მაგრამ ეს ისტორია შელინგის აზრით არ უნდა იყოს ლოგიკური კონსტრუქცია და მთლიანად გონებრივი²⁴², რადგან თავად სინამდვილე არაა თავის ყველა პლასტში გონებისმიერი. თუ შემმეცნებელი გონება თავის წესრიგს შეიტანს მასში სინამდვილე დაკარგავს სისავსეს. ისტორია არ უნდა იყოს წმინდა ლოგიკური კატეგორიებით აზროვნება: ისტორიულ იდეალიზმზე გადასვლისათვის ტიპურია ის, რომ მისი საბოლოო დაფუძნება უკვე წმინდა ლოგიკურ კატეგორიაში კი აღარაა, არამედ პირდაპირ დროით კატეგორიაში

²⁴¹Vgl.: “Obwohl die Entwicklung von komplexen Formen aus einfachen Anfangsgründen nur in der spekulativen Philosophie ganz begreifbar ist, kann die ‚Logik‘ der Geschichte das Herausarbeiten einer logische Reihenfolge nach eben jenen Formen, die der Geist annimmt, wenn er danach strebt, sich zum Selbstbewusstseins zu bringen-zumindest in der Retrospektive verstanden werden“. *Handbuch. Deutscher Idealismus*, Sandkühler, Hans Jorg, (Hrsg.), S. 234.

²⁴²Vgl.: “Er will die Geschichte nicht spekulativ konstruieren, sondern, beginnend bei den Mythen und polytheistischen Religionen, in einer neuen narrativen Hermeneutik lesbar machen. Er legt in dieser Perspektive Wert darauf, seine Philosophie sei von ihren ersten Anfängen bis an ihr Ende geschichtliches Denken [. . .] Er argumentiert durchgängig im Kontext einer Kritik an Hegel: Dieser biete wegen der unangemessenen Unterordnung des geschichtlich Mannigfaltigen unter die Mono-Logik des Begriffs kein akzeptables Modell; Hegels Logik könne eine geschichtliche Entwicklung des Geistes zur Natur und Natur zu den Objektivierung des Geistes im Menschen nicht wirklich begründen“. Ebd., S. 241.

ხორციელდება²⁴³. ამ მომენტიდან ლაპარაკია ისტორიულ-ჰერმენევტიკული ცნობიერებაზე²⁴⁴. ის მოითხოვს სრულიად განსხვავებულ ენას, რადგან ჰეგელის მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ცნებობრივი ენა აღარ გამოდგება: „შედეგი, რომ საკუთარი მეცნიერული კონსტრუქცია ამავედროულად მოვიაზროთ როგორც აბსოლუტის რეკონსტრუქცია და თვითგამოსახვა, მოითხოვს ახალ მეცნიერულ-თეორიულ კონცეფციას, რომელიც მოითხოვს გადასვლას ცნების ენიდან სპეკულატიური ეპოსის სიმბოლოების ენაზე“²⁴⁵. სამყარო, სინამდვილე დროშია მოცემული, დროსთან, დროულობასთანაა დაკავშირებული: „სამყარო აქ აღარ გვევლინება მხოლოდ დროში ღმერთის უსასრულო ასახვად, არამედ ღმერთის ქმნადობად დროსთან ერთად“²⁴⁶. ისტორია აქვს ბუნებასაც და გონსაც, მაგრამ შელინგთან ის გაგებულია არა როგორც გონების მიერ მოწესრიგებული მთლიანი პროცესი, არამედ მეცნიერება, რომელიც შელინგთან უდრის ისტორიას, არის წმინდა ეპოსი: ყველა საგანზე თხრობა მათი დასაბამიდან²⁴⁷.

შელინგის ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც ის ჰეგელს წაუყენებს არის შემდეგი: ჰეგელს არა აქვს მოცემული ბუნება²⁴⁸. ამიტომ შელინგი მიიჩნევს, რომ

²⁴³Vgl.: „Typisch fuer diesen Uebergang zum historischen Idealismus ist, dass sich seine Letzbegrueudung nicht mehr in rein logischen, sondern primär zeitlicher Kategorien vollzieht“. Oesterreich, Peter L.: „Geschichtsphilosophie und historische Kunst. Zum mythosnaeh Sprachstil der Weltalter“, S. 90.

²⁴⁴„Geschichtshermeneutisches Bewusstsein“. იქვე, გვ. 93.

²⁴⁵Vgl.: „Die qonsequenz, die eigene wissenschaftliche Konstruktion zugleich als Rekonstruktion und Selbstdarstellung des Absoluten zu begreifen, erfordert ueberdies ein neues wissenschaftstheoretisches Konzept, das den Uebergang von der Begriffssprache zur Symbolsprache des spekulativen Epos erfordert“. Oesterreich, Peter L.: „Geschichtsphilosophie und historische Kunst. Zum mythosnaeh Sprachstil der Weltalter“, S. 93.

²⁴⁶Vgl.: „Die Welt erscheint hier nicht mehr als zeitlich unendliche Spiegelung Gottes, sondern als mit der Zeit zugleich gesetzte Schöpfung Gottes“. Kocktanek, Anton Mirko: *Schellings Seinslehre und Kierkegaard*, S. 31.

²⁴⁷ Ebd., S. 31.

²⁴⁸ შდრ.: „პირველ ყოვლისა, იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩვენი საგანი, მსოფლიო ისტორია, გონით ნიადაგზე მიმდინარეობს. სამყარო თავისთავში მოიცავს ფიზილურსა და ფსიქიკურ ბუნებას. ფიზიკური ბუნება იჭრება მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში, ამიტომ ამთავითვე მოგვიხდება, რომ ყურადღება მივაქციოთ ისტორიის ბუნებისმიერი განსაზღვრის უმთავრეს მომენტებს. მაგრამ სუბსტანციური (არსებითი) მაინც გონია და მისი განვითარების მიმდინარეობა. ამ შემთხვევაში ჩვენ აღარ გვჭირდება ბუნების განხილვა როგორც განკერძოებული, თავისებური სტიქიისა (თუმცა, თავისთავად აღებული, იგიც გონების ერთერთი სისტემაა), არამედ

ჰეგელის ფილოსოფიაში აზროვნებასა და მეცნიერებას შორის მოცემულია წყვეტა. შელინგი წერს: “ცოტა ხანში ზიზღი, რომლითაც უცოდინარნი ჯერ კიდევ უყურებენ ყოველგვარ ფიზიკურს, დასრულდება, შეწყდება და კიდევ ერთხელ გამართლდება გამოთქმა, რომ ქვა რომელიც მშენებლებმა გადაადგეს გახდება ქვაკუთხედი. პოპულარობა, რომელსაც ამაოდ ეძებენ თავისით, თავისთავად მოვა. ამის მერე აღარ იქნება განსხვავება აზრების სამყაროსა და მეცნიერების სამყაროს შორის. იქნება ერთი სამყარო, ოქროს ეპოქის მშვიდობა პირველად დააკავშირებს ყველა მეცნიერებას ერთსულოვან კავშირში”²⁴⁹. ჰეგელს არც ისტორია არა აქვს მოცემული შელინგის აზრით, რადგან შემმეცნებელი გონების მიერ მოწესრიგებული ისტორია ანუ ისტორიის ფილოსოფია შელინგის აზრით არ არის ისტორია (მეცნიერება).

მოცემული თავის მეორე მიზანია ანახოს შელინგის ფილოსოფიაში ისტორიული გონების დაბადება და მისი რაობა. ისტორიული გონების დაბადებაში ნაგულისხმევაა ის, რომ შელინგი აქცენტს აკეთებს არა შემმეცნებელ გონებაზე, რომელიც აზროვნებისა და შემეცნების ცნებებსა და კატეგორიებში აწესრიგებს სამყაროს, არამედ ისტორიულ გონებაზე, რომელიც თავისუფლად თანამონაწილეობს სამყაროს ისტორიაში. აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ისტორიის რეკონსტრუირებას ადამიანი ახდენს.

ცნობილია, რომ შელინგი თვალს ადევნებდა თავისი პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტებს, აგროვებდა გაზეთებს, ჟურნალებს, ასევე სამოგზაურო ჩანაწერებს, გზამკვლევებს, საერთოდ ყველანაირ ჩანაწერს, სადაც ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერი ფაქტი იყო აღწერილი. შელინგი თვლის, რომ ეს ფაქტები, ხდომილებები ანუ ადამიანების მიერ ყოველ წუთას განხორციელებული ისტორიები მნიშვნელოვანია და გვიხსნის იმას თუ რას ნიშნავს ისტორია საერთოდ, ამასთანავე გვაგებინებს თუ როგორ მუშაობს ისტორიული გონება. შელინგის აზრით სწორედ ეს ფაქტები გახდებიან შემდეგ

იგი განიხილება მხოლოდ გონთან მიმართებაში“. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, გვ. 10.

²⁴⁹ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 118.

მეცნიერების შესწავლის საგნები. ესაა ისტორია რომელსაც ადამიანი თვითონ ქმნის. შელინგი ამიტომაც წერს, რომ: ადამიანს თავისი ისტორია წინასწარ კი არ ეძლევა, არამედ მას შეუძლია და მან თავად უნდა შექმნას თავისი ისტორია²⁵⁰.

შელინგი გვთავაზობს ახალ ტერმინს, რომლის პირდაპირი თარგმანიც ასე ჟღერს: თანამეცნიერი (“Mittwissenschaft“)²⁵¹: “ადამიანებს უნდა მიენიჭოთ არსება, რომელიც სამყაროს ზე და მის მიღმაა (გარეთაა); როგორ შეძლებდა ის ყველა (შე)ქმნილთა შორის ერთადერთი განვითარების გრძელი გზა ეხლანდელიდან წარსულის უღრმეს ღამეში უკუ გაეკვალა, მხოლოდ მას ერთადერთს საგნების საწყისებამდე მიეღწია, თუ მას თავიდანვე თავისში არ ექნებოდა დროების არსი. ის (ადამიანი) შექმნილია საგანთა წყაროდან, დასაბამიდან და მათ მსგავსად აქვს მარადიული სული შექმნის თვით–შემეცნებისა“²⁵². ადამიანს ძალუძს საგანთა საწყისებამდე მიღწევა და ადამიანს: „რადგანაც ის (ადამიანი) დროს თავისში გარემოცავს, (ამის ძალით) ადამიანს ეძლევა უნარი უშუალო მიმართება დაამყაროს (მყისიერი მიმართება) ღრმა წარსულთან და უშორეს მომავალთან“²⁵³.

ტერმინი თანამეცნიერი (დასაწყისისათვის ვაკეთებთ ტერმინის ზუსტ, სიტყვასიტყვით თარგმანს) შეიცავს რამოდენიმე მითითებას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მოცემული ტერმინით შელინგი აღწერს თუ “როგორაა ყოველი ადამიანი საკუთარი დროის სუბიექტური შეზღუდული ფარგლებიდან ტრანსცენდირების შემძლე და ასევე საკუთარი თავის უნივერსუმის ობიექტურ

²⁵⁰ Vgl.: “Dem Menschen aber ist seine Geschichte nicht vorgezeichnet, er kann und soll seine Geschichte sich selbst machen; es zeichnet ihn aus, daß er “seine Geschichte nicht mit-, sondern selbst erst hervorbringt“. Knatz, Lothar: “Schellings Welt der Geschichte“, in: Weltalter-Schelling im Kontext der Geschichtsphilosophie, S. 47.

²⁵¹ შელინგი წერს, რომ ეს არის: eine Mittwissenschaft der Schöpfung. (conscientia, co-science conscientiousness of creation.)

²⁵² Vgl.: „Dem Menschen muß ein Wesen zugestanden werden, das außer und über der Welt ist; den könnte er allein von allen Geschöpfen den langen Weg der Entwicklungen von der Gegenwart bis in die tiefste Nacht der Vergangenheit zurückverfolgen, er allein bis zum Anfang der Dinge aufsteigen, wenn in ihm nicht ein Wesen von Anfang der Zeiten wäre? Aus der Quelle der Dinge geschöpft und ihr gleich hat das Ewige der Seele eine Mitt-Wissenschaft der Schöpfung“ Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*, S. 112.

²⁵³ Ebd.: S.112.

ჭვრეტაში გადატანის შემძლე²⁵⁴. სწორედ ასე ხდება ისტორიული გონების დაბადება²⁵⁵. ეს ნიშნავს, რომ როდესაც შელინგი ისტორიაზე საუბრობს, მეგზურად გულისხმობს არა შემეცნებელ გონებას, არამედ ისტორიულ გონებას. ისტორიული გონება მოიგონებს (გაიხსენებს) ღრმა წარსულს, რომელიც ერთი მხრივ საკუთარი, სუბიექტური წარსულია და, მეორე მხრივ, სამყაროს, უნივერსუმის წარსულია. საინტერესოა, რომ ამით ხდება არა მხოლოდ პასიური მოგონება რაიმესი, არამედ თანაშექმნაც. ისტორიის რეკონსტრუირება, ისტორიის თანაკონსტრუირებაცაა. შელინგისათვის სწორედ ესაა მეცნიერება, რომელიც უდრის ისტორიას. ეს მეცნიერება აღარაა სინამდვილისაგან მოწყვეტილი და ადამიანი მონაწილეობს მასში, იმით, რომ ადამიანს გაგებული აქვს, შეგნებული აქვს რომ ის არის თანამეცნიერი. კონტექსტიდან გამომდინარე ეხლა შესაძლებლობა გვეძლევა, რომ ეს ტერმინი მისი შინაარსის გათვალისწინებით უფრო დავაზუსტოთ: ის ნიშნავს ადამიანის თანაცოდნას ან თანხედვას. ერთი მხრივ, აქ იგულისხმება ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის შეგნება და ცოდნა და ამით, მეორე მხრივ, აბსოლუტის ცოდნა. ასეა შესაძლებელი, ამ შეგნებითა და ცოდნით, რომ წარსული ვიცოდეთ, აწმყო შევიმეცნოთ და მომავალი წინასწარ განვჭრიტოთ; შემდეგ ნაცოდინარი მოვუთხოვოთ, შემეცნებული წარმოვადგინოთ და მომავალს მივხვდეთ, წინასწარ გამოვიცნოთ.

ადამიანის მიერ წარსულზე ან წარსულის თხრობა არის მის მიერ როგორც საკუთარი, ასევე სამყაროსა და აბსოლუტის, არსებობის სამ ეპოქაში ამოცნობა, შეგნება. ეს თანაცოდნა არ ნიშნავს სინამდვილის ლოგიკურად ახსნას, არამედ ადამიანისაგან მოთხოვნილია მასში თანამონაწილეობა, მოქმედებისა (თხრობის გზით) და შეგნების სახით. შესაბამისად თვითცნობიერება აქ თვითცოდნასა და თვითშეგნებას ნიშნავს, ეს კი ისეთი თვითშეგნებაა, რომელშიც საკუთარი არსებობის ცოდნა მხოლოდ ქმედებით ხდება შესაძლებელი, ან უფრო ზუსტად:

²⁵⁴ Oesterreich, Peter L.: *Das gelehrte Absolute. Metaphysik und Rhetorik bei Kant, Fichte und Schelling*, S. 181.

²⁵⁵ Wieland, Wolfgang: *Schellings Lehre von der Zeit. Grundlagen und Voraussetzungen der Weltalterphilosophie*, Heidelberger Forschungen, 4. Heft, Bückmann, Paul u.a. (Hrsg.), Heidelberg, Carl Winter · Universitätsverlag 1956, S. 9.

არსებობის შეგნება, ან თანამეცნიერება შესაძლებელია მხოლოდ ისე, როცა ადამიანი მოქმედებს, თავად ყვება. არსების ცოდნა და არსებობის შეგნება განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველს შეესაბამება შემეცნებელი გონება, რომელიც არსებას შეიმეცნებს და ესაა რაციონალური და ნეგატიური ფილოსოფიის სფერო, ხოლო მეორეს შეესაბამება ისტორიული გონება, ის სწვდება არსებობას თავისუფალი მოქმედებით. ეს პოზიტიური ფილოსოფიის სფეროა და შელინგი სწორედ მასზე აკეთებს აქცენტს თავისი ფილოსოფიური განვითარების გვიან პერიოდში.

მნიშვნელოვანია, რომ წარსულის ამბებს აწმყოში მყოფი ადამიანი მო(გვი)ყვება. შელინგი ცნების ნაცვლად თხრობასა და მოყოლაზე აკეთებს აქცენტს. თხრობით იხსენებს და თანამონაწილეობს ადამიანი სინამდვილესა და ისტორიაში, მოახდენს წარსულის რეკონსტრუირებას. ამით ადამიანი იმავდროულად აწმყოს კონსტრუირებასა და მომავლის გამოცნობასაც ახორციელებს. ამისათვის მან უნდა გაიხსენოს, მოიგონოს წარსული, შეძლოს ტრანსცენდირება და ამით გადალახოს საკუთარი შეზღუდული, სუბიექტური დრო. ღრმა წარსულში მეხსიერებამ უკუსვლით უნდა გაიკვალოს გზა. ეს შესაძლებელია მხოლოდ მეხსიერების უკიდურესი დამაბვით, რადგან ადამიანი ისეთ რაიმეს იხსენებს, რაც მართალია მან გაიარა, მაგრამ გაიარა არა როგორც ინდივიდმა²⁵⁶.

შელინგი ასეთ კითხვას დასვამს: რატომ და რისთვის სჭირდება ეხლა, აწმყოში მცხოვრებ, აწმყოში მყოფ ადამიანს ღრმა წარსულის ცოდნა, მითოლოგიური დროის მოყოლაში გააზრება? მას ხომ ამ დროში არ უცხოვრია? შელინგის პასუხი ასე ჟღერს: მე არ ვიზიარებ, ისტორიკოსების მიდგომას წარსულიდან აწმყოსკენ, არამედ აწმყოდან წარსულისაკენ. ჩემთვის აწმყო არის წარსულის გასაღები და არა პირიქით და ეს ერთი მარტივი საფუძვლის გამო, რადგან მე, თუნდაც არაცნობიერად და უნებურად, წარსულს ჩემი არსებული რეალობიდან და მასთან მიმართებაში ვაფასებ, შევიცნობ, განვსჯი. ზანდქულერი

²⁵⁶ Vgl.: „Die Philosophie ist [...] fuer das Ich nicht anderes al seine Anamnese, Erinnerung dessen, was es in seinem allgemeinen (seinem vorindividuellen) Syen gethan und gelitten hat“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Vorlesungen zur Geschichte der neueren Philosophie, Sämmtliche Werke*, Bd. X., S. 116.

თვლის, რომ ეხლა ამ სიტყვებით ჰერმენევტიკოსი გველაპარაკება, რომელმაც კარგად იცის რას ნიშნავს ისტორიაცა და ისტორიის ფილოსოფიაც²⁵⁷.

თხრობისას, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია, რომ განსხვავება, გაყოფა მოახდინოს აწმყომ იმისა და იმასთან რაც უკვე წარსულია. ეს გაყოფა არ იყო მაგალითად მითოლოგიურ დროში, ამიტომ მითოლოგიურ დროს არა აქვს წარსულის გაგება, საერთოდ დროის ეს დიმენსია, რადგან ის უსასრულოდ მეორდება და მუდამ, ყოველ ჯერზე ნამდვილი და არსებითია. აქ გამეორება პრაქტიკულად კოპირებაა, უცვლელად და სრულად. ამიტომ შელინგი საჭიროდ მიიჩნევს ღრმა წარსულის მოყოლას, რადგან ასე შეიძლება, რომ ის ნამდვილად წარსულად გადაიქცეს, რაც ხერხდება თუ მისი გახსენება და თხრობა შედგება. აწმყოში მყოფი ადამიანი მას მოიგონებს და ამით გამოყოფს, გამოაცალკევებს, განასხვავებს მას თავისი ეხლანდელი, აწმყო ყოფნისაგან²⁵⁸. მნიშვნელოვანია, რომ შელინგმა ტექსტს უწოდა „სამყაროს ეპოქები“ და აქცენტი აქ სამყაროზე კეთდება. იმის თქმა გვინდა, რომ ჰეგელისაგან განსხვავებით, რომელიც მაინც ყოველთვის აბსოლუტზე აკეთებს აქცენტს, შელინგი სამყაროთი იწყებს, ან სამყაროს ღრმა წარსულის ხედვით იწყებს და არა ჰეგელის მსგავსად აბსოლუტით.

²⁵⁷ Vgl.: “Ich schließe nicht, wie die Historiker, von der Vergangenheit auf die Gegenwart, sondern von dieser auf jene. Ich halte die Gegenwart für den Schlüssel der Vergangenheit, nicht umgekehrt, aus dem einfachen Grunde, weil ich ja, wenn auch unbewußt und unwillkürlich, die Vergangenheit immer nur nach meinem gegenwärtigen Standpunkt messe, beurteile, erkenne, daher jede Zeit eine andere Geschichte von der, obgleich an sich toten, unveränderlichen, Vergangenheit hat“. Sandkühler, Hans Jörg, (Hrsg.): *Weltalter-Schelling im Kontext der Geschichtsphilosophie. Dialektik*. Enzyklopädische Zeitschrift für Philosophie und Wissenschaft. S. 12.

²⁵⁸ შდრ.: „ამრიგად, რაკი საქმე მხოლოდ გონის იდეასთან გვაქვს და მსოფლიო ისტორიაში ყოველთვის მხოლოდ ისე განვიხილავთ, როგორც გონის მოვლენას, ჩვენი განხილვის საგანი, მიუხედავად იმისა, რომ წარსულს მივყვებით ნაბიჯ-ნაბიჯ, რაც არ უნდა ვრცელი იყოს ეს წარსული, მაინც ყოველთვის აწმყოა; რადგან ფილოსოფიას, რომელიც ჭეშმარიტებას ეძებს, საქმე მარად აწმყოსთან აქვს. არაფერი, რაც წარსულია, მისთვის დაკარგული არაა, რადგან იდეა აქ-და-აწმყოა (პრეზენტულია, gegenwärtige), გონი კი – უკვდავი, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, იგი (გონი) არაა ის, რამაც ჩაიარა, და არაა ის, რაც ჯერ არაა, არამედ იგი არსებითად არის. ამგვარად, ამით უკვე გამოთქმულია ის, რომ გონის აწმყო საფეხური ყველა მის მანამდე საფეხურებს თავისში შეიცავს...მომენტებს, რომლებიც, ერთის შეხედვით, გონს უკან აქვს მოტოვებული, იგი თავის აწმყო სიღრმეშიც შეიცავს“. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*, გვ. 49.

თავი 5

„სამყაროს ეპოქები“ და შელინგის შემდგომი პერიოდის ფილოსოფია

5.1. სორენ კირკეგორის შელინგის ფილოსოფიასთან მიმართების საკითხის ისტორიისათვის

შელინგის ფილოსოფიის მის შემდგომ ფილოსოფიასთან მიმართების საკითხი ძალზედ ფართო ისტორიულ-ფილოსოფიური ხედის მოცემას მოითხოვს. ჩვენ დავავიწროვებთ ამ ფოკუსს და მივმართავთ მას ერთ, გერმანული იდეალიზმისაგან სრულიად განსხვავებულ ფილოსოფოსზე, სორენ კირკეგორზე და მის ფილოსოფიაზე. გერმანული იდეალიზმიდან სორენ კირკეგორის ფილოსოფიაზე გადასვლა პრობლემური საკითხია. საჭირო ხდება იმის ჩვენება პრინციპულად არის თუ არა შესაძლებელი გერმანული იდეალიზმიდან პირდაპირ სორენ კირკეგორზე და ექსისტენციალიზმზე გადასვლა. ამის შემდეგ უნდა ვანახოთ თუ კონკრეტულად რა გზებით, რომელ ასპექტებშია შესაძლებელი ამ ორ განსხვავებულ ფილოსოფიურ მიმართულებას შორის რაიმე გადაკვეთების გამონახვა.

ნაწილობრივ ეს საქმე დაწყებულია იმით, რომ შელინგის გვიან ფილოსოფიას მკვლევრები ძნელად ათავსებენ მხოლოდ გერმანული იდეალიზმის ფარგლებში. ეს პრობლემა თავიდანვე ცხადყოფდა, რომ შელინგის პოზიტიურ ფილოსოფიაში იკვეთებოდა გერმანული იდეალიზმის ჰეგელისეული ვერსიისაგან განსხვავებული ალტერნატიული გზა. თუმცა კონკრეტულად იმის მტკიცება თუ რამდენადაა ეს ძიება კავშირში გერმანული იდეალიზმის შემდგომ ფილოსოფიასთან და კერძოდ კი ექსისტენციალიზმთან, ეს საკითხიც შემდგომ გამოკვლევასა და გადასინჯვას მოითხოვს.

დისერტაციის ბოლო თავი გადმოსცემს ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგებს. ესაა მცდელობა რამოდენიმე, წინასწარ განსაზღვრული, საკითხის ფონზე ანახოს ამ გადასვლის პრინციპული შესაძლებლობა ან

დაამტკიცოს მისი შეუძლებლობა. შესაბამისად ჩვენი მიზანია ვანახოთ ამ საკითხის პერსპექტივა ან ის მიმართულება, ველი სადაც შესაძლებელი გახდება სორენ კირკეგორისა და შელინგის ფილოსოფიურ თეორიებს შორის პარალელი.

სორენ კირკეგორისა და შელინგის ფილოსოფიის შედარების ტენდენცია და მათ ფილოსოფიას შორის ურთიერთმიმართებებზე კვლევები უმთავრესად მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. შელინგის ფილოსოფიის კვლევის ისტორიას თუ გადავხედავთ ეს პერიოდი ემთხვევა შელინგის ფილოსოფიის კვლევის მეორე ეტაპს²⁵⁹, როცა მეტი ყურადღება დაეთმო მის პოზიტიურ ფილოსოფიას. სანამ უშუალოდ ამ ორი ფილოსოფოსის შესაძლო პარალელების თეორიულ მხარეს შევხებით განვიხილავთ შელინგისა და სორენ კირკეგორის ურთიერთობის, შესაძლო პირადი ნაცნობობის და შელინგის სორენ კირკეგორის თანამედროვე დანიური რეცეფციების საკითხებს.

ამ ორ ფილოსოფოსს შორის პირადი ნაცნობობის მხოლოდ ერთი ფაქტის დაფიქსირებაა შესაძლებელი, როცა სორენ კირკეგორი შელინგის ლექციების მსმენლის როლში გვევლინება. საკითხის უფრო კონკრეტულად და ახლოს დანახვის საშუალებას გვაძლევს შელინგის ბერლინის ლექციები. ეს არის 1841-42 წლის ზამთრის სემესტრი, როცა შელინგი კითხულობს ლექციებს *გამოცხადების ფილოსოფიაში*. ამ პერიოდისათვის ევროპაში ჰეგელის ფილოსოფია ბატონობს. მართალია მისკენ მიმართული კრიტიკის ტალღაც ნელ-ნელა მძლავრდება, მაგრამ ფილოსოფიური კლიმატი მაინც ჰეგელის ნაშრომებით იქმნება. ბერლინი ინტელექტუალური ცენტრია, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის 40-იანი წლებისათვის ეს ქალაქი პრაქტიკულად ჰეგელიანიზმის ცენტრადაა გადაქცეული. ჰეგელის ფილოსოფიის ასეთი პოპულარობის პერიოდში შელინგის მიერ ბერლინში ჩასვლისა და ლექციების წაკითხვის ფაქტიც კი სენსაციურობის მქონე ევენტისაა.

²⁵⁹ დავასახელებთ რამოდენიმე ავტორს, ესენი არიან: ანტონ მირკო კოკტანეკი (Koktanek, Anton Mirko: *Schellings Seinslehre und Kierkegaard*, 1962), ვალტერ შულცი (Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*), ნილს ტულსტრუპი (Thulstrup Niels: *Kierkegaards Verhältnis zu Hegel und zum spekulativen Idealismus*, 1972), ლორე ჰუნი (Lore Hühn *Kierkegaard und der Deutsche Idealismus. Konstellationen der Übergangs*, 2009).

მიუხედავად ამისა, კარლ იასპერსი, რომელიც თავადაც ესწრება ამ ლექციებს მათ უწოდებს: “ბოლო დიდ აკადემიურ მოვლენას”²⁶⁰.

შელინგის ბერლინის ლექციებს ბევრი ცნობილი ფილოსოფოსი ესწრება²⁶¹: კირკეგორი, როზენკრანცი, ბაკუნინი, იასპერსი, ბურკჰარდტი და სხვები. სორენ კირკეგორი ლექციების დაწყებამდე ჩადის ბერლინში, გერმანულ ენაში მეცადინეობას იწყებს და ლექციებისათვის ემზადება. ბერლინის ლექციები მისი შელინგთან პირდაპირი კავშირის პირველი და ერთადერთი დადასტურებაა. თუმცა სორენ კირკეგორი შელინგს უფრო ადრეც, 1840 წელს თავის შენიშვნების წიგნში, მოიხსენიებს²⁶².

სორენ კირკეგორის შელინგის ბერლინის ლექციების ჩანაწერებს თუ გავაღვევებთ თვალს ვნახავთ, რომ დასაწყისში, ანუ პირველ ჩანაწერებში, ის აღფრთოვანებით აღწერს თავის შთაბეჭდილებებს: ძალიან მიხარია, რომ შელინგის მეორე ლექცია მოვისმინე [...] რადგან იგი ახსენებს სიტყვას ‘სინამდვილე’, საუბრობს ფილოსოფიის სინამდვილესთან მიმართებაზე. [...] მე ვიხსენებ თითქმის ყოველ სიტყვას, რომელსაც ის ამ წუთიდან ამბობდა. აქ შეიძლება ნათელი მოეფინოს საკითხებს. ამ ერთმა სიტყვამ გამახსენა ყველა ჩემი ფილოსოფიური ტანჯვა²⁶³. სორენ კირკეგორის ამ მოწონებას შელინგი სინამდვილის სხვაგვარი და ახლებური გაგების მოთხოვნით იმსახურებს. ცხადია მას უჩნდება მოლოდინი, რომ სინამდვილის ახალი გაგების ქვეშ გვიანი შელინგი

²⁶⁰Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 271.

²⁶¹შელინგის ბერლინის ლექციების მსმენელთა შესახებ და მათ ჩანაწერებზე დაწვრილებით იხ.: Schelling: *Philosophie der Offenbarung 1841/42*, Hrsg. und eingeleitet von Manfred Frank, Frankfurt a. M., Suhrkamp Verlag, 1977, S. Von 417-503. ასევე ამავე წიგნის წინასიტყვაობა, რომელიც გამომცემელს, მანფრედ ფრანკს ეკუთვნის და ვალტერ შულცის დასახელებული ნაშრომი გვ. 271.

²⁶²Vgl.: „Die Annahme. Hegel sei eine Parenthese in Schelling, bekommt mehr Gültigkeit, und man wartet bloß darauf, daß sie geschlossen wird“. Olesen, Tonny Aagaard: “Kierkegaards Schelling“, In: Hennigfeld, Jochem u. a. Hrsg., *Kierkegaard und Schelling. Freiheit, Angst und Wirklichkeit*, Kierkegaard Studies, Monograph Series 8. Berlin u. a., Walter de Gruyter 2003, S. 2.

²⁶³Vgl.: “Ich bin froh, Schellings zweite Vorlesung gehört zu haben-unbeschreiblich [...], da er das Wort, ‘Wirklichkeit’ nannte, über das Verhältnis der Philosophie zur Wirklichkeit [...] Ich erinnere fast jedes Wort, das er von diesem Augenblick an sagte. Hier kann vielleicht Klarheit kommen. Dieses eine Wort, das mich an alle meine philosophischen Leiden und Qualen erinnerte“. Kierkegaard, Sören: *Die Tagebücher, 1834-1848*, Ausgewählt und übersetzt von Theodor Haecker, Bd. 1., Innsbruck, Brennen-Verlag 1923, S. 169.

ჰეგელისაგან განსხვავებით სინამდვილის სრულიად ახალ შინაარსს გულისხმობს, რომ შელინგი გონებისა და სინამდვილის გაიგივებას არ დაეყრდნობა.

სორენ კირკეგორი ბერლინიდან დაგეგმილზე ბევრად უფრო ადრე მიემგზავრება. ამის მიზეზად მკვლევრები ასახელებენ, არა მხოლოდ, შელინგის ლექციებისადმი ინტერესის დაკარგვას, არამედ მისთვის ძვირფასი ადამიანის, რეგინა ოლსენის, ავადმყოფობის ფაქტსაც²⁶⁴.

ცნობილია ისიც, რომ სორენ კირკეგორი ბერლინიდან შელინგის ლექციებით უკმაყოფილო ბრუნდება: შელინგის გაუგებარი საუბარი აუტანელია, მე ძალიან ასაკოვანი ვარ ლექციების მოსასმენად ისევე, როგორც შელინგია ძალიან მოხუცი იმისათვის, რომ ლექციები წაიკითხოს²⁶⁵. თებერვლით დათარიღებულ სორენ კირკეგორის წერილებში ეს განწყობა ნელ–ნელა სულ უფრო მწვავედება²⁶⁶. მიუხედავად სორენ კირკეგორის უკმაყოფილებისა, რომელსაც ის სარკაზმსაც გაურევს, მან მოისმინა შელინგის ნეგატიური და პოზიტიური ფილოსოფიის განსხვავების შესახებ ლექციები²⁶⁷.

ცალკეული ნაშრომების გარდა შელინგი-კირკეგორის ფილოსოფიის მიმართების საკითხის განხილვა იმ სიტყვების ციტირებით მთავრდება, სადაც კირკეგორი შელინგზე ამბობს, რომ მისი მოსმენა სრულიად აუტანელი იყო. სორენ კირკეგორის ციტირებული ფრაზის წაკითხვის შემდეგ მართლაც გიჭირს

²⁶⁴ Роде, Петер П.: *Сёрен Кьеркегор сам о себе*. Перевод с немецкого составление приложения и послесловие Николая Болдырева, Урал, LTD 1998, стр., 116.

²⁶⁵“Schelling faselte ganz unerträglich [...] Ich bin zu alt, um Vorlesungen zu hören, gleichwie Schelling zu alt ist, um sie zu halten“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 272.

²⁶⁶16 თებერვლით დათარიღებულ წერილში ს. კირკეგორი თავის მეგობარ ბიოზენს წერს: “შელინგის მომდევნო ლექციები ძნელად თუ გვპირდება რაიმე მნიშვნელოვანს“, ასევე თებერვალში თავის ძმას სწერს: “ბერლინში მე აღარაფერი მესაქმება. მე არ შემიძლია წვეთ–წვეთობით მივიღო ის, რაც შემიძლია, რომ ერთბაშად გადავყლაპო [...] მთელი ეს სწავლება პოტენციებზე მიუთითებს იმპოტენციის უკიდურეს ხარისხზე“. Роде, Петер П.: *Сёрен Кьеркегор сам о себе*, стр., 115. 116.

²⁶⁷სორენ კირკეგორის 18 ნოემბრის წერილი: “ის (შელინგი) იცავს თეზისს, რომ არსებობს ორი ფილოსოფია–ნეგატიური და პოზიტიური. ჰეგელი არცერთს არ ეკუთვნის, ის სრულყოფილი სპინოზისტია. ნეგატიური ფილოსოფია მოცემულია იგივეობის ფილოსოფიაში, ხოლო პოზიტიურის მოცემას ის ეხლა აპირებს და ამით მეცნიერებას ნამდვილ სიმაღლემდე აყვანას ჰპირდება“. იქვე, გვ. 114.

შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიას შორის პარალელის დაშვებაცა და იმის შემოწმებაც, თუ რამდენადაა შესაძლებელი ამ ორი, სრულიად სხვადასხვა ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენელს შორის რაიმე მიმართების დანახვა. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ შელინგის ლექციებმა, გამოცხადების ფილოსოფიაზე, სორენ კირკეგორზე საკმარისი ზეგავლენა მოახდინეს იმისათვის, რომ ის ვრცლად განიხილავს შელინგის გვიან ფილოსოფიას²⁶⁸. სორენ კირკეგორის შელინგის ლექციებზე ჩანაწერები იწყება 1841 წლის 22 ნოემბრიდან და ბოლო ჩანაწერი დათარიღებულია 1842 წლის 3 თებერვლით. თუმცა სორენ კირკეგორის წერილებიდან ირკვევა, რომ მან რეალურად შელინგის უფრო მეტ ლექციას მოუსმინა.

ამ ეტაპზე საინტერესოა შელინგის დანიური რეცეფციების განხილვა იმ მიზნით, რომ ვნახოთ თუ რამდენადაა შესაძლებელი, რომ შელინგის გვიან ფილოსოფიას სორენ კირკეგორის ფილოსოფიაზე კიდევ სხვა სახის ზეგავლენები ჰქონოდა. გარდა ბერლინის ლექციებისა, რომელსაც სორენ კირკეგორი თავად უსმენდა, ძნელია იმის დადგენა თუ შელინგის სხვა რომელი ტექსტი შეიძლება სცოდნოდა მას. შელინგის გვიანი პერიოდის ტექსტების მხოლოდ ნაწილი გამოაქვეყნა 1856-1861 წლებში შელინგის შვილმა²⁶⁹. შესაბამისად ძალიან რთულია პირდაპირ და კონკრეტულ გავლენებზე საუბარი. ერთი რამ ცხადია, რომ სორენ კირკეგორს არ განუცდია ჰეგელის ფილოსოფიის გავლენა, ის თავიდანვე ჰეგელის ფილოსოფიის აშკარა და დაუფარავი კრიტიკით გამოირჩეოდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს შელინგის ფილოსოფიის დანიური რეცეფციების

²⁶⁸Vgl.: “Nicht jedenfalls wird in Schellings Spätphilosophie durch die schroffe Antithetik von möglichen und wirklichen Seienden-auf die Kierkegaard während seines ersten Berliner Aufenthaltes bereits in der Mittschrift der zweiten Vorlesungsstunde ausführlich eingeht und die er darüber hinaus in der Tagebuchaufzeichnung vom 22. November 1841 geradezu enthusiastisch kommentiert“. Hühn, Lore: „Sprung im Uebergang. Kierkegaards Kritik an Hegel im Ausgang von Spätphilosophie Schellings“. In: Hennigfeld, Jochem (Hrsg.): *Kierkegaard und Schelling: Freiheit, Angst und Wirklichkeit*, Berlin, de Gruyeter 2003, S.134.

²⁶⁹ესაა მიუნხენის 1806/1820 და 1826/1841 წლების ლექციები და ერლანგენის 1820/1826 წლების ლექციები. ამ საკითხზე იხ.: Olesen, Tonny Aagaard: “Kierkegaards Schelling“, in: *Kierkegaard und Schelling. Freiheit, Angst und Wirklichkeit*, S. 7.

შესახებ სპეციალური კვლევები და ასეთი გამოკვლევა მომავლის საქმეა²⁷⁰. აქ შემოვიფარგლებით რამოდენიმე დანიელი ავტორის სახელის ჩამოთვლით, რომლებიც შელინგს პირადად იცნობდნენ, ესენი არიან: ჰენრიხ შტეფენსი (1773-1845)²⁷¹, მისი ლექციების მსმენელი ადამ ოელენშლედერი (1779-1850)²⁷², ჰანს ქრისტიან ორსტედი (1777-1851), რომელიც ოელენშლეგერის მეგობარი და დამხმარე იყო შელინგის ფილოსოფიის გაგებაში²⁷³, ნიკოლაი ფრედერიკ სევერინ გრუნდთვიგი²⁷⁴ (1783-1872) შელინგის ფილოსოფიის გავლენებს განიცდიდა, ასევე უნდა დასახლდეს ფრედერიკ ქრისტიან ზიბერნი (1785-1872), რომელიც სორენ კორკეგორს კარგად იცნობდა და მას შელინგის ფილოსოფიის შესწავლას ურჩევდა²⁷⁵.

შელინგის ფილოსოფიის დანიელ მცოდნეთა და მისი გავლენებით გამორჩეულ მოაზროვნეთა ეს რიგი შეიძლება კიდევ გაგრძელდეს. სორენ

²⁷⁰Olesen, Tonny Aagaard: “Kierkegaards Schelling“, in: Kierkegaard *und Schelling. Freiheit, Angst und Wirklichkeit*, S. 8.

²⁷¹ჰენრიხ შტეფენსი (Henrich Steffens) 1798 წელს გერმანიაში მიდის სასწავლებლად, იენაში რომანტიკოსთა წრის წევრი ხდება. აქ ეცნობა ჰ. შტეფენსი შელინგსაც. შელინგის ნატურფილოსოფიას მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1802 ის კოპენჰაგენში ბრუნდება და იწყებს ლექციების კითხვას. კითხულობს ლექციებს შელინგის ნატურფილოსოფიაზე. იქვე, გვ. 8-10.

²⁷²ადამ ოელენშლედერი (Adam Oehlenschläger) 1817 წელს შელინგთან ჩადის მიუნჰენში და აქედან მოყოლებული იწყება მათი მეგობრობა. ის კარგადაა ინფორმირებული შელინგის ტექსტის *სამყაროს ეპოქების* ძირითადი იდეებით და მისთვის ცნობილია შელინგის პოზიტიური ფილოსოფიის არსი: “In einem Brief an Christiane Oehlenschläger vom 16. Mai 1817 erzählt Oehlenschläger ausführlich über seinen täglichen Umgang mit Schelling [. . .]“, Er [Schelling] ist mit dem meisten, was er früher geschrieben hat (mit der Form), unzufrieden und gibt nun bald ein Werk auf Deutsch heraus, das ich zu lesen und studieren beschlossen habe“. Oehlenschläger selbst nennt den Titel von Schellings Werk nicht, das aber tut Daniel Preisz an einem informationsreichen Kommentar zur Stelle, in dem nicht nur berichtet wird, daß die Weltalter schon 1811 und auch 1812 annonciert worden waren, 1815 sogar im Messenkatalog als erschienen aufgeführt wurden, sondern auch, daß Schelling einige Jahre danach dem schwedischen Dichter Per Daniel Amadeus Atterbom (1790-1855) vorgeschlagen hatte, das Werk ins Schwedischen zu übersetzen [. . .] Bei Atterdom, der im Januar 1818 Schelling besuchte, findet man übrigens auch die ausführliche Beschreibung seines Treffens mit Schelling“. Ebd., S.12.

²⁷³ჰანს ქრისტიან ორსტედი (Hans Christian Orsted) ფიზიკოსი იყო და მას განსაკუთრებით შელინგის ნატურფილოსოფია აინტერესებდა. 1832 წელს ის სტუმრობს შელინგს ერლანგენში, შემდეგ 1842 წელს ბერლინში. იქვე, გვ. 12-13.

²⁷⁴Nicolai Frederik Severin Grundtvig (1783-1872).

²⁷⁵Frederik Christian Sibbern. “Von 1830 bis Ende 1840 war Sibbern der Lehrer und Freund, der der jüngeren Generation empfahl, Schelling aufzusuchen, zum Beispiel [. . .] Kierkegaard“. Ebd., S. 19.

კირკეგორის დროინდელ დანიაში შელინგის ფილოსოფიის, განსაკუთრებით შელინგის გვიანი პერიოდის ფილოსოფიის გავრცელება და გავლენები დასტურდება. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ ეს დანიელი მოაზროვნეები პირადად იცნობდნენ შელინგს და ხშირად აკითხავდნენ მას გერმანიაში. ჩვენი საკვლევო საკითხისათვის არსებითია ისიც, რომ ეს ვიზიტები დროის თვალსაზრისით შელინგის ფილოსოფიური განვითარების „სამყაროს ეპოქებზე“ მუშაობის პერიოდზე (1811-1827 წლებზე) მოდის.

ცალკე გამოვყოფთ იმ დანიელ მოაზროვნეებს, რომლებიც პირადად იცნობდნენ ს. კირკეგორსაც და შელინგსაც. ასეთები არიან ს. კ. ვ. ბინდესბოლი (Severin Claudius Wilken Bindsboll (1798-1871), რომელიც 1825-38 წლებში კირკეგორის მასწავლებელია. ს. კირკეგორი მას დადებითად ახასიათებს და თავის მეგობრად თვლის. ის 1832 წლის 25. აგვისტოს შელინგის მოხსენებას ესწრება მიუნჰენში²⁷⁶. ასევე აღსანიშნავია ს. კირკეგორის მეორე მეგობრის ფრ. ლ. ბ. ცუტენის (Frederik Ludvig Bang Zeuthen (1805-1874) მოგზაურობა მიუნჰენში. ის უსმენს შელინგის *გამოცხადების ფილოსოფიას* და ეცნობა ნაშრომს „სამყაროს ეპოქები“. სავარაუდოდ სორენ კირკეგორს მისგანაც შეეძლო მოესმინა შელინგის გვიანი ფილოსოფიის არსის შესახებ. ეს რიგი მოაზროვნეების, რომლებიც შელინგის გვიან ფილოსოფიას კარგად იცნობდნენ და ამავე დროს სორენ კირკეგორთან მეგობრობდნენ, ფართოა. ისინი შელინგზე აღფრთოვანებით საუბრობდნენ და წერდნენ. შესაბამისად სორენ კირკეგორის ინტერესი შელინგისადმი და მისი შელინგის ლექციების მოსასმენად ბერლინში ჩასვლის ფაქტი მათი დამსახურებაცაა.

ფილოსოფიის ისტორიაში სორენ კირკეგორი ცნობილია, როგორც გერმანული იდეალიზმის, განსაკუთრებით ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკოსი. შელინგი გერმანული იდეალიზმის კრიტიკას ახდენს თვითონ გერმანული იდეალიზმის ფარგლებშივე და ჰეგელის ფილოსოფიის პარალელურად

²⁷⁶ Olesen, Tonny Aagaard: “Kierkegaards Schelling“, in: *Kierkegaard und Schelling. Freiheit, Angst und Wirklichkeit*, S. 22.

გერმანული იდეალიზმის სრულიად მოულოდნელ პერსპექტივებს გახსნის. სორენ კირკეგორი კი გერმანული იდეალიზმის კრიტიკით ახალ ფილოსოფიურ მიმართულებას უდებს საფუძველს. ამ ეტაპზე საინტერესოა მის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის განხილვა და ამ კრიტიკის გვიანი შელინგის ფილოსოფიურ პოზიციასთან შედარება.

5.2. სორენ კირკეგორის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის არსი

გერმანულ იდეალიზმთან სორენ კირკეგორის დამოკიდებულება ცალსახად კრიტიკულია. ის თავის საკუთარ ფილოსოფიას ჰეგელის ფილოსოფიის დაპირისპირებაში აყალიბებს და მის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა განსაკუთრებული რადიკალიზმით გამოირჩევა²⁷⁷. ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის თვალსაზრისით შელინგი და სორენ კირკეგორი, ეს ორი განსხვავებული მიმართულების ფილოსოფოსი, ერთმანეთს კვეთენ. არსებობს კვლევები, რომელთა მიხედვითაც სორენ კირკეგორისეული კრიტიკა შელინგის გვიანი ფილოსოფიის გავლენებით, ან მასთან კავშირშია განხილული²⁷⁸. აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ ორივე ავტორი ჰეგელის ფილოსოფიაში ცნების დიალექტიკის საფუძვლიან კრიტიკას აწარმოებენ და ამ კრიტიკას აფუძნებენ საკუთარ ახალ ფილოსოფიას. ამიტომ გვიანი შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ორიენტაციისათვის წინაპირობად მათ მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა იგულისხმება. შესაბამისად შელინთანაც და სორენ კირკეგორთანაც მთელი რიგი ტექსტებისა შეიცავენ არაერთ პასაჟს, სადაც გადმოცემულია ჰეგელის კრიტიკა.

²⁷⁷ საკითხს ჰეგელისა და კირკეგორის ფილოსოფიის მსგავსება-განსხვავების საკითხს იკვლევს ნილს ტულსტრუპი თავის ნაშრომში. Thulstrup, Niels: *Kierkegaards Verhältnis zu Hegel und zum spekulativen Idealismus 1835-1846. Historisch-analytische Untersuchung*, Stuttgart u. a., Verlag W. Kohlhammer 1972.

²⁷⁸Vgl.: „Schelling und Kierkegaard treffen sich freilich nicht nur in dem, woran sie Anstoß nehmen und was sie als Mangel der Begriffsdiagnostik Hegelscher Provinienz ankreiden“. Hühn, Lore: „Sprung im Übergang. Kierkegaards Kritik an Hegel im Ausgang von der Spätphilosophie Schellings“, S. 135.

შელინგის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკა განხილულია დისერტაციის 3.1. თავში. აქ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ შელინგის სიცოცხლეში გამოქვეყნებული პირველი ტექსტი, სადაც ის ჰეგელის ფილოსოფიას აკრიტიკებს, ფიქსირდება 1834 წელს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი ეს კრიტიკული მიდგომა უფრო ადრეული პერიოდიდანაც არ ყალიბდებოდა. ამ მომენტიდან გადავალთ სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ჰეგელის კრიტიკის მოკლე მიმოხილვაზე.

სრულიად ცხადია, რომ შელინგისა და სორენ კირკეგორის სიახლოვე თავს იჩენს ჰეგელის ფილოსოფიაში ცნების და ცნებობრივი აზროვნების შეფასებაში. ორივე ავტორი ჰეგელის ნაკლად მიიჩნევენ შემდეგს, რომ ცნებას სწორედ ექსისტენცი და სინამდვილე უსხლტება ხელიდან, გამომდინარე თვითონ ცნების არსიდან. ფილოსოფიის ისტორიაში პერიოდი, როდესაც ორივე ავტორის ეს აზრი ყალიბდება ჰეგელის ფილოსოფიის ძლიერებითაა აღბეჭდილი. თუ ფილოსოფიის ისტორიას გადავავლებთ თვალს, გამოიკვეთება ისიც, რომ ჰეგელის სიკვდილის შემდეგ, 19 საუკუნეში აღარ ჩანს ასეთი სიმძლავრის და გავლენის მქონე ფილოსოფოსი, როგორც ჰეგელია. თუმცა ჰეგელის ლოგიკის ან მისი რელიგიის ფილოსოფიის კრიტიკის ტენდენციაც იკვეთება და ნელ–ნელა ძალას იკრებს. ჰეგელის ფილოსოფია ამ წლებში მთელ ევროპასა და კოპენჰაგენშიც ძალიან პოპულარულია: იკითხება ლექციები ჰეგელის ფილოსოფიაზე, ითარგმნება ჰეგელის ტექსტები დანიურად²⁷⁹. სორენ კირკეგორი ესწრება ამ ლექციებს²⁸⁰ და შესაბამისად ჰეგელის ფილოსოფიის არსი მისთვის კარგადაა ცნობილი. ითვლება, რომ სორენ კირკეგორის ჰეგელზე წარმოდგენის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული გავლენა იქონიეს მემარჯვენე ჰეგელიანელებმა²⁸¹. დანიაში, როგორც ირკვევა, შელინგის ფილოსოფიაც არანაკლებაა გავრცელებული და ეს ეხება მის გვიან ფილოსოფიასა და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მის ტექსტს „სამყაროს ეპოქები“. დანიაში შელინგის გვიანი ფილოსოფიის გავრცელება

²⁷⁹ Olesen, Tonny Aagaard: “Kierkegaards Schelling“, S. 4.

²⁸⁰ იქვე, გვ. 5.

²⁸¹ ამაზე ვრცლად ნილს ტულსტუპი ტექსტში: “Kierkegaards Verhaltnis zu Hegel und zum spekulativen Idealismus“, S.11.

ზეპირი გადაცემის გზით ხდებოდა და შელინგის დანიელი მეგობრების დამსახურებაა.

სორენ კირკეგორის მიერ ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკის შესახებ მსჯელობა მოითხოვს მისი ფილოსოფიური კონცეფციის ზოგად გადმოცემას, რასაც მოცემული ნაშრომის შემდეგი თავი ემსახურება.

5. 3. სორენ კირკეგორისა და შელინგის გვიანი ფილოსოფიის შესაძლო პარალელებისათვის

სორენ კირკეგორის ფილოსოფიის ვრცელი განხილვა არ წარმოაგენს ჩვენს მიზანს მოცემული სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში. ზოგადად წარმოვადგენთ მისი ფილოსოფიის ძირითად ასპექტებს. სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ცენტრალური მნიშვნელობისაა მისი სტადიებზე მოძღვრება. ფილოსოფოსი განიხილავს სამ სტადიას, (ან სფეროს), ესენია: ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური. როცა სიტყვა სტადიებს ვახსენებთ ეს იმთავითვე რაიმეს განვითარებაზე მიგვითითებს. სორენ კირკეგორი სტადიებზე მოძღვრებით არ გულისხმობს, რომ თითქოს ეს სტადიები განვითარების ერთ ხაზზე იყვნენ განლაგებული და ადამიანის ეტაპობრივ, საფეხურეობრივ წინსვლაზე მიუთითებდნენ. შესაძლებელია მათ შორის დიალექტიკურ კავშირზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლობით ხდება ერთიდან მეორეზე და შემდეგ მესამეზე გადასვლა. სორენ კირკეგორი ამ ასპექტში არჩევანის თავისუფლებაზე საუბრობს. ექსისტენცი თავად ირჩევს რომელიმე ამ სტადიას და ცხოვრობს მისი პრინციპებით, იმ ისტორიით, რომელსაც ამ სამი სტადიიდან მის მიერ არჩეული რომელიმე სტადია ქმნის. ანუ ექსისტენცი ექსისტირებს, არსებობს ამ კონკრეტულ სტადიაზე, ცხოვრობს ამ კონკრეტულ ისტორიაში. ის თვითონ იღებს არჩევანის რისკს თავის თავზე და მის მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობაც სრულად მხოლოდ მას ეკისრება. შესაბამისად ექსისტენცი თავისუფალია აირჩიოს.

სორენ კირკეგორის სტადიებზე მოძღვრება მოკლედ ასე შეიძლება დავახასიათოთ:

1. პირველია ესთეტიკური სტადია²⁸², რომელზეც ექსისტენცი მრავალფეროვნებაში, სიმრავლეშია გაბნეული, შესაბამისად მისი თვითგანსაზღვრა („Selbstbestimmung“) მოჩვენებითია. სინამდვილეში ექსისტენცი კი არაა საკუთარი თავის განმსაზღვრელი, ანუ მას თავის შიგნით კი არა აქვს საკუთარი თავის განმსაზღვრელი, რითაც ის საკუთარ არსებობას აფუძნებს, ან ასეც შეიძლება ითქვას, რითაც ის არსებობს, არამედ საკუთარი თავის გარეთ. ესთეტიკურ სტადიაზე ექსისტენციის განმსაზღვრელია ტკბობისა და სიამოვნების მიღება. ის წყარო საიდანაც ადამიანი ტკბობას იღებს და შესაბამისად საკუთარ არსებობას შეიტყობს და აფუძნებს მას თავის შიგნით არა აქვს. მიიღება ისეთი არსებობა, რომელსაც პრაქტიკულად საკუთარი არსებობის საფუძველი სხვაში აქვს, ამ შემთხვევაში ტკბობის საგანში, რომელიც დაუსრულებლად იცვლება. თუ ექსისტენციაში არაა საკუთარი არსებობის მიზეზი ის არც არსებობს. ამიტომ მას მუდამ უწევს თავის გარეთ ეძებოს ეს ტკბობის ობიექტი და უშუალო მიმართება დაამყაროს მათთან. მისი არსებობა, ანუ მისი ექსისტირება, მისი სოცოცხლე ამ გარეგან საგნებზეა დამოკიდებული. სორენ კირკეგორთან ესთეტიკური სტადიის ადამიანი განხილულია ტკბობისა და სიამოვნების მიღების საშუალებათა, მსხვერპლთა სიმრავლეში გაბნეულად და ის არ აღიქმება ერთ მთლიანობად. მის არსებობას განსაზღვრავს ეს უშუალო მიმართება ტკბობის ობიექტთა სიმრავლესთან. ეს ობიექტები ვერ აფუძნებენ მის არსებობას, მათში არაა ეს ძალა. ამიტომ ექსისტენცი მარადიული ურიას მსგავსად მუდამ ეძებს სამყოფელს, მყარს, უცვლელს, რაც მის წოწიალსა და ხეტიალს დაასრულებს. რეალურად სორენ კირკეგორისათვის ესთეტიკური სტადია არც არის ექსისტენციალური სტადია და პრაქტიკულად ექსისტენციაზე საუბარი მხოლოდ ეთიკურ სტადიაზე ხდება შესაძლებელი.

²⁸²ესთეტიკურ და ეთიკურ სტადიებზე მოძღვრებას კირკეგორი წარმოდაგენს ტექსტში: *ან ან* და იგივე აზრი მან უფრო განავითარა 1845 წელს გამოქვეყნებულ ტექსტში: *სტადიები სიცოცხლის გზაზე*. ტექსტი სამ ნაწილად იყოფა. Роде, Петер П.: *Сёрен Кьеркегор сам о себе*, стр., 170

2. ეთიკური სტადიის არსი ესთეტიკურთან დაპირისპირებით განისაზღვრება. ეთიკურ სტადიაზე მოხსნილია ესთეტიკური სტადიის ადამიანის უშუალო მიმართება საგნებთანაც და საკუთარ თავთანაც. ესთეტიკური სტადიისაგან განსხვავებით, სადაც ტკბობა, რომელსაც ექსისტენცი საკუთარი თავის იქით და გარეთ არსებულ ნივთებში პოულობდა და ასე განსაზღვრავდა თავისსავე არსებობას, ეთიკური სტადიის განმსაზღვრელი-ვალდებულება (სათნობა, ზნეობრიობა) პირიქით ექსისტენცს თავის შიგნით აქვს. ეთიკურ სფეროში ექსისტენცი საკუთარ თავს ვალდებულებაში, მის შესრულებაში ხედავს. ეს აღარაა ესთეტიკური სტადიის ექსისტენცის უშუალო მიმართება თავის თავთან. ეთიკურ სტადიაზე ადამიანს აღარ სჭირდება თავის გარეთ არსებული ტკბობის ობიექტები საკუთარი თავის განსასაზღვრად. შესაბამისად მისი არსებობა არ იკარგება და იმლება ტკბობის ობიექტთა განუწყვეტელი მონაცვლეობის ცუდ უსასრულობაში და საბოლოოდ თვითონაც ერთ–ერთ ობიექტად არ გადაიქცევა. ეთიკურ სტადიაზე ადამიანი საკუთარ თავს თვითონ განსაზღვრავს მისსავე შიგნით არსებული ვალდებულების გრძნობით, კონკრეტულად კი მოვალეობის შესრულების ხდომილებით.

3. სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ეთიკური სტადიაც არ აღმოჩნდება საკმარისი ან სრულყოფილი, იმასათვის რომ ექსისტენცმა საკუთარი თავი განსაზღვროს და საკუთარი არსებობა დააფუძნოს. სორენ კირკეგორს ახალი, რელიგიური, სტადია შემოაქვს. სწორედ რელიგიური სტადიაა მისი ფილოსოფიის არსის გასაგებად განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი. სორენ კირკეგორი ექსისტენცს ათავისუფლებს ეთიკური სტადიის ვალდებულებისაგან, ან ამ ვალდებულების ვერშესრულებას უსვამს ხაზს, საიდანაც ცოდვის გრძნობა, შეზღუდული თავისუფლება და შიში ჩნდება. სწორედ აქ შემოაქვს ფილოსოფოსს ექსისტენციალური შიშის გაგება, შიში რომლისაგან თავის დაღწევაც ძალიან რთულია. რელიგიური სტადიის აუცილებლობა განმარტებას მოითხოვს. ერთი შეხედვით სრულიად გაურკვეველია თუ რა იწვევს რელიგიური სტადიის შემოტანის აუცილებლობას ეთიკური სტადიის შემდეგ. საქმე იმაშია, რომ სორენ კირკეგორი ადამიანისათვის ეთიკური სტადიის ვალდებულების შესრულებას

ექსისტენცისათვის თითქოს შეუძლებლად ჩათვლის. ადამიანს არ ძალუძს მუდმივად რისკის ქვეშ იყოს და მუდმივად განახორციელოს თავისი თავის გაშუალება ვალდებულებაში²⁸³. აქ შეიძლება კანტის მორალის ფილოსოფიასთან და კატეგორიული იმპერატივის შესრულების აუცილებლობისაკენ მიმართული პოლემიკა დავინახოთ. შესაბამისად ადამიანში ჩნდება დაუძლეველი შიში არა იმიტომ, რომ შესცოდა, არამედ ის სცოდავს იმიტომ, რომ შიში აქვს²⁸⁴.

სორენ კირკეგორს რელიგიურ სტადიასთან მიმართებაში შემოაქვს ახალი სიტყვა, რომელიც შემდგომ განმარტებას მოითხოვს, ესაა ცოდვა. ცოდვა ჩნდება იმ მომენტში, როდესაც ექსისტენცი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, ანუ თავის სისუსტეს, დაინახავს. თუ ის საკუთარ სისუსტეს ხედავს ვალდებულების წინაშე, მაშინ მას აღარ ძალუძს, რომ ეთიკური საქციელით დააფუძნოს საკუთარი არსებობა. სორენ კირკეგორი აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ ადამიანისათვის ნათელი ხდება საკუთარი უძლურება და მას აღარ შესწევს ძალა მუდმივად შეასრულოს ვალდებულება. ცოდვიანობა ექსისტენცის არსებითი მახასიათებელი ხდება და ამ გზით ექსისტენცი დაინახავს საკუთარი თავისუფლების შეზღუდულობას, რომ მისი თავისუფლება არაა ნამდვილი თავისუფლება. ამის გაგება კი ექსისტენცში მიბმულია მუდმივ, გაუნელებელ შიშის განცდასთან. ეს შიში იმდენად რადიკალურია, რომ მისგან თავის დაღწევა ადამიანს პრაქტიკულად არ ძალუძს. შიში მის არსებობაშია დაბუდებული, ესაა ექსისტენცის შიში საკუთარი თავის მიმართ²⁸⁵. თავად შიშის არსებობა და მისგან გათავისუფლების შესაძლებლობა სორენ კირკეგორთან გონების სფეროს, რაციონალურის, მიღმაა. საჭირო ხდება ეთიკურზე უფრო მაღალი ან ძლიერი საფუძველი, რომელიც შეაძლებინებს ექსისტენცს განსაზღვროს თავისი თავი

²⁸³ Vgl.: „Das Ethische ist da mit seiner unendlichen Forderung in jedem Augenblick zur Stelle, aber das Individuum vermag es nicht zu realisieren“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 275.

²⁸⁴ კ. როდე ს. კირკეგორის მოცემულ პასაჟს ადარებს ზიგმუნდ ფროიდის ტექსტს: *დანაშაულის გრძნობის შესახებ*. Роде, Петер П.: *Сёрен Кьеркегор сам о себе*, стр., 168.

²⁸⁵ Vgl.: „Angst ist nicht eine bestimmung der Notwendigkeit, aber auch nicht eine solche der Freiheit: sie ist eine gebundene Freiheit; in ihr ist die Freiheit nicht frei in sich selbst, sondern gebunden, nicht aber gebunden in die Notwendigkeit, sondern gebunden in sich selbst“. Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 306

შიშის გარეშე. სორენ კირკეგორისათვის ერთის მხრივ, ექსისტენციის არსებობის განმსაზღვრელი თითქოს მასში არაა, მაგრამ, მეორე მხრივ, მასთან მიმართებით უნდა მოახდინოს ექსისტენცმა საკუთარი თავის გაშუალება ან თვითგანსაზღვრა.

ამ აზრით მნიშვნელოვანია სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ახალი პერსონაჟის *რწმენის რაინდის* დახასიათება. *რწმენის რაინდმა* უნდა გვანახოს თუ როგორ უნდა დაძლიოს ადამიანმა შიში, განახორციელოს უსასრულოსთან ან ღმერთთან კავშირი და ამით გააშუალოს საკუთარი თავი. სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ეს ადგილი ძალიან საინტერესოა და სრულიად გამოირჩევა ყველაფერი იმისაგან რაც მანამდე თქმულა ამ მიმართულებით. ჩვენ მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოვიფარგლებით, რომ გამოცდილება, რომელსაც *რწმენის რაინდი* განახორციელებს და რომელიც უმთავრეს ექსისტენციალურ გამოცდილებადაა მიჩნეული მას დუმილის სფეროში ამყოფებს. სორენ კირკეგორი მიიჩნევს, რომ ექსისტენციის, *რწმენის რაინდის*, გამოცდილების ენაში გადმოცემა შეუძლებელია, რადგან ენა ზოგადია და მაშინვე კლავს ამ ინდივიდუალურ გამოცდილებას.

სორენ კირკეგორი თავის, 1849 წელს გამოქვეყნებულ, ნაშრომში: „სასიკვდილო დაავადება“ დაწერს:

“ადამიანი არის გონი. მაგრამ რა არის გონი? ეს არის მე (მეობა). მაგრამ მაშინ რას ნიშნავს ეს მეობა? მეობა - არის მიმართება, მიმართული საკუთარი თავისადმი -სხვანაირად რომ ვთქვათ, ის არის ასეთი შინაგანი ორიენტაციის მიმართებასთან კავშირში, ანუ მეობა – არის არა მიმართება, არამედ საკუთარ თავთან მიმართების დაბრუნება.

ადამიანი არის სასრულოს და უსასრულოს, დროულის და მარადიულის, თავისუფლების და აუცილებლობის, მოკლედ რომ ვთქვათ, სინთეზი.

[...] (ასეთი) მიმართება, რომელიც საკუთარ თავს მიემართება (ეკუთვნის), არის მეობა, (ის) არ შეიძლება იყოს **დადგენილი** სხვანაირად თუ არა საკუთარი თავის მეშვეობით ან სხვის მიერ. თუ ასეთი ურთიერთობა, რომელიც საკუთარ თავს მიემართება, სხვის მიერ **დადგინდა**, მაშინ ასეთი ურთიერთობა არის რაღაც მესამე, მაგრამ ეს მესამე იმავდროულად არის ურთიერთობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის მიემართება სწორედ იმას, ვინც დაადგინა ყველა ეს მიმართებები.

ასეთი მიმართება [...] არის კიდევაც ადამიანის მეობა: ეს არის ურთიერთობა, რომელიც, საკუთარ თავსაც და ამავედროულად სხვასაც, მიემართება.

ასეთია ფორმულა, რომელიც ჩემი მეობის მდგომარეობას აღწერს: როცა საკუთარ თავს მივემართები, როცა ვესწრაფვი ვიყო საკუთარი თავი, ჩემი მეობა ღრმავდება, (იძირება) - საკუთარი გამჭვირვალობის საშუალებით – იმ ძალაში, რომელიც მასვე დაადგენს“²⁸⁶

გავანალიზოთ სორენ კირკეგორის ციტირებული სიტყვები. მესამე სტადიის, ანუ რელიგიური სტადიის არსი იმაშია, რომ სხვასთან მიმართებით (და ეს სხვა არის უსასრულო, მარადიული და თავისუფალი) ადამიანი საკუთარ თავთან მიდის, საკუთარ თავს პოულობს. ექსისტენცი, რომელიც საკუთარი დროულობის, სასრულობისა და არანამდვილი თავისუფლების აღმოჩენით ფუნდამენტური შიშის გრძნობაში ეფლობა ერთადერთ გზას დაინახავს. ეს გზა იესო ქრისტეს ისტორიაა, რომელიც ექსისტენცის “სივრცეს და მის ისტორიას ეკუთვნის“²⁸⁷. მასშია ექსისტენცის არსებობის პირველმიზეზი და ეს ისეთი პირველმიზეზია, რომელიც მასვე დაადგენს, ანუ მასთან მიმართებით ადგენს ექსისტენცი საკუთარ თავს და წვდება საკუთარ არსებობას. მაგრამ როგორია შესაძლებლობა იმისა, რომ ექსისტენცი შეძლებს მასთან მიმართების განხორციელებას? სორენ კირკეგორი ამ მომენტს უწოდებს *ნახტომს* და *პარადოქსს*. ეს არ არის ჰეგელის ეტაპობრივი განვითარებით მიზანთან მისვლის აუცილებელი პროცესი და რაღა თქმა უნდა გონებით და ლოგიკურად ახსნადი. სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში *რწმენის რაინდის* ნახტომი აბსურდში და შელინგის ფილოსოფიაში გონების ტრანსცენდირება წარმოადგენენ იმ გამოცდილებას, რომლითაც შესაძლებელი ხდება არსებობის გაგება. ხოლო ამისათვის ორივე ფილოსოფოსი მიუთითებს გონების საზღვრების აღმოჩენაზე და შემდეგ ტრანსცენდირებასა და ნახტომზე.

სორენ კირკეგორი ხაზს გაუსვამს იმას, რომ *რწმენის რაინდის* გამოცდილება დუმილის სფეროშია და ამ გამოცდილების რაიმენიერი გაზიარების მცდელობა

²⁸⁶ Кьеркегор, Сёрен: *Болезнь к смерти*, Москва, Издательство Республика 1993, стр., 256.

²⁸⁷ Schulz, Walter: *Die Vollendung des deutschen Idealismus in der Spätphilosophie Schellings*, S. 278

თავად ამ გამოცდილებას კლავს ენისა და ლოგიკის ზოგად და აბსტრაქტულ კონსტრუქციებში. ამიტომ სორენ კირკეგორი მას *აბსურდად* მოიხსენიებს. მისი ლოგიკურად ახსნა, სასაუბრო ენით გადმოცემა შეუძლებელია, მას ენაში არაფერი არ შეესაბამება. ამიტომ მის აღმნიშვნელად სორენ კირკეგორი გვთავაზობს სწორედ ამ სიტყვას – *აბსურდი*.

მოცემულ ეტაპზე ორი საკითხი უნდა გამოვყოთ: ერთია ის, რომ ექსისტენციის უმთავრეს გამოცდილებად სორენ კირკეგორი უსასრულოსთან კავშირს მიიჩნევს და რომ სწორედ მასში აფუძნებს ექსისტენცი თავის თავს. ეს კი მხოლოდ რელიგიურ სტადიაზეა შესაძლებელი. მეორეა ის, რომ ექსისტენციის ეს დაფუძნება ან გაშუალება ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითდადგენა უმაღლესში არ არის რაციონალური ხდომილება. სორენ კირკეგორის ეს პოზიცია შესაძლებლობას იძლევა შელინგის გონების თვითნეგაციასთან შედარებისათვის. შელინგთან შემმეცნებელი გონება თავისი არსებობის საფუძველს ვერ იაზრებს ცნებებით, რადგან არსებობა არ არის გონებრივი სტრუქტურის მქონე, მაგრამ სწორედ მისით აშუალებს და აფუძნებს გონება საკუთარ თავს. ეს თვითდადგენა, რომელიც ტრანსცენდირებას გულისხმობს და სორენ კირკეგორის მიერ *რწმენის რაინდის ნახტომი პარადოქსსა და აბსურდში* შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიის გადაკვეთის კიდევ ერთი წერტილია. ორივე, შელინგის გონების არაგონებრივი არსებობა (“Daß”) და სორენ კირკეგორის *რწმენის რაინდი*, თავისი ფუნდამენტური გამოცდილებით არალოგიკურ სფეროზე მიუთითებენ. შელინგთან ამ ასპექტში ლაპარაკია გონების და გონებრივი სფეროს შეზღუდვაზე, სორენ კირკეგორის *რწმენის რაინდი* არარაციონალური (ანტირაციონალური) ქმედებით ცხადყოფს, მიგვითითებს მთავარ ექსისტენციალურ თავგადასავალზე, ანუ *რწმენის რაინდის* არსებობა მიუთითებს და ააშკარავებს გონებისათვის შემადრწუნებელ ფაქტს, რომ მას საკუთარი არსებობის საფუძველი დუმილს აიძულებს. ენის სტრუქტურა, რომელიც სორენ კირკეგორისათვის იმთავითვე ამ ექსისტენციალურ, ინდივიდუალურ გამოცდილებას რაციონალურად გადააქცევს, არ არის შემძლე, რომ ის თავის სფეროში მოიხელთოს. სორენ კირკეგორი იმასაც უსვამს ხაზს, რომ რწმენის რაინდის ამოცნობა მხოლოდ *რწმენის რაინდის* ძალუმს

და ენობრივი კონსტრუქციები მას და მის ექსისტენციალურ გამოცდილებას ვერ გადმოსცემენ.

შელინგი თვლის, რომ თხრობა არის ერთადერთი, რომელსაც შეუძლია იყოს გადმოცემის ხერხი როცა დროითობაზე, დროზე გვაქვს ლაპარაკი. ეს თხრობა გულისხმობს მითოსურ ენას, ამბების თხრობით შექმნილი ლიტერატურულ ქსოვილს და არა ლოგიკურად ურთიერთგამომდინარე, ცნებებით აგებულ წმინდა და მკაცრად მეცნიერულ სტილს. ამ აზრით მნიშვნელოვანია იმის კვლავ გახსენება რაც შელინგის ნაშრომის „სამყაროს ეპოქების“ სტილზე ითქვა. პრაქტიკულად სორენ კირკეგორის თხრობაც, მისი ტექსტების წერის მანერაც აბსოლუტურად განსხვავებულია ისევ და ისევ ჰეგელის წერის სტილისაგან. სორენ კირკეგორი თვითონ ირგებს და ცხოვრობს ყველა იმ გამოცდილებაში, ყველა სტადიაში, რომელსაც ის გვთავაზობს, რომელზეც გვიყვება თავის ნაშრომებში. ამით შეიძლება აიხსნას მისი უამრავი ფსევდონიმი, ის, რომ სორენ კირკეგორის ყოველი ახალი ტექსტი ხელმოწერილია სხვადასხვა სახელით. თითქოს ავტორი ყოველი ტექსტის დაწერით თავის ახალ გამოცდილებაზე მიგვითითებს, თვითონ, საკუთარი ექსისტენციალურ ჩართულობას გაუსვამს ხაზს და გვაჩვენებს როგორ ცხოვრობს, არსებობს ამ კონკრეტულ გამოცდილებაში.

შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიას შორის პარალელების დანახვა შესაძლებელია მათ მიერ ჰეგელის ფილოსოფიაში სინამდვილის გაგების კრიტიკაში. სორენ კირკეგორის შელინგის ლექციებით თავდაპირველი აღფრთოვანება შელინგის მიერ სინამდვილის ახლებური გაგების მოთხოვნამ დაიმსახურა. სორენ კირკეგორი წერს: ლოგიკას არ შეუძლია დატოვოს არანაირი შესაძლებლობა შემთხვევითობისათვის, რომელიც არსებითად მიეკუთვნება სინამდვილეს. ეს არც ლოგიკას არ ეხმარება, რამდენადაც, თუ მან მოიაზრა სინამდვილე, ამით მან მიიღო ისეთი რამ, რასაც ის ვერ გადაამუშავებს [...] ლოგიკაში არანაირი მოძრაობა არ შეიძლება მოხდეს, რადგან ლოგიკაში ყველაფერი უკვე არის და ყველაფერი ლოგიკური უბრალოდ არის²⁸⁸. ამიტომ ს. კირკეგორი თვლის, რომ ის რასაც ჰეგელი უწოდებს ყოფნის კვლევას (არსი, Sein)

²⁸⁸ Кьеркегор, Сёрен: *Болезнь к смерти*, Москва, Издательство Республика 1993, стр., 118-120.

სხვა არაფერია თუ არა შემმეცნებელი გონების მიერ სტრუქტურირებული სინამდვილე და თუ ის ლოგიკურია, მაშინ აღარ აქვს სინამდვილე მოცემული. იგივე აზრს, ოღონდ ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის მისამართით გამოთქვამს შელინგი: გონების მეცნიერებით შეუძლებელია ისტორიის ფილოსოფიის ნამდვილი ისტორია²⁸⁹.

შელინგის აზრით ჰეგელი თავის ფილოსოფიაში მხოლოდ შესაძლებლობის კატეგორიას მოიცავს და არა თვითონ სინამდვილეს. შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიის მკვლევარი ლ. ჰუნი სწორედ ამას გაუსვამს ხაზს: შელინგის გვიანი ფილოსოფიის საფუძველია განსხვავება დროში მოცემულ სინამდვილესა და მოაზრებად შესაძლებლობის მოდუსის გონებრივ დისკურსს შორის, რომელიც მე არ მომცემს გასაღებს იმისათვის, რომ სინამდვილესთან მქონდეს მიმართება, რადგან ის (სინამდვილე) არაგონებრივია და მისი საფუძველი მოუაზრებელია. შელინგი წერს: თუ მე რაიმე წმინდად აზროვნების შინაარსად გავიაზრე, მაშინ არ მჭირდება ყოფნაზე (არსებობაზე) ზრუნვა²⁹⁰.

შელინგთან წმინდა გონების ფილოსოფიას, ანუ სპეკულატიურ ფილოსოფიას, რომელიც ნეგატიურ ფილოსოფიას უდრის და პოზიტიურ ფილოსოფიას შორის განსხვავების არსი სწორედ აქ ფიქსირდება. ნეგატიურ ფილოსოფიას ყოფნასთან, სინამდვილესა და არსებობასთან კი არა აქვს საქმე, არამედ შესაძლებლობის პოტენციასთან. სინამდვილესთან კავშირი აქვს გამოცდილების ფილოსოფიას („Erfahrungsphilosophie“)²⁹¹. ცნებაში შესაძლებელი პოტენცია ფიქსირდება და არა თავად ყოფნა. ამ აზრით შელინგთან ლაპარაკია ორ პოტენციაზე, შესაძლებელსა და ნამდვილზე, მათი განვითარების შესატყვისებია

²⁸⁹ Vgl.: „Mit der Vernunftwissenschaft ist eine Philosophie der wirklichen Geschichte unmöglich“. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*, Schelling, Karl Friedrich August, (Hrsg.), Bd. I, 2. Stuttgart u.a. Cotta'scher Verlag 1856, S. 568.

²⁹⁰Vgl.: “[...] Schellings Spätphilosophie im Ganzen zugrunde liegt, seiner Unterscheidung nämlich zwischen der Wirklichkeit in der Zeit und einem im Möglichkeitsmodus des Denkbaren angesiedelten Vernunftdiskurs, aus welchem es keinen gültigen Schluss auf diese Wirklichkeit gibt, da sie diesem Diskurs zuvorkommt und ihm in unfordenklicher Weise zugrunde liegt. Schelling schreibt: “Wenn ich etwas bloß als Inhalt des Denkens fasse, brauche ich mich um das Sein nicht zu bekümmern“. Hühn, Lore: *Kierkegaard und der Deutsche Idealismus. Konstellationen der Übergangs*. Philosophische Untersuchungen, 22. Figal, Günter u. a. (Hrsg.), Tübingen, Mohr Siebek 2009, S. 138.

²⁹¹Thustrup, Niels: “Kierkegaards Verhältnis zu Hegel und zum spekulativen Idealismus“, S. 224.

ბუნება და გონი. ამიტომ არსებობს ორი ფილოსოფია, ბუნების და გონის ფილოსოფია. ჰეგელის შეცდომა შელინგის აზრით იმაშია, რომ მას ყოფნის ნაცვლად ყველგან მოცემული აქვს იდეა, „როგორც ნამდვილად განამდვილებული იდეა“ (“als der Wirklich verwirklichten Idee“. შელინგის *გამოცხადების ფილოსოფიის* 11 ლექცია). პრაქტიკულად შელინგი ჰეგელს ადანაშაულებს იმაში, რომ მას არა აქვს ბუნების ფილოსოფია, რადგან ყველგან სადაც ის გველაპარაკება სინამდვილეზე, როგორც ყოფნაზე მას მხედველობაში აქვს ცნება და იდეა. ჰეგელი აზროვნებაზე აზროვნებას აღწერს, რაც სინამდვილეს გამორიცხავს, სინამდვილესთან მას არანაირი მიმართება აღარ აქვს. სწორედ ამ სინამდვილეზე ფილოსოფიად ასახელებს შელინგი პოზიტიურ ფილოსოფიას, რომლის მეთოდიც იქნება არა ლოგიკა და დიალექტიკა, ანუ ნეგატიური ფილოსოფიის მეთოდი, არამედ გამოცდილება.

ორივე ავტორს, შელინგსაც და სორენ კირკეგორსაც, მხედველობაში აქვთ ჰეგელის ფილოსოფიაში ის დაშვება, რომ სინამდვილე, ან ბუნების ფილოსოფია გონების სტრუქტურისაა. რადგან ეს ანალოგია გონებასა და ბუნებას შორის დაიშვება მაშინ თუ მე აღწერ გონების სტრუქტურას ამით ბუნების სტრუქტურაც მეცოდინება. გამოდის, რომ გონების სტრუქტურა არის ბუნების სტრუქტურაც. ჰეგელის ეს დაშვება წინააღმდეგობაშია კანტის საფუძველმოსაზრებასთან, რომ საგნის ცნება და მისი არსებობა სხვადასხვაა. ჩვენი ცოდნა ამა თუ იმ მოვლენაზე არის ჩემი ცოდნა და როგორია ის თავისთავად ანუ ჩემი ცოდნისაგან დამოუკიდებლად ეს მე არ შემძლია ვიცოდე. იგივე აზრი ასეც შეიძლება გამოითქვას, რომ ჩემი ცოდნა მოვლენაზე ნივთი თავისთავადს არ ეხება, არ ცვლის მას და ჩემი შემმეცნებელი გონებისაგან მოწყვეტილად ის როგორია ამის შესახებ შემმეცნებელ გონებას არ შეუძლია იცოდეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ლაპარაკია არა მოვლენაზე, არამედ კანტის ნივთი თავისთავადზე. ის სფერო რომელშიც ადამიანის მიერ საკუთარი თავის, როგორც თვითონაც ნოუმენისა და ნივთი თავისთავადის, წვდომა გატანილია პრაქტიკული ფილოსოფიის სფეროში. ამ სფეროში ადამიანის მიერ რაიმეს შეგნება (ის, რომ ადამიანი მორალური არსებაა და ავტონომიურია, თვითკანონმდებელია და თავისუფალია) გულისხმობს

ქმედებებს, მორალურ ქცევას, კატეგორიული იმპერატივის შესრულებას. ეს კი ისეთი ქცევაა, რომელითაც ადამიანი კონკრეტული ქმედებით ზოგადთანაა დაკავშირებული.

ჰეგელთან ეს კანტისეული გაყოფა აღარ არსებობს, ამიტომ რაც ხდება, რაც არსებობს მხოლოდ ისაა გონებრივი („რაც გონებრივია ის ნამდვილია და რაც ნამდვილია ის გონებრივია“). შესაბამისად კანტის ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი დუალიზმი ჰეგელთან მოხსნილია. ამიტომაც, რომ პრაქტიკულად ჰეგელის ფილოსოფიაში მისი გნოსეოლოგია და ონტოლოგია ერთმანეთს ემთხვევა, ხოლო შემეცნებელი გონების სტრუქტურა და ონტოლოგიის სტრუქტურა იგივეობრივი გახდება²⁹².

შელინგის ფილოსოფიაში ის რაც ჰეგელისათვის იგივეობრივია, კვლავ გაიყოფა: არსება („Was“) და არსებობა („Daß“), ლოგიკა და ყოფნა, შემეცნება და გამოცდილება და აღარ ემთხვევიან ერთმანეთს. ისინი ფილოსოფიის სხვადასხვა სფეროები ხდებიან. სორენ კირკეგორი აკრიტიკებს იმას, რომ ჰეგელთან არსებობა დაყოფილია თავებად, პარაგრაფებად, რეალურად წინააღმდეგობა და დაპირისპირებულობა აღარ არსებობს, რადგან მას პრაქტიკულად რაციონალური და დიალექტიკური პროცესის მთლიანობა გააქრობს. შელინგის და სორენ კირკეგორის მიერ ჰეგელის კრიტიკა მიმართულია სინამდვილის სრულად გონებრივად გადაქცევის, რაციონალიზაციის წინააღმდეგ.

კრიტიკის ამ მიმართულებიდან ამოიზრდება კიდევ ერთი პრობლემური საკითხი. ესაა ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის იდეის კრიტიკა. შელინგის მიერ ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკის ძირითად ასპექტებს ჩვენ უკვე შევხებით. აქ მოკლედ განვიხილავთ სორენ კირკეგორის მიერ ჰეგელის ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკის ძირითად შტრიხებს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სორენ კირკეგორი აქცენტს აკეთებს არა მსოფლიო ისტორიულ პროცესზე,

²⁹²Vgl.: “Hegel war in den augen seines Rivalen schlecht beraten, jenen im Möglichkeitsmodus des Denkbaren angesiedelten Vernunftsdiskurs im Lichte der auf Generalisierung und Gesetzmäßigkeit hin angelegten Rationalität des Logischen in den Rang einer ontologischen Fundamentalstruktur zu erheben“. Hühn, Lore: *Kierkegaard und der Deutsche Idealismus. Konstellationen der Übergangs*. Philosophische Untersuchungen, Günter u. a. (Hrsg.), Tübingen, Mohr Siebek 2009. S.141.

არამედ კონკრეტული ადამიანის ისტორიაზე: “ჰეგელის [...] ისტორიულ–მსოფლიო განხილვების ადგილას ს. კირკეგორი აყენებს ერთეულს, კერძოს, ხოლო გონებაჭვრეტით–სპეკულატიურის ნაცვლად იმას, ვინც მას აწარმოებს [...] ერთეულია რეალურად არსებული ინდივიდი. და მისთვის პრობლემაა არა მსოფლიო პროცესი, არამედ მისი საკუთარი არსებობა”²⁹³. სტადიები რომელზეც სორენ კირკეგორი გველაპარაკება ერთიმეორეს კი არ მიჰყვებიან აუცილებლობით, როგორც ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიაში ყოველი მომდევნო საფეხური ცვლის წინარეს და ერთი მიზნით შეკრული მთლიანი პროცესის განვითარების სხვადასხვა ეტაპად მიიჩნევა, არამედ ადამიანი ირჩევს მათ. ამ არჩევაში ის თავისუფლად მოქმედებს. თუ ადამიანი თავად ვერ ხვდება, ვერ შეიგნებს მაგალითად ესთეტიკური სტადიის უკმარისობას ის მუდმივად მასში რჩება.

სორენ კირკეგორისათვის მნიშვნელოვანია არა მსოფლიო პროცესი, არამედ კონკრეტული ინდივიდი, რომელიც ექსისტირებს, არსებობს. ეს არსებობა ნიშნავს მოკვდავი, სასრულო ინდივიდის, ექსისტენციის კავშირს, დაკავშირებულობას მარადიულთან, უსასრულოსთან. ამ დაკავშირებას შესაძლებელს ხდის ყოველი ადამიანი საკუთარი არჩევანითა და რისკით. ამას უწოდებს ვალტერ შულცი სორენ კირკეგორის დადგენილ თვითობას (თვითდადგენას), რომელიც შეიძლება დავაკავშიროთ შელინგის გვიან ფილოსოფიაში გონებასთან, რომელიც საკუთარი ძალაუფლების საზღვარს ადგენს და ამით თვითნეგაციასა და ტრანსცენდირებას ახდენს. ოღონდ ეს უკვე აღარაა გონების სფერო და მიუხედავად ამისა მაინც მასში დევს თავად გონების არსებობა.

²⁹³ Роде, Петер П.: *Сёрен Кьеркегор сам о себе*, стр., 174.

დასკვნის ნაცვლად: გონების თვითნეგაცია და ნახტომის პარადოქსი

ასეთ შემთხვევაში, როდესაც განიზრახავ დაწერო ნაშრომი შელინგისა და სორენ კირკეგორის, გერმანული იდეალიზმისა და ექსისტენციალიზმის შედარებაზე, სიბნელეში მოსიარულეს ემსგავსები. ის რამოდენიმე ტექსტი, რომელიც ამ შედარებას განახორციელებს და მოახდენს კიდევაც, შენთვის ბრჭყალებშია ჩასმული და უფრო შთაგონების წყაროს გავს, როცა ჯერ არაფრის გარანტია არა გაქვს, არანაირი არგუმენტი არ გიჭირავს ხელში და ვერაფერს ხედავ, ვიდრე დანამდვილებით მოცემულ საბუთსა და დასტურს, რომ ამის გაკეთება გამოგივა. საკმარისია იმის მითითება, რომ ის განზომილებები, საიდანაც ეს ორი ფილოსოფიური მიმართულება ამოიზარდა, ფილოსოფიის ისტორიაში მტრულ და ურთიერთგამომრიცხავ მხარეებს წარმოადგენენ.

მიუხედავად ამ თავდაპირველი რისკის ცოდნისა, რომელიც სრულიად სამართლიან საფუძველზე აჩვენებდა დისერტაციის საწყისი თეზისის შეუძლებლობას, სამუშაო წარმატებული აღმოჩნდა. ამ წარმატების ფორმულირება ეხლა უკვე შესაძლებელია შემდეგნაირად:

გონება რომელიც თავის თავს უარყოფს და ნახტომის პარადოქსი თავის არსში ერთი და იგივეა ან ერთსა და იმავე გამოცდილებაზე მიუთითებენ. გონების მიერ საკუთარი თავის უარყოფაში შელინგის პოზიტიური ფილოსოფია იგულისხმება, რომლის საწყისებსაც შელინგი ნაშრომში „სამყაროს ეპოქებში“ გვთავაზობს და კონკრეტულად ის მოცემულია ისტორიული გონების დაბადებაში; ხოლო ნახტომის პარადოქსში ს. კირკეგორის რელიგიური სტადიაზე ექსისტენცის მიერ, ან უფრო ზუსტად რწმენის რაინდის მიერ საკუთარი თავის დადგენა იგულისხმება, რომელიც ამისათვის საჭიროებს ნახტომს საკუთარი არსებობის საფუძველში, ანუ უსასრულოში, ღმერთში.

ჩვენი კვლევა დაასრულა შემდეგმა “შეთანხმებამ“, იმ პარალელმა რომ სორენ კირკეგორის ფილოსოფიაში ექსისტენცის ნახტომი უსასრულობაში ემთხვევა შელინგის გვიან ფილოსოფიაში გონების თვითნეგაციას. ეს ორი პუნქტი, სხვადასხვა ავტორთან, სრულიად განსხვავებული მიმართულების

ფილოსოფოსთან, ერთსა და იმავე კვალიფიკაციას მიიღებს: გონებისათვის გაუგებარი, არაგონებრივი.

დასასრულისაკენ უნდა აღვნიშნოთ, რომ სწორედ ამ პუნქტშია მოცემული თავის ჩანაფიქრში მოულოდნელი და თითქმის შეუსრულებელი პარალელის შესაძლებლობის გამართლება შელინგისა და სორენ კირკეგორის ფილოსოფიას შორის; აქ იქმნება ფილოსოფიის ისტორიაში მათი თეორიის ისეთ კომბინაციაში განლაგებისა და დანახვისათვის აზრობრივი ხიდი, რომლითაც ისინი მტრულად და ურთიერთგამომრიცხავად კი არ წარმოგვიდგებიან თვალწინ, არამედ ღრმა და უფრო სავსე პერსპექტივას მოხაზავენ, სადაც მათ კონცეფციებში გადაკვეთას უდაოდ დაინახავს ფილოსოფიის მცოდნე.

გზა, რომელიც ამისათვის გავიარეთ **პირველ ნაბიჯად** მოიცავს შელინგის გვიანი, პოზიტიური ფილოსოფიის კვლევას მასში ჰეგელის, როგორც გერმანული იდეალიზმის მწვერვალის კრიტიკის ასპექტებისათვის განსაკუთრებული ყურადღებითა და გადასინჯვით; და **მეორე ნაბიჯად** კი მოიცავს სორენ კირკეგორის ფილოსოფიის განხილვას, მისი შელინგის გვიანდელ ფილოსოფიასთან შესაძლო პარალელების თვალსაზრისით. ეს არის სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ორი ვრცელი ნაწილი, რომელიც შემდგომ იყოფა ცალკეულ თავებად და ქვეთავებად.

კვლევამ შედეგად აჩვენა, რომ შელინგის გვიანი ფილოსოფია წარმოადგენს ერთი მხრივ, ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკას და, მეორე მხრივ, გერმანული იდეალიზმის ფარგლებში იმ მიმართულების, ახალი სივრცის აღმოჩენას, სადაც შესაძლებელი გახდება გერმანული იდეალიზმის შელინგისეულ ვერსიაზე დაყრდნობით მისი ს. კირკეგორის, შემდგომ კი ნიცშესა და ჰაიდეგერის ფილოსოფიასთან პარალელი ან გადასვლა დავინახოთ. შელინგის გრანდიოზული, მაგრამ დაუმთავრებელი პროექტი „*სამყაროს ეპოქები*“ კი წარმოადგენს სწორედ იმ ტექსტს, რომელიც ამ სივრცის აღმოჩენისა და გახსნის პირველი დადასტურებაა.

THE CRISIS OF THE GERMAN IDEALISM IN THE “AGES OF THE WORLD” BY SCHELLING

Abstract

The abstract summarizes a PhD thesis titled “The Crisis of the German Idealism in the “Ages of the World” by Schelling”. Its structure is as follows:

Part 1. Formulation of the purpose and the key hypothesis of the research paper.

Part 2. Structure and the formulation of major issues touched upon within the paper.

Part 3. Objectives, findings and the research method applied in each part of the PhD thesis.

Part 4. The forth and the final, conclusive part of the paper sheds light on the research findings of the research done as part of the PhD thesis.

1. The Purpose and the Key Hypothesis of the PhD Thesis

The PhD thesis titled “The Crisis of the German Idealism in the “Ages of the World” by Schelling” aims to study the feasibility of ending the German Idealism with the philosophic works of Schelling of later years rather than concluding it with Hegel’s philosophy. To be more concrete, the purpose of the PhD thesis is to shed light on the process of transition from the German Idealism to the subsequent philosophic thought which is considered to be one of the problematic issues in the history of philosophy. The PhD thesis at hand, rather than accentuating on Hegel’s philosophic thought, considers Schelling’s philosophy of the later years as the perfection and conclusion of the German Idealism.

Soren Kierkegaard’s Philosophy of Existentialism is given as an example of the philosophic conception ensuing the German Idealism in the PhD thesis. The paper also makes use of the “Ages of the World” (The 2nd draft dating back to 1813) as an illustration of Schelling’s philosophy of later years. Therefore, the key hypothesis of the PhD thesis is as follows: The later period philosophic conception of Schelling is an alternative to and conclusion of the philosophy of Hegel. It also makes part of the German Idealism. The purpose of the paper is being attained through the analysis of the work titled the “Ages of the World”. The latter has

less been studied so far. Thus, the PhD thesis at hand is remarkable both within and outside the confines of Georgia.

The Georgian authors researching the German Idealism have never referred to Schelling's later period philosophic conception. It is of importance that we fill in the gap and the PhD thesis performs this particular function as well.

2. *Structure and formulation of Major Issues Touched upon within the Paper*

The structure and the key theme of the thesis to be submitted for the purpose of obtaining a PhD Degree are formulated as being sequential stages necessary for the attainment of the paper's end goal. Therefore, the PhD thesis has been structured in light of the issues being investigated in each part of the writing. These parts are as follows:

A traditional perception of the German Idealism.

Difficulty of dividing Schelling's Philosophy into periods.

Two different aspects of Schelling's philosophy: negative and positive perspectives. The "Ages of the World" by Schelling, the work's various drafts, its contents and the key themes.

The possibility of drawing parallels between the philosophic conception of Schelling and that of Soren Kierkegaard.

3. Description of steps taken for the purpose of attaining the research study objectives and the development of the reasoning behind the hypothesis, description of the research study findings and methods:

The first part of the thesis builds upon the traditional understanding of the German Idealism perceiving the development of the philosophic conception as being cohesive. It starts with Kant and ends with the philosophic thought of Hegel. This interpretation of the German Idealism makes it difficult to demonstrate the process of transition from the German Idealism to a subsequent philosophic conception. Therefore, there is a gap between the German Idealism and the ensuing philosophic thought. A traditional understanding of the German Idealism places an emphasis upon the following hypothesis: the main purpose of the German Idealism is to shed light upon the possibility of perceiving the Absolute with the Reason and reflecting it in a coherent philosophic system. This idea has well been developed in the philosophic system of Hegel. Thus, Hegel's philosophy has rightly been regarded to be the

climax of the German Idealism. This particular understanding of the German Idealism views Schelling's philosophy as a preliminary stage of the philosophic thought developed by Hegel. A little attention is given to those works by Schelling in which he starts critiquing Hegel's philosophy.

This particular part of the PhD thesis touches upon the Georgian research studies of the German Idealism. Historical processes taking place in the 19th and 20th centuries in Georgia made it difficult to research the German Idealism and, particularly, the philosophy of Hegel. Some invaluable papers were still produced though. The latter mostly referred to the philosophic systems of Kant and Hegel. Philosophic thoughts of Schelling and Fichte were given a little attention. No traces of the discussions and directions taking place in the 1950s in the world are visible in the papers produced by the Georgian authors. It is of importance to fill in this gap and the PhD thesis at hand performs this very function.

Step 1 is to discuss the rationale behind the traditional understanding of the German Idealism and the papers written by the Georgian authors. We refer to the key theme of the work titled "Von Kant bis Hegel" by Rihard Kroner, which reflects the traditional understanding of the German philosophy. In order to understand the Georgian receptions of the German Idealism we discuss the works by Soloman Dodashvili, Konstantine Bakradze, Savle Tsereteli, Guram Tevzadze, Merab Mamardashvili and Zaza Piralishvili. The study of the aforementioned works highlights that the Georgian researchers were more in favor of the traditional understanding of the German Philosophy i.e. it was perceived as a continuous process of the development from Kant to Hegel.

2. The new trends taking place in the research studies on the German Idealism in the second half of the 20th century are the major issues discussed in chapter 2. These trends are discussed based on the studies of Schelling's philosophic system. From this time on, an emphasis is placed upon the less known works by Schelling.

The thesis at hand reflects the two major trends taking place in the research studies of Schelling's philosophy: the first trend puts emphasis on Schelling's earlier, negative or rational philosophy that is more in harmony with Hegel's philosophic system; The second trend took place in the 2nd half of the 20th century and is still of relevance.

The new versions of the “Ages of the World” published in 1946 by Manfred Schroter gave a new direction to the researchers working on Schelling’s philosophic conception. From this time on more attention is given to Schelling’s transitional and more positive philosophy of later years. Accordingly, the perception of Schelling’s role within the history of philosophy is changed and it is possible to see Schelling’s contribution to the development and end of the German Idealism. The definition of the German Idealism is being altered.

Step 2: The thesis highlights the difficulty of dating Schelling’s philosophic works. In order to showcase the hindrances the researchers are faced with while studying the first phase of Schelling’s philosophic conception as well as when dealing with the periodization of his work, the PhD thesis at hand does an analysis of the writings by Kuno Fischer, Wilhelm Windelband, Nikolai Hartmann and Richard Kroner. The thesis is built upon the works by Walter Schultz, Horst Fuhrmann, Anton Mirko Koktanek, Lora Hunn and Michael Kosche for the purpose of highlighting the trends characteristic of the 20th century research studies on Schelling’s Philosophy.

Part 3 of the PhD thesis sheds light on Schelling’s positive philosophy of later years. We claim that the works created during the later years of Schelling’s life can be considered as an alternative to Hegel’s philosophic system within the bounds of the German Idealism. The idea is being developed from a number of angles in the thesis:

- a) The third part of the PhD thesis highlights the contradictions within the German Idealism. The latter is being made clear through Schelling’s critique of Hegel’s philosophy. This critique is, on the first hand, a realization of the crisis of the German Idealism. On the second hand, it reflects a new direction which is different from Hegel’s philosophic system. A new direction is given through the confinement of the power of the reason which Schelling calls the self-negation.
- b) In Schelling’s philosophy an opposition to Hegel’s philosophic conception is perceived as the difference between Schelling’s earlier, rational, negative philosophy and his later period historic and positive outlook. The PhD thesis strives to set clear boundaries of Schelling’s positive and negative philosophic conceptions and define their essence. In this particular part of the thesis an emphasis is placed upon the “Ages of the World” (The draft dating back to 1813), the work often referred to as a “riddle”. The work is remarkable for its

critique of the German Idealism and Hegel's perception of the philosophic trend. It also gives birth to the notion of the historic reason which replaces **the reason**. The PhD thesis highlights the novelty of Schelling's later period philosophy in light of the "Ages of the World".

Step 3: The PhD thesis touches upon the period when Schelling collaborated with Hegel through the analysis of the work titled "The oldest Systematic Program of German Idealism". It also compares "Hiperion" by Friedrich Holderlin and the theological works of Hegel with Schelling's texts written prior to 1801. The PhD thesis places an emphasis on the times when Schelling and Hegel started to critique each other's philosophic conceptions. The author of the thesis goes on with the characterization of earlier negative and later positive philosophic conceptions of Schelling.

Part 4 of the PhD thesis touches upon the structure, contents, style and the main theme of the "Ages of the World". This work is regarded as being part of a preliminary phase of the positive philosophy. Schelling commences to work on the "Ages of the World" in 1810 and mentions it the last time when lecturing in Munich in 1833. Schelling created a number of drafts of the "Ages of the World". The given PhD thesis makes use of the draft dating back to 1813. Schelling never published this work in his own lifetime. The third draft (dating back to 1814-1815) was known to the wider public till the 1950s. In 1946 Manfred Schroeter published the earlier drafts of the "Ages of the World". In all, three drafts have been publicized. They are as follows: the drafts dating back to 1811 (the first draft), 1813 (the second draft) and 1814-1815 (the third draft).

Part 4 of the PhD thesis sheds light on the contradiction between Schelling's understanding of history and that of Hegel's based on the "Ages of the World". The science that in Schelling's philosophy is equated with the history²⁹⁴ is to recognize the Absolute in what had been, what is and what will be i.e. in three ages of the world: in the past, in the present and in the future. This explains the plural number of the word "Ages" in the title of the work. Unlike the Hegel's philosophic conception the science in Schelling's writings is not based on the following supposition: "Whatever is wise is real and whatever is real is wise". Schelling from

²⁹⁴ „Science [Wissenschaft], according to the very meaning of the world, is history [Historie] (ιστορία)“.

Schelling, F. W. J.: Ages of the World. Slavoi Zizek (publisher). In English translation by Norman, Judith. By the University of Michigan 1997. P. 113.

this point in time on starts talking about the limitations of the reason, its self-negation and the the historic reason.

Through the self-negation of the Reason Schelling turns towards the positive philosophy the traces of which can be found in the “Ages of the World” (the birth of the The historic reason). In order to comprehend the The historic reason Schelling introduces a new term “Mittwissenschaft“, „co-science“. The “Ages of the World” defines the term as follows: “Man must be granted an essence outside and above the world; for how could he alone, of all creatures, retrace the long path of developments from the present back into the deepest night of the past, how he alone rise up to the beginning of things unless there were in him an essence from the beginning of times? Drawn from the source of things and akin to it, what is eternal of the soul has a co-science/con-sciousness [Mitt-Wissenschaft] of creation”²⁹⁵. It turns out that in this co-science a person conceives both his/her existence (existenz) which is not rational and an existence of the God which is also not rational. An existence of a human being and the God is the timeliness in itself, the three large portions of time: the past, the present and the future.

The forth step is to research the “Ages of the World” and the literature dedicated to studying the work. The critique of the reason and the birth of the The historic reason in Schelling’s writings, his understanding of history and Hegel’s philosophy of history are compared with each other in light of the following works: the “Ages of the World” by Schelling and “The Philosophy of History” by Hegel.

Part 5 of the PhD thesis views the later period philosophy of Schelling as a transitional point from the German Ideology to the subsequent philosophic conception. This supposition has serious historic connotations. Soren Kierkegaard’s Existentialist Philosophy is used as an illustration of the philosophic system ensuing the German Idealism.

In Soren Kierkegaard’s philosophy an analysis of the critique of the German Idealism is done in connection with the critique of Hegel’s philosophy by Schelling. The motives of Hegel’s critique in Schelling’s philosophic writings, which pursue the purpose of confining the power of the Mind, are compared with the religious stage in Kierkegaard’s philosophy. The author of

²⁹⁵ Ibid. P. 114.

the thesis claims that **the Self-negating Mind and the Paradox of the Leap refer to one and the same experience.** When talking about the self-negating mind one refers to the positive philosophy of Schelling. The beginnings of the positive philosophy can be traced in the “Ages of the Mind” as the notion of the The historic reason is introduced. The paradox of the leap in Kierkegaard’s philosophy can be understood as the self-realization of the existenz, the knight of faith. The meaning of one’s existence can be understood through the leap into the God.

The paradox of the leap performed by the existanz in Kierkegaard’s philosophy is similar to the self-negation of the Mind in Schelling’s philosophy and both phenomena can be classified as incomprehensible and illogical. Thus, a mental bridge is constructed which, unlike a dominant attitude which places the German Idealism in contradiction with the Existentialist Philosophy, presents a broader and more profound perspective; these two philosophic conceptions overlap at some point.

Step 5 is to compare the philosophic thoughts of Soren Kierkegaard and that of Schelling. The PhD thesis presents an analysis of the Danish writings on Schelling’s philosophic conceptions dating back to Soren Kierkegaard’s lifetime and the recordings of Soren Kierkegaard’s lectures delivered in Berlin in 1841.

3. The method applied in the PhD thesis: The PhD thesis makes use of the primary (Schelling, Hegel, Holderlin, Kant, Kierkegaard) and secondary literature. An analysis of the secondary literature, a comparison, a presentation of major themes contribute to the analysis of the primary texts. The key idea is being developed in a way that the hermeneutic analysis of the secondary literature gets back to the main text (“Ages of the World”) and enriches its understanding with new meanings. The secondary texts are presented in a historic perspective since the provision of dates of their creation makes it easier to demonstrate the novelties and the development of research on Schelling’s philosophic conception. The thesis makes use of the method that contributes to the comparison of primary texts and an understanding of the development of a key idea, contents and analysis. In addition, the PhD thesis makes use of the method of comparing and analyzing secondary texts for the purpose of demonstrating the key themes and a present condition of research.

4. The Research Findings of the PhD Thesis

The findings of the research conducted as part of the PhD thesis can be formulated as follows: a traditional understanding of the German Idealism has been replaced with a novel one as a result of research studies of Schelling's later period philosophic works. A new understanding does not end the history of the German Idealism with Hegel's Philosophy. An absolute power of the Mind presented in Hegel's philosophy is not the culmination of the German Idealism. The latter also includes the self-negation of the Mind characteristic of Schelling's philosophic conceptions of later times. The later period philosophic works by Schelling contains the critique of Hegel's philosophy. On the other hand, it provides a new space within the bounds of the German Idealism that makes it possible to perceive a parallel between the German Idealism and its ensuing philosophy (based on Schelling's version of the philosophic trend). Through Schelling's philosophic works of later years the German Idealism is linked with a completely different philosophic system e.g. Soren Kierkegaard's Existentialist Philosophy. The "Ages of the World" by Schelling is the first evidence of discovering this new space.

ბიბლიოგრაფია

1. კანტი, იმანუელ: *რელიგია მხოლოდ გონების საზღვრებში*. თბილისი. გამომცემლობა „განათლება“ 1989.
2. კანტი, იმანუელ: *წმინდა გონების კრიტიკა*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1979.
3. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *გონის ფილოსოფია*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1984.
4. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ლექციები ისტორიის ფილოსოფიაზე*. თბილისი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“ 2001.
5. ჰეგელი, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ: *ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია*. ნაწილი I. *ლოგიკის მეცნიერება*. თბილისი. სახელმწიფო გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო“ 1962.
6. Fichte, Johann Gottlieb: *Sämmtliche Werke*. Bd. 1. Berlin. Verlag von Veit und Comp. 1965.
7. Hegel, Georg Wilhelm Friedrich: *Frühe Schriften*. Werke in 20 Bänden. Bd. 1. Frankfurt a. M. 3. Auflage. Suhrkamp Verlag 1994.
8. Hegel, Georg Wilhelm Friedrich: *Grundlinien der Philosophie des Rechts*. Werke in 20 Bänden. Bd. 7. Frankfurt a. M. 3. Auflage. Suhrkamp Verlag 1986.
9. Hegel, Georg Wilhelm Friedrich: *Vorlesungen über die Geschichte der Philosophie*. Hamburg. Felix Meiner Verlag 1993.
10. *Hegels Theologische Jugendschriften*. Nohl, Herman. (Hrsg.). Tübingen. Verlag von J. C. B. Mohr. 1907.
11. Hölderlin, Friedrich: *Sämmtliche Werke und Briefe*. Knaup, Michael. (Hrsg.). Bd I. München. Carl Hanser Verlag 1992.
12. Hölderlin, Friedrich: *Sämmtliche Werke und Briefe*. Knaup, Michael. (Hrsg.). Bd II. München. Carl Hanser Verlag 1992.

13. Kierkegaard, Sören: *Abschließende unwissenschaftliche Nachschrift zu den philosophischen Brocken*. Übersetzt von Junghans, Hans Martin. *Gesammelte Werke*. Abt. 16. Teil 1. Dusseldorf u.a. Eugen Diederichs Verlag 1957.
14. Kierkegaard, Sören: *Abschließende unwissenschaftliche Nachschrift zu den philosophischen Brocken*. Übersetzt von Junghans, Hans Martin. *Gesammelte Werke*. Abt. 16. Teil 2. Dusseldorf u.a. Eugen Diederichs Verlag 1958.
15. Kierkegaard, Sören: *Die Tagebücher. 1834-1848*. Ausgewählt und übersetzt von Theodor Haecker. Bd. 1. Innsbruck. Brennen-Verlag 1923.
16. Kierkegaard, Sören: *Die Tagebücher*. Ausgewählt, neugeordnet und übersetzt von Gerdes, Hayo. Bd. 1. Dösselndorf u. a. Eugen Diederichs Verlag 1962.
17. Kierkegaard, Sören: *Die Tagebücher*. Ausgewählt, neugeordnet und übersetzt von Gerdes, Hayo. Bd. 3. Dösselndorf u. a. Eugen Diederichs Verlag 1968.
18. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophische Etwürfe und Tagebücher. 1849. Niederlage der Revolution und Ausarbeitung der reinreitionalen Philosophie*. Martin Schraven. (Hrsg.). Bd. 14. Hamburg. Felix Meiner Verlag 2007.
19. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *System des transzendentalen Idealismus*. Schulz, Ruth-Eva. (Hrsg.). Mit einer Einleitung von Schulz, Walter. Hamburg. Felix Meiner Verlag 1957.
20. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph. *Philosophische Etwürfe und Tagebücher. 1846. Philosophie der Mythologie und reinrationale Philosophie*. Aus dem Berliner Nachlaß. Knatz, Lothar u. a. (Hrsg.). Bd. 12. Hamburg. Felix Meiner Verlag 1998.
21. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophie der Mythologie. Nachschrift der letzten Münchener Vorlesungen 1841*. Roser, Andreas u.a., (Hrsg.). *Schellingiana*. Bd. 6. Stuttgart u.a. Friedrich frommann Verlag 1996.
22. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Ausgewälte Schriften*. Bd. I. Frankfurt a. M., Suhrkamp Verlag 1985.
23. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Die Weltalter. Fragmente. In den Urfassungen von 1811 und 1813*. Schröter, Manfred. (Hrsg.): *Schellings Werke*.

- Münchener Jubiläumsdruck. Nachlasband. Bd. 7. München. Biederstein Verlag u.a. 1946.
24. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophie der Offenbarung. 1841/42*. Hrsg. und eingeleitet von Frank, Manfred. Frankfurt a. M. Suhrkamp Verlag 1977.
25. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophische Etwürfe und Tagebücher. 1809-1813. Philosophie der Freiheit und der Weltalter*. Knatz, Lothar. u. a. (Hrsg.). Hamburg. Felix Meiner Verlag 1994.
26. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophische Etwürfe und Tagebücher. 1814-1816. Die Weltalter II-Über die Gottheiten von Samothrake*. Aus dem Berliner Nachlaß. Knatz, Lothar u.a. (Hrsg.). Bd. 2. Hamburg. Felix Meiner Verlag 2002.
27. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Philosophische Untersushungen über das Wesen der menschlichen Freiheit und die damit zusammenhängenden Gegenstände*. Buchheim, Thomas (Hrsg.). Hamburg. Felix Meiner Verlag GmbH 1997.
28. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*, Schelling, Karl Friedrich August. (Hrsg.). Bd. IV, 2. Stuttgart u. a. Cotta'scher Verlag 1858.
29. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*. Schelling, Karl Friedrich August. (Hrsg.). Bd. I, 2. Stuttgart u.a. Cotta'scher Verlag 1856.
30. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*. Schelling, Karl Friedrich August. (Hrsg.). Bd. I, 8. Stuttgart u.a. Cotta'scher Verlag 1861.
31. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*. Schelling, Karl Friedrich August. (Hrsg.). Bd. I,4. Stuttgart u. a. Cotta'scher Verlag 1856.
32. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Sämmtliche Werke*. Schelling, Karl Friedrich August. (Hrsg.). Bd. II, 3. Stuttgart u. a. Cotta'scher Verlag 1858.
33. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *System der Weltalter. Münchener Vorlesung 1827/28 in einer Nachschrift von Ernst von Lasaulx*. Hrsg. und eingeleitet von Peetz, Siegbert. 2. Erweiterte Auflage. Frankfurt a. M. Vittorio Klostermann GmbH 1998.
34. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Urfassung der Philosophie der Offenbarung*. Erhardt, Walter E. (Hrsg.). Teilband 1. Hamburg. Felix Meiner Verlag 1992.

35. Schelling, Friedrich Wilhelm Joseph: *Urfassung der Philosophie der Offenbarung*. Erhardt, Walter E. (Hrsg.). Teilband 2. Hamburg. Felix Meiner Verlag 1992.
36. *Schellings und Hegels erste Absolute Metaphysik (1801-1802)*. Zusammenfassende Vorlesungsnachschriften von I. P. V. Troxler. (Hrsg.). Eingeleitet und mit Interpretationen versehen von Düsing, Klaus. Köln. Verlag für Philosophie 1988.
37. Додаев- Магарский, С. И.: *Логика*. Курс философии. ч. 1. Санктпетербург. СПб 1827.
38. Кьеркегор, Сёрен: *Болестъ к смерти*. Москва. Издательство Республика 1993 .
39. Кьеркегор, Сёрен: *Наслаждение и Долг*. Издание третье. Киев. Издательство Air Land 1994
40. Шеллинг, Фридрих Вильгельм: *Сочинения в двух томах*. Т. I. Москва. Издательство Мысль 1987.
41. Шеллинг, Фридрих Вильгельм: *Сочинения в двух томах*. Т. II. Москва. Издательство Мысль 1989.

მეორადი ლიტერატურა:

42. ავალიანი, სერგი: *სავლე წერეთელი (ცხოვრება და მოღვაწეობა)*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1967.
43. ბაქრაძე, კონსტანტინე: *დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 1971.
44. ბაქრაძე, კონსტანტინე: *სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში*. ტფილისი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 1936.
45. ბაქრაძე, კონსტანტინე: „რაციონალური და რეაქციული ჰეგელის ფილოსოფიაში“. *მნათობი*. სახელგამი „თბილისი“. 11 (1956). გვ. 141-149.
46. ბერიაშვილი, მამუკა: „თავისუფლება როგორც სიყვარული და მადიარებელი თვითცნობიერება გ. ვ. ფ. ჰეგელის ფილოსოფიაში“. *ფილოსოფიური განაზრებანი*. თბილისი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2. (2002). გვ. 127-152.
47. ბიჭაშვილი, მამუკა: *პოლიტიკური თეორიები*. წიგნი მეორე. თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2009.

48. ბუაჩიძე, თამაზ: *ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა*. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“ 1976.
49. ბუაჩიძე, თამაზ: *ფილოსოფიური ნარკვევები*. II ტომი. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2005.
